

ი. იმნაიშვილი

ქართული  
კონსტრუქციული ენის  
საქონისებრი

წინამდებარე წიგნი განიხილავს ძველი და ახალი ქართული პოეტური ენის საკითხებს.

წიგნში წარმოდგენილ შრომათაგან პირველი ორი ქართული ლექსის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს — რითმას ეხება, მესამე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სადავო ადგილის წაკითხვას განიხილავს, ხოლო მეოთხე და მეხუთე ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში ახლად აღმოჩენილი ლექსების ბუნებასა და თავისებურებას არკვევს.

## რუსთველის რითმა

ქართული პოეტური კულტურის უმაღლესი მწვერვალი „ვეფხისტყაოსანი“ ამოუწურავი ზღვაა. მისი სხვადასხვა საკითხის კვლევა კვლავ და კვლავ გაგრძელდება და მუდმივი ძიების საგანი იქნება. ნურავინ ჩათვლის, რომ პოემის ესა თუ ის საკითხი საბოლოოდ გადაწყა და შემდგომში აღარაა საჭირო მას კვლავ შეეხონ და იკვლიონ. ასევე ითქმის, კერძოდ, რითმის შესახებაც.

რუსთველის რითმის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენში. გამოწვლილვით არის გარჩეული მისი სხვადასხვა მხარე — ფონეტიკურ-მორფოლოგიური შედგენილობა, სემანტიკა, ევფონია. აღვიღებდებარეობა, სიგრძე-სიმოკლე და სხვა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ჭიჭინაძის<sup>1</sup>, პ. ინგოროყვას<sup>2</sup>, ა. ბარამიძის<sup>3</sup>, ა. გაწერელიას<sup>4</sup>, შ. ღლონტისა<sup>5</sup> და სხვათა შრომები, რომლებშიც ფართოდ არის საუბარი რუსთველის რითმის სხვადასხვა მხარის შესახებ. საკითხის ცალკეულ, სპეციალურ მხარესაც ბევრი შეხებია და საინტერესო მოსაზრება გამოუთქვამს. ყველაფერი ეს კარგადაა ცნობილი სპეციალისტებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ რუსთველის რითმის ყველა ასპექტი ყოველმხრივ გამორკვეული არაა, ზოგ მათგანს ისევ სჭირდება უფრო დაწვრილებითი ანალიზი, ზოგი ახლებურად მოითხოვს გაშუქებას, ხოლო ზო-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსანი“, კ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1934. წ. თავები: ა) შავაძეები, გვ. 308 — 314, ბ) რითმები, გვ. 315 — 320, გ) რითმების ინდექსი, გვ. 321 — 418.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსანი“, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1953, გვ. 408 — 416.

<sup>3</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი. 1958, გვ. 284 — 285.

<sup>4</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 169 — 200; მისივე: ქართული ლექსი, 1955, გვ. 91 — 123.

<sup>5</sup> შ. ღლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 130 — 138, 274 — 283, 289 — 297.

გი საკითხი ახლად უნდა დაისვას და გადაწყდეს. ამ მოსაზრებით ჩვენც გვსურს გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება რუსთველის რითმის ზოგიერთ მხარეზე და მცირეოდენი წვლილი შევიტანოთ ამ საკითხის კვლევის საქმეში.

## 1. რუსთველის რითმის სიახლენი

„ვეფხისტყაოსნის“ რითმა, როგორც ამ პოემის სხვა პოეტური აქსესუარი, მეტად მაღალ საფეხურზე დგას. იგი გვიჩვენებს მისი შემოქმედი პოეტის გენიალურ ნიჭს, შექმნას ლამაზი, თხრობის შინაარსის შესატყვისი, აზრის ზუსტად გადმომცემი, გულში ღრმად ჩამწვდომი, ადვილად დასამახსოვრებელი, მაგრამ მარად დაუვიწყებელი, ორიგინალური ოთხეული რითმები. იგი ამავე დროს სრულად ავლენს ქართული ენის უსასრულო შესაძლებლობებს, ამოუწურავ რესურსებს ახალი და ახალი რითმების შესაქმნელად. რუსთველის რითმა და მთელი პოეტური მაღალი შენობა იმდროინდელი დიდი საქართველოს, თამარის აღორძინებული ეპოქის უშუალო შედეგია. მაღალ პოეტურ კულტურას გვიჩვენებს აგრეთვე რუსთველის დროის ორი წარმომადგენელი — ჩახრუხაძე და შავთელი. მაგრამ რუსთველის ჭეშმარიტი პოეტური ხერხები, კერძოდ, მისი რითმები, შეუდარებლად მაღლა დგას, ვიდრე ოდების ავტორთა პოეტური აღჭურვილობა, განსაკუთრებით კი მათი რითმები.

რა სიახლეები შემოიტანა რუსთველმა ამ მხრივ? რითაა განსხვავებული რუსთველის რითმა მის წინაპართა და მისი თანამედროვე პოეტების რითმებისაგან?

ა) რუსთველმა გაბედულად უკუაგდო შინაგანი რითმები, რომლებიც ჩახრუხაძისა და შავთელის ოდებში თვითმიზნად იყო ქცეული და ძალზე აძნელებდა ლექსის შინაარსის გაგებას.

ბ) მან ხელი აიღო მაჯამებზე, რომლებიც მეზობლების ოდების შინაგანი რითმების მთავარ სახეს წარმოადგენდა, სავსე იყო უცხო წარმოშობის საკუთარი სახელებით და დღესაც, სპეციალური კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგაც, ხშირად გაუგებარი და გამოუცნობელია. რუსთველის პოემაში მაჯამური რითმები (ოთხივე ცალი) სულ რაღაც 17 თუ არის, ისინიც შედარებით ადვილად გასაგებია. აქ დავძენ იმასაც, რომ მაჯამებზე ხელის აღება თავისთავად ნიშნავდა ტრადიციული შინაგანი რითმების უკუგდებასაც, რადგან ჩახ-

რუსხადესა და შავთელს ეს მაჯამები (და, მაშასადამე, ამასთან დაკავშირებული სიძნელეები და გაუგებრობანი) თითქმის ყოველთვის შინაგან რითმებში ჰქონდათ, მაჯამები ჩვეულებრივ არ იჩენდა თავს გარეგან რითმებში<sup>1</sup>, ოდების გარეგანი რითმები შედარებით ჩვეულებრივი და ადვილად გასაგები იყო. რუსთველი ამ სწორ გზას გაჰყვა.

გ) რუსთველმა თავის რითმებში ადგილი დაუთმო ყველა მეტყველების ნაწილს, მათ შორის ზმნებსაც, ზმნიანი რითმები პოემაში ძალიან ფართოდაა წარმოდგენილი. მარტო ისეთი სტროფები, სადაც ოთხივე რითმა ზმნაა, 352-ს უდრის, სამიანი — 133-ს, ორიანი — 109-ს, ხოლო ერთიანი — 128-ს. სულ, სადაც ზმნა გვხვდება რითმაში, 722 სტროფია, ე. ი. პოემის თითქმის ნახევარი. ზმნის, ქართული ენის ამ ბურჯისა და ჰირისუფლის ასე უხვად შემოტანა რითმაში რუსთველის დიდ გაბედულებასა და ნოვატორობას უნდა მივაწეროთ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ არც ჩახრუხადისა და არც შავთელის ოდებში გარეგან<sup>2</sup> რითმებში ზმნა ჩვეულებრივ არ გვხვდება, აქ ჩვეულებრივ წარმოდგენილია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, განსაკუთრებით ხშირია მიმღობანი, მაგრამ არ არის (ან იშვიათია) ზმნა. მარტო ამ მომენტის აღნიშვნაც საკმარისი იქნებოდა, დაგვენახა, თუ რაოდენ დიდი სიახლე შემოიტანა რუსთველმა ქართულ პოეზიაში.

დ) მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, მაინც ის გარემოებაა, რომ მხატვრული მრავალფეროვნების მისაღწევად აქ სხვადასხვა მეტყველების ნაწილებია ერთმანეთთან შერითმული: სახელს ზმნა ერთმება, ზმნას — სახელი, ორივეს კი — ზმნიზედა,

---

<sup>1</sup> ძალზე იშვიათად მაჯამა აქაც გამოჩნდებოდა ხოლმე. შდრ. შავთელი: ანაგები თა 199 ეს რომ არა მით 24: ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, 11, 1964, გვ. 123, 125.

<sup>2</sup> რაც შეეხება შინაგან რითმებს, როგორც უკვე ვთქვით, შინაგანი რითმები უმეტესად მაჯამებს შეიცავდა, მაჯამა კი არავითარ საშუალებას არ დაგიდევდა, ოღონდ ორივე სართიმო ერთეული სრულებით დამთხვეოდა ერთმანეთს. აქ ზმნაც, სახელიც, საკუთარი სახელიც (ბევრისათვის სრულიად გაუგებარი და მიუწვდომელი), ხელოვნური, დამახინჯებული ფორმებიც ბლომად გვხვდება. აქ ყურით მოათრევენ ყველაფერს, რაც კი საშუალებას იძლევა, რომ მაჯამა შედგეს, რითმის ერთი ცალი (სიტყვა ან სიტყვები) მეორეს დაემთხვეს სრულებით. აქ რითმაში ზმნის შეგნებულ და თავისუფალ შემოტანაზე ზედმეტია ლაპარაკი. თვით ასეთ შემთხვევაშიც ზმნა აქ შედარებით მაინც ნაკლებად იყო გამოყენებული.

თანდებული, ნაწილაკიც კი. ამ მხრივ, რუსთველმა გაბედულად დაარღვია ძველი ტრადიცია ერთნაირი მეტყველების ნაწილების ერთმანეთთან შერითმვისა და სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შერითმვის წესი დააკანონა. ეს მაღალი პრინციპი დღესაც წარმოადგენს ჩვენი საბჭოური პოეზიის ქვაკუთხედს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია სახელისა და ზმნის (ზმნისა და სახელის) შეწყვილება. ამ ტიპის ისეთი რითმები, როგორცაა, მაგალითად:

ა) მ ო რ მ უ ლ ი

ვეუბენით — ფენით	418	ბერთა — შეერთა	893
რიღე — ინატრიღე	460	გააგო — შმაგო	1604
უალერსა — ფერსა	469		

ბ) დ ა შ ტ ი ლ უ რ ი

ვაცუღენი — ბუღენი	217	წინანი — ვინანი	817
ზარები — შევეწყნარები	313	ვეცრუები — რუები	852
მიჰამია — ჟამია	473	მოველი — მთოველი	857
გმირთაო — ნუ მოირთაო		ლალები — გებრალები	1275
ვერთაო — იტვირთაო	543	დასეები — გენასეები	1364
მადესა — ბადესა	574	კოცებით—დავიხოცებით	1575
ამოსა — დამოსა	682	და სხვანი,	

ქეშმარიტად უმაღლესი ხელოვნების მარგალიტებია, ამათზე უკეთესს დღესაც ვერ ინატრებს თვით უმაღლესი რანგის პოეტი. ამ მხრივ, რუსთველი, როგორც ყოველი გენიოსი შემოქმედი, გასცდა თავის დიდ ეპოქას და თანამედროვეობის მისაბაძ მეტრად იქცა.

ე) დასასრულ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რუსთველის რითმა, მის თანამედროვეთაგან განსხვავებით, სადა, ბუნებრივი, ადვილად გასაგები და ამავე დროს საამუხრად ქლერადი და უაღრესად მაღალმხატვრულია.

მაგრამ რომ უფრო ნათლად გამოჩნდეს რუსთველის მიერ შემოტანილი სიახლენი ქართული რითმის გარდაქმნასა და მაღალ საფეხურზე აყვანაში, ერთი თვალის გადავლებით გავეცნოთ შავთელისა და ჩახრუხაძის რითმებს (შინაგანსა და გარეგანს).

24

1. ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:  
„ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
2. მასთანა შორად, — ართუა შორად! —  
ელია-მოსით, ესრომ-არამით.
3. ქველად ქვრითა, რისხვით, ქვრითა  
გლი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
4. მასარ ა რითა? მას არ არითა,  
ელ ია-მოსით. ეს რომ ა, რა მით?“

26.

1. ხარ უკვდავება! ვით უკვ დავება?  
რაც ძალ-მიც, ქებად ვიწყო მწადენი:
2. ტურტა სახითა ცხოვლადსა ხითა  
მოყმე, მკნე, უხვი დაიბადენი.
3. სიბრძნისა სირად, სწავლისა სირად  
გარე მოგეთხზნეს რიტორთ ბადენი.
4. აწა მეთავსა: აწამე თავსა  
ღვაწლი, ვინ უწყის, თუ რაოდენი.

48.

1. სახედ ელვისა! სახედველისა  
მკვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა.
2. მო, ე კალმითა! მოეკალ მითა,  
რომ უქმად სღევით ხატვად სახისა.
3. მისთვის წამალნი, სჯობს, რომ წამ აღნი,  
თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა.
4. მან იოსებსა — არ ი ოსებსა! —  
სიტურთუე ართო, თვით მსგავსი მის ა 1.

შავთელის გარეგანი რითმები ჩვეულებრივ ერთფეროვანია: არსებობს სახელს არსებითი სახელი ერთმება, ზედსართავს — ზედსართავი, მიმღეობას — მიმღეობა. ყველაზე ხშირი მაინც ეს უკანასკნელია.

ზმნა გარეგან რითმაში იშვიათად ჩანს. პოეტის ყველა ოდაში იგი მხოლოდ 15-ჯერ გვხვდება. ამ 15 შემთხვევიდან ზმნა ოთხსავე სარიტმოდ ერთეულში გვაქვს 3-ჯერ (სტროფები 30, 36, 102 = 12), სამ ერთეულში — 2-ჯერ (89, 90 = 6), ორ ერთეულში — 4-ჯერ (3, 49, 58,

1 ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, 1964, გვ. 125, 133.  
5. ამათი შინაარსის ანალიზი, გვ. 183, 185, 209.

96=8) და თითო ერთეულში--6-ჯერ (11, 26, 27, 67, 80, 93=6). სულ ყველა სტროფში ზმნა 32-ჯერ გვხვდება (12+6+8+6=32). თუ მხედველობაში გვექნება, რომ შავთელის ოდები 107 სტროფს შეიცავს და, მაშასადამე, სულ 428 სარიტმო ერთეულია (107×4=428), 32 შემთხვევა, რომლებშიც ზმნა გვხვდება, ძალიან მცირეა, იგი დაახლოებით 7<sup>0</sup>/<sub>10</sub>-ს უდრის.

მაშასადამე, რითმაში უზმნობა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა შავთელის (და, როგორც ქვევით ვნახავთ, ჩახრუხადის) ოდებისათვის.

ერთი და იმავე მეტყველების ნაწილების მუდმივად ერთმანეთთან შერითმვა კი ერთფეროვნების უტყუარი ნიშანია. ის მომბეზრებელი მონოტონობა, რომელიც ოდების კითხვისას იგრძნობა, რითმაშიც ნათლად ვლინდება. აქ სანიმუშოდ მოვიყვანთ ამ ტიპის ცალკეულ რითმებს.

<b>არს. სახელები:</b>	სიმართლისაო — სიწმიდისაო	25
	ზირაქისაო — აბრამისაო	
	შემკულობანი — შექმნულობანი	
	განხმულობანი — შექმნულობანი	39
	სიწლოთ-სიჭმოსა — იამვლიხოსა	
	თამარ-პირმშოსა — პერიპატოსა	53
	თვით სულელობით — ენა-ბრგვნილობით	
	თქვენ საფერობით — შემწირველობით	107
<b>მიმღეობანი:</b>	შეპყრობილსა — წარმყვანებელსა	
	თვით-ოტებულსა — ნელსაცხებელსა	38
	შემკულნი — უდნობელნი	
	ძერწილნი — შთათხზილნი	40
	მანათობელი — მკამკამებელი	
	მპყრობელი — სჯულისმდებელი	45
	მონიჭებულსა — განშვენებულსა	
	დასახებულსა — დაარსებულსა	76



საწყისები:

ჯდომით — ხლდომით  
შეკრდომით — მიწდომით

10

ცხოვრებად — წოდებად  
მოდებად<sup>1</sup> — მონებად

16 და სხვა.

ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე

ამ მხრივ, კიდევ უფრო დამახასიათებელია ჩახრუხაძე. შინაგანი რითმების მაჯამურად გაწყობა აქ ყოველგვარ საზღვარს ლახავს და თვითმიზნად იქცევა. აი, რამდენიმე მაგალითი:

1. ვინ არს ებანი? ვინ არსე ბანი,  
არა არს სათნი სახელოვნებად!
2. მან ცათა მარის, მანცა თამარის  
გან მზე აბნელა მაცისკროვნებად?
3. აღამეთ ერთა აღამ ეთერთა  
ღასახა სახებრ მსგავსი პოვნებად.
4. არსა ღალადი: „არღ. არს-ღა ღადი  
მზე შენგან მრთმევად უეტლოვნებად?“<sup>2</sup>
9. არამედ გარე, არა მელგარე  
თვით და ხალიფას გამკიცხოვნებად.
10. მეტყვის მით ენოს, მეტყვის: „მითენოს  
წყვდიად, რომელ ჩანს ვარდი თოვნებად.
11. არ აქა, მანდა, არ აქამანდა  
არა ნარგისთა შამში მოვნებად“.
12. ეგე ნათელი! ეგე ნათელი  
რა ნახოს, მზესა აქეს ბნელოვნებად.
5. ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის  
და არა იქმნეს განცვიფრებარე?
6. მკვრეტნი ვიტყვითა, მკვრეტნი ვიტყვითა:  
„ანუ თუ სიზმრად მიაოცებარე!“
7. ანუ ცნა ურად, ან უცნაურად  
სოფლისა წყალთა დამშვენებარე,

IV, 25

IV, 27

<sup>1</sup> ვარიანტები: მომდებლად, მომდებად.

<sup>2</sup> ი. ლოლაშვილი, ძველი ქართული მეხოტბენი, I, 1957, გვ. 190.

8. რადგანცა დახვალ, რადგან ცად ახვალ  
ზუალი, ეტლი, მთვარე მცებარე.

V, 30

9. რომელ ვანება, რომ ელვანება  
შენ ოდენ გქონდეს მაისიკრებარე!

10. არა გეთნია, არ აგეთნია  
მნათობნი, მით ვცნენ დამბნელებარე.

11. მანა თოვლითა, მანა თოვლითა  
ლაწვ-მულაზარობს გამომლებარე.

12. ვინა ტრედია? ვინატრე, ღია,  
ძე ღმრთისა შენდა მწედ მწოდებარე.  
ასე ბოლომდე.

V, 31

ვინ გაიგებს ამ თავსატეხ მაჯამებს? ვინ ამოხსნის მათს ღრმად დაფარულ საიდუმლოებას? მათი მიხვედრა უჭირთ დღეს კბილე-ბამდე ფილოლოგიური ცოდნით შეიარაღებულ ადამიანებს. ხალხი კი, რომლისთვისაც უნდა იყოს დანიშნული პოეზია, მას ვერ გაიგებს და ვერ შეიყვარებს.

არ შეიძლება ასეთი მაჯამებისა და სიმწრით გამოგონებული საწვალელების წაკითხვისას უნებლიეთ არ გავიმეოროთ თვით აქ მოყვანილი ერთი სტროფის ეს სიტყვები: „ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის?“

რუსთველი ასეთი არაა. მის პოეზიაში (თვით მაჯამებშიც კი) არსად არ გვხვდება ასეთი განგებ დაბნელებული, თავიდან ბოლომდე მოგონილი, გაუგებარი და გამოუცნობი ადგილები.

ჩახრუხაძე გარეგან რითმებში ზმნას სრულებით არ იყენებს. აქ წარმოდგენილია ყველა მეტყველების ნაწილი, მაგრამ არა ზმნა. რასაკვირველია, ამ დებულების დასარღვევად არ კმარა VIII და IX ოდებზე მითითება, რომელთაგან მეორეში ორჯერ გვაქვს ვარი (ღვა-რი — ვარი...). მაგრამ ეს, ჯერ-ერთი, წვეთია ზღვაში და შემთხვევითია. მეორე: ამ 5-სტროფიან ოდაში შინაგან რითმებში აღარა გვაქვს მაჯამური რითმები, ე. ი. ეს ოდა მთლად ჩახრუხაულად ისე-დაც არაა გაწყობილი. რაც შეეხება VIII ოდას, რომელშიც მხოლოდ 4 სტროფია, ის საერთოდ სულ არ შეიცავს შინაგან რითმებს, ე. ი. არცაა ნამდვილი ჩახრუხაული ლექსი. როგორ, ოცმარცვლიანი, ჩახრუხაული ზომით დაწერილი ოდა და შინაგანი რითმების გარეშე? არა, ეს არაა ნამდვილი ჩახრუხაული. ჩვენს სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში ეპვიც კი არის გამოთქმული, რომ ის ჩახრუხაძეს ეკუთვნოდა. გასაკვირი არაა, რომ ამ ოდაში, ოთხივე სტროფში გარეგან რითმებად (შინაგანი ხომ არა აქვთ და არა აქვთ) მხოლოდ ზმნებია გამოყენებული, თანაც თავიდან ბოლომდე ერთი — ოდის — კლაუზულით (მოდის — ითქმოდის — სმოდის — ისმოდის — მოვიდოდის — ჰქონდის<sup>1</sup> — მოისწრაფოდის — ჰქონდის — რბოდის — მოეზაოდის — უძლოდის — იწოდის — იწოდის — ისოდის — ისმოდის — გცოდის)<sup>2</sup>.

რაკი აქ გარეგან რითმებში ზმნები საერთოდ არაა წარმოდგენილი, ზედმეტია ლაპარაკი ზმნებისა და სახელების შეწყვილებაზე.

ყველაფერი ზემოთ თქმული იწვევს მოსაწყენ ერთფეროვნებას. ერთფეროვანი და მოსაწყენია, აბა რაღაა, მაგალითად, I ოდის გარეგანი რითმების ასეთი გაუთავებელი ხელოვნური ხუხულები:

4. მთქმებულად — განცვიფრებულად  
განცხადებულად — დაშვენებულად
5. აღშფოთებულად — დამონებულად  
დაქადებულად — მკლებულად
6. დამეტებულად — განბრწყინებულად  
განმთავრებულად — მოშორვებულად
7. განკვირვებულად — მიახლებულად  
ერთ-უფლებულად — დ ბნელებულად
8. დადუმებულად — წარჩინებულად  
აღმორჩებულად — აღმართებულად
9. წარმართებულად — შეყვარებულად  
სწრებულად — და-ცა-დებულად
10. დასულტნებულად — მიახლებულად  
შეძლებულად -- მოწოდებულად

<sup>1</sup> აქ კლაუზულა გართულებულია ო-სა და დ-ს შორის ნ-ს არსებობით (ასონანსი).

<sup>2</sup> ჩვენ აქ არ ვეხებით ჩახრუხაძის ოდაბის იმ ნაწილს, რომელიც შაირის საზომით (16-მარცვლიანი ლექსით) არის გაწყობილი. ეს არაა მისთვის სპეციფიკური.

11. შეძლებულად — განმთავრებულად  
დამონებულად — ასწორებულად
12. განძინებულად — დატყვევებულად  
ალაღებულად — განსაკრმლებულად
13. ამჯედრებულად — გაბასრებულად  
მოოჯრებულად — არ შფოთებულად
14. ნათელ-ლებულად — სისხლ-წამებულად  
მიბაძვებულად — ესებულად
15. შემსგავსებულად — განმარტებულად  
დაკლებულად — გა(ცვიფრებულად
16. დაჯაბნებულად — ცნობა-ვნებულად  
განრიდებულად — ზარ-აღებულად
17. ქადებულად — დამეტებულად  
მიდევენებულად — განქიქებულად
18. შოებულად — შესწრებულად  
მოცთუნებულად — მოყვანებულად
19. განმარტებულად — გებულად  
შეფიცებულად — შვებულად

ყველა ეს 64 სარიტმო სიტყვა ერთ თარგზეა გამოჭრილი; მათ საერთო აქვთ: ებ თემის ნიშანი, ულ ვნებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელი, ად ვითარებითი ბრუნვის ნიშანი. მარტო ეს სამი საერთო ელემენტი ქმნის დაქტილურ რითმებს და პოეტს სხვა ალარაფერი რჩება საზრუნავი. ასე შეიძლებოდა დაუსრულებლად გაგრძელებულიყო, მშვიდად და უდარდელად, პოეტური გარჯისა და შემოქმედებითი ძიების გარეშე. მერმე ამათშიც რამდენი ხელოვნური და ენაში უხმარებელი ფორმაა, რომელიც გაწვალებული რითმის შეკოწიწებას შეეწირა (მთქმებულად 4, მკლებულად 5, განსაკრმლებულად 12...), რამდენი განმეორება (განცვიფრებულად 4, 15; დამონებულად 5,11; განმთავრებულად 6,11; დამეტებულად 6,17; მიახლებულად 7, 10; შეძლებულად 10, 11; განმარტებულად 15,19).

ასე ერთფეროვნად არის გაწყობილი აგრეთვე VII ოდის გარე-  
განი რითმები ევალ საერთო ელემენტით:

38. წვევად — რჩევად  
რევად — სრევად
39. მთვარევად — შენამართევად  
თევად — ნამათევად
40. რბევად — მორჩევად  
დაუმალევად — ლევად
41. ძევად — განრისხევად  
ზღვევად — სათნევად
42. მონაკვლევად — განაპარსევად  
გაგულქველევად — დასამსგავსევად
43. სულ-ნახუთევად — ნამიჯნურევად  
ნატანჯევად — ლხინ-უნახევად
44. ძევად — ნაბრალევად  
ნამიჯნურევად — ძლევად
45. შეუძლევად — რყევად  
ნაცარ-ნასხმევად — ნამარხევად
46. ნაგაშასპევად — წვევად  
შეუსახევად — ქცევად
47. გარდასაქდევად — ნაუფსკრულევად  
ნაორგულევად — დაუწვევად
48. ნაფუნჩევად — შუბლ-ნაელევად  
ლევად — განაცისკრევად
49. მახვილ-უკრევად — ცუდ-ნაპორევად  
წვევად — ეტლ-წანავკრევად
50. ნაჯუფთევად — მორევად  
ნამუხთალევად — აღვირ-ნასხმევად

51. მწყობრ-შენასხმევად — გამოსაკვლევად  
დასასახევად — სხივ-შესადგმევად.

აქ კიდევ მეტია ხელოვნური და ენაში უხმარი ფორმები, აგრეთვე განწმენობული რითმები (წვევად 38, 46, 49; ლევად 40, 48; ძვეად 41, 44; ნამიჯნურევად 43, 44), მაგრამ ამ ტიპის ფორმებით კიდევ უფრო მდიდარია V სტროფი:

29. შუქ-მტაცებარე — მცებარე
30. განცვიფრებარე — მაოცებარე  
დამშვენებარე — მცებარე
31. მაცისკრებარე — დამბნელებარე  
გამომლებარე — მწოდებარე
32. მწლფებარე — მზლებარე  
მოსათნებარე — შემძლებარე
33. შემძახებარე — წინამგებარე  
მეოტებარე — გემქებარე
34. ებარე — ანათებარე  
ჩამომდებარე — მებარე
35. მამაკლე ბარე — მღებარე  
ნაშენებარე — შემრისხებარე
36. მვისრე ბარე — მოუკლებარე  
მამთოვლებარე — ნამორჩებარე.

აქ სრულიად დაგიწყებულა ენის ბუნებრივი, ხალხში ხმარებულა, ყველასათვის გასაგები და მიღებული ფორმები. აქ თითქმის ყველა ხელოვნური ფორმაა, ენაში არარსებული, უხმარი, ხალხში გამოუყენებელი, პოეტის მიერ წვითა და დაგვიტ გამოგონებული, რომელთაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობათ. ეს ფორმები ერთადერთ მიზანს ისახავს: როგორც უნდა დაჯდეს, სარიტმო ტაეპის ბოლოს იყოს ებარე (ცალკე სიტყვებში თუ სიტყვათა ჯგუფებში). სხვა მიზანი არა ჩანს. ასეთი ექსპერიმენტებისა და ხელოვნური ვარჯიშის შედეგად კი დაუსრულებლად შეიძლებოდა აღნიშნული რიგის გაგრძელება, ვთქვათ, ასეთი ხელოვნური ფორმებით:

მკამებარე (მკამელი) — მსმებარე (მსმელი),  
მოუსვლებარე (მოუსვლელი) — მოუსპებარე (მოუსპობი)  
დამწოლებარე — დამძინებარე  
გამღვიძებარე — ამდგომებარე  
მაწყინებარე — შემძულებარე  
გაუგებარე — გარდვაგდებარე და სხვა.

მეხობტეთათვის ოდებში ასეთი ფორმების გამოყენება მისალე-  
ბად და ნორმად ითვლებოდა. ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ,  
როცა შ. რუსთველის შაირის შესახებ გვაქვს საუბარი. მას ასეთ  
პირობებში მოუხდა მოღვაწეობა და წერა, ყოველ შემთხვევაში ასე-  
თი იყვნენ მისი ახლო წინაპარი და მისი თანამედროვე პოეტები  
(მეხობტეები), იმ დროს არსებული პოეზია და პოეტიკის შეუზღუ-  
დავი კანონები (ამის მკრთალ ანარეკლს ჩვენ „ვეფხისტყაოსანშიც“  
ვნახავთ).

შე რუსთველი, როგორც აღვნიშნეთ, გაბედულად აღუდგა წინ  
და მედგრად შეებრძოლა ამ სქოლასტიკას, დაარღვია ლექსის შე-  
ნების ძველი, დახავსებული კანონები, ლექსში შეიტანა ცხოვრები-  
სეული, სადა, ხალხური ენის ბუნებრივი ფორმები, უკუთავდო თვით-  
მიზნური შინაგანი რითმები, ხელი აიღო გრძელ, გაუთავებელი რი-  
გის რითმებზე და ცოცხალი, ენაში არსებული, ყველასათვის  
გასაგები და მაღალმხატვრული სიტყვების შეტანით რითმა აქცია  
ლექსის აუცილებელ, ყველაზე მიმზიდველ, ლამაზ, მხატვრულად  
მოქმედ კომპონენტად.

მაგრამ დაუვებრუნდეთ საკუთრივ რუსთველის რითმის ზოგიერთი  
ასპექტის კონკრეტულ ანალიზს.

## II. რუსთველის რითმის ლექსიკური შედგენილობა

რუსთველის რითმა ლექსიკური შედგენილობით მეტად მრავალ-  
ფეროვანია. აქ გვხვდება ყველა მეტყველების ნაწილი: არსებითი  
სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი,  
ზმნა (პირიანი ფორმები, საწყისი, მიმღეობა), უდეტრები (ზმნიზედა,  
თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული). ამ უკანასკნელი  
კატეგორიის სიტყვები, გასაგები მიზეზების გამო, უფრო ნაკლებ  
მოიპოვება. ძირითად ბირთვს შეადგენს სხვადასხვა ტიპის სახელები  
და ზმნები.

რითმაში ზმნების ფართოდ შემოტანა და დამკვიდრება, როგორც აღნიშნული გვექონდა, რუსთველის სახელთანაა დაკავშირებული. პოეტი აქაც დიდ მრავალფეროვნებას იჩენს: უფრო ხშირად ზმნებს რითმავს რითმის ოთხსავე ცალში (352 შემთხვევა), ზოგჯერ 3 ზმნას შეართმავს ერთ სახელს, ან სხვა მეტყველების ნაწილს (133 შემთხვევა), ხან ორი ზმნა ერთმეზა სახელს, ან სხვა მეტყველების ნაწილებს (109 შემთხვევა), ბოლოს, ზოგჯერ 1 ზმნა არის შერთმული 3 სახელთან, ან სხვა მეტყველების ნაწილებთან (128 შემთხვევა). სულ ზმნის რითმაში გამოყენების 722 შემთხვევა გვაქვს. სიმოკლისათვის მათ ჩვენ ვუწოდებთ ოთხზმნიან, სამზმნიან, ორზმნიან და ერთზმნიან რითმებს.

აქედან I შემთხვევა რუსთველამდეც იყო ცნობილი: ზმნა ზმნას ერთმეზობოდა (2, 3, 4...). დანარჩენი 3 სახეობა არსებითად და კლასიკური სახით<sup>1</sup> რუსთველის შემოტანილი და დანერგილია.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ ყველა ამ ოთხი სახის ზმნიან რითმებს ცალ-ცალკე. სიცხადისათვის თითოეული სახიდან ორმოცდაათ-ორმოცდაათის ნიმუშებს მოვიყვანთ, სხვებისათვის დავიმოწმებთ მხოლოდ სტროფებს, რომლებშიც ამა თუ იმ სახის ზმნური რითმა შედის.

ოთხზმნიანი რითმები

სტროფები

კლ ა უ ზ უ ლ ა

- |  |                      |
|--|----------------------|
| 11. უზნობდეს — გულოვნობდეს — გამოსცნობდეს —<br>უწუნობდეს | ნ-ობდეს              |
| 18. აბრკობდეს — აშიკობდეს — ამკობდეს —<br>მუსიკობდეს     | კ-ობდეს <sup>2</sup> |
| 21. მიჰხვდებიან — დავალდებიან — ჰხვდებიან —<br>ბნდებიან  | დ-ებიან              |

<sup>1</sup> თითო-ორილა მანამდე არსებული შემთხვევითი მაგალითი რუსთველს ამ პრიორიტეტს, რასაკვირველია, ვერ გახდის საცილობლად.

<sup>2</sup> ჰორველ ცალში საყრდენ კ-ს მ ემატება. აკუსტიკური შთაბეჭდილება მაინც კ-ს: რჩება.



28. ამელავენბდეს — აყივენბდეს — იფერებდეს —  
 მოიდებდეს ებდეს
29. გაამელავენოს(?) — ივენოს — მოაყივენოს — ატკივენოს ივენოს
31. ემართლების — დაეთვლების — მოეცლების  
 ეახლების ლ-ების
47. ეღირსებოდა — აივსებოდა — ითავსებოდა —  
 დამევესებოდა (ვ)ს-ებოდა
49. მოეფინების — მოგეწყინების — ვინ ების — გაედინების ინების
51. მოისმინებდა — მოიწყინებდა — მოილხინებდა —  
 თინათინებდა ინებდა
58. ჩავარდნილა — ქმნილა — შეგვეცილა — გაგვაწბილა ილა
61. შემოჰხედნა — გაბედნა — უიმედნა — დაიყბედნა ედნა
64. მოისმენდა — დაუშვენდა — მოათენდა — შეგრცხვენდა ენდა
69. გარდაწყვიდეს — ზმიდეს — დაასკენიდეს — ვლიდეს იდეს
71. მოიარენით — არენით — მოიჯარენით — გავიხარენით არენით
73. გამოვიდეს — შემოჰკვიდეს — დაჰფარვიდეს —  
 სრვიდეს (რ)ვ-იდეს
76. წაუხმიდეს — მისახმიდეს — მოართმიდეს —  
 წასდგმიდეს მ-იდეს
79. ეუბნებოდეს — დგებოდეს — ჰყვებოდეს —  
 გვეთნებოდეს ებოდეს
87. შეუზარდა — უმაგარდა — დაუწყნარდა — გაუთმეცარდა არდა
93. მოიწურნა — გაამამაცურნა — იყურნა — განკურნა ურნა
95. შეუზასნა — ნახნა — დაასახნა — ივაგლახნა ახნა
100. წამოვიდა — მოურთვიდა — სრვიდა — უზრახვიდა ვ-იდა
107. გცნობდეს — ამაყობდეს — დაამხობდეს — სჯობდეს ობდეს
110. მოიხოცნა — დამიხოცნა — გარდამკოცნა — მეოცნა ოცნა
112. გამემწარნეს — წამეარნეს — მინეტარნეს — გამეხარნეს არნეს
117. მოვიარენით — გავიხარენით — შევეყარენით —  
 მოიგვარენით არენით
122. ჰრცხვენოდა — სღენოდა — შვენოდა — გარდაჰფენოდა ენოდა
126. იქმნების — და-ცა-ჰნების — მეგონების — გეკურნების ნ-ების
129. გეტყვია — შემიტყვია — გისეტყვია — დაუტყვია ტყვ-ია
131. გაამყარე — ასაპყარე — ყარე — შემეყარე ყ-არე
137. ასად აგეს — ასადაგეს — ა, სად აგეს — ასადავეს ასად აგეს

138. გასძლებდა — აყოლებდა — ათრთოლებდა — ავალებდა ლ-ებდა
140. ეხოცების — იკეცების — ეოცების — ეოცების ც-ების
143. ვინაპირო — ვჰემირო — ავატირო — დავაძვირო ირო
151. მრცხვენთან — გაგივლენთან — მდენთან — მოუღებენთან ენთან
156. ჰპატრონობდი — სცნობდი — სძღვრობდი — აგრძნობდი ნ-ობდი
161. მიბრძანე — გიგვანე — ვიაკვანე — წამიტანე ანე
168. პატრონობდეს — სცნობდეს — აჰნობდეს — დაადნობდეს ნ-ობდეს
172. გაეკიდა — გაეკიდა — გაეკიდა — გაეკიდა გაეკიდა
180. ჭნებოდა — ბნდებოდა — იარებოდა — თანა- ემოყვრებოდა ებოდა
182. მოიარა — იარა — მიმხვდარა — მიიყარა არა
185. ანგარიშობს — იშობს — გულმოშიშობს — იშობს იშობს
189. ამრუდენ — გამიცუდენ — დააბუდენ — დავიყუდენ უდენ
190. ეუბნების — დადნების — მედინების — იქმნების ნ-ების
192. მომივლიან — შემეგიან — თქვიან — მღიან იან
194. ივაგლახა — გამოსახა — ენახა — შეუზახა ახა
198. დაგამსგავსენ — ავსენ — მოგვისავსენ — დაიმხავსენ ავსენ
201. დავაწბილენით — დავეცილენით — ვავაქილენით — ვითაკილენით ილენით
207. ანატიფნა — გაამყიფნა — ამოგვეკრიფნა — შეგვაწიფნა იფნა
215. აგოს — გააშმაგოს — გამოაგოს — მოიძაგოს აგოს
222. ჩავვიცივდეს — გვწვიდეს — გარდმოსწვიმდეს — სწვიდეს ვ(მ)-იდეს<sup>1</sup>.

ამ ტიპის (ოთხზმნიანი) რითმა პოემაში არის კიდევ 302.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ 50 ოთხზმნიან რითმაში დაქტილურია მხოლოდ 13 (ებთან<sup>2</sup>, ებოდა,

1 კლაუზულის ი-სა და ღ-ს შორის პირველ ცალში ვ არის, ხოლო მესამეში — შ, ეს ვ, და შ ეხმაურება პირველი სამი ცალის საყრდენ ვ-ს. ვ-სა და მ-ს შე- ნაცვლება ჩვენს ენაში სხვაგანაც ხშირია: ვარსკვლავი — მასკვლავი, მითამ, ნამ- თი, მიწრო, ამსება, კიდემ და სხვა.

2 მოგვყავს მხოლოდ კლაუზულები.

რების, ინებდა, არენით, ებოდეს, არენით, ენოდა, ასადაგეს<sup>1</sup>, ენიაწ, გაეკიდა<sup>1</sup>, ებოდა, ილენით), სხვა ყველა 37 ქალურია. ეს პროპორცია დაახლოებით ასეა გატარებული მთელ პოემაში: ამ ტიპის 352 რით-მიდან დაქტილურია მხოლოდ 102, რაც საერთო რაოდენობის 29<sup>1</sup>/<sub>10</sub>-ს შეადგენს, ხოლო ქალურია 250 (71%).

ასეთი მკვეთრი პროპორციული სხვაობა ადვილი გასაგებია: ძნელია ენაში მოიძებნოს ყველა ოთხივე ზმნის ერთნაირი დაბოლოების მქონე სამმარცვლიანი ფორმები, მაშინ როდესაც ამნაირი ორმარცვლიანი მაგალითები გაცილებით მეტია და ადვილი მოსაძებნია. ეს შეფარდება კლებულობს იმის მიხედვით, რამდენადაც კატრენებში რითმებად ნაკლები ზმნა შედის.

ამავე მიზეზით უნდა იყოს აქ მოხშირებული I სერიის მწკრივები, რომლებშიც პოეტი ნახულობს კარგ სარიტმავ ფორმალურ ელემენტებს: ებ-ი-ან, ი-ნ-ებ-ი-ს (აწმყო), ი-ნ-ებ-დ-ა, ებ-ოდ-ა, ებ-ოდ-ეს... ი-დ-ა, ებ-დ-ა, ებ-დ-ეს, ობ-დ-ეს (უწყვეტელი), ებ-დ-ეს, ობ-დ-ეს (I კავშირებითი) და სხვა. ერთზმნიან რითმებში პოეტი აღნიშნულ სიძნელეს სხვა საშუალებითაც ადვილად გადალახავდა.

### ს ა მ ზ მ ნ ი ა ნ ი რ ი თ მ ე ბ ი

- |  |        |
|--|--------|
| 19. მიქია — გამიქიქია — (ჯიქია) — მიქია                | იქია   |
| 65. დამგმეო — მიბოძეო — გასწყრეო — (ამათზეო)           | ეო     |
| 74. ელიდითა — მოგვართმიდითა — დასთვალვიდითა — (კიდითა) | ილდითა |
| 77. შემოისხეს — შეარისხეს — ისხეს — (ედემის ხეს)       | ისხეს  |
| 81. (ოცია) — დაუხოცია — შეუტყორცია — დაგვიხოცია        | ოცია   |
| 90. შემობრუნდა — უნდა — შემიძრწუნდა — (მუნ, და)        | უნდა   |
| 105. გავძლეო — (სიცოცხლეო) — მეწამლეო — დავლეო         | ლ-ეო   |
| 115. (კიდეთა) — დაპრიდეთა — მოიცილიდეთა — მიხვიდეთა    | იდეთა  |
| 119. აღიადა — (სადა) — შემოხადა — დაბადა               | ადა    |
| 128. დაგეხოცა — მოეხოცა — დამამხოცა — (მოჰლახო ცა)     | ხოცა   |
| 134. აწამწამე — შევიწამე — გამიწამე — (წა, მე)         | წ-ამე  |
| 145. მოახსენა — (თქვენა) — გამითენა — მიჩვენა          | ენა    |

<sup>1</sup> თუმცა აქ ტერფი ქორეულია, მაგრამ რითმა მაჰამას წარმოადგენს და მისი შეტანა ქალურ რითმებში უხერხული იქნებოდა. მსგავს შემთხვევებში ასე ვიქცევით ქვემოთაც.

157. დაასახე — შემინახე — (დაქნა ხე) — მივაგლახე	ახე
160. შეეზარა — გარდმოყარა — გაიზარა — (არა)	არა
163. ვარგა — (კარგა) — იზარგა — დამკარგა	არგა
170. (სიტყვა-ნაშმა) — მოეკაზმა — დაერაზმა — დაზმა	აზმა
171. მიხა — გაითავისწინა — გაირბინა — (თინათინ ა)	ინა
173. მოითვალეს — იფერმკრთალეს — ანაცვალეს — (უცხენმალეს)	ალეს
174. დანერგვიდეს — მოასხმიდეს — (კიდეს) — გარდმოჰყრიდეს	იდეს
176. გვეარმისცა — მისცა — (ვისცა) — თაყვანი-სცა	ისცა
177. (ეზროს) — და-ცა-ეზროს — ეზროს — იაბეზროს	ეზროს
178. გარდაიარა — იარა — გაუზიარა — (ელვრი არა)	იარა
196. შეიწოდეს — მოვიდოდეს — იცოდეს — (არაოდეს)	ოდეს
200. წამოვედით — გარდავხედით — წავედით — (ქედით)	ედით
209. გარდაჰფრიწა — დაამიწა — მოამიწა — (ამაყი, წა)	იწა
237. (შენო) — მაწყენო — მოგახსენო — ქმენო	ენო
238. (წინა) — მოეწყინა — მოედინა — დააბრჩინა	ინა
241. (მე, ვინო) — მათქმევეინო — მოგაკლვევეინო — დაგახევეინო	ევეინო
247. მოგაწონე — გაიგონე — (ლონე) — გაქონე	ონე
256. მომიციდილე — ამოგზილე — (კილე) — წავილე	ილე
270. წაგეკიდა — გარდმეკიდა — აეკიდა — (მარეკი, და)	ა-ეკიდა
271. გავიალე — შევიწყალე — დავიმალე — (ხვალე)	ალე
273. მოგივლია — დაგელია — გაკლია — (მადლია)	ლ-ია
275. დაბადა — მეწადა — შეეცადა — (არასადა)	წ, ც-ადა
276. (დია) — მოუგდია — გამიციდია — გარდგიხდია	დ-ია
287. გარდგეკიდენით — წაგეკიდენით — გამოგკიდენით— (მიდენით)	კ-იდენით
291. მენახა — გაემკვახა — დაგესახა — (გლახ, ა)	ახა
326. მიეწურა — ჰმურა — დააპკურა — (დასტურ ა)	ურა
350. მომეხვია — თქვია — (დია) — გარდმეთხია	ია
352. (რაგვარია) — შემოჰყარია — წამერია — დაუღვრია	რ-ია
414. ინაპირე — ირე — (ვირე) — დაიჰპირე	ირე
424. გავიზრახენით -- (გლახ, ენით) -- ვნახენით ვივაგლახენით	ახენით
430. (კიდესა) — დამრიდესა — მოზიდვიდესა — ინატრიდესა	იდესა

436. გარდეხდილია — ინატრიდია — ვლიდია — (განაკილია) იდია  
 438. შევეუთვალე — (მალე) — ვაკრძალე — დავიმაღლე ალე  
 446. თქვესა — ღვესა — (მზესა) — გლვესა ვესა  
 450. (მე არა) — ეარა — ეარა — ვაიზეარა ეარა  
 456. (სამუხთალე) — გამოიმართალე — მომათვალე —  
 წავსთვალე თ(ვ)-ალე  
 457. (ლონე) — მაპატრონე — გამიგონე — გაქონე ონე  
 472. ეთაყვანა — შემანანა — (განა) — წაიტანა ანა

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 83.

133 სამზმნიანი რითმიდან დაქტილური აქაც დაახლოებით ისეთივე პროპორციითაა ნახმარი, როგორითაც პირველ შემთხვევაში, სულ 40, ანუ 30%, ქალური კი 93, ანუ 70<sup>0</sup>/<sub>100</sub>. მიზეზი აქაც იგივეა.

### ო რ ზ მ ნ ი ა ნ ი რ ი თ მ ე ბ ი

38. დაგქნობია — (მჯობია) — გლმობია — (შენაფლობია) ობია  
 80. გემცთარებით — (ღარებით) — მოგეხმარებით —  
 (წარებით) არებით  
 109. გარღვევიდე — (კიდე -- კიდე) — წავევიდე კ-იდე  
 135. დაგბადა — (სადა) — შეღიდა — (იეფად ა) ადი  
 142. (შენარონია) — გამიგონია — დაგიმონია — (გარემონია) ონია  
 159. (მხნედ-რე — ზედა-ზედ-რე) — შეივედრე — მოიმდედრე ედრე  
 179. დანასა — (დანასა) — ანასა — (და ნასა) დ-ანასა  
 205. გავიცადენით — (ცად ენით) — შევეცადენით —  
 (დადენით) ადენით  
 208. დავეზიდენით — (კიდ ენით) — დავერიდენით — (კი  
 დენით) იდენით  
 242. გგონია — (ფონია) — შემიწონია — (მისანდონია) ონია  
 264. გინა — (შინა — არავინ ა) — ეწყინა ინა  
 285. (ლამაზებია) — გინაზებია — (ღარბაზებია) — მგზებია ზ-ებია  
 286. შემყვარებია — (მკლავ-მაგრებია) — ვაიზრებია —  
 (არ-საპყრებია) რ-ებია  
 317. (თავსა) — ჰყავსა — (ზავსა) — მგავსა ავსა  
 346. (ტარია) — ღარია — ვარია — (ზარია) არია  
 359. ჰკითხე — წავიკითხე — (სითხე — მით ხე) ითხე  
 367. (აბა) — შემაბა — დაინაბა — (შაბა) აბა

372.	თაყვანის-მცა — (ღირსმც ა — ვისმცა) — ზისმცა	ისმცა
373.	(პირსა) — აღირსა — გჭირსა — (სიტყვა-ძვირსა)	ირსა
378.	(მნდომია) — მომხდომია — (მჭდომია) — გარდაგხდომია	ომია
381.	(მონაწერია) — მოგერია — (ფერია) — დამიჯერია	ერია
389.	(ლხინები — მოუთმინები) — ვინები — მოგეწყინები	ინები
407.	გავიხარეო — შევიარეო — (მდგომიარეო — მთვარეო)	არეო
416.	(ღირს ა) — მკვირსა — მჭკვირსა — (პირსა)	ირსა
418.	ვთქვენით — ვეუბენით — (დენით — ფენით)	ენით
431.	ვიარები — შეგეყრები — (მაზრები — მაყრები)	რ-ები
433.	(განაზარდი) — გამოვვარდი — (ვარდი) — დამიწყნარდი	არდი
439.	დავინახე — (მახე — ახე) — დავუსახე	ახე
443.	გაგიგია — (იგია — რიგია) — დამიგია	ი-გ-ია
448.	(ღიდი) — აღმოვღვრიდი — გარდავჭკიდი — (რიდი)	იდი
460.	(კიდეს-კიდე) — მოვსთვალვიდე — (რიდე) — ინატრიდე	იდე
468.	მოვიყვანე — (სააკვანე) — დავამგვანე — (სიგულვანე)	ვ-ანე
494.	უშენოსა — (უშენოსა) — უშენოსა — (უშენოსა)	უშენოსა
515.	(რიდითა — ღიდითა) — ვინატრიდითა — ვჭხდიდითა	იდითა
531.	(ნალიქნია — შუქნია) — მიქმნია — დამიქნია	(ი)ქნ-ია
543.	(გმირთაო) — მოირთაო — (ვირთაო) — იტვირთაო	ირთაო
557.	დამზადენით — გავეცხადენით — (თქმად ენით — სისხლისა დენით)	ადენით
558.	ჩავაკარაბაკე — შევეტაკე — (საარაკე — საყურტაკე)	აკე
564.	(სრა-საჯდომია) — მოგხდომია — დაგრჩომია — (მისახდომია)	დ-ომია
568.	(წინარე) — ვინ არე — (ჩამომდინარე) — გამიცინარე	ინარე
574.	მადესა — (ბადესა) — უქადესა — (მზად ეს ა)	ადესა
615.	(ბაგესა) — აგესა — (საქულბაგესა) — მაძაგესა	აგესა
625.	(მხეცი — მრავალკეცი) — დავაცეცი — ვეცი	ეცა
629.	(სიცხე) — გავიკიცხე — ვიცხე — (ისც ხე)	იცხე!
634.	(წინა — არავინ ა) — დაეთმინა — ესმინა	ინა
641.	(საპატრონოსა — გასაგონოსა) — მოგაწონოსა — დაგამონოსა	ონოსა
666.	შეგიყვარდი — (ვარდი) — უკუმქარდი — (განაზარდი)	არდი

<sup>1</sup> მეოთხე ცალის კლაუზულაში ს მეტია, მაგრამ სც კომპლექსში ს არ ისმის ძლიერად.

687. (შინა — წინა) — დაეთმინა — ესმინა	ინა
698. (ჭირსა) — აღირსა — (ნადირსა) — ტირსა	ირსა
715. მახია — მახია — (მახია — ჩმახია)	მ-ახია

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 59.

109 ორზმნიანი რითმიდან აქ უკვე სჭარბობს დაქტილური — 57, რაც 52,3%-ს უდრის, ქალური მხოლოდ 52 წყვილია, რაც 47,70%-ს შეადგენს. დაქტილური რითმის პროცენტული ზრდა ორზმნიან ფორმებში ადვილი მისახვედრია: ორი ზმნისათვის სამმარცვლიანი ერთნაირი დაბოლოება გაცილებით უფრო ადვილი მოსაძებნია, ვიდრე სამისა და, მით უმეტეს, ოთხი ზმნისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ რითმის შედგენის საკითხში რუსთველი გაცილებით უფრო მეტად შეზღუდული იყო და უფრო მძიმე პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე ჩვენი თანამედროვე პოეტები: მას საჭირო რითმა უნდა შეერჩია მთელი კატრენისათვის (4 ცალი), მაშინ როდესაც დღეს ორი ცალია საკმარისი (ორ სხვა სტრიქონს სხვა რითმა აქვს). ამიტომ ცხადია, როცა სტროფში სარიტმო სიტყვად მხოლოდ 2 ზმნა გვაქვს, გაცილებით უფრო ადვილია მათთვის ერთნაირი დაქტილური ტერფების შერჩევა. ერთი სიტყვით, ორზმნიან რითმებში რომ დაქტილი სჭარბობს, ამას გარკვეული ახსნა მოეპოვება.

### ერთზმნიანი რითმები

8. დარი — მკვდარი — არი <sup>1</sup> — სამარი	არი
30. სიყვარულსა — წყლულსა — სძულსა — გულსა	ულსა
35. სასაუბნაროსა — დაამკნაროსა — საბაღნაროსა — უმთვაროსა	ნ-აროსა <sup>2</sup>
54. საჭურჭლენია — ცხენია — მოსწყენია — მეკობრენია	ენია
57. მოსანდომია — ლომია — მჯდომია — ჰკრთომია	ომია
62. მწყენია — დლენია — ჩვენია — ზნენია	ენია
89. წონამან — მონამან — გაიგონა <sup>3</sup> მან — კონამან	ონამან

<sup>1</sup> ზმნური რითმები აქ შავი ასოებით არის აწყობილი.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვას საყრდენი თანხმონის საფუძველზე აღდევნილი აქვს მომთენაროსა (იხ. მისი გამოცემა, 1953, გვ. 409). ერთ-ერთ ხელნაწერში მართლაც იკითხება „მომთანაროსა“.

<sup>3</sup> „გაიგონა მან“-ში სახელიც შედის (მან), მაგრამ რითმის მთავარ ბირთვს ზმნა წარმოადგენს (...ონა). ამიტომ ასეთი შედგენილი რითმები ზმნურ რითმებად მიგვაჩნია. მსგავს შემთხვევებზე ქვემოთ სპეციალურად აღარ მივუთითებთ.

108.	სავაკლახია — დამისახია — მუფარახია — ახია	ახია
133.	ქმარი — შენაქმარი — დასანთქმარი — ასაქმარი	ქმ-არი
203.	მეაბჯრენია — მოაზრენია — ღრენია — გარდაგვფრენია	რ-ენია
217.	ვაკულენი — ბულენი — ზლულენი — არ-დასამრულენი	ულენი
243.	თქმევა — გამორჩევა — ფრქვევა — დავრჩე, ვა	ევა
252.	უამესი — უკეთესი — შთამოსთესი — დესი	ესი
266.	ბანამან — შაოსანამან — შეიყვანა მან — დანამან	ანამან
272.	ბევრის-ბევრად — ტევრად — შემაქციევრად — ჰლევრად	ევრად
289.	ნებიერია — დაუწერია — ბერია — ეთერია	ერია
304.	დანაბადია — დანაბა დია — დანაბადია — დანაბადია	დანაბადია
313.	ჯარები — არები — ზარები — შევეწყუნარები	არები
318.	ღარსა — ზარსა — ამირბარსა — არსა	არსა
357.	პირსა — ძირსა — ჳირსა — ღირსა	ირსა
358.	ბანამან — დანამან — გაიყვანა მან — ან ამან	ანამან
363.	წინა — მინა — შინა — ვინა	ინა
376.	გულსა — წყლულსა — მძულსა — თქმულსა	ულსა
377.	გგონია — საგმირონია — სახარაჯონია — დასათმონია	ონია
397.	ბალი — დალი — ალი — ლალი	ალი
413.	ვიცითა — მტკიცითა — ფიცითა — ვზი ცითა <sup>1</sup>	იცითა.
426.	ნავაზირები — დანაპირები — ქვიტკირები — ვირები	ირები
469.	უაღერსა — ფერსა — ლმობიერსა — შენამტერსა	ერსა
473.	დანალამია — სამია — მიჰამია — ჟამია	ამია
503.	მონაფენი — სიჩაუქე-სიალტენი — სინატიფე-სიტურფენი — გიმუქფენი	ფ-ენი
511.	მელია — არ-საქმნელია — ხვარაზმელია — არ-რომელია	მ-ელია <sup>2</sup>

<sup>1</sup> ამ დაქტილურ რითმაში (ვზი ცითა) მთავარ როლს თამაშობს სახელი (ცითა), ზმნა მხოლოდ დამხმარე საშუალებაა. სხვა არა იყოს რა, სახელი ორ მარცვალს შეადგენს, ზმნა — ერთს. მარცვალთა რაოდენობას რითმაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ეს მაგალითი არაა ჩათვლილი ზმნიან რითმად. ასევე უნდა ითქვას აგრეთვე 1023-ე, 1452-ე, 1470-ე და 1586-ე სტროფების შედგენილი რითმების შესახებაც. ამიტომ მათ ქვევით საგანგებოდ აღარ მივუთითებთ.

<sup>2</sup> მეორე ც-ლში საყრდენი მ კლავზულისაგან ნ-თია დაცილებული: არ-საქმნელია.



555. მჯღომარე — რომ არე — საომარე — მოიმცდომარე	ომარე
559. მოსაწევარი — მდევარი — მოურევარი — მე ვარი	ევარი
612. გარდნაკიდარი — ილარი — მღიდარი — განაზიდარი	იდარი
644. მოველი — მთხოველი — მოერწყო ველი — ყოველი	ბ, ყ-ველი
647. ცხენი — ეგეც ხენი — გაჯეცხენი — სიფიცხენი	ცხ-ენი
675. პირსა — გჳირსა — ღირს ა — მცირსა	ირსა
682. უღამოსა — ამოსა — უთამამოსა — ღამოსა	ამოსა
685. მზესა — სინაზესა — ზესთა-ზესი — გაიდარბაზესა	ზ-ესა
689. მოუთმინამან — მინამან — მინამან — მონასმინამან	მ-ინამან
714. ღა ღარად — აღარად — ღაღა რად — აღარად	აღარად
730. უქმან — უქმან — შუქმან — ბუქმან	უქმან
737. სრასა — უსტასრასა — მაქნევეს რასა — სრასა	სრ-ასა
738. არ-შეუზრახემან — მსახემან — სახემან — შევინახე, — მან	ახემან
755. ენითა — ესოდენითა — დენითა — იანაზდენითა	დ-ენითა
771. სარომან — მიუმცდარომან — მიუმხვდარომან — არო მან	არომან
782. დიდი — რიდი — ფლიდი — ჰღვრიდი	იდი
803. ანაწონები — მონები — მქონები — მოვეგონები	ონები
816. ნაგუშინდღევეი — ნაგრძღევეი — ჰე ლევი — გელევი	ელევი
817. მინანი — მღინანი — წინანი — ვინანი	ინანი

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 78.

128 ერთზნინანი რითმიდან დაქტილური რითმა აქ გაცილებით მეტია — 82, რაც საერთო რაოდენობის 64%-ს შეადგენს, ქალური კი პროპორციულად ნაკლებია, სულ რაღაც 46, რაც მხოლოდ 36% იძლევა არის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, რამდენადაც კატრენების რითმებში მეტი ზმნა ღებულობს მონაწილეობას, გარკვეული ენობრივი მიზეზების გამო, უფრო მეტია ქორეული ტერფები, მაშასადამე, მეტია ქალური რითმებიც, შესაბამისად ნაკლებია დაქტილური ტერფები. მაშასადამე, ნაკლებია დაქტილური რითმებიც.

რომ უფრო ნათელი იყოს ჩვენი მსჯელობა და საქმის ნამდვილი არსი, აქ ცხრილის სახით შეიძლება დავურთოთ ზემოთ წარმოდგენილი ძიების შედეგები:

რამდენი ზნა შედის კატრენების რითმებ- ში	რითმთა საერთო რაოდენობა	დაქტილუ- რი	ქალური	პროცენტები	
				დაქტილუ- რი	ქალური
ოთხზმნიანი	352	102	250	29	71
სამზმნიანი	133	40	93	30	70
ორზმნიანი	109	57	52	52,3	47,7
ერთზმნიანი	128	82	46	64	36

ამ ოთხი შემთხვევიდან პირველი ასე თუ ისე ცნობილი იყო შოთას დროს (მეხოტბეების სახით) და მანამდეც. მეხოტბეებზე ზემოთ უკვე ვგქონდა მოკლე საუბარი. ორიოდ სიტყვით აქ შეეცხებით საეკლესიო მწერლობის ნიმუშებს ამ დარგში.

„მიქაელის წამებაში“, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია მეათე საუკუნის ხელნაწერით (ათონის ხელნ. № 57), ხოლო ქართულად გაცილებით უფრო ადრეა თარგმნილი<sup>1</sup>, როგორც ცნობილია, მთელი ტექსტი გალექსილია<sup>2</sup>. ძველი წარმოდგენს ძველი ქართულთავისებური ლექსის კარგ ნიმუშს. აქ შესარითმავად, როგორც წესი, მიღებულია კანონი: ა) სახელი — სახელთან, ბ) ზმნა — ზმნასთან, გ) მიმღეობა — მიმღეობასთან... დავასახელებ რამდენიმე ნიმუშს:

ა) მღღელი — საბაწმიღელი	165,18
ხარებასა — ლავრასა	19—20
ღმრთის-მშობლისასა — დედოფლისასა	20—22
ჯუარებითა — სახარებითა	„ 24—25
მამანო — მონანო	166,4
სიხარულისაჲ — სიყუარულისაჲ	5—6
ღბილი — ტკბილი	7

(გამოყენებული აქვს რუსთველს: 465, 1464).

სიხარულითა — სიყუარულითა	166,16
გონიერსა — შუენიერსა	167,3

<sup>1</sup> ძველი გამოცემული აქვს კ. კეკელიძეს კომენი, I, 1918, გვ. 165 — 175. ჩვენ ქვემოთ ადგილებს ამ გამოცემის მიხედვით ვიმოწმებთ.

<sup>2</sup> ჰ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: „მნათობი“, № 9, 1939, გვ. 116—119; ი. იმნაიშვილი, მასალები ძველ ქართული ლექსის ისტორიისათვის: „ცისკარი“, № 7, 1960, გვ. 137 — 138.

ტაძრისასა — დედაკაცისასა	167,5
სოფლისაჲ — უფლისაჲ	11—12
სულითა — სინანულითა	14
ჭაბუკო — უბადრუკო	„ 15
სქემითა — ჩემითა	171, 20
შვილი — აღზრდილი	27

(გამოყენებული აქვს რუსთველს: 146, 332, 1103).

გულითა — სულითა	172,19
-----------------	--------

(გამოყენებული აქვს რუსთველს: 197, 274, 814, 959, 1306, 1469).

მოწაფესა — მოწამესა	172,19
მოდუაწენი — მოწაფენი	173, 4—15
	და სხვა

ბ) შეგვწყნარანა — მოგვყვანანა	165,31—166,1
შემიყვანანა — აღმიყვანანა	166,1
ვსხედით — ვზრახვედით	2
ვისმენდით — ვირგებდით	3
აღვდეგით — წარგედით	„
ავნებდა — აჭირვებდა	26
გაგიყიდო — მოგიყიდო	„ 39
მიჰყვებოდა — მიიყვანებოდა	167,1
იყო — გიყო	„ 15—16
მოიგონო — მოგუაწონო	„ 37—38

(გამოყენებული აქვს რუსთველს: 247, 772, 1296).

გაცთუნანა — გუაცხოვნანა	169,1
დაისწავე — ისწავე	„ 4
შურებოდა — იზარდებოდა	169,34—35
მოლენდებოდა — ევენებოდა	171,24—25

(რითმა ებოდა ხშირადაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“, მაგალითად: 47, 180, 232, 670, 723, 922, 982, 994, 1042, 1177, 1334, 1337, 1352. რასაკვირველია, სიტყვათა შერჩევისა და ხარისხის შედარებაზე ზედმეტია ლაპარაკი: იქ ჩანასახია, აქ — გენიოსის ხელი).

შეკლნეს — გარე — შეწერნეს	170,5.
მოაქცინეს — დამტკიცნეს	" 5—6
იგონებდა — მოიგონებდა	" 15
მოგაქციო — მოგაკუდინო	" 19
ელმოდა — ჰრცხუნოდა	" 37—38
ეგებოდა — განუკრთებოდა	170,38—171,1

(გამოყენებული აქვს რუსთველს: 512).

ადიდებდა — იხარებდა	171,9
თავს-იღვეით — წარვედით	" 35
განძლიერდა — დავარდა	172,13—14
ტიროდა — იტყოდა	" 14
რწყვიდა — ჰსცივდა	173,11—13
აღზარდნა — შეამკვნა	" 18
აღავსნა — შეწირნა	" 19
	და სხვა.

გ) მრისხანიო — მკსინვარიო	167,36
მოუვალნი — წარუვალნი	168,38
სარგებელსა — სავენებელსა	169, 3 -24
მკითხვილთა — მსმენილთა	172,25—26
სარგებელად — საკსენებელად	" "
ურწყული — განთქუმული	172,27
გარემოცული — შებმული	28
მინდობილი — შევედრებული	29
განგებული — დაწესებული	30
განწირული — მიცემული	31
შეწყალებული — ღმრთივ-ქმნული	31—32
დამტკიცებული — დამყარებული	" 32
შეწყნარებული — მოყვანებული	173,4—5
აღმომაცენებელი — მომსთულებელი	10—11
დამწყარნი — მომწყდარნი	" 16
	და სხვანი.

აქედან ცხადია, რომ რუსთველამდე და მის დროს წესად იყო მიღებული, ერთმანეთთან შეერიოთმათ ერთნაირი მეტყველების ნაწილები, რაც რამდენიმედ მონოტონობის დაღს ატარებდა.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ცხრილის სამ უკანასკნელ შემთხვევას, რომ ზმნა სხვა მეტყველების ნაწილებს, უმთავრესად სახელს შეერთმოს, ეს რუსთველის მიერ არის დაკანონებული. მართალია, ამ ტიპის თითო-ოროლა მაგალითი მანამდეც გვხვდება, მაგრამ იქ ეს სრულიად შემთხვევითია. კანონის სიმტკიცე ამ წესს რუსთველმა მისცა. ამით შეიქმნა რითმაში მრავალფეროვნების კიდევ ერთი ახალი საფუძველი. რუსთველის ერთ-ერთი დიდი დამსახურება სწორედ ამ წესის დამკვიდრებაა. ამიტომ ამ საკითხზე კვლავ უხდა შეეჩერდეთ.

ზმნისა და სახელის (ან სხვა მეტყველების ნაწილთა) შერითმვის ყველა მაგალითი ზემოთ იყო მოყვანილი სათანადო სარიტმო კატრენებში. ახლა გვსურს მათგან ცალკე გამოვყოთ ზმნისა და სახელის შერითმვის ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშები და შემდეგ შევეცადოთ იმის ახსნას, თუ რა ენობრივი საშუალებებით ახერხებს პოეტი ამ ორი სრულიად სხვადასხვაგვარი მეტყველების ნაწილის შერითმვას. მიეყვით რიგრიგობით.

### 1. სახელი და ზმნა რითმაში

#### ქ ა ლ უ რ ი რ ი თ მ ე ბ ი

მოახსენა — თქვენა	145	ღვეინახე — მახე	439
...ნაზმა — მოეკაზმა	170	მზესა — გლესა	446
კიდეს — გადმოჰყრიდეს	174	დიდი — აღმოვლვრიდი	448
წამოვედით — ქედით	200	რიღე — ინატრიღე	460
შენო — მოგახსენო	237	უალერსა — ფერსა	469
გაიგონე — ღონე	247	მზესა — გაიდარბაზესა	685
თავსა — ჰყავსა	317	მზეცი — დავაცეცი	695
ზავსა — მგავსა	„	უქმან — უქმან	730
ჰკითხე — სითხე	359		
პირსა — აღირსა	373	სრასა — სრასა	737
მპირსა — ...ძვირსა	„	გაგხადე — ბადე	815
ვულსა — მძულსა	376	ავსა — სწვეავსა	874
ბალი — აღი	397	ზერთა — შეაერთა	893
პირსა — მკვირსა	416	დაჰრიღონ — ფრიღონ	988
ვეუბენით — ფენით	418	გაგვითენდა — შენდა	1048
ვარღი — დამიწყნარღი	433	დაზოცენით — ფრენით	1134

ეცადენით — წყენით	1134
ვნახით — მახით	1162
უკეთესი — ვსთესი	1201
წამომყევით — რჩევით	1224
თევით — გარდმოვლევით	

თქვენით — მერიდენით	1227
დავიზარე — მთვარე	1382
შმაგო — ამოგდაგო	1604
რიდი — დავსთვალვიდი	1645
რიდე — ვზიდე	1659

დაქტილური რითმები

მიქია — ჯიქია	19
დამჰნაროსა — საბაღნა- როსა	35
დაგჰნობია — მჯობია	38
ცხენია — მოსწყენია	54
ვლიდითა — კიდითა	74
გემცთარებით — დარებით	80
მოგვხმარებით — წარებით	
ოცია — დაუხოცია	81
დამისახია — ახია	108
კიდეთა — დაპრიდეთა	115
დანასა — დანასა	179
შევეცადენით — დადენით	205
ვაკუდენი — ბუდენი	217
გგონია — ფონია	242
დარბაზებია — მგზებია	285
ზარები — შევეწყნარები	313
ტარია — დარია	346
ფერია — დამიჯერია	381
ლხინები — ვინები	389
შევიარეო — მთვარეო	407
ვაციითა — მტკიცითა	413
შეგვინანია — სპანია	423
ქვიტიკრები — ვირები	426
კიდესა — დამრიდესა	430
ქაფითა — დაფითა (= დაფ- ლითა)	441
მიჰამია — ჟამია	473
რიდითა — ვინატრიდითა	515

გმირთაო — ნუ მოირთაო	543
ვირთაო — იტვირთაო	
მოიმცდომარე — მჯდო- მარე	555
მადესა — ბადესა	574
მდიდარი — იდარი	612
ბაგესა — მაგესა	615
საპატრონოსა — მოგაწო- ნოსა	641
მოველი — მთხოველი	644
ამოსა — დამოსა	682
მინამან — მინამა(ნ)	689
მახია — ჩმახია	715
სავაგლახეო — ვნახეო	725
წყაროთა — შევიწყნაროთა	726
შენია — გაგიჩენია	742
დენითა — იანაზდენითა	755
წინანი — ვინანი	817
მონები — მოვეგონები	803
იხსენები — სენები	822
ენები — ენები	
ირები — პირები	824
კირები — დავიტირები	
რკინანი — ვინანი	837
სდენია — ბრძენია	850
ვეცრუები — რუები	852
სწერია — მტერია	854
მოველი — მთოველი	857

გაგვიცინია — ლხინია	918	კვესებსა — აკენესებსა	1377
დაებადენით — დადენით	930	სათუები — შევეტყუები	1400
მღვრელია — ელია	942	გავეტრუები — რუები	„
უახლებია — ახლებია	998	ზღვათასა — გაუათასა	1434
მონახსენები — ვევნები	1015	ვქმენითა — ძღვენითა	1441
ღვრიდესა — კიდესა	1016	მიღია — ღიღია	1443
კიდესა — ვლიდესა	1029	კიდესა — ღვრიდესა	1447
მოძილხენია — ცხენია	1055	საჩუქარია — არია	1456
ყვრია — უმღერია	1090	მოგეხმარები — მარები	1472
ოხერია — მოუწერია	„	საომარები — ვექმარები	„
ეცანითა — დანითა	1115	მომიტანია — ყმანია	1506
ზარია — გარია	1116	ებავთა — შენაღებავთა	1510
დარია — ბარია	„	ქიქები — იქები	1551
ენითა — ვეუბენითა	1159	რიდითა — გაიცდიდითა	1563
ლალეები — ეკრძალეები	1164	დიდითა — და-ცა-სჭრი-	
ზარები — მოიგვარები	1179	დითა	
სწერია — მტერია	1211	ორები — მოეშორები	1564
წესია — დაგითვისია	1219	ყორები — მოვილორები	
ლოდია — დაუკოდია	1221	ლხინებო — მოვითმი-	
როდია — სწოდია	„	ნებო	1572
ენითა — შევიგენითა	1229	კოცებით — დავიხოცე-	
წაუტანია — მზანია	1241	ბით	1575
პგონია — ფონია	1254	გამომსალამე — ალამე	1576
რიდები — მერიდები	1255	მსგავსია — ავსია	1590
გსმენია — შენია	1261	ხავსია — დავსია	„
ლალეები — გებრალეები	1275	შენია — გწყენია	1593
დედაო — ჰხედაო	1285	შემოსდგომია — ომია	1594
ზედაო — მეიმედაო		უბია — შენატყუბია	1607
მონაღვაწები — ვაწები	1213	ეტია — სვეტია	1617
მეფეთ-მეფეო — დავი-		სტენია — კლიტენია	1622
ყეფეო	1318	დედაო — გხედაო	1628
კლდენია — მდენია	1331	ჰკარითო — კარითო	1633
მსმენია — ზენია	„	დარჩენია — ცხენია	1654
მლხენია — შენია	1338	გავიხარეო — მთვარეო	1657
მოგისმენია — ზენია	„	გავსალამა — ალამა	1660
დასები — გენასები	1364	დალამა — სამსალამა	

ახლა დაუებრუნდეთ მეორე საკითხს.

კითხვა ისმის: მაინც რა და რა საშუალებებით ახერხებს პოეტი ასე მაღალმხატვრულად შეუწყოს ერთმანეთს ეს ორი სულ სხვადასხვა კატეგორიის სიტყვა, ორი სულ სხვადასხვა მეტყველების ნაწილი?

ქართულ ენას მოეპოვება ამოუწურავი რესურსები საჭირო შერთმვათა მაღალ დონეზე მალწევისათვის. რუსთველი სრულყოფილად ფლობს ამ რესურსებს.

სახელი და ზმნა რომ შეერთდნენ, აუცილებელია მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ამ ორი მეტყველების ნაწილის კატეგორიები. ქართულ სახელს საერთოდ ძალიან ცოტა აქვს კატეგორია (ბრუნვა, რიცხვი, წარმოქმნა), ზმნას — შეუდარებლად დიდი (პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი, ქცევა, მწყრივი, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია...). მაშასადამე, ზმნებში გაცილებით უფრო მეტია საჭირო ფორმათა რაოდენობა, სახელებში — ნაკლები. ზმნები ამ მხრივაც მრავალფეროვანია, სახელები — შედარებით მარტივი და ერთფეროვანი. ამიტომ უმჯობესია ჩვენც სახელები ავიღოთ ამოსავლად და ამის მიხედვით ვიკვლიოთ, თუ რა ნაირ-ნაირ ზმნურ ფორმებს მიუსადაგებს მათ პოეტი. ჯერ მივმართოთ მხოლოდობის რიცხვს, მერმე — მრავლობის.

### სახელობითი ბრუნვა

პოეტი სახელობითი ბრუნვის ფორმებს ზმნებში უძებნის გასაოცრად მრავალნაირ შესატყვისებს.

1. ყველაზე ხშირია ის შემთხვევა, როცა თანხმოვანფუძიან სახელს, რომელსაც სახელობითი ბრუნვის ნიშნად ი აქვს, პოეტი ურთავს ა ხმოვანს. ეს უკანასკნელი ხშირად პროსოდული ხმოვანია<sup>1</sup> და მხოლოდ ლექსის (მეტრისა და რითმის) საჭიროებით არის გამოწვეული, უფრო ნაკლებად იგი „არს“ ზმნის ნაშთია<sup>2</sup>. ამნაირად

<sup>1</sup> ნ. „ეფეხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, 1956, გვ. 1 — 2. აქ არის აღნუსხული ყველა ასეთი მაგალითი.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 14 — 17.



იქმნება ია დაბოლოება. ამ ია-ს აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში რითმის ორივე ცალში მოეპოვება ერთნაირი ან მსგავსი მარცვალი, რაც საბოლოო ანგარიშით დაქტილურ რითმას გვაძლევს (ფერია — უმღერია). აღწერილი ტიპის სახელებს ერთიმემა ზმნები I თურმეობითში, ზოგიერთი სტატიკური ვნებითი — აწმყოში. ორივე შემთხვევაში ზმნებს ია დაბოლოება აქვს. აქედან ცხადი ხდება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამ მხრივ ახალ ფორმებს გვიჩვენებს, ძველს ი-ე-ს დაბოლოება ექნებოდა (მოგივლიეს, გაგიგებთეს, მიქმნიეს, მიქებთეს, დაუხოციეს, გგონიეს...). თუმცა I თურმეობითისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს ამნაირი ია დაბოლოებიანი ახალი ფორმები თვით ძველი ქართულის ძეგლებშიც გვხვდება კანტიკუნტად, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მათ დამთავრებული სახე აქვთ. აქ ყველგან, თავიდან ბოლომდე ეს ახალი ფორმებია გატარებული. ვნახოთ ამის მაგალითები.

### მ ა ლ ი შ ა ი რ ი

მოგივლია — მადლია	473	ნალიქნია — არ მიქმნია	531
რაგვარია — შემოპყრია	352	ამაყია — აუგია	1233
რიგია — დამიგია	443		

### დ ა ბ ა ლ ი შ ა ი რ ი

ნიქია — ჯიქია	19	შემყვარებია — მკლავ-	
დაკუნობია — მკობია	38	მაგრებია	286
ვლმობია — შენაფლობია	„	გიაზრებია — არ-საპყრებია	„
ცხენია — მოსწყენია	54	ნებიერია — დაუწერია	289
მჯდომია — ჰკრთომია	57	გგონია — საგმირონია	377
მწყენია — დლენია	62	მნდომია — მომხდომია	378
იცია — დაუხოცია	81	მჯდომია — გარდაგხდომია	„
დამისახნია — ახნია	108	ღერია — დამიჯერია	381
შენარონია — გამიგონია	142	შეგვინანია — სპანია	423
ლაგიმონია — გარემონია	„	მიჰამია — ჟამია	473
ლრენია — გადაგვფრენია	203	სთნებია — მოგწონებია	492
გგონია — ფონია	242	სრა-საჯდომია — მოგხ-	
შემიწონია — მისანდონია	„	დომია	564
ლამაზებია — გინაზებია	285		
დარბაზებია — მგზებია			

დაგრჩომა — მისახლომა	564	გმენია — შენია	1261
ძენია — გაგიჩენია	742	შენახეცია — მიმირთ-	
ძსმენია — არ-საწყენია	"	მეცია	1282
ჰსმენია — შესაძრწენია	850	შენართეცია — არ დაჰლე-	
სდენია — ბრძენია	"	ვია	
სწერია — მტერია	854	განამელაენია — გამიგზავ-	
ძდინია — მოსასმინია	918	ნია	1291
გავციენია — ლბინია	"	კლდენია — მდენია	1331
სთმობია — დასათმობია	965	მსმენია — ზენია	"
ნომილბენია — ცხენია	1055	მლბენია — შენია	1338
ფერია — უმლერია	1090	მოგისმენია — ზენია	1338
იხერია — მოუწერია	"	დანადებია — წამკიდებია	1429
მიკვენესია — უხუცესია	1171	სდებია — ნაქადებია	"
სწერია — მტერია	1211	მიღია — ღიღია	1443
წესია — დაგითესია	1219	მომიტანია — ყმანია	1506
ლოდია — დაუკოღია	1221	უხუცესია — შეგიღესია	1580
როღია — სწოღია		მსგავსია — ავსია	1590
უბრძანებია — ცეცხლ-ნა-		ზავსია — დავსია	"
ღებია	1240	მსმენია — შენია	1593
ნაქებია — უახლებია	"	იამია — შემოსდგომია	1594
წაუტანია — მზანია	1241	უბია — შენატყუბია	1607
პგონია — ფონია	1254	კლიტენია — სტენია	1622

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აქ წარმოდგენილი წყვილ-წყვილი რითმების და-  
ლაგებისას არჩევანი ჩვენ გვეკუთვნის. როცა, მაგალითად, სტროფის  
რითმებში ერთი სახელია და 3 ზმნა, ამ სახელთან ჩვენ ნებისმიერ  
ზმნას ვირჩევთ: მსმენია — დაუჩენია — შენია — გწყენია (1593) —  
აქედან არჩეული გვაქვს მსმენია — შენია. როცა სამი სახელია და  
ერთი ზმნა, ამ უკანასკნელს ცალად სამიდან ერთ-ერთს ჩვენი სურ-  
ვილით ვურჩევთ: დანარჩომა — ომია — შემოსდგომია — მქდომია  
(1594) — აქედან არჩეული გვაქვს ომია — შემოსდგომია, ხოლო  
კლიტენია — მქვრეტენია — ტენია — სტენია (1622) — აქედან არ-  
ჩეული გვაქვს პირველი და უკანასკნელი: კლიტენია — სტენია. შე-  
საძლებელია, ზოგჯერ რიგიც შეცვლილი იყოს, რასაც საქმისთვის  
არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

ზემოთ მოყვანილი ტიპის რითმებისადმი მისწრაფება იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ პოეტი ია დაბოლოებას მიმართავს ავიანი ზმნებისათვისაც კი, სადაც წესით ავ უნდა ყოფილიყო:

საეაგლახია — დამისახია 108 წესია — დაგითვისია 1219

უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, დამისახავს და დაგითვისავს, რომელთაგან პირველი გვაქვს კიდეც ამ სახით (657, 1), ხოლო მეორე პოემაში საერთოდ არ გვხვდება თურმეობითის ფორმით.

რაც შეეხება ფორმებს დაუხოცია (81) და დაუკოღია (1221), ისინი ძველ ქართულში არ დაირთავენ ავ თემის ნიშანს, უთემისნიშნოდ იხმარებიან: დაჰკოცს, დაჰკოდს), ამიტომ მათი ია დაბოლოებიანი ფორმები ნორმაა. იგია-ში (გაგიგია — იგია 443) ბოლო ი ფუძის კუთვნილებაა და არა სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

პოემაში ია დაბოლოება იშვიათად გვაქვს აგრეთვე წყვეტილშიც, როცა ზმნა ევ სუფიქსითაა ნაწარმოები (ესაა ე. წ. ხმოვანმონაცვლე ანუ ფუძედრეკადი ზმნები):

დაგელია — მადლია	273	მღვრელია — ელია	942
ტარია — დარია	346	ზარია — გარია	1116
მონაწერია — მოგერია	381	დარია — ბარია	
მელია — არ-საქმნელია	511	საჩუქარია — არია	1456
შუქნია — დამიქნია	531	ეტია — სვეტია	1617

ეს მრავალფეროვანი ფორმები (სულ 10) მხოლოდ 4 ევიან ფუძეს ეყრდნობა, ესაა: ლევა (მელია, დაგელია, ელია), რევა (არია, გარია, დარია, ლარია, მოგერია), ტევა (ეტია) და ქნევა (დამიქნია).

ერთ შემთხვევაში ია დაბოლოება წყვეტილში კაუზატიურ ფორმაშიც გვაქვს:

დააჩენია — ცხენია<sup>1</sup> 1654

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ია დაბოლოება გვაქვს კიდეც კლება ზმნის ახლებურად ნაწარმოებ აწმყოში:

გაკლია — მადლია 273

ძველებურად იქნებოდა გაკლს და არა გაკლია. „ვეფხისტყაოსანში“ ამ ტიპის ზმნების ახალი წარმოებაა დამკვიდრებული.

<sup>1</sup> შდრ. კიდეც კაუზატივის წარმოების ამგვარი მაგალითები: მომასმენიე — მოვალხენიე — მოალხენიე (1271).

2. სახელობითში დასმულ სახელს (არსებითს, საწყისს, მიმლეობას...) პოეტი ხშირად უწყობს აწმყო-მყოფადის მწკრივის ფორმებს. ორივე კატეგორიის სიტყვაში უმეტესად საერთოა ებ და ი სუფიქსები: სახელებში ესენი მრავლობითობისა და სახელობითი ბრუნვის ნიშნებია (ლალ-ებ-ი, ზმნებში კი ---თემისა (ებ) და მწკრივისა (ი: გებრალ-ებ-ი).

უმეტესწილად ამ ელემენტებს წინ აქვთ კიდევ საერთო ან მსგავსი ერთი მარცვალი (ძირისა ან ფუძისა, ამ შემთხვევაში ალ) და საერთო ანგარიშით ვლებულობთ დაქტილურ რითმას: ლალები — გებრალეები.

ამის ნიმუშები იქნება:

### მ ა ლ ა ლ ი შ ა ი რ ი

ვიარები — მაზრები	431	საყვარლები — მოვბრუნ-	
შეგეყრები — მაყრები		ლები	1481
ღარიბები — არ დავღ-		ჩუბაჩები — მეურჩები	1658
გები	1372	ჩამჩები — დავრჩები	

### დ ა ბ ა ლ ი შ ა ი რ ი

ზარები — შევეწყნარები	313	რიდები — მერიდები	1255
ლხინები — ვინები	389	ლალები — გებრალეები	1275
ქციტირები — ვირები	426	დასები — გენასები	1364
ცხსენები — სენები	822	სათუები — შევეტყუები	1400
ენები — ენები	„	გავეცრუები — რუები	„
ირები — პირები	824	სომარები — ვექმარები	1472
ჭირები — დავიტირები	„	ჭიქები — იქები	1551
ვეცრუები — რუები	852	სიქები — იქ ები	1551
ლალები — ეკრძალები	1164	რ.რები — მოეშორები	1564
ზარები — მოიგვარები	1179	ყორები — მოვილორები	
ზასები — რას ები	1243		

ზოგჯერ ერთმანეთის პირისპირ დგას აღწერილი ტიპის პირიანი ზმნა და მიმლეობა.

### მ ა ლ ა ლ ი შ ა ი რ ი

ჰკვდები — ცეცხლ-ნადები	656	დაკზნდები — ნამგზავ-	
		რები	1279

დანადები — შევეყრები	1316	არ-ნათნები — არ და-	
წანალები — გეძუნწები	1316	ღებები	1481
და ბ ა ლ ი შ ა ი რ ი			

მოუთმინები — მოვე-		მონაღვაწები -- ვაწები	1293
წყინები	389	ამონაწები — აწ ები	"
მონასსენები — ვეენები	1015	მოგეხმარები — მარები	1472
მოუთმენები — დავეყენები			

აწმყოს მწკრივითაა გარითმული აგრეთვე ზოგი სხვა ტიპის ზმნაც, მაგალითად:

მღევარი — მე ვარი	559; 1202	ღე ლევი — გელევი	816
ყოელი — მოელი	514	წინანი — ვინანი	817; 837
მოველი — მთხოველი	857		

3. იდი-ზე დაბოლოებული სახელების სახელობითი ბრუნვის ფორმასთან პოეტი ხმარობს უწყვეტელს, რომელსაც ამ მწკრივში ი-ღ-ი დაბოლოება აქვს:

დიდი — აღმოვღვრიდი	448	რიდი — დავსთვალვიდი	1645
დიდი — ჰღვრიდი	782		

4. ზემოთ აღნიშნული ტიპის ზმნა I კავშირებითში შეეწყობა სახელობითს ბრუნვას, ოღონდ სახელი ამ შემთხვევაში ე ფუძიანი უნდა იყოს; ეს ე უნდა გამოეხმაუროს კავშირებითის მწკრივის ე ნიშანს. თავისთავად ცხადია, სახელს ე-ს წინა ძირეული მასალაც ი-ღ-ე-ს შესატყვისი უნდა ჰქონდეს:

რიღე — ინატრიღე	460
-----------------	-----

5. მეტად მრავალსახოვანია სახელობითი ბრუნვის შერითმვა წყვეტილის (II ბრძანებითის) ფორმებთან. აქ გამოყენებულია წყვეტილის ყველა სახეობა — ე ნიშნიანი, ი ნიშნიანი და სხვა.

ყველაზე ხშირია ე-თი ნაწარმოები ფორმები; ამ შემთხვევაში აუცილებელია მასთან შეწყობილი იყოს ე-ზე დაბოლოებული სახელი — მარტივი, სა-ე, სი-ე აფიქსებით წარმოქმნილი, მ-არ-ე აფიქსებით ნაწარმოები მიმღეობანი. რუსთველს ყველა ეს საშუალება აქვს გამოყენებული.

მაგალითები:

მაღალი შაირი

ა) გარდვეკიდე — კიდე	109	მოუგვარე — მთვარე	728
გაიგონე — ღონე	247	გაგხადე — ბადე	815
ჰკითხე — სითხე	359	გარდგეკიდე — სიდიდე	972
წავიკითხე — მით ხე	„	სიამე — ვლამე	1096
დავინახე — მახე	439	ველაციცე — მტკიცე	1153
სამუხთალე — მომათვალე	456	სიალფერე — დაიჭერე	1287
ღონე — გამიგონე	457	მეგონე — ღონე	1296
დავამგვანე — სიგულვანე	468	წაგიარე — მთვარე	1322
მოვიყვანე — სააკვანე	„	დავიზარე — მთვარე	1382
ჩავაკარაბაკე — საარაკე	558	ვპოვნე — სიგულოვნე	1614
შეეუტაკე — საკურტაკე	„	ეპატრონე — ღონე	1650
სიცხე — გავიციცხე	629	რიდე — ვზიდე	1659
ვიცხე — ისც ხე			

დაბალი შაირი

გავიხარეო — მდგომიარეო <sup>1</sup>	407	დავუსახეო — და ხეო	725
შევიარეო — მთვარეო		სავაგლახეო — გნახეო	725
მოიმცდომარე — მჯდომარე	555	გამომსალამე — ალამე	1576
		უარე — შეგავუარე	1591
		გავიხარეო — მთვარეო	1657

ბ) არის ინიანი წყვეტილის (ბრძ) ფორმები:

ვარდი — დამიწყნარდი	433	უკუმქარდი — განაზარდი	666
განაზარდი — გამოვევარდი	„	სთქვიო — აგეთიო	744
შემიყვარდი — ვარდი	666	დიდი — მიდი	819

გ) პოემაში წყვეტილის ფორმებს, როცა მათში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაა ასახული, ხშირად მწკრივის ნიშნად იერთვის:

<sup>1</sup> აქ დაქტილური რითმის შესადგენად აღწერილი საშუალებანი საკმარისი არ არის და პროსოდიული ო ემატება. ასეთ შემთხვევებზე ქვემოთ ცალკე აღარ მივუთითებთ.

ვაცუდენი — ბუდენი	217	შენი — იახლენი	1018
მოწათენი — გიმუქენი	503	ვოქვენნი — ძღვენნი	1051
გავკიცხენი — სიფიცხენი	647		

ამნაირი შემთხვევები თვით ძველ ქართულშიც გვხვდება აქა-იქ, მაგალითად: ჟამნი ჩემნი და დღენი, რომელ მომცენი მე, ცოდვასა შინა აღვასრულენ: სწავ. 201,2 (=მომცენ); მოვსწყვდენი დისწულნი ჩემნი: ურთ. 181, 20.

მსგავსი ხმოვნანი ფორმები, გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით უფრო ხშირად იხმარება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში. აქ ი ხმოვნის დართვა, გარდა იმისა, რომ სტრიქონს ერთ მარცვალს მატებს, ტექსტის შინაარსისა და ფორმის შინაგანი მოთხოვნით არის გამართლებული. ნიმუშები (მხოლოდ ზმნებით): მოგვქსენენი: სას. პ. 163, 135; დაჰმარხენი 173, 140; შეჰმუსრენი 211, 192; 397, 34; 408. 63; აღადგინენი 279, 183; ჰყვენნი 310, 86; 310, 93; შეაერთენი 314, 196 და სხვა.

სწორედ ამ ხაზის გაგრძელებაა რუსთველის ვაცუდენი და მსგავსი ფორმები. აქ ასეთ ხმოვნიან წყვეტილს გარკვეული პოეტური ფუნქცია აქვს დაკისრებული: სტრიქონს შეუვსოს ერთი ნაკლები მარცვალი, ე. ი. მონაწილეობა მიიღოს ლექსის მეტრის მოწესრიგებაში. მეორე მხრივ, ისინი აქტიურად ეხმარებიან რითმის შედგენის საქმეს: ვაცუდენი — ბუდენი, გავკიცხენი — სიფიცხენი. სხვა შემთხვევაში, როცა სტრიქონში მარცვალთა რაოდენობა საკმარისია და არც რითმა მოითხოვს, ამ ტიპის ფორმები ი-ს აღარ დაირთავენ: ამრუდენ, გამიცუდენ, დააბუდენ (189), წავატანენ, მოვიყვანენ, შევანანენ, დავავანენ (458), მკითხენ, ვითხენ (596), შევაჭერენ (791) და ბევრი სხვა.

6. ხშირია სახელობითან გასართმავად აგრეთვე II ხოლმეობითის ფორმები, მაგალითად:

უკეთესი — შთამოსთესი	252	ფიცი — ამტციცი	764
ბალი — აღი	397	ფლიდი — გამოვიდი	1150
ჩელი — ვაერთხელი	547	უკეთესი — ვსთესი	1201
მხეცი — დავაცეცი	625		

7. დასასრულ, იშვიათად სახელობითან შერითმულია II კავშირებითიც:

ეზროს — და-ცა-ეზროს	177	სით წავიდე — ზღვისა	
ჯამი და დრო — დავაღა-		კიდე	972
დრო	859	დაპრიდონ — ფრიდონ	988

ამნაირად, მარტო ერთ, სახელობითს ბრუნვაში დასმული სახელის შესართამავად გამოყენებულია ჩვენი მრავალფორმიანი ზმნის ძალიან დიდი რაოდენობა, მწკრივთა და მათში შემავალი სხვადასხვა წგუფების ნაირ-ნაირი ფორმები. ჩვენ აქ ყურადღება შევაჩერეთ მხოლოდ ზოგიერთ და არა ყველა შესაძლებლობაზე, რომელიც კი პოემაში არის მოცემული. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ძირითადი ტიპების აღნიშვნით წარმოდგენას შევუქმნიდით მკითხველს, თუ ჩვენი ენის რა ამოუწურავ სიმდიდრეს იყენებს პოეტი მისი საოცრად მრავალფეროვანი და მაღალმხატვრული რითმის შესაქმნელად.

მეტ-ნაკლებად ასეა საქმე სხვა ბრუნვებშიც. ამიტომ მათ უფრო მოკლედ შევეხებით.

### მოთხრობითი ბრუნვა

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი პოემაში ჩვეულებრივ არის ძველი ქართულის ერთადერთი სუფიქსი მან. ამ ნიშნით ზმნასთან სახელი ერთადერთ შემთხვევაში გვაქვს:

უქმან — უქმან 730

სადაც მეორე უქმან აწმყოს ფორმაა. მაგრამ რითმის საჭიროებისათვის ზოგჯერ ბოლოკიდური ნ აკლდება:

...ნაზმა — მოეკაზმა 170 დაღამა — სამსალამა<sup>1</sup> 1660  
გაესალამა — ალამა 1660

მოთხრობითთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს პოეტის ერთი თავისებური ხერხი: სრულფორმიან მოთხრობითს (წყენამან) ეწყობა ზმნა და სახელი ერთად: ზმნისა გართმულია ორი უკანასკნელი მარცვალი (დააშენა), რასაც ემატება მოთხრობითში დასმული ნაცვალსახელი (მან). აქ შეიძლება ისეც იფიქროს კაცმა, რომ არსებ-

<sup>1</sup> ზ. კ უ მ ბ რ ი ძ ე, „მოთხრობითი ბრუნვა ვეფხისტყაოსანში“, წიგნში: „სალიტერატურო ენა და მწერლობა“, 1962, გვ. 187 — 183.



თად სახელი ერთმება სახელსო (წყენამან — მან), მაგრამ არა: ამ დაშვებისას სამმარცვლიან ტერფში ვაჟური რითმა (ერთმარცვლიანი) გვექნებოდა, რაც, რასაკვირველია, სრულიად შეუძლებელია რუსთველის შაირისათვის. როგორც ვნახეთ, მეორე სიტყვის გართმვა გაცილებით ადრე იწყება, კლაუზულის წინა ორ საჰირო მარცვალს ზმნა იძლევა (დააშვენა+მან). ამიტომ მიგვაჩნია ასეთი რითმა სახელისა და ზმნის შეწყვილებად. ეს არის ერთგვარი შედგენილი რითმა, რომელზედაც ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. აღსანიშნავია, რომ თვით რითმის ერთ ცალშიც გვაქვს ზმნისა და სახელის შეერთება (დააშვენა ზმნაა, მან — სახელი), ორივე კი სახელს ერთმება (წყენამან). რადგანაც აქ შედგენილ ცალში ბოლო ერთი მარცვალი სახელს ეკუთვნის (მან), ხოლო წინა ორი ზმნას. საბოლოო ანგარიშით დაქტილურ რითმასთან გვაქვს საქმე. ამის მაგალითები იქნება:

გაიგონა მან — კონამან <sup>1</sup>	989	წა-ცა-ხვია მან — იამან	1324
ბანამან — შეიყვანა მან	266	გა-ცა-შალა მან —	
ბანამან — გაიყვანა მან	358	მკრთალამან	1340
სარომან — არო მან	771	ააყენა მან — ლხენამან	1487
მაგარ-ვადამან — გაუ- ცხადა მან	1244	დააშვენა მან — წყენამან	1662

აღსანიშნავია, რომ ყველა 9 შემთხვევაში ზმნის ფორმად წყვეტილის მწკრივია აღებული.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო კიდევ ორი ასეთი შემთხვევა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან აქ უშუალოდ აღარ მოსდევს იმ ზმნას, რომელსაც ის ეწყობა, გადასმულია სულ ბოლოს და სათანადოდ შერჩეულ სიტყვასთან ქმნის რითმას. ზმნასა და ამ მან-ს შორის ჩართულია მთელი წინადადება (მეორე მაგალითში — ორიც). ასეთი ინვერსია რუსთველის ერთ-ერთი მეტად რთული პოეტურ ნერხთაგანია. აი, ეს ორი მაგალითიც:

მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, აღვისა სახემან,

გული წამსავე წამ იღო. — ვერათ ვერ შევინახე. — მან 733

<sup>1</sup> ამ რითმაში, გარდა ამისა, საყრდენი თანხმოვნებიც მსგავსია: გ-კ: გაიგონა მან — კონამან, რაც იდეალურია.

შესთვალა ზეპირ, რაც ხამდა სრულად, მართ ვითა ჰგია,  
მან,

მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ლიამან 1324

პირველ მაგალითში მან „წამილოო“-ს ეწყობა სინტაქსურად (წამილო მან), ნამდვილად კი „შევიწახე“-ს მოჰყვება (შევიწახე... მან), რომ წინა სართომო სიტყვას (სახემან) შეერთმოს. მეორეში მან შესთვალა-ს სინტაქსური ცალია (შესთვალა მან. სხვა გამართლება მან-ს აქ არა აქვს), ნამდვილად კი იგი გადასმულია და მოსდევს ჰგია ზმნას, რომ ასე შეერთმოს ლიამან-ს (ჰგია, მან — ლიამან).

### მიცემითი ბრუნვა

1. მიცემითს ბრუნვაში დასმულ სახელს ერთმება ზმნის აწმყოს მწკრივის მესამე პირის (მხ. რ.) ფორმა. ორივე ოდენობას საერთო აქვს ს, რომელიც სახელში მიცემითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო ზმნაში — მესამე სუბიექტური პირის (მხ. რ.) სუფიქსი. აღნიშნულ ს-ს ორივე სიტყვაში ერთვის ზმოვანი ა; იგი სახელში ემფაქტიკური ზმოვანია, ზმნაში კი — პროსოდიული. მაგრამ ასე მიღებული ს-ა — ს-ა არ კმარა, სულ მცირე, ქალური რითმისათვის. ამ უკანასკნელის მისაღებად პოეტი ეძებს ორივე ერთეულის ძირის (ფუძის) კიდევ ერთ საერთო მარცვალს. პოეტის მიერ მოპოვებული მარცვლებია: არ, ავ, ირ, ეს, ეფ, ულ. ამგვარად ვღებულობთ კარგად შეხმიანებულ ქალურ რითმებს, მაგალითად:

თავსა — ჰყავსა	317	პირსა — გჭირსა	675
ზავსა — მგავსა	„	ნადირსა — ტირსა	698
დარსა — არსა	318	ავსა — სწვავსა	874
პირსა — ღირსა	357	პირსა — ტირსა	875
შჭირსა — სიტყვა-		ვარდ-იფუსა — ყეფსა	936
ძვირსა	373	გჭირსა — ტირსა	951
გულსა — მძულსა	376	ძირსა — განაწირსა	„
პირსა — მკვირსა	416	ვირსა — ტირსა	958

ერთიჯერ აღწერილ პირობებში მიღებული რითმა დაქტილურია: მესამე შესართამავ მარცვლად პოეტს გამოყენებული აქვს ებ სუფიქსი, რომელიც პირველ შემთხვევაში მრავლობითობის ნიშანია, ხოლო მეორეში — თემისა:

კვესებსა — აკენესებსა 1377

ერთგან მიცემითი წარმოდგენილია მრავლობითის ფორმითაც. აქ შესარითმავი ელემენტები, ბუნებრივია, სხვადასხვაა:

ვირთაო — იტვირთაო 543

2. მიცემითს ერთმება ი-დ-ი - ი-დ-ე ყალიბის უწყვეტელი და პირველი კავშირებითი მესამე სუბიექტური პირის ფორმით, პირველი მათგანი მრავლობითში, მეორე — მხოლობითში. იგულისხმება, რომ სათანადო სახელის ფუძე იდ-ე უნდა ბოლოვდებოდეს (კიდე, რიდე...). ამ შემთხვევაში საერთო ელემენტები იქნება:

იდ-ს — ი-დ-ეს, ი-დ-ე-ს. ასეა მიღებული ქალური რითმა:

კიდეს — გადმოჰყრიდეს 174

თუ ორივე ერთეულს ბოლოს ა-ც დაემატა (ემფატიკური და პროსოდული), დაქტილური რითმა გვექნება:

კიდესა — ვლიდესა 1029 (უწყვ.)

კიდესა — ღვრიდესა 1447

ღვრიდესა — კიდესა 1016 (I კავშ.)

3. მიცემითში დასმულ სახელს ერთმება ს-ზე ფუძედაბოლოებული ზმნის მესამე სუბიექტური პირის (მხ. რ.) ფორმა, რომელიც დგას წყვეტილში. ეს მოგვცემს სულ რაღაც ერთ მარცვალს: ს-ა — ს-ა (ა ერთ შემთხვევაში ემფატიკურია. მეორეში — მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლობითს რიცხვში). მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ამ ელემენტებს წინიდან მიერთოს თითო ან ორი ერთნაირი მარცვალი. მივიღებთ სათანადოდ ქალურ ან დაქტილურ რითმებს:

პირსა — აღირსა	373	უალერსა — ფერსა	469
ღზესა — გლესა	446	კირსა — აღირსა	698

დანასა — დანასა 179

ამოსა — დამოსა 682

გვხვდება მრავლობითის ფორმაც:

ეზავთა — შენაღებავთა 1510

აგრეთვე ორმაგი ბრუნების მაგალითიც:

ზღვათასა — გაუათასა 1434

მაგრამ ამათი შერითმვის პირობები სულ სხვაა, რაზედაც აქ ვერ შევჩერდებით.

4. მიცემითში მდგარ სახელს ერთმება წყვეტილში დასმული ზმნის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმა. რადგანაც პირისა და რიცხვის ნიშანი აქ ეს სუფიქსია, აუცილებელია მასთან შესართმავი სახელის ფუძე ე-ზე ბოლოვდებოდეს. მაშინ გვექნება საერთო ელემენტი: ე-ს — ეს. მაგრამ ეს არ კმარა. ამ ელემენტებს აქაც ემატება ა ხმოვანი (სახელისათვის ემფატიკური, ზმნისათვის — პროპოდული), რაც გვაძლევს... ე-ს-ა — ეს-ა საერთო მასალას, ე. ი. ქალურ რითმას:

მზესა — გაიდარბაზესა	685	ზზესა — ცნესა	1132
ჰკრესა — სიდიდესა	1038		

თუ აღნიშნული ა ხმოვანი არ ერთვის, საჭირო ხდება ერთნაირი წინა მარცვლის გამოძებნა, რაც ისევ იმავე ქალურ რითმას მოგვცემდა:

ვით ხეს — მოიკითხეს 1424

მაგრამ თუ ანებიც დარჩა და ერთნაირი წინა მარცვალის იქნება მოპოვებული, მაშინ რითმა დაქტილური იქნება:

კიდესა — დამრიდესა	430	საქულბაგესა — მაძაგესა	615
მადესა — ბადესა	574	ქვე-მდებარესა — მიიბა-	
ბაგესა — აგესა	615	რესა	1341

გვაქვს მრავლობითის ფორმებიც, რომლებშიც გამოიყოფა ...*(ე)* — *თ-ა* — *(ე)-თ-ა* საერთო ფონეტიკური ელემენტები:

კიდეთა — დაპრიდეთა	115
მეჭოგეთა — ეაგეთა	1375
ცოლ-ქმართა — შემართა	1625
წამომართა — მოლიმართა	

5. დასასრულ, მიცემითში დაყენებულ სახელს ერთმება ზმნის II კავშირებითის ფორმა მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობითში. კავშირებითის ნიშნად აქ გამოყენებულია *ო*, *ა* და *ე* სუფიქსები. ამის

მიხედვით გვექნება ო-ს, ა-ს და ე-ს საერთო ელემენტები (იგულისხმება სახელს ფუძის ბოლოს ო, ა და ე ხმოვნები უნდა ჰქონდეს). ემფატიკური და პროსოდული ანების დართვით ქალური რითმა გვექნება:

სრასა — სრასა 737 ეურჩოსა — ყაყაჩოსა 1589

მაგრამ თუ ამ ელემენტებს წინიდანაც თითო ერთნაირი მარცვალიც შეემატება, რითმა დაქტილური გახდება:

დამჰნაროსა — საბაღნა- როსა 35	დამიწუნოსა — საძაბუნოსა 797
საპატრონოსა — მოგაწო- ნოსა 641	დაგაჰმუნოსა — საუკუ- ნოსა ”
მოსაგონოსა — დამონოსა	დაებადოსა — უდიადოსა 1579
	დაიქადოსა — არ დოსა

აღწერილი შემთხვევა გვაქვს თანთან მრავლობითშიც, სადაც ხმოვნითი ელემენტები იგივეა, აქ სხვაა მრავლობითობის ნიშანი თ, რომელიც ორივე კატეგორიის სიტყვაში ერთი და იმავე ფუნქციით იხმარება:

დასადვაროთა — მოვაგვაროთა 726
წყაროთა — შევიწყნაროთა ”
სიშმაგეთა — მოვადგეთა 1375

### ნათესაობითი ბრუნვა

რუსთველის რითმებში, რომლებშიც სახელი და ზმნაა შეწყობილი, ნათესაობითი ბრუნვა ერთობ იშვიათია. შემიძლია დავასახელო ერთადერთი მაგალითი. რადგანაც ეს მაგალითიც შეიძლება სადავოდ განხადონ, მას მოვიყვან სრული კონტექსტით:

ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,  
მიბარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო 543.

მჯობი სხვაგან სადმე შესაძლებელია მიცემითსაც მოითხოვდეს, მაგრამ რუსთველს ყველგან ნათესაობითთან აქვს შეწყობილი, მაგალითად: თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია 38,2; მჯობი ყოვლისა ჭრელისა 121, 2; მჯობი ყოვლისა სოფლისა 896, 3; დედისა მჯობო დედაო 128, 1; დამოსნა ტურფა-ტურფითა ერთმანეთისა

მკობითა 1363, 3. ამიტომ მიგვაჩნია, რომ (მკობი ყოველთა) გმირთაო-ც ნათესაობითში უნდა იდგეს.

აღწერილ შემთხვევებში ნათესაობითი ბრუნვის ასე იშვიათ გამოჩენას აქვს თავისი გამართლება: მისი ის-ა დაბოლოება ჩვეულებრივ ვერ პოულობს პარალელს ზმნის ფორმების დაბოლოებებში (ვთქვათ, ასეთ ფორმებში: კიდისა — ვლიდისა), მაგრამ ამ საკითხზე აქ ახლა უფრო ფართოდ ვერ შევჩერდებით: რაც არ არის წარმოდგენილი რუსთველის პოემაში, იმაზე ვრცელი მსჯელობა სცილდება ჩვენი მიზნების ჩარჩოებს. მაინც ფაქტია, რომ ზმნასთან შეერთმულ სახელებში ნათესაობითი არ გვხვდება (ან იშვიათად გვხვდება).

### მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებითს ბრუნვაში დასმულ სახელთან შესაწყობად პოეტის მრავალნაირი საშუალება მოეპოვება. მაგრამ ყველა ისინი ერთი საერთო ნიშნით ხასიათდება: რადგანაც მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ით და ით-ა სუფიქსებია, ზმნის ფორმებში ამგვარი დაბოლოება მხოლოდ I და II სუბიექტური პირების მრავლობითის ფორმებს აქვს. მართლაც, ყველა ასეთ მაგალითში ზმნის მრავლობითის ფორმები გვხვდება.

1. შედარებით ნაკლებად არის გამოყენებული აწმყო-მყოფადის ფორმები:

პლამით — ღამით	1107	მოგვხმარებით — წარებით	80
გემცთარებით — დარებით	80	კოცებით — დავიხო-	
		ცებით	1575

თუ სარითმო კლაუზულა ორმარცვლიანი ტერფია (ქორე), ხოლო მეტრი დაქტილურს მოითხოვს, მარცვლის შესავსებად (ერთი მარცვლის მოსამატებლად) მას ერთვის ხმოვანი ა, რომელიც აქაც ერთ შემთხვევაში (სახელში) ემფატიკურია, ხოლო მეორეში (ზმნაში) — პროსოდული:

ვიციტა — მტეციტა	413	გრძნებითა — დასდგე-	
		ბითა	1238.

2. ასევე იშვიათია აგრეთვე უწყვეტელიც (I ბრძანებითიც). აღსანიშნავია, რომ ყველა 5 მაგალითში ზმნის ერთი და იმავე უალიბის (ი-დ-ი) ფორმები გვაქვს. რადგანაც რითმა დაქტილურია, იგულისხმება, ორივე ცალს ბოლოში იგივე ა ხმოვანი ექნება:

ვლიდითა — კილითა	74	რიდითა — გაიცდიდითა	1563
რიდითა — ვინატრიდითა	515	ლიდითა — და-ცა სჭრიდითა	
ლიდითა — ვჭხლიდითა			

აქ საყურადღებოა, რომ 5 მაგალითში 2 სახელის ფორმა განმეორდა (რიდითა, ღილდითა), ზმნების ცალებში კი სულ სხვადასხვა ფორმები გვაქვს (ვლიდითა, ვინატრიდითა, ვჭხლიდითა, გაიცდიდითა, და-ცა-სჭრიდითა). აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა ამოუწურავ რესურსებს იძლევა ქართული ზმნა ნაირ-ნაირ რითმათა შესადგენად თვით უმკაცრეს პირობებშიც კი: როცა იგი სახელის, ამა თუ იმ ფორმას უნდა შეერიდებოდეს. ქართულ სახელს კი, სამწუხაროდ, ასეთი ფართო შესაძლებლობანი არ მოეპოვება.

3. მოქმედებითს ბრუნვასთან ძალიან ხშირია წყვეტილის ფორმები. ყველაზე მეტად ამას პოეტი აღწევს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ენ სუფიქსის გამოყენებით<sup>1</sup>, რასაც ემატება I და II სუბიექტური პირების მრავლობითობის თ სუფიქსი და მის წინ მდგარი თანხმოვანთგასაყარი ი: ენ-ი-თ. სახელში ეს მოითხოვს, მისი ფუძე ენ — ენა ელემენტებით იყოს დაბოლოებული (ჩვენ, ენა, წყენა), რაც მოქმედებითში იმავე ენ-ით დაბოლოებას მოგვცემს. მაგრამ სამმარცვლიან ტერაქებში საჭიროა მესამე მარცვლის შეერთებაც. ეს ორი გზით მიიღწევა: ა) ენ-ის წინ ორივე ცალში ერთნაირი მარცვლების მოძებნით (შევეცად-ენით — დად-ენით), ანდა ბ) რითმის ბოლოს ჩვენ მიერ ბევრჯერ აღნიშნული ა ხმოვნის დამატებით (უქმენითა — ძღვენითა). რუსთველი მიმართავს ერთსაც და მეორესაც; პირველს გაცილებით ხშირად (ეს უფრო ძნელი საქმეარია, სამაგიეროდ უფრო მაღალი ხარისხისაა), მეორეს — იშვიათად (ეს შედარებით ადვილი საქმეა). ეს საერთო მარცვლებია: ად, ანტ, არ, ას, იდ. წარმოვადგინოთ ახლა სათანადო მაგალითები:

ს

მ ა ლ ა ლ ი შ ა ი რ ი

ვთქვენით — დენით	418	ავივსენით — ჩვენით	1124
ვეუბენით — ფენით		დახოცენით — ფრენით	1134

<sup>1</sup> ეს ენ სუფიქსი აქედან გადმოსულია ინიანი და ენიანი ვნებითის მრავლობითის ფორმებშიც. აქ ასეთი მაგალითებიც იგულისხმება.

ეცადენით — წყენით	1134	ვქმენით — ლხენით	1357
თქვენით — მერიდენით	1227	აავსენით — ენით	1641
მოვერტყენით — ჩვენით			

დაბალი შაირი

გავიცადენით — ცად ენით	205	გა-ცა-ვფანტენით — ან ტენით	618
შევეცადენით — დადენით	„	ვღვარენით — არ ენით	648
დავეზიდენით — კიდ ენით	208	არ, ენით — შევიყარენით	882
დავერიდენით — კი დენით		დაებადენით — დადენით	930
გავიზარახენით — გლახ, ენით	242	მოვაგვარენით — არ ენით	1208
დაემზადენით — თქმად ენით	557	მოვიარენით — ბარ ენით	1218
გავეცხადენით — სისხლისა დენით	557	წავეკიდენით — კი დენით	1234

ბ

დენითა — იანაზდენითა	755	ვქმენითა — ძღვენითა	1441
----------------------	-----	---------------------	------

თუ მუშტრის თვალით დავუკვირდებით აქ მოყვანილ მაგალითებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ არც მაღალ შაირში, არც დაბალში ზმნა არსად არ მეორდება, ყველა 23 შემთხვევაში (9+14)<sup>1</sup> ზმნა სხვადასხვაა, სახელი კი ხშირად მეორდება: ჩვენით (2), დადენით (2), დენით (4), ენით (9). აქაც ზემოთ აღნიშნული გარემოების დადასტურება გვიხდება: სახელის ფორმების რესურსები შედარებით შეზღუდულია, ზმნებისა კი — განუზომელი.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ მითითებული 23 შემთხვევიდან 21-ში რითმის პირველ ცალად ზმნა გვაქვს, მეორე ცალად — სახელი. ეს ნიშნავს, რომ როცა პოეტი სტროფის (ან მისი II ნახევრის) შექმნაზე მუშაობს, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში (სადაც სახელი და ზმნა აქვს შერთმული) მას ჯერ ზმნა აგონდება, ხოლო ამის შემდეგ — სახელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსთველი უმთავრესად ზმნებით მოაზროვნე პოეტია, რაც განსაკუთრებით მკვეთრად უსვამს ხაზს მისი შემოქმედებისა და აზროვნების ქართულ ნიადაგს.

<sup>1</sup> ვგულისხმობთ პირველი (ა) შემთხვევის მაგალითებს.



წყვეტილის ფორმები გვაქვს აგრეთვე ზემოთ აღწერილი პირობების გარეშეც. ამ შემთხვევაში, ით საერთო ელემენტის გარდა, მეორე მარცვლის შერითმვა ფუძეს (ძირს) აქვს დაკისრებული:

წარმოვედით — ქედით	200	წამომყევით — რჩევით	1224
გამოვედით — ქედით	622	თევით — გარდმოვლევიით	

აქ ქორეული ტერფები და, მაშასადამე, სათანადოდ, ქალური რითმები გვაქვს. მაგრამ როცა საჭიროა დაქტილური რითმების შექმნა, მესამე მარცვლად აქაც იგივე ა არის გამოყენებული:

ქაფითა — დაფითა	441	ენითა — შევიგენითა	1229
შავითა — დავაშავითა	763		

ერთ შემთხვევაში ა-ს მაგივრობას სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი სწევს:

ჰკართო — კართო 1633.

4. არის მაგალითი, როცა მოქმედებითს ბრუნვაში დასმულ სახელს მეორე ხოლმეობითის ფორმა ერითმება:

ახით — ვივაგლახით	1162	ენახით — მახით	
-------------------	------	----------------	--

#### ვითარებითი ბრუნვა

ვითარებითს ბრუნვაში დასმული სახელი ზმნას მხოლოდ ორჯერ ერითმება. ორივე შემთხვევაში პირის ნაცვალსახელია. მათ, როგორც ცნობილია, ბრუნვის ნიშნად სხვა სახელთაგან განსხვავებით ამ ბრუნვაში აქვთ და სუფიქსი, რომელიც ორივე შემთხვევაში ეწყობა დონიანი ვნებითის წყვეტილის ფორმას მხოლობითის მესამე სუბიექტურ პირში (და — დ-ა). მეორე მარცვლის გასართმავად ფუძეა გამოყენებული:

(სათი) სათდა — მათდა	867	გაგვითენდა — შენდა	1048
----------------------	-----	--------------------	------

#### წოდებითი ბრუნვა

წოდებითი ბრუნვაც შედარებით ნაკლებად გვხვდება. აქ სათანადო სახელს ბრუნვის ნიშნად ყველგან ძველებური ო აქვს, სულ

ერთია, იგი თანხმოდანფუძიანია თუ ხმოდანფუძიანი. ზმნებში ამასთან შესართმავად გამოყენებულია ა) სხვათა სიტყვის ო, ბ) პროსოდიული ო და გ) II კავშირებითის ნიშანი ო. დანარჩენ სართმავ მასალას (ერთი ან ორი მარცხლის რაოდენობით) ქმნის ფუძე და მასში შემავალი ელემენტები: ავ, ებ თემის ნიშნები, II კავშირებითის ა ნიშანი, ოდ სავრცობი უწყვეტელში და სხვა. აქ გვხვდება:

აწმყო-მყოფადის მწკრივები:

დედაო — ჰხედაო	1285	დედაო — გხედაო	1628
ლხინებო — მოვითმი- ნებო	1572		

ჰხედაო და გხედაო ფორმებში თემის ნიშნისეული ვ გამოშვებულია, რასაკვირველია.

უწყვეტელი:

ირხეოდა — მზეო, და 954.

წყვეტილი:

მეფეთ-მეფეო — დავიყეფეო 1318

II კავშირებითი:

მოვიგვარო — მრავალ- გვარო	535	დავქნეო — მზეო შმაგო — ამოგდაგო	921 1604
------------------------------	-----	------------------------------------	-------------

\* \* \*

ასეთია სახელისა და ზმნის შესართმავად პოეტის მიერ გამოყენებული ენობრივი და მხატვრული რესურსები. როგორც ვნახეთ, ეს საშუალებანი საარაკოდ მრავალფეროვანი და მალალმხატვრულია. პოეტი ისეთი გასაოცარი სიზუსტით ახერხებს სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა, განსაკუთრებით, სახელისა და ზმნის შერთმვას, რომ გეგონება ჩვენი ახალი დროის მკაცრი მოთხოვნისებანი აქვს მხედველობაშიო. მის ამგვარ რითმებს ბევრი თანამედროვე საუკეთესო პოეტიც ინატრებდა (ცხენია — მოსწყენია, მოგეხმარებით — წარებით, ვაცუდენი — ბუდენი, ზარები — შევეწყნარები, შეგვინანია — სპანია, მიჰამია — ჟამია, გმირთაო — იტვირთაო, მადესა —

ზადესა, ამოსა — დამოსა, წინანი — ვინანი, იხსენები — სენები, ვეცრუები — რუები, მონები — მოვეგონები, კირები — დავიტირები, რიდები — მერიდები, ლალები — გებრალები, დასები — გენასები, ზღვათასა — გაუთასა, ყორები — მოვილორები, ეტია — სვეტია; დედაო — გხედაო, ჰკარითო — კარითო და მრავალი სხვა).

ზემოთ ჩვენს მსჯელობაში ჩვენ ხაზს ვუსვამდით ერთ მთავარ გარემოებას: რითმის ერთი ცალი სახელია, მეორე — ზმნა. ამ წესის შემოტანა და ფართოდ დანერგვა ჩავთვალეთ რუსთველის დიდ დამსახურებად. მაგრამ იმავე რითმებში მრავალფეროვნების შესაქმნელად გამოყენებულია მთელი რიგი სხვა ხერხები, რომლებიც დღესაც საუკეთესო რითმის შექმნის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ასე მაგალითად, რითმაში ცხენია — მოსწყენია ერთი ცალი სახელია, მეორე ზმნა; კლაუზულა ენია აბსოლუტურად ერთი და იგივე აქვს ორივეს, ამასთან რითმა დაქტილურია, რაც სავისებით შეეფერება სამმარცვლიან ტერფს. მაგრამ ეს რითმა ამით არ ამოიწურება. აქ ორივე ცალს მსგავსი საყრდენი თანხმონები აქვს: ცხ — წყ. ცხ და წყ ქმნიან პარმონიულ ჯგუფებს: ც-სთან მხოლოდ ხ შეიძლება იყოს და არა ყ (ყყ?), წ-სთან კი მხოლოდ ყ შეიძლება გვექონდეს და არა ხ (წხ?). აქ ყველაფერი მეცნიერული სიზუსტით არის მოცემული: პოეტის სმენითი აღქმა ზუსტად ემთხვევა თანამედროვე ფონეტიკის მეცნიერების უმკაცრეს კანონებს. აქ არაფერს არ ვამბობთ იმაზე, რომ რითმების ერთნაირი დაბოლოება ია სულ სხვადასხვა მორფოლოგიურ და სემანტიკურ მოვლენებს გადმოგვეცემენ (ამაზე ზემოთ იყო საუბარი, ნ. გვ. 32 — 35). ამგვარად, აქ მთელი სარტულით დაცულია დღევანდელი ლექსის ულტრაახალი მოთხოვნილება: რითმი აკუსტიკურად ერთნაირი ან მსგავსი უნდა იყოს, მორფოლოგიურად და სემანტიკურად — სხვადასხვა.

რითმაში ლალები — გებრალები ერთი სახელია, მეორე ზმნა; სახელი მრავლობითში დგას, ზმნა კი — მხოლობითში; სულ სხვადასხვა მორფოლოგიური ელემენტებია აკუსტიკური ერთგვარობის შემქმნელი ებ-ი: პირველში ებ მრავლობითობის ნიშანია (ლალებ-ი), მეორეში — ზმნის თემისა (გებრალ-ებ-ი); პირველში ი სახელობითი ბრუნვის სუფიქსია, მეორეში — მწყრივისა.

დაახლოებით ასევე შეიძლება ითქვას ზემოთ წარმოდგენილი ამ ტიპის თითქმის ყველა რითმის შესახებაც. მაგრამ ახლა მათზე სიტყვას არ გავაგრძელებ. დავძენ მხოლოდ განმეორებით, რომ რითმების

შექმნის ამგვარი ხერხი დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სა-  
შუალებას, ძალიან გავრცელებულ მოვლენასა და მეტად სასურველ  
ნორმას. შდრ., მაგალითად:

### გ. ტ ა ბ ი ძ ე

გადითესა — ქიტესა	ნაპრალებს — მაბრალებს
კლანჭები — ვიტანჭები	პალმები — მივესალმები
საყურე — დავიმსახურე	პეშვებით — გადავეშვები
დავეხარბები — წარბები	ბელურა — ეხურა
კალთები — აკანკალდები	ხრიოკებს — აწიოკებს

### გ. ლ ე ო ნ ი ძ ე

პირითა — გაიჭირითა	ძირები — გავიწირები
გამოგეჭედოს — ბეჭედო	სირინოზს — გამაწირინოს
ბუნება — ეშხაპუნება	ჩიტები — ვეჭიდები
ეპასუხები — მუხები	საარაკოცა — აკოცა
დამიბადაგოს — ქადაგო	დავიწრიტენით — კლიტენი

### ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

მიგიტანს — მიკიტანს	ზიმშიმებს — სიმძიმეს
ვემონო — უღეზდემონოდ	ვახვედრებ — მხედრებს
დალლი — ძალლი	ნჩქეფარე — გადამეფარე
ბტევნებად — აგედევნება	დავაფასე — რაფაზე
აშუქებს — შუქებს	გეუზნებათ — უზნებად

### ა ლ. ა ბ ა შ ე ლ ი

დავუწერო — უწვერო	ბიმძიმს — ციმციმს
შეუპოვართა — მოვარდა	ბებია — შემხარბებია
არხები — დავიმარხები	გადიგრიალეს — თრიალეთს
ვყავარო — უყავარო	ვედავები — თავები
გუნდებად — აგუგუნდება	დალეწა — სიმხდალეცა

### პ. ი ა შ ვ ი ლ ი

დაესაფრიანებს — ფრიალებს	ფარჩები — დარჩები
გამეფდა — სკამებთან	კადართან — ჩატართან

მეძახიან — დალია  
ფინია — დაგიძინია  
დაახვავებს — ყვავებს

ცაბახებს — დაიტრაბახებს  
დაგებორკება — მორკება  
ზოგიყვები — იხვები

### ვ. გა ფ რ ი ნ და შ ვ ი ლ ი

დაარიგებს — პარიკებს  
საქმაროს — აქმაროს  
ხალათებს — ულალატებს  
იკრემლებით — ტყემლები  
არგონავტი — ჰკონავდი

პაპიროსს — გაინაპიროსს  
გელურად — უსაყველურად  
კათედრა — გადაათეთრა  
შესთავაზებს — გავაზებს  
ბეჯოგე — დაეჩოქე

### ს ა ხ ე ლ ე ბ ი

რუსთველის რითმის ლექსიკური შედგენილობის მეტად გავრცელებული ნაწილია სახელი ფართო მნიშვნელობით. აქ იგულისხმება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. ამათგან ნაცვალსახელი რითმის ოთხსავე ცალში პოემაში არსად არ გვხვდება. ის შედის სხვებთან ერთად ერთ ან (იშვიათად) ორ ცალში. უფრო მეტად ითქმის ეს რიცხვითს სახელებზე, რომლებიც სხვებთან ერთად მხოლოდ თითო ცალად შეგვხვდება აქა-იქ.

რაც შეეხება არსებითსა და ზედსართავს, ესენი ცალ-ცალკე ყველა ოთხსავე რითმაში მოიპოვება, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ჩვეულებრივია მათი ერთად გამოყენების შემთხვევები.

როცა ჩვენ ამ ტიპის სახელებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მათი მარტივი ფუძეები (პირი, ძვირი). წარმოქმნილი ფორმები ოთხსავე ცალში ბლომად გვხვდება, განსაკუთრებით არსებითი სახელებისა. ამასთან, ზოგჯერ იმის დადგენაც ძნელია, ესა თუ ის მარტივი ფუძე არსებითს მივაკუთვნოთ, თუ ზედსართავს (სალი, მანგი, ხელი...).

რუსთველის რითმებში საკმაო ადგილი უჭირავს საწყისებს. არის მთელი რიგი სტროფები, სადაც რითმის ოთხივე ცალი საწყისია, მაგრამ ის გვხვდება აგრეთვე სხვა სიტყვებთან ერთადაც.

პოემის რითმებში განსაკუთრებით ფართო მოცულობით არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახის მიმღეობანი. ესენი ცალკეც გვხვდება, რითმის ოთხივე ცალად თითო სტროფში, მაგრამ ასევე ხშირია სხვა მეტყველების ნაწილებთან ერთად.

თუ ყველა ტიპის სახელს, საწყისსა და მიმღობას ერთად გავაერთიანებთ და ისე ვიანგარიშებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ რითმების მეტი წილი მათზე მოდის. მაგრამ თუ მიმღობებს თავის ახლობელ წინაპრებს — ზმნებს მივუკედლებთ, მაშინ სასწორი ზმნებისკენ გადაიხრება (722 + 594).

აქ წარმოვადგენთ ზოგიერთ მასალას ზემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.

## 1. არსებითი სახელეფი (ოთხსავე ცალში)

### ა) მ ა რ ტ ი ე ი ფ უ ძ ე ე ბ ი

ღეზითა — ხეზითა — ზეზითა — მიზეზითა	214
ღედოფალი — ქალი — წყალი — ალი	322
ქალისა — ლალისა — წყალისა — ალისა	329
მილისა — ძილისა — ლილისა — დილისა	399
მონითა — ღონითა — ფონითა — წონითა (?)	1027
ფარისა — ქარისა — კარისა — ზარისა	1396
ბედისა — დედისა — ტრედისა — ქედისა	1558 და სხვანი.

### ბ) წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი ფ უ ძ ე ე ბ ი

მოშაირობა — ძვირობა — სიტყვა-მცირობა — გმირობა	14
ჰზეობა — მოცალეობა — მძლეობა — ზნეობა	23
ბერობა — ჯერობა — ფერობა — მტერობა	37
ხილობა — შემოყრილობა — დაღრეჯილობა — ცილობა	56
სათუთობითა — თმობითა — ბურთაობითა — ნაზარდობითა	63
დაღრეჯილობა — ცილობა — ლეიძილობა — ფერ-შეცვლილობა	102
მადრიელობა — გარდუხდელობა — ქველობა — გრძელობა	144
წყალულობა — აკაზმულობა — წელ-მორტყმულობა — გამოსრულობა	224
ამირბარობა — ამირსპასალარობა — მიუმცთარობა კეისარობა	316
ალობა — მომავალობა — მალობა — წყალობა	374
ხან-დაზმულობა — მოკაზმულობა — დარაზმულობა — ხვა- რაზმულობა	403
აბჯარ-ცმულობა — მოციქულობა — ორგულობა — გულ- ნაკლულობა	442

ვაზრობა — ქმრობა — უმეცრობა — გულ-მაგრობა	533
ქმარობა — გვარობა — მეომარობა — სახმარობა	541
დიდობით — რიდობით — ფლიდობით — მშვიდობით	680
ძნელობა — გაუქრელობა — ხელობა — გრძელობა	940
ზრდილობით — ავთანდილობით — შვილობით — ცილობით	922
ეშმაურობა — პურობა — ვერ-დასტურობა — მურობა	996
შემოთვლილობა — ცვილობა — ცილობა — ყრილობა	1054
პატრონობასა — ჭაბუკობასა — ჯუბაჩობასა — ძმობასა	1058
ნავროზობასა — გზობასა — ლამაზობასა — პურობა- დარბაზობასა	1121
ხორციელობა — მეცნიერობა — ხელობა — ლმობიერობა	1156
დანაწერობა — ხელობა — საკვირველობა — მრთელობა	1360
მოციქულობა — მხიარულობა — წყლულობა — ლხინ- ნაკლულობა	1473
მოციქულობა — თქმულობა — კვამლ-ალმურობა — მოკრძალულობა	1483
რიდობა — დიდობა — ძონაზიდობა — კიდის-კიდობა	1488
მასპინძელობა — ხელობა — ხმელობა — კრელობა	1496
გრძელობა — გარდუხდელობა — შეუცვლელობა — შემომყრელობა	1545

და სხვანი.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი წარმოქმნილი არსებითი სახელები შინაარსით აბსტრაქტულია, ყველა ისინი გამოუკლებლად ობა სუფიქსით არის ნაწარმოები. ამ ტიპის სახელთა საწარმოებლად ობა სუფიქსი პოემაში სხვაგანაც (არა რითმებში) ხშირად გამოყენებული, ის საერთოდ დამახასიათებელია რუსთველის ენისათვის.

## 2. ზედსართავი სახელები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარტივი ფუძის (ვითარებითი) ზედსართავი სახელი რითმის ოთხსავე ცალში არ გვხვდება. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ წარმოქმნილი (მიმართებითი) ზედსართავები.

არსებით სახელთაგან ზედსართავის საწარმოებლად პოეტს სხვადასხვა აფიქსი აქვს მოხმარებული, როგორც, მაგალითად: იერ,

ოვან, ოსან, სა-ე, სა-ო, უ-ო, ურ (უღ), იან (ეან). ამათგან პირველი ექვსი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ქართულში და რუსთველმაც გამოიყენა ენაში არსებული საშუალებანი. რაც შეეხება ორ დანარჩენს (ურ, იან), ისინი ძველ ქართულში ძალზე იშვიათად იხმარებოდა, სულ რაღაც ერთეულობით განიზომება ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელები (ველური, აგარეანი, სხამეანი...). რუსთველის დამსახურება ამ დარგში ისაა, რომ მან ფართოდ გამოიყენა სწორედ ეს მიტოვებული და თითქმის უხმარი სუფიქსები, ცოცხალი სული შთაბერა მათ, შექმნა მთელი რიგი ახალი სიტყვები და ასე გამდიდრებული ლექსიკა გადმოსცა შემდგომ ეპოქებს. რუსთველის ამ ღვაწლსაც უნდა მიეწეროს, რომ ჩვენს დღევანდელ ენაში სწორედ ეს სუფიქსებია ყველაზე ცოცხალი და პროდუქტიული ახალ-ახალი ზედსართავეების საწარმოებლად. აქ მარტო იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ პოემის პირველსავე სტროფში (პროლოგის შემდეგ) რითმის ოთხივე ცალი იან სუფიქსითაა ნაწარმოები:

სვიანი — ყმიანი — განგებიანი — წყლიანი 32

იან სუფიქსით ნაწარმოები ამდენი ფორმა მთელ ძველ ქართულში არ გვხვდება.

იან სუფიქსიანი წარმოება პოემაში ბევრია. ჩვენ აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ისეთებს; რომლებიც რითმებში შედის:

აუგიანსა — მზიანსა — ვაგლახიანსა — წყლიანსა	191
ადამიანი — (იანი) — პირ-ბაკმიანი — ხმიანი	233
სვიანად — (ზიანად — გვიანად) — ალაფიან-ტყვიანად	463
(ზიანსა) — ღალატიანსა — მზიანსა — (წასვლა-გვიანსა)	798
(გვიანად) — ყმიანად — სირცხვილიანად — (ზიანად)	827
ხიანი — კლდიანი — გულ-მარიხიანი — (იანი)	841
წყლიანი — ტან-ნაკეთიანი — ხრმალ-დარაკიანი — კლდიანი	1099
ჯაერიანითა — (ჯანითა, ვცანითა — დანითა)	1115
წყლიანი — მზიანი — ღმრთიანი — სისხლიანი	1118
(ღიანი) — ტან-ნაბდიანი — (ზიანი — იანი)	1278
წყლიანი — სვიანი — მზიანი — ყორან-თმიანი	1583

თავი რომ მოუყაროთ ყველას, მივიღებთ 24 იან სუფიქსიან სახელს (მარტო რითმებში); ესენია: ადამიანი (ახალი, ჩვეულებრივი გაგებით), ალაფიანი, აუგიანი, ბაკმიანი (პირ-ბაკმიანი), განგებიანი,



მარიხიანი (გულ-მარიხიანი), დარაკიანი (ხრმალ-დარაკიანი), ვაგ-  
ლახიანი, თმიანი (ყორან-თმიანი), კლდიანი, მზიანი, ნაბდიანი  
(ტან-ნაბდიანი), ნაკვთიანი (ტან-ნაკვთიანი), სვიანი, სირცხვილიანი,  
სისხლიანი, ტყვიანი, ლალატიანი, ღმრთიანი, ყმიანი, წყლიანი, ხია-  
ნი, ხმიანი, ჯავრიანი. ამ სიტყვების დიდი უმრავლესობა რუსთვე-  
ლის მიერ უნდა იყოს შექმნილი და შემოტანილი მწერლობაში<sup>1</sup>.

### ურ

(სამსახურად) — ყმურად — (მურად) — მამაცურად	154
მამაცურად — (სამსახურად) — არ მახმურად — ჯაბან- ხრდლურად	933
ღურად — (უგემურად — პურად — მურად)	1127
ხელურად — მელურად — მტერულად — მე რულად	1206

ურ სუფიქსიანი სახელების სიმცირეზე ძველ ქართულში უკვე  
გვქონდა ზემოთ საუბარი<sup>2</sup>. სწორედ ამის გამოძახილია „ვეფხისტ-  
ტყაოსანში“ სათანადო სახელთა ნაკლებობა რითმაშიც.

### იერ

ჩემ-მაგიერი — ძლიერი — მშიერი — არ-მადლიერი	387
სულიერსა — (მტერსა) — ღმობიერსა — (ფერსა)	1154
(ფერსა — მტერსა) — მეცნიერსა — გონიერსა	1191
ციერი — ჩემ-მაგიერი — ძლიერი — მშიერი	1354
მაგიერად — გულ-ხმიერად — ნებიერად — ჟმიერად	1413

### ოვან

კლდოვანი — ძალ-გულოვანი — მხცოვანი — სახელოვანი	800
---	-----

### ოსან

სოსანი — ბროლ-ბადახშოსანი — ქარქაშოსანი — თეთრ- ტიკოსანი	72
---	----

<sup>1</sup> სამიოდე მათვანი (მზიანი, სვიანი, წყლიანი) შესობებებსაც ქონდათ გამო-  
ყენებული. მათ, გარდა ამისა, კიდევ მოეპოვებათ: აგარიანი, იუპიანი, მიზეზიანი.  
მოქმადიანი (ჩახრუხადე), ანაქსიანი, დავითიანი, იოზიანი, წამლიანი (შავთელი).  
მაგრამ ზოგი ამათვანი უკვე ძველ ქართულშიც იყო (აგარიანი! — აგარეანი, წამ-  
ლიანი! — წამლენანი), ზოგი კი მეტად ხელოვნური იყო და ენაში უხმარად დარჩა  
(ანაქსიანი), სხვები საკუთარ (ადამიანთა) სახელებს ეხება და, ბუნებრივია, აქ არ  
გვინტერესებს.

<sup>2</sup> უფრო დაწვრილებით ნ. ა. მანჯგალაძე. -ურ სუფიქსისათვის ძველ  
ქართულში: ივე, VI, 473 — 518.

გ. ნარევი სპაღლი

როგორც აღნიშნული ვეჭონდა, (მარტივ) სახელთა ცალკე ტიპები ძალიან ნაკლებად გვხვდება ერთად, ერთსა და იმავე სტროფში ოთხივე რითმის ცალად. უფრო ჩვეულებრივია მათი ერთად შეხამება: არსებითთან ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელიც არის ხოლმე. მოვიყვანთ ამის რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს:

ორი — სწორი — შორი-შორი — ჯორი	15
პირსა — გმირსა — უნაგირსა — ანატირსა	84
ტყავისა — თავისა — მკლავისა — სანახავისა	85
პერანგი — ჩანგი — ზანგი — მანგი	120
დიდისა — შვიდისა — ხიდისა — კიდისა	184
ტყავითა — მკლავითა — თავითა — დამნახავითა	202
თმასა — ყმასა — ხმასა — ქცევა-ზმასა	223
ყელისა — ხელისა — ხელისა — მრთელისა	257
მეტი — რეტი — კეტი — შენამჭკრეტი	269
პირისა — გმირისა — ჭირისა — განაწირისა	296
მზითა — გზითა — მიზეზითა — ანაგზითა	305
ცილისა — შლილისა — სირისა — შვილისა	320
ქალსა — ნასამალსა — დედოფალსა — აღსა	325
ქალისა — აღისა — ვალისა — სალისა	342
თავისა — მკლავისა — და ვისა — ნავისა	348
ბნელისა — ცხელისა — ხელისა — საეჭველისა	362
მისისა — ვისისა — მჭისისა — დლისისა	384
ქორი — გორი — ტანაჯორი — ორი	447
ხანი — სპანი — სხვანი — გზანი	829
ყამისა — ჯამისა — ჭამისა — ღრამისა	923
ჭირია — პირია — ძვირია — ვირია	931
დიდისა — რიდისა — შვიდისა — ფლიდისა	1006
ხალვათი — ათი — მათი — სათი	1011
დიდითა — რიდითა — მშვიდითა — კიდითა	1036
ხელნი — ცხელნი — ხელნი — თხელნი	1137
ხშირი — გმირი — ჭირი — პირი	1176

მხედი — ზადა-ზედი — ბედი — ტრედი	1184
ძვირისა — გზირისა — პირისა — ძირისა	1196
ნასი — ხასი — ფლასი — თასი	1205
წილი — წბილი — ჩრდილი — ტკბილი	1305
ღარია — ღვარია — ზარია — წყნარია	1410
ხერელსა — ძველსა — ლელსა — ყელსა	1420
ნელი — ყელი — ბნელი — გრძელი	1435
რვასა — მზასა — ხმასა — ყმასა	1468
მეტი — რეტი — კეტი — მკვრეტი	1501
წინწილისა — თლილისა — ძილისა — დილისა	1552
შავი — თავი — ზავი — ავი	1596
ჩემსა — თემსა — მრწემსა — ირემსა	1656 და სხვანი.

#### 1. სავსისეხი

რუსთველს დიდი სიყვარულით აქვს მოძებნილი და გამოყენებული საწყისები. ამ შემთხვევაში პოეტი უმეტესად ისეთ ფორმებს არჩევს, რომელთაც საჭირო შინაარსთან ერთად საამო ჟღერადობაც აქვს, მხატვრულად ეფექტიანია და რითმას განსაკუთრებულ სილამაზესა და ლაზათს მატებს. ასეთი საწყისები პოემაში ბევრია. 50-ზე მეტი იქნება ისეთი შემთხვევა, როცა სტროფის ყველა ოთხივე სარიტმოსიტყვა საწყისია, ათიოდე შემთხვევაში სტროფში სამია საწყისი, ხოლო ერთი — სხვა მეტყველების ნაწილი. აქ აღარ განვიხილავთ ისეთ მაგალითებს, სადაც საწყისი სტროფში თითო-ორო-ლაა; ასეთი ცოტაა.

ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნის საწყისი ორი ფორმით გვხვდება: ძველითა და ახლით: **სმინება — სმენა**. ეს გასაგებია: პოეტისათვის ერთ შემთხვევაში სხვა სიტყვებთან შესაწყობად (მაგ., **ენახა**) საწყისის ერთი ფორმაა გამოსადეგი (**სმენახა**), ხოლო მეორე შემთხვევაში — მეორე (**გაცინება — სმინება**). მაშასადამე, ამ არჩევანს შაირის ორი მთავარი კომპონენტი განსაზღვრავს: მეტრი და რითმა (უფრო მეტად მეორე). ესეც რომ არ იყოს, ცნობილია, რომ რუსთველი თავის პოემაში ფართოდ უღებს კარებს ძველისა და ახალი ქართულის ფორმებს; მას დაუზარებლად შემოაქვს ძველისა და ახალი ქართულის ყველა ფორმა, რომლებიც დიდი სიზუსტით გადმოგვცემს სათქმელ აზრს, გავრცელებულია ენაში, პოეტური თვალსაზრისით კეთილზმოვანი და ჟღერადია და მოცემულ შემთხვევაში უკე-

ოესია სხვა ანალოგიურ ფორმათა შორის. ასეთი თავყრილობა ძველი და ახალი ფორმებისა რუსთველის პოეტურ ენას უქმნის სიმტკიცეს, აძლევს მეტ მოქნილობას, ზრდის მისი მხატვრული ზემოქმედების ძალას.

აქ მოვიყვანთ საწყისიანი რითმების უფრო მეტად დამახასიათებელ ნიმუშებს (არა ყველას):

ჩენა — რბენა — ლხენა — ვლენა	10
რბევა — ქნევა — ხევა — ლევა	13
მალვა — ხალვა — ალვა — კრძალვა	27
დაცილებასა — კლებასა — ხლებასა — ქებასა	68
შეება — დანაღვლება — განკურნება — ნება	99
ნებასა — მოვანებასა — ნება-ნებასა — მოყვანებასა	106
ქენებით — ხსენებით — ჩვენებით — შევენებით	206
არ-დათოვნა — ყოვნა — პოვნა — ხსოვნა	211

ამ უკანასკნელი ტიპის (ნარიანი) საწყისები ქართულში ცოტაა. აქ პოეტს თავი მოუყრია სამი მათგანისათვის (ყოვნა-ში ნ ფუძისაა), დარჩენილია ცოტა, ისიც არა ხშირად ხმარებული ფორმები (თხოვნა, ძოვნა, წოვნა...).

სმინება — დინება — გაცინება — ლხინება	248
ნება — ჩხაპუნება — მოფინება — დაყოვნება	263
დაწამწამება — ამება — შეწამება — დათამამება	295
სმენასა — (ენასა) — ლხენასა — დენასა	310
სმინება — დინება — მოჯობინება — ლხინება	366
კრძალვად — ალვად — (ალვად?) — მალვად	369
კრძალვა — მალვა — (იდუმალ ვა) — შემოთვალვა	412
მოსვენებად — (არ-ნალებად) — ქებად — მოხსენებად	453
ზომით — დგომით — წთომით — ნდომით	518
ნდომა — მოხდომა — შემოკვდომა — სხდომა	545
გამორჩევა — ქნევა — წვევა — შემთხვევა	546
თრთოლა — წოლა — რბოლა — წამოყოლა	585

ამნაირი საწყისებიც ძალიან ცოტაა ჩვენს ენაში. ყველაზე ხშირად ხმარებული პოეტს უკვე აქვს გამოყენებული.

ელვა — (ერთხელ ვა) — დელვა — წამოქელვა	605
ცურვა — ურვა — (თუ რვა) — მდურვა	650

წადება — დადება — კვლა დება — ცხადება	727
თხრობა — შმაგობა — ცნობა — თმობა	765
წოლასა — რბოლასა — ბრძოლასა — ყოლასა	768

აქ თრთოლა-ს ნაცვლად კიდევ ერთი ამ ტიპის საწყისი (ბრძოლა) არის შემოტანილი. სამი სხვა ცალი იგივეა.

გამორჩენა — მოთმენა — მოწყენა — რბენა	777
ლხენასა — წყენასა — სმენასა — დენასა	839
დამძიმებასა — თნებასა — გასრულებასა — შემოკლებასა	847
თქმევასა — თნევასა — ლევასა — რჩევასა	897
გლეჯით — (ეჯით) — ბღნეჯით — ღრეჯით	950
კმუნვასა — (მუნ ვასა) — წურვასა — ბრუნვასა	1003
მოსვენება — დაყენება — ხსენება — ქენება	1070
თხრობასა — თმობასა — სობასა — ცნობასა	1087
ქება — დება — ხლება — ნება	1095
ძრწოლასა — ... წოლასა — კრთოლასა — ყოლასა	1100

აქ ზემოთ აღნიშნული ტიპის კიდევ ორი ახალი საწყისია გამოყენებული — ძრწოლასა, კრთოლასა. ჩვეულებრივია კრთომა (ნ. კიდევ სტროფები 1304, 1544).

ალვით — მალვით — კრძალვით — ხალვით	1144
აჟაჟა-ქევეა — ფრქვევა — თნევა — (მე ვა)	1145
დებასა — შეცოდებასა — იმედებასა — გაცუდებასა	1152
ლხენასა — ღრქენასა — რბენასა — აღმაფრენასა	1197
შრომასა — ძრომასა — ნდომასა — კრთომასა	1304
ჩხერება — დაჯერება — ფერება — ტერება	1398
წრიალი — ზრიალი — რიალი — ტკრციალი	1414
ფენასა — ჩენასა — რბენასა — ლხენასა	1538
ჯდომა — კრთომა — ზომა — არ-წახდომა	1544
ნახვად — ზრახვად — გამოსახვად — გლოვა-ახვად	1626

ნ. კიდევ საწყისიანი რითმებისათვის სტროფები: 213, 243, 302, 364, 516, 795, 1034, 1252, 1266, 1458, 1470, 1479, 1512, 1546, 1548, 1562, 1566.

რუსთველის რითმაში სახელთაგან ყველაზე ხშირია მიმღობანი. ზმნების შემდეგ მას პირველი ადგილი უჭირავს. თუ მათ გავერთიანებდით ზმნებთან, რომელთაგან იწარმოებიან, მაშინ აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი რუსთველის რითმები ზმნები იქნებოდა (პირიანი ფორმები და სახელზმნები -- საწყისები და მიმღობანი). ჩვენ აქ ტრადიციულად საწყისები და მიღობანი სახელებთან ერთად გვაქვს განხილული.

მიმღობა რუსთველის რითმებში ნაირ-ნაირი სახისაა. ძველსა და ახალ ქართულში არ არის თითქმის არც ერთი ტიპის მიმღობა, რომელიც რუსთველს არ ჰქონდეს რითმებში გამოყენებულთ. ბევრი სახეობის მიმღობას მან მისცა განსაკუთრებული სინატიფე და მომხიბვლელობა. ბევრი მიმღობა მხოლოდ ჩვენს პოემაში გამოყენების შემდეგ გავრცელდა და დამკვიდრდა ენაში, ბევრი კი თვით დიდმა შოთამ შექმნა და მანვე იხმარა პირველად.

ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ულ სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის მიმღობა (გაკიცხებული, გამორჩეული, გამწარებული, გაცხუნვებული; დავედრებული, დანარცხებული, დანერგული, მცნებული, ფრქვეული, შეიწრებული, შვებული, ხლებული...). ამ ტიპის მიმღობებს ხშირად ვხვდებით როგორც მაღალი, ისე (უფრო მეტად) დაბალი შაირის რითმებში.

მერმე მოდის იღ სუფიქსიანი მიმღობა: გათხოვილი, გამოცდილი, დაკოდილი, ზრდილი, თილი, უკუყრილი, შეცვლილი (მაღალი შაირი), დნობილი, თხრობილი, ღმობილი, ღტობილი, პობილი, სობილი, შობილი, ცნობილი, წყობილი, ჭნობილი, ხშობილი (დაბალი შაირი). ადვილი მისახვედრია, რომ ი თემის ნიშნიანი ფორმები ქმნიან ორ და ოთხმარცვლიან ტერფებს, ამიტომ ქალთურ რითმებში არის გამოყენებული (თლ-ილ-ი, გამო-ცდ-ილ-ი). ხოლო ოპ სუფიქსიანები კი — უმთავრესად სამმარცვლიან ტერფებს, ამიტომ ისინი დაქტილურ რითმებში გვაქვს (ცნ-ობ-ილ-ი).

პრეფიქსიან და პრეფიქს-სუფიქსიან მიმღობათაგან ყველაზე ხშირი, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია მ, მ-ა, მე, მო თავსართებითა და არ (აღ), არ-ე, (აღ-ე), ე, ელ ბოლოსართებით ნაწარმოები მოქმედებითისა და საშუალი გვარის ფორმები:

მ: მ-ბრუნავ-ი, მ-დაგ-ი, მ-ზარავ-ი, მ-ზარახ-ი, მ-ზარახავ-ი, მ-თენ-ი,

მ-კრეფ-ი, მ-კრძალავ-ი, მ-ლალავ-ი, მ-ლხენ-ი, მ-ნათ-ი, მ-ნახ-ი, მ-ნდომ-ი, მ-პარავ-ი, და-მ-რიდ-ი, მ-სახავ-ი, მ-ფენ-ი, მ-შეენ-ი. ძ-ჩმუნავ-ი, მ-წთომ-ი, მ-კვრეტ-ი, მ-ხად-ი, მ-ხედ-ი, მო-მ-ხვექ-ი, მ-ხვრეტ-ი, მ-ჯდომ-ი.

მ-ა: მა-ვალ-ი, ა-მა-ზრზენ-ი, მა-რები-ი, მა-ფენ-ი.

მ-ელ: გა-მ-ზრდ-ელ-ი, მ-თხოველ-ი, მ-კლველ-ი, მ-ნდომ-ელ-ი, მ-პყრობ-ელ-ი, მ-სმენ-ელ-ი, მ-ფლობ-ელ-ი, მ-ღვრ-ელ-ი. მ-ცნობ-ელ-ი, მ-წვ-ელ-ი, მ-წყობ-ელ-ი, მ-ჯდომ-ელ-ი.

მ-ა-ელ: გა-მა-თენებელ-ი, შე-მა-მკობ-ელ-ი, და-მა-მზობ-ელ-ი, მანათობ-ელ-ი, მა-რებ-ელ-ი, მა-ყივნებ-ელ-ი, და-მა-შრობ-ელ-ი. და-მა-ჰმევე-ელ-ი, მა-ხარობ-ელ-ი.

მ-არ (მ-ალ): და-მ-დებ-არ-ი, მო-მ-დებ-არ-ი, მ-დევ-არ-ი, მ-დულ-არ-ი, და-მ-ზრ-ალ-ი, მ-ზღვევ-არ-ი, და-მ-თმობ-არ-ი, მ-თრვ-ალ-ი, მო-მ-კვეხ-არ-ი, მ-კრთ-ალ-ი, და-მ-საჯ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, და-მ-ტკბ-არ-ი, შე-მ-ტყვებ-არ-ი, ფერ-გა-მ-ქრქ-ალ-ი, და-მ-ცთ-არ-ი, მ-ცხრ-ალ-ი, გარდა-მწყდ-არ-ი, მ-წყრ-ალ-ი, გა-მ-წყრ-ალ-ი, გარდა-მ-ხდ-არ-ი, შე-მ-ხედვ-არ-ი.

მ-არ-ე: მ-დგომ-არ-ე, მ-დებ-არ-ე, ჩამო-მ-დინ-არ-ე, გულ-მ-დულ-არ-ე, მ-წყრომ-არ-ე, მ-ჯდომ-არ-ე.

მო-არ (მო-ალ): მო-ლიზო-არ-ი, მო-მ-ღერ-ალ-ი, მო-ტირ-ალ-ი, მო-უბნ-არ-ი, მო-ლიმ-არ-ი, მო-ცინ-არ-ი, მო-წყინ-არ-ი. უფრო ნაკლებია მე-არ (მეომარი), მ-ე (გამომსალამე), მო-(მოკვნესი), მო-ე (მოიეფე, მოსწრაფე, მოაჯე) ყალიბის წარმოება. რუსთველის რითმებში ძალიან ხშირადაა წარმოდგენილი აგრეთვე ნა-, ნა-არ (ნა-ალ), სა-, სა-არ (სა-ალ), სა-ელ, უ-, უ-ელ აფიქსებით წარმოქმნილი მიმღებობებიც:

ნა-: და-ნა-ბად-ი, ნა-ბან-ი, ნა-ბანებ-ი, მო-ნა-ბერ-ი, წა-ნა-გვარ-ი, და-ნა-დებ-ი, ნა-დენ-ი, ჩა-ნა-დენ-ი, გა-ნა-ზარდ-ი, გა-ნა-ზრახ-ი, ნა-თარმანებ-ი, და-ნა-თეს-ი, და-ნა-თხზენ-ი, გარდ-ნა-კარ-ი, ა-ნა-კიდ-ი, გა-ნა-კრძალებ-ი, და-ნა-მალ-ი, და-ნა-მატებ-ი, და-ნა-მჭირებ-ი, და-ნა-პირებ-ი, გა-ნა-რბენ-ი, ნა-რებ-ი, მო-ნა-სურ-ი, შე-ნა-სწრებ-ი, მო-ნა-ტან-ი, ა-ნა-ტირ-ი, ნა-ფასებ-ი, ა-ნა-ფრენ-ი, ნა-ფუშავ-ი, ნა-ქებ-ი. წა-ნა-ლებ-ი, ნა-ჩქარებ-ი, გა-ნა-ცვალ-ი, ნა-ცქაფავ-ი, მო-ნა-წერ-ი, გა-ნა-წირ-ი, მო-ნა-წური, მო-ნა-წყენ-ი, ნა-ჭედ-ი, მო-ნა-ხმარებ-ი, მო-ნა-ხსენ-ი, მო-ნა-ხსენებ-ი.

ნა-არ (ნა-ალ): ნა-გუბ-არ-ი, ნა-ღებ-არ-ი, გა-ნა-ზიდ-არ-ი, შე-ნა-თხზ-არ-ი, ნა-ლმობ-არ-ი, და-ნა-მტკიც-არ-ი, ნა-პობ-არ-ი, ნა-უბ-არ-ი, ნა-ფიც-არ-ი, ნა-ხოკ-არ-ი.

სა-: სა-გოგმანებ-ი, და-სა-ღარ-ი, მო-სა-თვალავ-ი, სა-მალ-ი, და-სა-მალავ-ი, სა-ნახავ-ი, მო-სა-ნდომ-ი, მო-სა-ფხან-ი, და-სა-შრეტ-ი, წარ-სა-წყმედ-ი, სა-ქოქმანებ-ი, გა-სა-ხაფავ-ი.

სა-ელ: წა-სა-გებ-ელ-ი, და-სა-ღებ-ელ-ი, გა-სა-თხზ(ვ)-ელ-ი, სა-ნახვ-ელ-ი, სა-ქებ-ელ-ი, და-სა-ხევ-ელ-ი.

სა-არ (სა-ალ): სა-ბოძვ-არ-ი, გა-სა-გმირ-ალ-ი, სა-გუბ-არ-ი, სა-ტკიც-არ-ი, სა-უბ(ნ)-არ-ი, სა-ქებ-არ-ი. სა-ცნობ-არ-ი, სა-ცოდნ-არ-ი, სა-ძებ-არ-ი, მო-სა-წევ-არ-ი, სა-წუნ-არ-ი, სა-წყინ-არ-ი.

უ-: გა-უ-გვალავ-ი, უ-თვალავ-ი, და-უ-თვალავ-ი, მო-უ-თმენ-ი, მო-უ-კლავ-ი, უ-კრძალავ-ი, უ-ლებ-ი, და-უ-მალავ-ი, უ-ნახავ-ი, მი-უ-პარავ-ი, და-უ-ფარავ-ი, და-უ-შრეტ-ი, მი-უ-წდომ-ი.

უ-ელ: და-უ-თმობ-ელ-ი, უ-ნახვ-ელ-ი, და-უ-სობ-ელ-ი, და-უ-ფრეწ-ელ-ი, და-უ-შრობ-ელ-ი, უ-ცოხნ-ელ-ი, გა-უ-ძდომ-ელ-ი.

უ-არ: უ-გრძნობ-არ-ი, უ-უბ-არ-ი, უ-ჩინ-არ-ი.

ასეთია რუსთველის რითმებში ნახმარ მიმღეობათა ყალიბები.

როგორც დავინახეთ, მიმღეობათა უმეტესობას სუფიქსებად აქვს ელ, ულ, ილ მარცვლები; უმეტეს შემთხვევაში მათ წინ უძღვის თემის ნიშნები ებ, ობ და მოსდევს ბრუნვის ნიშნები; ყველა ეს იძლევა ადვილად გამოსათქმელ, ლამაზ და საამურად ჟღერად დაქტილს: ...ობ-ელ-ი (...ობ-ელ-მან, ...ობ-ელ-სა, ...ობ-ელ-ად, ...ობ-ელ-ო), ებ-ელ-ი, ებ-ულ-ი, ობ-ილ-ი, მაგალითად:

დამამხობელი — მშობელი  
გასაპობელი — მცნობელი  
მპყრობელი — მფლობელი...  
დასადებელი — მხლებელი  
წასაღებელი — მსწრებელი  
ლარ-საგებელი — წასაგებ-  
ბელი...

გაცუდებული — მცნებული  
გამეხებული — ხებული  
შეფიცებული — ქებული...  
თხრობილი — ცნობილი  
გამონდობილი — დობილი  
ქნობილი — ძმობილი

როდესაც საჭიროა ასეთ ფორმებს ნათესაობითისა და მოქმედებითის ისა და ითა ორმარცვლიანი ბრუნვის ნიშნები დაემატოს და,



მაშასადამე, ერთი მარცვალი მეტი უნდა გამოვიდეს, პოეტი კუმ-  
შავს ელ სუფიქსს და მაინც ისევ დაქტილს იღებს:

მფლობლისა — დამამხობლისა      ობლისა — მშობლისა.

არის მეორე გზაც: პოეტი აიღებს უთემისნიშნო მიმღებებს და  
შეუქუმშველად წარმოგვიდგენს:

მწველისა — სასურველისა      შეუზღველისა — უშურველისა  
(ასეთი მიმღეობა არ იკუმშება).

ერთი სიტყვით, მიმღეობათა აღწერილი სახეები (დამამხობე-  
ლი — მშობელი...) ეეფონიური თვალსაზრისით მაღალმხატვრულ  
რითმებს იძლევა. ამიტომაც, რომ პოეტი მათ ძალიან ხშირად მი-  
მართავს.

როგორც აღნიშნული გვექონდა, პოემაში ბლომად გვხვდება  
სტროფები, რომლებშიც ოთხივე სარიტმო სიტყვა მიმღეობაა (ოთხ-  
მიმღეობიანი რითმები), ზოგან სამია მიმღეობა, ზოგან — ორი, ზო-  
გან — მხოლოდ ერთი. გავეცნოთ მათ ცალ-ცალკე.

#### ოთხმიმღეობიანი რითმები

ცრემლ-დათხეულ-ი — გამორჩეული — რხეული — ხეული	4
შეუშრობილი — შობილი — ...სობილი — წყობილი	7
დამალულად — ფერ-ნაკლულად — წყლულად — გულ- მოკლულად	41
მფლობელმან — მშობელმან — მანათობელმან — შემამკობელმან	43
თხრობილი — ხმობილი — მონდობილი — ცნობილი	48
მოგებულსა — დიდებულსა — სწავლებულსა — დადებულსა	53
მარებლად — მოსახმარებლად — დასადარებლად — მიუმც- დარებლად	70
ნაუბარი — უგრძნობარი — ნადებარი — ნაგუბარი	88
მწყრომარე — მდგომარე — საომარე — მჯდომარე	91
შესაპყრობელად — საწყალობელად — ხელ-აუპყრობელად — გასაპობელად	94
მფლობელი — ... მიუთხრობელი — მცნობელი — უშობელი	114
საძებარი — მოუბარი — უჩინარი — დაუქმნარი	132

სახელ-დებული — თავ-დადებული — დებული — იმედებული	150
დიდებული — თქმულები — გულ-დანაწყულები — ულები	175
დავედრებული — გამწარებული — რებული — ... შეიწრებული	188
აუჩქარებლად — მთვარებლად — გაუხარებლად — მარებლად	210
გამობმული — კარ-განხმული — ცრემლ-დასხმული — ... ბაკმული	230
დამტკბარია — მოუბარია — საგუბარია — ... ნალმობარია	244
ნაუბარი — საქებარი — დამთმობარი — საძებარი	258
მოსაყვანებლად — მაგულევანებლად — მოსაყვანებლად — დასაყვანებლად	280

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 91.

### სამმიმღობიანი რითმები

ნათარგმანები — საგოგმანები — საჭოქმანები — (ნები)	9
საცოდნარია — საწუნარია — საუბნარია — (წყნარია)	34
რგულია — (ორგულია) — სავარგულია — დაკარგულია	50
საწყინარისა — მოწუნარისა — საუბნარისა — (წყნარისა)	66
... მიუწთომელი — მხლტომელი — დაუშრომელი — (რომელი)	75
მისაწვევლად — მრხეველად — მღეველად — (მზე ველად)	96
დანაყბედსა — (ბედსა) — მხედსა — შემოქმედსა	113
სანატრელისა — (კრელისა) — შეუყრელისა — საყვარელისა	121
(სიყვარულსა) — ზრულსა — დაფარულსა — მხიარულსა	152
დაკარგულისა — (გულისა) — რგულისა — დადაგულისა	153
(კრელად) — გასაქრელად — უვაქრელად — დასაქრელად	162
ზრდილნო — გამოცდილნო — (ჩრდილნო) — შემოყრილნო	165
გარდასახვეწელი — (მე წელი) — შემომხვეწელი — დაულეწელი	167
მრჩეველად — (მე ველად) — მღეველად — მკვლეველად	186
დასადობლად — (ობლად) — დასანდობლად — შესანდობლად	246
დაკარგულო — (გულო) — დანერგულო — დადაგულო	309
სრეულმან — შემოქცეულმან — ჩვეულმან — (... ბადახშეულმან)	333
მოფარდაგულსა — (და გულსა) — დაგულსა — ნიადაგულსა	344
ნაუბარი — (ამირბარი) — საქებარი — ნახმობარი	370
წამოსრული (რული) — მხიარული — დაფარული	391

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 85.

### ორმომღეობიანი რითმები

გასატანისა — წასატანისა	2	დაღრეჯილი — არ-დაჯ-	
დასადარი — ნაუბარი	24	რილი	101
მქმნელია — საწუნელია	36	ფერ-ნამკრთალიო — მომა-	
დანაბადია — განაცხადია	39	ვალიო	104
სამოსელითა — ზე მხედვე-		ფარული — მხიარული	111
ლითა	45	შენაქმარი — დასანთქმარი	133
მოსანდომია — მჯდომია	57	გაზრდილი — გაყრილი	146
მოცინარითა — მოუბნა-		მთრვალია — გარდუვალია	158
რითა	59	გულ-მდუღარეთა — მოუ-	
გულ-მდუღარისად — მო-		ბარეთა	199
ლიზღარისად	86	პირ-გამქუშავია — უნა-	
გულ-მდუღარია — მოუბა-		ხავია	204
რია	92	მქამენი — მოსალამენი	218
ანაღრენსა — წანარბენსა	97	ჩანადენი — ანაყრდენი	219

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 120.

### ერთმომღეობიანი რითმები

მონაბერიტა 1, მიწყობილისა 5, მკვდარი 8, გასაგმირეთა 16, წყლულსა 30, ფერ-გამქრქალისა 42, ულევი 52, ნასუქალსა 55, განარბენია 78. ანატირსა 84, სანახავისა 85, დანაბადია 116, დანამქირად 127, შენარონია 142, მავალი 147, ქმნილი 169, შესართავისად 181, დასავგანი 187, მონაწყენია 193, მხიარული 197.

ამ ტიპის რითმა პოემაში არის კიდევ 218.

ჩვენი მსჯელობის შედეგები რომ შევაჯამოთ, უნდა ვთქვათ, რომ რუსთველის რითმებში ყველაზე ხშირად ზმნები გვხვდება (722), მერმე — მიმღეობები 594 (აქ, როგორც ვნახეთ, ოთხმომღეობიანი რითმები 111 სტროფში გვაქვს, სამიანი — 105-ში, ორიანი — 140-ში, ერთიანი — 238-ში, სულ, მაშასადამე, გვექნება 594). ეს არც გასაკვირია: ზმნისადმი ასეთი დიდი მიდრეკილება თავისთავად ნიშნავს მიმღეობისადმი მისწრაფებასაც, რადგან მიმღეობა, არსებითად თუ. ვიტყვით, იგივე ზმნაა, უპირო ზმნა, რომელიც ამავე დროს იბრუნვის. ის თავისთავში შეიცავს ზმნისა და სახელის ზოგიერთ მეტად დამახასიათებელ თვისებას, რის გამოც ახლო შინაარსობლი-

ვი კავშირი აქვს ზმნასთანაც და სახელთანაც. აი, ამიტომაც, რომ რუსთველის რითმებში ასე ფართო გამოყენება აქვს მიმღეობებს. ამ უკანასკნელის მხატვრულ-ეფფონიური მხარის მაღალ ღირსებაზე ზემოთ უკვე გვქონდა გაკვრიტ საუბარი და ახლა აქ აღარ გავიმეორებთ. ბოლოს დავძენთ, რომ მიმღეობებისადმი ასეთი სიყვარულითა და მრავალფეროვნების სურვილით აიხსნება, რომ ერთი და იგივე მიმღეობა ხშირად გვხვდება პარალელური ფორმებით, როგორც, მაგალითად: მონახსენი და მონახსენები, უნახავი და უნახველი, სანახავი და სანახველი, ნაბანი და ნაბანები, მწყრომარე და მწყრომელი, მფენი, მფენელი და მათენი, მჯდომი, მჯდომელი და მჯდომარე და ბევრი სხვა. მართალია, ამ მიმღეობათა თითოეული სახე რითმის მკაცრი საჭიროებით არის მოთხოვნილი: სადაც სამ ცალში რითმად გვაქვს: შემომდგომელი — რომელი — მკრომელი, იქ აუცილებლად უნდა იყოს მჯდომელი და სრულებით არ გამოდგება არც მჯდომარე და არც, მით უმეტეს, მჯდომი (მჯდომია); ასევე გაძოუსადეგარი იქნებოდა ერთმანეთის ნაცვლად სხვა აქ დასახელებული. პარალელური ფორმები. მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ეს ერთისა და იმავე შინაარსის მიმღეობის ნაირსახეობანი და პარალელური ფორმები მიმღეობებისადმი საერთო მიდრეკილებით აიხსნება.

### უღეტრები

რუსთველის რითმაში გარკვეული რაოდენობით მოიპოვება უღეტრები. აქ არის ზმნიზედები (არაოდეს, არასადა, აროს, ასდენ, გარე, დია, ვირე, ზედა, თანა, კიდე, მალე, მუნ, სადა, ოდეს, უკანა, შინა, წინა, ხვალე, ჯერე), ნაწილაკები (არა, განა, დასტურ, ვერა, მაშა, ნუ), თანდებულები (კიდე, თანა), შორისდებულები (აბა, გლახ, იპი, შაბა). ამასთან, ზოგი მათგანი ხშირადაც გვხვდება. ასე, მაგალითად, წინა 17-ჯერ არის წარმოდგენილი, შინა — 9-ჯერ, არა — 7-ჯერ, კიდე — 6-ჯერ, ოდეს — 5-ჯერ, გარე, ვირე და დია — ოთხ-ოთხჯერ და სხვა.

სულ, მთელ პოემაში ყველა სახის უღეტერი 85-ჯერ არის შერთმული მეტყველების სხვადასხვა ნაწილთან (80 სტროფში — 5 სტროფში ორ-ორჯერ გვხვდება). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პოემაში მხოლოდ 1669 სტროფია, უღეტრების გამოყენება საგრძნობლად დიდია.

რომელ მეტყველების ნაწილს ერთიმება უღეტერი? ირკვევა ერთი საკმაოდ მტკიცე კანონზომიერება: აბსოლუტურად უმეტეს

შემთხვევაში — ზმნას. 85 შემთხვევიდან უღეტერი ზმნას ერთმება 74-ჯერ (!), სხვა 11 შემთხვევაში კი — სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს (სახელებს, ისევ უღეტრებს). მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ 11 შემთხვევაში სტროფის (რითმის) დანარჩენი 2 წევრი მაინც ზმნაა 7-ჯერ, ორ შემთხვევაში მხოლოდ თითო-თითო ზმნაა, და მხოლოდ ორია ისეთი მაგალითი, სადაც არც ერთი ზმნა არ არის. მაშასადამე, არსებითად თუ ვიტყვი, ამ 11-დან ცხრაში მაინცა გვაქვს უღეტრისა და ზმნის შერითმვა, მართალია, არა მიჯრითად (ერთი ან ორი ინტერვალით), მაგრამ საერთოდ სტროფში ორივე მათგანი გვაქვს. ასე რომ, ამ 85 შემთხვევიდან უღეტერი და ზმნა არსებითად 83-ჯერ გვექონია შერითმული და მხოლოდ 2-ჯერ — უზმნოდ, სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან (39: დანაბადია — კვლა ღია — განაცხადია — ხვადია; 581: ჭიპია — ღიპია — იპია — სიპია).

მაინც რატომ ხდება ეს ასე? რატომ აგონდება პოეტს უღეტრებთან მხოლოდ ზმნა და არა სახელი და მიმღეობანი? ეს უკანასკნელი გამორიცხულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მიმღეობის არც ერთი სახეობა არ შეეერთმება ზემოთ ჩამოთვლილ უღეტრებს, მაგალითად, ყველაზე ხშირად ნახმარ წინა-ს, რომ არაფერი ვთქვათ, ოდეს, ასდენ და მსგავს უღეტრებზე. ზმნებში კი ადვილად მოიძებნება ამათთან შესარითმავი მასალა, ზმნის პირიანი ფორმები, ვთქვათ, ისე, როგორც პოეტს აქვს: ოდეს — იტყოდეს, ასდენ — გაგვიფლასდენ, წინა — ეწყინა, ვერა — ეფერა, ჯერე — მოგიწერე და სხვა. ჩვენს ზმნებს, როგორც ფორმებით ყველაზე მდიდარს და მრავალფეროვანს, ყველაზე მეტად შეუძლიათ სათანადოდ შეეერთმონ ამ უღეტრებს და პოეტი სწორედ ამიტომ ეძალება მათ.

მეორე მხრივ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პოეტის განსაკუთრებული მიდრეკილება და სიყვარული ზმნებისადმი ამ შემთხვევაშიც პოულობს გამოხატულებას. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ურყევი და მეტად საინტერესო ფაქტია, რომ უღეტრებთან ზმნის შერითმვის პროცენტი 97,6-ს უდრის, ხოლო სხვა მეტყველების ნაწილებთან კი — 2,4-ს. თავისთავად ეს მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა.

რითმების დალაგების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ჩვენ მივღევთ შემდეგს წესს: თუ სამზმნიანი კატრენიდან უღეტერი პირველ ტაეპშია, მას სარითმო ცალად ვუწყობთ მეორე ტაეპის რითმას (ოდეს — იტყოდეს: 601), თუ იგი მეორე ტაეპშია, მის ცალად მოგ-

კვავს პირველი ტაების რითმა (მოუსმინა — წინა: 595), თუ მესამეში — მას ვურითმავთ მეოთხე ტაებს (განა — წაიტანა: 472), ხოლო თუ მეოთხეში, — მას ერთმება მესამე ტაები (გეწყინა — წინა: 1380). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სათანადო უდეტერს სტროფის რომელ სტრიქონსაც შევეუფლებთ, სულ ერთია, მის მეუღლედ ამ შემთხვევაში მაინც ზმნა აღმოჩნდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ზემოთ აღნიშნულ წესს მივყავებით.

ახლა წარმოვადგენთ თვით რითმებს:

ა) ზმნა — უდეტერი (უდეტერი — ზმნა)

კიდე — წავეკიდე	109 1 <sup>1</sup>	ვალვიდე	460 1
აღიდა — სადა	119 2 <sup>1</sup>	განა — წაიტანა	472 2
დაგბადა — სადა	135 1 <sup>1</sup>	გარე — ვინარე	504 2
გაიხარა — არა	160 2 <sup>1</sup>	ღამეძინა — შინა	534 2
ვაუზიარა — ეღვრი არა	178 2	არა — მომცდარა	534 2
შეიწოდეს — არაოდეს	196 2	ასდენ — გაგვიფლასდენ	540 2
წინა — მოეწყინა	238 2	გვახარა — გლახ, არა	548 2
კიდე — წავიდე	256 2	გამარიდე — (ჩემგან)	
გინა — შინა	264 1	კიდე	566 2
დავიმალე — ხვალე	271 2	წინარე — ვინ არე	568 1
შეეცადა — არასადა	275 2	მოუსმინა — წინა	595 2
ღაგესახა — გლახ, ა	291 2	ოდეს — იტყოდეს	601 2
დააკურა — დასტურ ა	326 2	ვირე — დავიჭირე	602 2
ღია — გარდმეთხია	350 2	მე ოდეს — ღამელეოდეს	602 2
თავის წინა — მინა	363 0	მუნვე — მოვებრუნვე	607 2
აბა — შემაბა	367 1	ვიარე — გარე	649 2
დაინაბა — შაბა	„	მიღამოდა — მოესხმოდა	721 2
ვირე — დავიჭირე	414 2	მოედინა — წინა	724 2
შევეუთვალე — მალე	438 2	გარე — და-მცა-ვფარე	728 1
მე არა — ეარა	450 2	შევაძკირეო — ვირეო	741 2
კიდის-კიდე — მოვსთ-			

<sup>1</sup> ციფრები 0, 1, 2 უჩვენებს თუ სტროფის დანარჩენ ორ რითმაში რამდენია ზმნა. აქედან ორი ნიშნავს, რომ მოცემული წყვილი რითმის გარდა სტროფში დანარჩენი ორი რითმა ზმნაა: აღიდა — სადა — შემოხადა — დაბადა (119) და ა. შ.

ბე მამა ვითა — დავამა- ვითა	763 2	შემეშინა — წინა	1207 0
აროს — იდამკნაროს	767 2	შენ ოდეს — გსმენო- დეს	1212 2
შინა — შეარჩინა	775 1	მოუგვრია — ღია	1233 0
მეფერა — ვერა	783 2	წინა — მინა	1237 2
(შენგან) კიდე — ველიდე	811 2	შინა — დაიძინა	1259 1
არა — მცთარა	888 2	მოათინა — წინა	1259 1
წინა — ააქშინა	892 2	ზოგიწერე — ჯერე	1287 1
მოვიდე — კიდე	937 2	გეწყინა — წინა	1380 2
წინა — დააჩინა	1076 1	უწინარე — დავიზარე	1382 0
შინა — ეწყინა	1076 1	ვირე — შეიწირე	1430 2
კარგა — ვარგა	1078 1	ნუო — გავათუო	1482 2
მტკიოდეს — ნეტარძი ოდეს	1088 2	ვერა — ეფერა	1526 2
არა — გაემწარა	1117 2	წინა — ეწყინა	1528 2
წინა — მინა	1123 0	გაექანა — განა	1529 1
შეაშინა — შინა	1130 0	თანა — მოევანა	"
თანა — ბრძანა	1199 1	კარგა — დაუკარგა	1585 2
განა — შემანანა		წინა — დგარჩინა	1612 1
		მოიარეო — გარეო	1657 1

### ბ) სახელი და უღებტერი

დანაბადია — კვლა ღია	39 0	შინა — არაეინა	1091 2
იპია — სიპია	581 0	წინა — შინა	1273 1
თავის წინა — არაეინ ა	634 2	თანა — უკანა	1374 2
შინა — წინა	687 2	ზედაო — ბედ-აო	1628 1
წინა — ვინ ა	987 2	რიდე — (მათგან) კიდე	1659 2
ღია — იმეღია	1059 2		

### III. შედგენილი რითმა

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი რაოდენობით გვხვდება შედგენილი რითმა. რითმის ცალკე ელემენტების შერჩევისას დიდი მრავალფეროვნებაა; აქ თქვენ ნახავთ სახელსა და სახელს (წამალსა — ამალსა), სახელსა და ზმნას (მე, ვინო — მათქმევინო), ზმნასა და ზმნას (ეთათსების — მას ების, დააკარვებდა — არ ვებდა) და სხვას. აქ აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ, გარდა ამისა, ზმნიზედები (შენ ოდეს — გსმენოდეს), თანღებულები (მასვე თანა — ბრძანა),

კავშირები (მწყრომარე — რომ არე), შორისდებულები (ახისა — ახ, ის ა), ნაწილაკები (წინარე — გამიცინა-რე). ერთი სიტყვით, აქ თქვენ შეხვდებით ყველას და ყველაფერს, რასაც კი შეუძლია მოგვცეს რითმის მეორე ცალთან სრული აკუსტიკური მსგავსება. კლაუზულის სრული მსგავსება კი წარმოადგენს რუსთველის რითმის ურყევ კანონს, რომლის დასაცავადაც პოეტი ათასგვარ საშუალებას მიმართავს. ზმნისწინი რომ ზმნისწინია<sup>1</sup>, რუსთველის ჯადოქარი ხელი მასაც აქტიურად აბამს რითმის შექმნაში. საქვეყნოდ არის ცნობილი ისეთი განსაკუთრებული, წმინდა რუსთველური რითმები, როგორცაა: უნდა — მუნ, და, მოამიწა — ამაყი, წა, გაუჩინარდა — ვინ არ, და, გარდიქცეოდა — მზეო, და, კარგა — გარ, გა და ბევრი სხვანი.

შედგენილი რითმები ჭარბად გვხვდება მეხოტბეთა ოდებში, აგრეთვე აღორძინების ხანის პოეზიაში. მაგრამ იქ მათ უმეტესად დიდი ხელოვნურობის ბეჭედი აზის, ხშირად თვითმიზნად არის ქცეული, ძნელი გასაგებია და კარგავს ჭეშმარიტი მხატვრული ხერხის ძალას. რუსთველის შედგენილი რითმები კი სრულიად ბუნებრივი და ადვილად გასაგებია; ამასთანავე ეს რითმები მოულოდნელია, რაც საუკეთესო რითმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა. და სწორედ ისაა, რომ ასე მაღალ მხატვრულ ეფექტს იძლევა.

მოვიყვან ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელი და მხატვრულად ძლიერი შედგენილი რითმის ნიმუშად მთელ სტროფს:

რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,  
ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს,  
მისსა მკვრეტელსა ალხინოს, ვერ-მკვრეტსა ავაგლახიოს?  
ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, ახი ოსი (711).

ამ დიდებული სტროფის ლამაზ შენობაში ყველა (ოთხივე) სტრიქონი ძლიერია, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა მეოთხე; აქ კი მთელი სტრიქონის ბატონ-პატრონია მოულოდნელი შედგენილი რითმა ახი ოს, რომელსაც წინ მიუძღვის სწორედ რუსთველური განმეორება რითმისა: ახი ოს ეყოს, ახი ოსი

შედგენილი რითმები „ვეფხისტყაოსანში“ ძალიან ფართოდ არის წარმოდგენილი დაბალ შაირში, მაგრამ ძალიან ცოტაა მაღალ შაირ-

<sup>1</sup> ზმნისწინი იმითმე კქვია. რომ ის ზმნის წინაა მოთავსებული, ამითმე ერთი შეხედვით მას არ შეუძლია რითმის შედგენაში მონაწილეობა მიიღოს, რადგან რითმაში სიტყვათა ბოლო ნაწილები შემოდის.



ში. ეს გასაგებებია: მაღალ შაირში გვაქვს ქალური (ორმარცვლიანი) რითმები, რომლის დაყოფაც ერთმარცვლიან სიტყვებად პოეტს ძალზე იშვიათად თუ დასჭირდება (ტევრად — პლევ რად, მე რვა — ბერვა, თუ რვა — მდურვა), დაბალ შაირში კი დაქტილური (სამმარცვლიანი) რითმები შედის, სადაც მთლიანი სამმარცვლიანი სართომო სიტყვების პოვნა ყოველთვის ადვილი არ არის, ამიტომ პოეტი ზოგჯერ მიმართავს რითმის შესადგენად ორ (იშვიათად სამ) სიტყვას. ამ ორი სიტყვიდან ჩვეულებრივ ერთი ერთმარცვლიანია, მეორე — ორმარცვლიანი (ხასები... — რას ები), უფრო ნაკლებად ჰირველი სიტყვაა ორმარცვლიანი, მეორე — ერთიანი (დანისად — ჯანი სად, ავაგლახიოს — ახი ოს, სარომან — არო მან, თმენისად — ცხენი სად, დლისისად — ისი სად. საჩივარად — მივა რად, სალა-მე — სალა მე). ამ მაგალითებს ერთი-ორი თუ დამატება, დანარჩენი ყველა პირველი სახისაა (მძებნელად — მზე ბნელად). ესეც ადვილი გასაგებია: დაქტილურ რითმაში ერთმარცვლიანი სიტყვის მოქცევა ტაეპის ბოლოს ზოგიერთ უხერხულობასთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მახვილის არაბუნებრივი განაწილების გამო. სწორედ ამიტომაც, დაქტილურ შედგენილ რითმებში აბსოლუტურად ჭარბობს ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვების შერთმვა (მდენელმან — მე ნელმან).

მაგრამ არის შემთხვევები, როცა შედგენილი რითმა ასე მარტივად არ იშლება. ამ მოვლენას სხვადასხვა სახე აქვს მაღალსა და დაბალ შაირში, ამიტომ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

მაღალ შაირში შედგენილი რითმა ჩვეულებრივ ორი ერთმარცვლიანი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს, მაგრამ ზოგჯერ ერთმარცვლიანია მხოლოდ მეორე შემადგენელი ნაწილი, პირველი, წინ მდგარი სიტყვა ორ — ან სამმარცვლიანია. აქედან უნდა ჩამოეჭრას უკანასკნელი მარცვალი და მიემატოს სტრიქონის ბოლოს წარმოდგენილ ერთმარცვლიან სიტყვას, მაგალითად:

ა) ო რ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ს ი ტ ყ ვ ა ს ე მ ა ტ ე ბ ა  
 ე რ თ ი მ ა რ ც ვ ა ლ ი

შემინახე — არ დაქნა ხე 157  
 არ ასრე ჯდა — გაიგლეჯდა 226

გამორჩევა — ვით დავრ-  
 ჩე, ვა 243  
 ერთხელ ვა — ლელვა 605

ბ) სამმარცვლიანი სიტყვას ემატება  
ერთი მარცვალი

საეკვი რად — ჰირად	127	წვერვა — ათასჯერ ვა	707
დაგეხოცა — მოლახო ცა	128	ვლაშე — მარტოსა მე	1096
ზალვა — იღუმალ ვა	412	მზერა — სიძუნწე რა	1406
ტურვა — დიატურ ვა	614		

ესაა სულ. აღსანიშნავია, რომ აქ წარმოდგენილი 11 შემთხვევიდან ხუთში (!) რითმის მეორე შემადგენელ ნაწილად ვა შედის.

დაბალი შიირის შედგენილ რითმებში ჩვეულებრივ უნდა გვქონდეს (და გვქვს კიდევ) ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი (ან, იშვიათად, ორმარცვლიანი და ერთმარცვლიანი) სიტყვები, მაგრამ ზოგჯერ აქაცაა შემთხვევა, როცა ორმარცვლიანი (ან ერთმარცვლიანი) სიტყვასთან მოცემულია არა ერთმარცვლიანი (ან ორმარცვლიანი) სიტყვები, არამედ სამმარცვლიანები და ოთხმარცვლიანები, რის გამოც აუცილებელი ხდება ამ უკანასკნელთ ჩამოეჭრას ერთი (ან ორი) მარცვალი და მიემატოს სტრიქონის ბოლოს წარმოდგენილ სიტყვებს. აი, ამის ნიმუშები:

ა)

საკოჭმანები — ლამაზმან		კაცისა — მიგვიდრკა ცისა	825
ნები	9	ზისქირდა ვითა — ამბავითა	844
გავეცხადენით — სისხლისა		ნტკიოდეს — ნეტარძი	
დენით	557	ოდეს	1088
ჯარისა — ეაჯა რისა	613	დანაბადამან — ვისმანლა	
ტიალსა — დავეწვი ალსა	628	დამან	1244
მრავალთა — დაუწვაგ		მფრქვეველად — მოაჯე	
ალთა	637	ველად	1358
მოერწყო ველი — ყოველი	644	პირითა — გადვიხდი რითა	1452
პირისა — მომხვეჭი რისა	691	ოავისსა — მოეკლა ვისსა	1543
შავითა — მე მაშა ვითა.	763.	მძებნელად — მომიღებ	
		ნელად	1586

ბ).

გაიგონა მან — კონამან	81	მაგარ-ვადამან — გა-	
შაოანამან — შეიყვანა მან	266	უცხადა მან	1244
გაიყვანა მან — დანამან	358	ქალისად — ფერ-ნამკრთა-	
სახემან — შევინახე, მან	738	ლი სად	1264

დადაგულისად — დაკარგუ-	
ლი სად	1297
წა-ცა-ხვია მან — იამან	1324
გა-ცა-შალა მან — მკრთალ-	
მან	1346

წარხდომილისად — მონ-	
დომილი სად	1350
გმირისად — ქვიტყირი	
სად	1401
ააყენა მან — ლხენამან	1487
დააშვენა მან — წყენამან	1662

შედგენილ რითმაში, როგორც წესი, შედის ორი ელემენტი. მაგრამ იშვიათად რუსთველის შედგენილ რითმაში შეიძლება სამი ელემენტიც იყოს მოცემული. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ დამოუკიდებელ სიტყვებს და არა ამა თუ იმ სიტყვასთან ერთად წარმოდგენილ ნაწილებს (ვთქვათ, ასეთს: მე, ვინ-ო — მათქმევი-ნო; დაუსახეო — და ხე-ო).

ამგვარი სამელემენტოანი შედგენილი რითმებია:

ხედ არად — მე და რად	281	შნახისა — ახ, ის ა	688
ბადესა — მზად ეს ა	574	წესითა — მზე სით ა	927

აქ სარიტმო კლაუზულაში შედის პირველ შემთხვევაში ელად, მეორეში — ადესა, მესამეში — ახისა და მეოთხეში — ესითა. აღსანიშნავია, რომ პირველი რითმის მეორე ცალიც შედგენილია, ოღონდ ის მხოლოდ ორი ელემენტისაგან შედგება (ხედ არად).

მაჯამებში ასეთი, სამელემენტოანი რითმებია:

ასადაგეს — ა, სად აგეს	137	ღარიანო -- და არ იანო	1537
------------------------	-----	-----------------------	------

მართალია, უკანასკნელი რითმის (და არ იანო) პირველი სიტყვა (და) არ შედის კლაუზულაში, იგი მის წინ დგას, მაგრამ აკუსტიკურ შთაბეჭდილებად მაინც ღარიანო რჩება. ესეც ერთ-ერთი რუსთველური მხატვრული მიგნებაა.

ახლა ვიკითხოთ: მაინც სახელდობრ რა და რა სიტყვები გვაქვს შედგენილ რითმებში და როგორი სიხშირით? როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ არის ყველა მეტყველების ნაწილი, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაზე ხშირად წარმოდგენილია მოკლე-მოკლე (ერთ-მარცვლიანი და ორმარცვლიანი) სიტყვები. ესენია ყველაზე მეტად ნაცვალსახელები, კავშირები, ნაწილაკები, ზმნისწინები და სხვანი. აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებს, რომლებიც შედ-

ვენის რითმებში შედის (პირველ თუ მეორე შემადგენელ ნაწილად). სწორედ ესენია, რომ რითმის გამართვას ეხმარება (ორძარცვლიანი სიტყვები ასე თუ ისე უფრო დამოუკიდებელია და აქ მასზე ცალკე მსჯელობა არ არის საჭირო). ასეთი სიტყვებია: მე (გვხვდება 37-ჯერ), ა (არს ზმნის შემოკლებული ნაწილი, გვხვდება 25-ჯერ), და (24), რა (სხვადასხვა ბრუნვაში — 12), მან (11), სად (10), ხე (სხვადასხვა ბრუნვაში — 9), მზე, და (ზმნისწინი — 7 — 7), არ, ვა, თუ, ვინ, მი (ზმნისწ.), რე (6 — 6), წა (5), გლახ (4), ახ, ეს, ზე, კვლა, მო, მუნ, რვა, შენ (3 — 3), ან, აწ, ვერ, ვთქვა, ვით, ის, კი, ღირს, შე (2 — 2), ამ, აჰ, ბარ, დრო, დღე, დღეს, ვში, თქვა, თხზა, ვირ, ვის, ვლერი, ვცნა, თქმად, იქ, კიდ, კმა, მას, მდის, მზად, მით, მძლე, მწვავ, მხდი, მხნე, ოხ, რომ, სით, სწვავ, სხვად, ტყე, ქვე, ღირსმც, ყო, ჩნდა, ცა, ცად, წნა, ხმდა, ჰე, ჰლევ (თითო-თითოჯერ).

ახლა მოვიყვანთ თვით შედგენილ რითმებს:

#### მაღალი შაირი

ისხეს — ედემის ხე	77	ამატირეს — ვირ ეს	645
ტევრად — ჰლევ რად	272	აუ რვა — მდურვა	650
მამაცურად — თუ რად	300	შე რვა — ბერვა	707
ჰკითხე — მით ხე	359	კადრად — სხვად რად	757
მღერა — დღე რა	484	აექეწნა — ხე წნა	760
გაპყო — აჰ-ყო	528	პერად — მე რად	786
სახიერმან — ვერ მან	576	და დრო — დავალადრო	859
ვით ჰხენ — მკითხენ	596	იხევა — მე, ვა	1145
ჩამობურვა — თუ რვა	614	იე რა — ვერა	1406
სიცხე — ისც ხე	629	ვით ხეს — მოიკითხეს	1424

(სულ 20).

#### დაბალი შაირი

ასული — და სული	33	იზე ველად — მდეველად	96
დანაბადია — კვლა დია	39	წელიწადია — კვლა დია	116
ვინ ების — გაედინების	49	და რული — ღვარული	111
ღარი სად — აღარისად	86	ასად აგეს — ასადაგეს	137

ეს ადრე — უყვითლე- სად-რე	139	მე მისად — თაყვანის- ცემისად	491
და ვალი — სწვავ ალი (მრავალი)	147	ჩემისად — ხე მისად	„
ზე რასა — წერასა	166; 235	არ იდენო — არიდენო	495
გარდსახვეწელი — მე წელი	167	არ იდენო — არიდენო	„
გაუზიარა — ვღვრი არა	178	ეთასების — მას ების	497
(დ)ანასა — და ნასა	179	ღანისად — ჯანი სად	517
ეოქვა ვისად — თავისად	181	მღებარე... — მზე ბარე	530
მრჩეველად — მე ველად	186	მქებარე... — მე ბარე	„
გაეცადენით — ცად ენით	205	გვახარა — გლახ, არა	548
დავეზიდენით — კიდ ენით	208	პჭდომარე — რომ არე	555
დავერიდენით — კი ღენით	„	დაემზადენით... — თქმად ენით	557
ზე რითა — ფერიტა	225	მოურევარი — მე ვარი	559
კაცისა — თქვა ცისა	227	წინარე — ვინ არე	568
სახესა — და ხესა	231	შენ ოდეს — ჰშვენოდეს	577
ზე, ვინო — მათქმევიწო	241	სმდა ვითა — ნავითა	604
მზე დარად — ქვე ბარად	281	ნე ოდეს — დამელეოდეს	606
ღანაბადია — ღანაბა დია	304	და დილსა — ხადილსა	608
ღანაბადია — და ნაბადია		გავანატენით — ან ტენით	618
მოფარდაგულსა — და გულსა	344	და მისად — წამისად	635
და ვისა — ნავისა	348	მრავალთა... — და ვალთა	637
გაიყვანა მან — ან ამან	358	არ ენით — დავადარენით	648
ეკლავ ალთა — მავალთა	361	ირემთანი — ზე მთანი	653
მრავალთა — და ვალთა	„	თვალ-დაფახული — და ხული	677
წამალსა — ამ ალსა	398	სამ ალი — სამალი	708
ავითა — და ვითა	404	ფვაგლახიოს — ახი ოს	711
ფიციტა — ვზი ციტა	413	დალა რად — აღარად	714
გავიზრახენით — გლახ, ენით	424	დაუსახეო — და ხეო	725
კაციტა... — და ციტა	425	კვლა დება — ცხადება	727
მე არა — ეარა	450	სარომან... — არო მან	771
და ბანი — კაბანი	478	ნე რეზად — ფერეზად	784
		(ურიც) მე ლევი — გელევი	816
		თმენისად — ცხენი სად	832
		და უნდეს — დაუძაბუნდეს	833

ათმანო — ვთხზა თმანო	835	წა-ცა-მყვანელად — აწ	
წამისად — და მისად	836	ნელად	1111
და ვითა — შესართავითა	844	მსახველად — ახ, ველად	1180
ვერ ია — ფერია	854	მე ვარი — მზღვევარი	1202
ტყე, ველი — მცნეველი	864	მტერულად — მე რულად	1206
სახელსა... — და ხელსა	871	მოვაგეარენით — არ ენით	1208
არ, ენით — შევიყარენით	882	მე რასა — მზერასა	1200
მხლი რასა — სირასა	884	შენ ოდეს — გსმენოდეს	1212
ჟამისად — ლამი, სად	885	ადარე — სად არე	1213
საუბარითა — ვთქვა რითა	889	სად არე — სად არე	"
დააკარვებდა — არ ვებდა	891	მოვიარენით — ბარ ენით	1218
და ხისა — წმახისა	896	წავეკიდენით — კი დენით	1234
მკმუნავი — თუ ნავი	938	ხასები... — რას ები	1243
ცათამდის — კვლაცა მდის	952	შესართავისად — ნავი სად	1253
ქცევითა — მე ვითა	979	მომალხენიე — შენ იე	1271
მზე ვითა — რხევითა	"	მძებნელი... — მზე ბნელი	1281
ისი სად — მქისისად	985	მტირალი — ვის ალი	1292
ვმუნვასა — მუნ ვასა	1003	ვაწები — აწ ები	1293
ახალ-ახალსა — გლახ,		საჩივარად — მივა რად	1308
ალსა	1012	ჰგია, მან — ლიამან	1324
წუხილსა — თუ ხილსა	1021	ბევრები — მევ რები	1336
მკლავითა — ჩნდა ვითა	1023	რჩევითა — მზე ვითა	1403
სამს ალებისა — სამ სა-		მე ვითა — სათნევითა	"
ლებისა	1026	ცხენები — მძლე ნები	1404
სამსა ლებისა — გასამსა-		ცხადება — კმა დება	1470
ლებისა	1026	შესახვეწელად — ზე წე-	
მძებარე — მე ბარე	1032	ლად	1484
წვერითა — მე რითა	1033	მე წელად — და-ცა-მლე-	
ბევრითა — მევ რითა	1061	წელად	"
გააწვეინა — მე ვინა	1079	და ზმისა — ნაკაზმისა	1519
მრავალთა... — მწვავ, ალთა	1092	არე-მარე — არე მარე	1532
		არემა, რე — არე მარე	1532
მავალთა... — ვცნა ვალთა	"	ღარიანო — და რიანო	1537
შაჟ-წვევითა — ხე ვითა	1098	სანახავისსა — და ვისსა	1543
დამაქმეველად — მე ვე-		იქები — იქ ები	1551
ლად	1101	მსახავად... — ახ, ავად	1565

ფრქვევასა — მე ვასა	1566	ქედია — ჰე, ღია	1598
ალამე — სალა მე	1576	მის თანაც არსა — ნაცარ-	
დაებადოსა... — არ დოსა	1578	სა	1513
მძებნელად — მზე ბნე-		წაღმართულია — თუ ღია	
ლად	1586		1615
თემთაო — ზე, მთაო	1592	ზღენელმან — მე ნელმან	1627
		(სულ 144).	

შედგენილ რითმად ითვლება აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა სიტყვას ემატება ა, არს ზმნის ნაშთი; ეს ხერხიც დამახასიათებელია რუსთველისათვის. ასეთი რითმებია:

სკამითა — ამითა ა	103	ღირს ა — მცირსა	675
ჟამითა ა — წამითა	„	მნახისა — ახ, ის ა	688
მედიდა — იეფად ა	135	წესითა — მზე სით ა	927
გაირბინა — თინათინ ა	171	გარდიქეოლა... — უმზნე-	
კენესით ა — წესითა	195	ოდ ა	954
არავინ ა — ეწყინა	264	წინა — ვინ ა	987
დაგესახა — გლახ, ა	291	სიალფესა — დღეს ა	1038
დააპკურა — დასტურა ა	326	შინა — არავინ ა	1091
ოაყვანის-მცა — ღირს-		ვინა ა — შინა	1123
მც ა	372	ვარდი ა ვისად — ყვავისად	
არა ღირს ა — მკვირსა	416		1253
უქადესა — მზად ეს ა	574	გვინა — ვინ ა	1273
გამვიდოდა — არ უდიდოდ ა		ჭირითა — არ-სიძვირით ა	
	603		1452
წინა — არავინ ა	634	ნებითა — ვნებით ა	1474
		(სულ 25).	

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ შედგენილი რითმების კიდევ ერთ სახეობაზე, რომელიც უადრესად დამახასიათებელია რუსთველისათვის და იმაში მდგომარეობს, რომ სტრიქონში წარმოდგენილი ზმნის-წინიანი ზმნისათვის ხაზის გასასმელად ეს ზმნისწინი მეორდება სტრიქონის ბოლოს შედგენილ რითმაში.

ერთ მაგალითს მოვიყვანთ. როსტევანმა ერთი მონა გაგზავნა წყლის პირად მჭდარი მტირალი ტარიელის ამბის გასაგებად. მონა დიდხანს იდგა ამ უჩვეულო რაინდის წინაშე, ეუბნებოდა მეფის

დანაბარებს და სთხოვდა, მისულიყო მეფესთან, მაგრამ ტარიელი მას ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს მონა უკან გამობრუნდა და მეფეს მოახსენა:

...შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა;  
 თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა,  
 ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მუნ, და (90).

ეს და, რომელიც წინ მდგომ სარიტმო სიტყვას უერთდება და ქმნის რიტმას (უნდა — შემიძრწუნდა — მუნ, და) არის სტრიქონში ნახმარი ზმნის (დავყოვნე) ზმნისწინის განმეორება. ამით მონას სწორს თქვას, რომ იქ დიდი ხანი დავყავიო: დავყოვნე, დიახ დავყოვნეო. აქ, როგორც ვხედავთ, ხაზი ესმება დავყოვნებას; სწორედ აღნიშნული მიზნითაა ეს ზმნისწინი სტრიქონის ბოლოს განმეორებული.

არსებითად ასეთივე დანიშნულებითაა პოემაში ნახმარი სხვა ამგვარი პოზიციის ზმნისწინებიც. ეს საკითხი ბევრი მკვლევრის სპეციალური მსჯელობის საგანი ყოფილა<sup>1</sup>, და აქ მასზე აღარ შევჩერდები, ოღონდ წარმოვადგენ სათანადო მაგალითებს:

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,	
მისთა მჰკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა	3.
შემიძრწუნდა — მით დავყოვნე ხანი, მუნ, და	90
გამიწამე — გაღანამცა წავე, წა, მე	134
მოამიწა — წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წა	209
ყმისად — მე მისრულვარ სადა, მი, სად	250
აეკიდა — დაეფანჩა მარეკი, და	270
ფიცისა — მიგცემსო ზენა, მი, ცისა	523
გაუჩინარდა — ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და	582
გამოვიდოდა — რად დავჰრიდო, და	603
არა უნდა — დაიხოცნენ იგი მუნ, და	609
ეხეწა — ვთქვი: წავიდე მათე მე წა,	627
დაილეწა — ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა	659
მინები — მისჭრიდა, მი, ნები	697
ფიცისა — მზე მიმეფაროს, მი, ცისა	706
დაებადა — დაება, და	734

<sup>1</sup> იხ. შ. ლონტი, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“, სოხუმი, 1961, გვ. 153 — 158. ნ. სათანადო ლიტერატურა იქვე.



პლვრიდა — ნუ დასკრი, და	914
გარდიქეოდა — რათგან დაგაგდე, მზეო, და	954
დაკარგა — ყმა გავიდა ლამით გარ, გა	1078
თნევითა — ნახა შესლვითა, შე, ვითა	1098
ვირითა — სრულად მიკრიფე, მი, რითა	1108
ოხისა — მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა, მო, ხისა	1260
ყორანი — საქმენი მომხვდეს, მო, რანი	1268
კოტანი — მოგვკლავს ალვისა, მო, ტანი	1387
გხეეწა — და წამიღონ მკვდარი მე, წა	1609

ყველა ამ (25) მაგალითში ზმნისწინი განმეორებულია სტრიქონის ბოლოს, შედგენილ რითმაში. აქედან 12 ისეთია, როცა ზმნისწინი შედგენილი რითმის პირველი ნაწილია (გამიწამე — წა, მე), ხოლო 13 ისეთი, სადაც ზმნისწინს შედგენილი რითმის მეორე, ბოლო ადგილი უჭირავს (უნდა — მუნ, და).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შედგენილ რითმაში პირველი ადგილი უჭირავს მი, მო, შე ზმნისწინებს (სათანადოდ 6, 3 და 2 შემთხვევაა), ხოლო ბოლო ადგილი — და, გა, წა<sup>1</sup> ზმნისწინებს (სათანადოდ 8, 1 და 4 შემთხვევაა). ეს ყველაფერი ადვილად მისახვედრია: და დაბოლოებიანი სიტყვა (სახელი და ზმნა, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) სავსეა ჩვენს ენაში, ხოლო მი, მო, შე დაბოლოებიანი — ძალიან მცირე.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ზმნისწინი, რომელიც ზმნის შემოკლებულ სახეს წარმოადგენს, სტრიქონის ბოლოს გვხვდებოდა და ამიტომ შედგენილ რითმაში შედიოდა პირველ ან მეორე შემადგენელ ნაწილად. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ არის ერთი შემთხვევა, როცა ასეთი შემოკლებული ზმნა, მარტო ზმნისწინის სახით წარმოდგენილი, მოთავსებულია მთავარი ცეზურის შემდეგ (ნახევარსტრიქონის ბოლოს), მაშასადამე, მას არავითარი კავშირი არა აქვს რითმასთან, აი, ეს მაგალითიც:

მე დავახვედრო ესე მზე, და-, მისთვის დამზადებული 1185. და აქ აძლიერებს სტრიქონში გამოთქმულ აზრს (დავახვედრებ ამ მზეს, დიახ, დავახვედრებ), ამავე დროს მონაწილეობას იღებს მეტ-

<sup>1</sup> ერთჯერ წა შედგენილი რითმის პირველ ნაწილადაც გვევლინება: გამიწამე — წავე წა, მე.

რის მოწესრიგებაში, მაშასადამე, მას სხვა ორი მხატვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული.

დასასრულ, აღვნიშნავ ამნაირი განმეორების კიდევ ერთ განსაკუთრებულ შემთხვევას. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში მეორდება არა ზმნისწინი, როგორც ეს ჩვენ მიერ განხილულ ყველა მაგალითში იყო, არამედ სახელი, რომელიც იქვე გაზმნავებული სახითაც არის წარმოდგენილი. წესი აქაც იგივეა: მოკლდება სიტყვა და იგი მოცემულია მისი პირველი მარცვლით.

ამის ერთადერთი მაგალითია:

ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არემა რე 1532,3

რე აქ უნდა ნიშნავდეს რემას, ჯოგს. ტაეპის აზრი ასეთია: ვისაც გიშერსავით შავი, სქელი (დააჯოგა) და ასევე ხშირი (რემა) წამწამები აქვსო (საუბარი ეხება თინათინს). დააჯოგა და არემა, რომლებიც სტრიქონის პირველსა და მეორე ნახევარში გვხვდება, ერთი და იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, ორივეგან იგულისხმება შავი და ხშირი თმები და წამწამები. ორივე შემთხვევაში ეს სიხშირე მეტაფორებით არის გამოხატული: პირველში სიხშირის, ბევრის, სიმრავლის გამოხატველი მეტაფორაა ჯოგი, მეორეში რემა. ასე რომ, არემა რე-ში ბოლო რე რემა-ს შემოკლებული პირველი მარცვალი უნდა იყოს და არა რე ნაწილაკი<sup>1</sup>, რასაც აქ არავითარი გამართლება არა აქვს.

ამ თავის მიმოხილვის შემდეგ დავუმატებთ, რომ შედგენილ რითმებს ახალ ქართულ პოეზიაშიც ხშირად მიმართავენ. ამ მხრივ სხვებზე მეტად გამოირჩევა ა. აბაშელი, რომელსაც ასეთი რითმებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ხომ არი — ნაომარი

აპრილიან მთებს — აბრი-

ლიანტებს

ღთის ტოტი — ამესთვისტოთი

ბარათებს — არ ათეეს

ან ქალებს — კანკალებს

ვარეთ ქვა — არ ეთქვა

სცსხამი — თბილისის ღამე

ჩაჰკიდე — დაგრჩა კიდევ

რათ არ ჰშველის — ბარათა-

შვილის

დაუგო ნარი — გაუგონარი

<sup>1</sup> როგორც ზოგიერთები ფიქრობენ.

საქვეყნოდ ცნობილია პოეტების ტურნირში გამარჯვებული ერთი ამგვარი შედგენილი რითმა გ. ტაბიძისა — სილაში ვარდი — სილა-უვარდე.

აი კიდევ რამდენიმე ამგვარი დამახასიათებელი რითმა გალაკტიონის ლექსებიდან:

თუ არა — გადაუარა	ამ ივლისს — დამივლის
ეგ არ ივებს — შეგვარივებს	არ იცის — თათქარიძის
ამ ბაღებს — აზამბახებს	მაშინ ელი — საშინელი
ქაფი ქრება — ჩაფიქრება	ცას ღვარი — საზღვარი

გ. ლეონიძეს უყვარს შედგენილ რითმაში არი მეშველი ზმნის სმარება:

გრიალი — სიმაგრე არი	შუბლნატყვიარი — ტყვე არი
ემბაზი არი — შენაზიარი	ფიცარი — ამაგიც არი და სხვა.

მაგრამ გ. ლეონიძეს აქვს, რასაკვირველია, სხვაგვარი შედგენილი რითმებიც, როგორც, მაგალითად:

არ იშლის — ქარიშხლის	წამაწუხა — ნუ ხარ
დარაჯა — არა ჩანს	რა ვიცი — ლავიწი
დასადარელი — არსად არ ელი	აშენდა — დიდება შენდა

### პ. ი ა შ ვ ი ლ ი :

ბინა შენ — წინაშე	რა ხანი — ჭახანი
არ ჩანს — ფარჩანს	ფეხშიშველი — ტყეში შველი
საყენესარი — დღეს არი	არ ველი — მფარველი
უარი — ყრუ არი	ლეკვი ვარ — წავუღეკივარ
საროს ტანს — წყაროსთან	ნამამაცარი — რაც არი

არი ზმნის გამოყენება, როგორც ვხედავთ, პ. იაშვილსაც ახასიათებს.

### ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი .

ან ავად არი — ნათავადარი	სარდაფები და — დაფდაფე-
ის აღარ არის — სიჭალარავის	ბიდან

მომე — რო მე  
თუ რად — უგუნურად

საქმე — აქ მე  
ნუ ჰხრი — მწუხრი და სხვა.

შედგენილი რითმა სრულიად უცხოა რითმის ისეთი დიდებული ოსტატისათვის, როგორც ვ. გაფრინდაშვილი იყო. იგი საკმაოდ პოულობდა მთლიან სიტყვებს და არ უყვარდა რითმის დანაწევრება. ამიტომ ორიოდ ისეთი რითმა, როგორცაა ნუ ელი — დუელი, ჰკუა ფიორი — კუაფიორი, რომლებიც მის ლექსებში გვხვდება, სრულიად შემთხვევითია და უმთავრესად აიხსნება პოეტის დიდი მიდრეკილებით უცხოურ ენათა სიტყვების, გამოთქმებისა და სხვადასხვა თხზულებათაგან. ამოღებული საკუთარი სახელებისადმი, რომელთა შესარითმავადაც პოეტი იძულებული იყო ძალზე იშვიათად შედგენილი რითმისათვისაც მიემართა.

თუ ჩვენ მიერ მოყვანილსა და კიდევ ორიოდ საექვო მაგალითს მხედველობაში არ მივიღებთ, შედგენილი რითმის სხვა ნიმუშები მას არც გააჩნია.

შედგენილი რითმა დღეს ბევრ სხვა ქართველ პოეტსაც მოეპოვება<sup>1</sup>, მაგრამ მათზე ახლა აქ ვერ შევჩერდებით. ამას სპეციალური შესწავლა ესაჭიროება. ჩვენი მიზნისათვის აქ სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია. ამით ჩვენ გვსურდა გვეთქვა, რომ რუსთველის რითმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება დღესაც სიცოცხლისუნარიანი და მოქმედი, მას დღესაც მიმართავენ და მომავალშიც ასევე დიდი სარგებლობით გამოიყენებენ.

#### IV. შეტული რითმა

შეტულ (შეთავსებულ) რითმას ისეთ რითმას ეძახიან, რომელიც მთლიანად შედის რითმის სხვა ცალში (ან ცალებში), ან: რომელსაც მთლიანად შეიცავს რითმის სხვა ცალი (ან ცალები). ტერმინი შე-

---

<sup>1</sup> შედგენილი რითმა უკიდურესობამდე მიიყვანა სეზმან ერთაწმინდელმა. ზოგჯერ მისი ამგვარი რითმები იმის კარგი ნიმუშია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოეზიაში ტაქტისა და ზომიერების გრძნობას და როგორ შეუძლია გადკარბებასა და უკიდურესობას დამახინჯებამდე მიიყვანოს თვით მშვენიერება და პოეზია

თავსებულო აკ. გაწერელის ეკუთვნის<sup>1</sup>, ხმარობენ სხვებიც<sup>2</sup>. ჩვენ აზრით, ასეთი ცნებისათვის უმჯობესია შეცული, რადგან მისი პირიანი ფორმა შეიცავს უფრო ნათლად და გასაგებად გამოხატავს საქმის შინაარსს, ვიდრე ითავსებს, შეითავსებს.

შეცული რითმა „ვეფხისტყაოსანში“ ძალიან ხშირად გვხვდება. ამის მაგალითია:

ნათურქაღსა — ნასუქაღსა — ნაბუქაღსა — ქაღსა 55

აქ კატრენის ერთი წევრი ქაღსა მთლიანად შედის სამ სხვა წევრში (სხვა წევრები მთლიანად შეიცავენ მას). ესაა ოთხწევრიანი შეცული რითმა. ასეთი შეცული რითმა პოემაში არის სულ 227.

აქ კატრენის ყველა წევრი\* დასაქმებულია: სამი შემცველია, ერთი — შეცული.

შესაძლებელია ერთ შეცულთან მხოლოდ ორი იყოს შემცველი. ამ შემთხვევაში გვექნება სამწევრიანი შეცული რითმა. ამის მაგალითი იქნებოდა:

ცრემლ-დათხეული — (გამორჩეული) — რხეული — ხეული 4

აქ შეცული რითმა ხეული მთლიანად მეორდება პირველსა და მესამე ცალებში (მას აღარ შეიცავს II ცალი). პოემაში ასეთი სულ 75 მაგალითია.

დასასრულ, შეიძლება, რომ ერთ შეცულთან მხოლოდ ერთი შემცველი იყოს, ორი დანარჩენი წევრი აღარ შეიცავდეს მას, მაგალითად:

ხელითა — ცხელითა — (საკვირველითა — ბნელითა) 283.

აქ შეცული რითმა ხელითა მთლიანად შედის მხოლოდ ერთ ცალში (ც-ხელითა), ორი დანარჩენი ცალი მას აღარ შეიცავს. ამ შემთხვევაში გვექნება ორწევრიანი შეცული რითმა. პოემაში ასეთია სულ 88 მაგალითი. სულ სამივე სახისა არის  $390 (227 + 75 + 88 = 390)$ .

უპირველად შეცული იქნება რითმა, თუ იგი კლაუზულის დასაწყისის ხმოვნით იწყება:

ზენათა — ენათა — აღმაფრენათა — წყენათა 20

<sup>1</sup> აკაკი გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 188—189; მისივე: ქართული ლექსი, 1955, გვ. 111.

<sup>2</sup> აკაკი ხინთიბიძე, პოეტური ხელოვნების საკითხები, 1961, გვ. 153—154.

აქ კლაუზულა და შეცუული რითმა (თუ სარიტმო სიტყვა) ერთმანეთს ფარავს. ასეთია კიდევ:

ა: მალვა — ხალვა — ალვა — კრძალვა	27
მოიარენით — არენით — მოიჯარენით — გავიხარენით	71
სამითა — სკამითა — დრამითა — ამითა	1062
ე: ენითა — წყენითა — აღმაფრენითა — ფრფენითა	22
ტარიერსა — მონაწერსა — ერსა — შენ-მიერსა	401
მღვრელია — ელია — მკლველია — ძნელია	942
ი: (გამამკლავნოს) — ივნოს — მოაყივნოს — ატკივნოს	29
იღოს — დაჰრიდოს — წაწყმიდოს — წამეკიდოს	306
გარდნაკიდარი — იდარი — მდიდარი — განაზიდარი	612
ო: ორი — სწორი — შორი-შორი — ჯორი	15
ოცია — დაუხოცია — შეუტყუორცია — დაგვიხოცია	81
ომსა — მწთომსა — ზომსა — ლომსა	328
უ: მრუში — უში — ქუში — მტლამა-მტლუში	25
დიდებულები — თქმულები — გულ-დანაწყლულები — ულები	175
დავიურვეთ — მოიცურვეთ — მოასურვეთ — ურვეთ	639

პოემაში არის ორმაგად შეცუული რითმებიც, რომლის ნიმუშსაც წარმოადგენს 42-ე სტროფი:

ქალისა — აქ ალისა — ბროლ-ფიქალისა — ფერ-განამქრქალისა.

რომელია აქ შეცუული რითმა? ასეთი იქნება ორი: ალისა და ქალისა. თუ შეცუულად მივიჩნევთ ალისა-ს, ის ოთხწევრიან მწყობრში ჩადგება და შემცველებად ექნება ყველა დანარჩენი სამი წევრი; ხოლო თუ ასეთად ქალისა-ს ჩავთვლით, მაშინ ის შევა სამწევრიან ჯგუფში და შემცველად მხოლოდ ორი წევრი ექნება: ბროლ-ფიქალისა და ფერ-განამქრქალისა.

ერთი შეხედვით აქ შეიძლება კაცს ეგონოს ქალისა ოთხწევრიან ჯგუფში შედისო და ერთ-ერთ შემცველ წევრად აქ ალისა დაასახელოს: აქ-ის ქ+ალისა მართლაც იქნება ქალისა. მაგრამ არა: როცა შეცულ რითმაზეა ლაპარაკი, მხედველობაშია მიღებული ერთი ცალკე აღებული სიტყვა და არა ორი სიტყვის ჯამი. ეს უკანასკნელი შედგენილ რითმას განეკუთვნება და იქ არის განხილული. აქ მას ადგილი არა აქვს.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. განხილულ სტროფში მაინც გვაქვს ორი შეცული რითმა: ალისა (ოთხწევრიანი) და ქალისა (სამწევრიანი). სად შევიტანოთ იგი: ოთხწევრიანთა თუ სამწევრიანთა ჯგუფში? ორივეში ხომ არა? ჩვენ წესად მიღებული გვაქვს, რომ ამ ტიპის ნიმუშები შევიტანოთ უმაღლეს ჯგუფში (ამ შემთხვევაში ოთხწევრიანთა ფენაში). მაშასადამე, შემდეგში მსგავს შემთხვევებში შეცულად მიჩნეულ იქნება კატრენის უმცირესი ერთეული (ალისა-ს მაგვარი) და შეტანილი იქნება უმაღლეს ჯგუფში.

არის კიდევ ორმაგად შეცული რითმის ერთი (ერთადერთი) განსაკუთრებული სახე, როცა ერთ სტროფში ორი სულ სხვადასხვა შეცული გვაქვს. ამის მაგალითს იძლევა 1563-ე სტროფი, სადაც ასეთი წყვილები გვხვდება:

რიდითა — გა ი ც დ ი დ ი თ ა — დ ი დ ი თ ა — გა-ცა-  
სკრიდითა.

აქ რიდითა მთლიანად შედის ტმესიან ფორმაში გა-ცა-სკრიდითა, ხოლო დიდითა არის დამოუკიდებელი ნაწილი ზმნის ფორმისა გა-იცდიდითა. ორივეგან ორ-ორწევრიანი ჯგუფია. ისინი ორჯერაა ნაანგარიშევი, თუმცა ორივე ერთ სტროფში შედის.

ზემოთ გაკვრით გვქონდა შენიშნული, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სშირად გვხვდება შეცული რითმა, რომელიც იმავე დროს შედგენილიცაა: შედგება ორი (ან მეტი) ნაწილისაგან, მაგალითად:

გულ-მდულარისად -- მოლაზლარისად -- ღარი ხად —  
ალარისად

86

ეს აღრე — უყვითლესად-რე — უგრძესად-რე — წესად-რე

139

როგორც უკვე ვამბობდით, ამ ტიპის შეცული რითმები, უპირველეს ყოვლისა, შედგენილია, ისინი ერთ, მთლიან, განუყოფელ სიტყვას არ წარმოადგენენ, ამიტომ უფრო მეტი საბუთია, რომ სწორედ შედგენილ რითმებში იქნეს განხილული. და ასეც არის. მაგრამ რადგანაც სხვა, ჩვეულებრივი შედგენილი რითმებისაგან ესენი იმით განსხვავდებიან, რომ მთლიანად შედიან შემცველ რითმებში (ეს აღრე — წ-ესადრე), მაშინ როდესაც პირველი ტიპის რითმებში უმეტეს ნაწილად ასე არ ხდება (მე რასა — წერასა); ამიტომ ამ სახის შედგენილი რითმა (შეცული რითმა) ცალკეა ნაანგარიშევი, ისინი პოემაში 146 სტროფში გვხვდება.

რა ადგილი უჭირავს სტროფში შეცულ რითმას? იგი ყველგან გვხვდება: არის პირველ ტაეპში, მეორეში, მესამესა და მეოთხეშიც. ზოგში უფრო ხშირად, ზოგში უფრო ნაკლებად. ერთი საერთო ტენდენცია ადვილად შესამჩნევია: პირველ ტაეპებში (I, II) უფრო ხშირია, ბოლო ტაეპებში (III, IV) — ნაკლები. მაგრამ ვუჩვენოთ ჯერ სათანადო რიცხობრივი მაჩვენებლები, მსჯელობა შემდეგ უფრო ადვილი იქნება.

### ოთხწევრიანი შეცული რითმები

- ა) შეცული რითმა გვხვდება I ტაეპში. ნიმუში:  
 ტანისა — სატანისა — გასატანისა — წასატანისა<sup>1</sup> 2
- ამ ტპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდეც 66.
- ბ) შეცული რითმა გვხვდება II ტაეპში. ნიმუში:  
 ზენათა — ენათა — აღმაფრენათა — წყენათა 20
- ამ ტპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდეც 65.
- გ) შეცული რითმა გვხვდება III ტაეპში. ნიმუში:  
 მალვა — ხალვა — ალვა — კრძალვა 27
- ამ ტპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდეც 50.
- დ) შეცული რითმა გვხვდება IV ტაეპში. ნიმუში:  
 ნაერთგულევი — დანაბეჭდულევი — ნაუფლისწულევი —  
 ულევი 52
- ამ ტპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდეც 42.

### სამწევრიანი შეცული რითმები

- ა) შეცული რითმა I ტაეპშია. ნიმუში:  
 ეზროს — და-ცა-ეზროს — ეზროს — იაბეზროს 177  
 მელია — (არ-საქმნელია) — ხვარაზმელია — არ-რომელია 51!

<sup>1</sup> მართალია, ამ შეცულ ტანისა-ს წინ უძღვის სა-ზე დაბოლოებული სიტყვა ყველისა, რომლის სა-ც წინიდან უერთდება მომდევნო ტანისა-ს და ისევ სატანისა-ს აქუსტიკურ შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ასეთი რითმა არ ითვლება შეტულად და ჩვენც არ განვიხილავს. აქ ამოსავალია ცალკე ერთეული ტანისა, ისაა შეტული და დანარჩენები მხოლოდ შემცველებია.



აქ პირველ შემთხვევაში შეცუული რითმა მეორდება მესამე ტაეპ-ში (სხვა მნიშვნელობით), მისი შემცველი მხოლოდ ორია (და-ცა-ეზროს, იაბეზროს). ამიტომ ასეთი შემთხვევები სამწევრიან ჯგუფშია შეტანილი და არა ოთხიანებში. სტროფების აღნიშვნისას ასეთი შეცუული რითმების განმეორება აღნიშნულია სტროფის სათვალავ რიცხვზე ზემოთ (მარჯვნივ) მეორედ განმეორებული ტაეპის ციფრის მიწერით (177<sup>3</sup>), რაც ნიშნავს: ეზროს პირველი ტაეპის შეცუული რითმა მეორდება აგრეთვე მესამე ტაეპშიც.

მეორე შემთხვევაში ფრჩხილებში ჩასმული რითმა (არ-საქმნელია) არ შეიცავს შეცულ რითმას.

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 24.

ბ) შეცუული რითმა II ტაეპშია. ნიმუში:

(გაამქლავნოს) — ივნოს — მოაყივნოს — ატკივნოს 27

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 24.

გ) შეცუული რითმა III ტაეპშია. ნიმუში:

მოფარდაგულსა — (და გულსა) — დაგულსა — ნიადაგულსა 344

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 14.

დ) შეცუული რითმა IV ტაეპშია. ნიმუში:

ფარ-შიმშერისა -- თმა-გიშერისა — (შე, რისა) — მი, შერისა 3

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 8.

### ორწევრიანი შეცუული რითმები

ა) შეცუული რითმა I ტაეპშია. ნიმუში:

ღრონია — უკაღრონია — (ციხე — უმაგრონია — პატრონია) 400

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 29.

ბ) შეცუული რითმა II ტაეპშია. ნიმუში:

ღანაყბედსა — ბედსა — (მხედსა — შემოქმედსა) 113

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 27.

გ) შეცუული რითმა III ტაეპშია. ნიმუში:

(განაზარდი) — გამოვეარდი — ვარდი — (დამიწყნარდი) 433

ამ ტიპის სხვა მაგალითი პოემაში არის კიდევ 20.

დ) შეცუული რითმა IV ტაეპშია. ნიმუში:

(ნაუბარსა — გვარსა) — ნახოკარსა — კარსა 842

ამ ტიპის სხვა მაგალითებია შემდეგ სტროფებში:

97, 1037, 1130, 1400, 1448, 1464, 1491, 1600 (სულ 9).

თავი რომ მოვეყაროთ ზემოთ თქმულს, შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით შევაჯამოთ:

### შეცული რითმა არის

	I ტ.	II ტ.	III ტ.	IV ტ.	სულ	%
ოთხწევრიანი	67	66	51	43	227	58,2
სამწევრიანი	26	25	15	9	75	19,2
ორწევრიანი	30	28	21	9	88	22,6
სულ . .	123	119	87	61	390	100

ცხრილიდან ჩანს, რომ შეცულ რითმათა შორის ყველაზე მეტია ოთხწევრიანები (58,2%). ეს კი იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ღიდი ნაწილი მაღალხარისხოვანია, ერთნაირია მათი არა მარტო კლაუზულა, არამედ საყრდენი თანხმონები და მათ წინ მდგარი ხმონებიც. აქედან თავისთავად გამოდის, რომ შეცულ რითმათა უდიდესი ნაწილი ღ რ მ ა და მ დ ი დ ა რ ი ა . დააკვირდით, რა ოსტატურად არის ერთნაირი ბგერებით შეერთებული კლაუზულის წინა თანხმონები და ხმონები:

რგ-ულია — ო-რგ-ულია — სავა-რგ-ულია — დაკა-რგ-ულია 50  
 (ყოვლი)-სა ტ-ანისა — სა-ტ-ანისა — გა-სა-ტ-ანისა — წა-სა-ტ-ანისა 2

ასეთი ძალითა და ცოდნით მხოლოდ დიდოსტატს შეუძლია წერა.

ცხრილიდან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ შეცული რითმები ღიდი რაოდენობით გვხვდება პირველ და მეორე ტაეპებში (მათ შორის პირველში მეტია, მეორეში — შედარებით ნაკლები), საგრძნობლად მცირდება მესამეში, ხოლო მეოთხეში სულ ცოტადაა. ესეც შოთას რითმების მაღალ გამომსახველობით ძალაზე ლაპარაკობს. რითმაში პოეტი ჯერ გვაწვდის შეცულ წევრს (რგულია, ტანისა), რომელიც შემდეგ სხვა მომდევნო ცალებში თანდათან რთულდება და ახალი და ახალი მომენტებით ივსება და მდიდრდება. მკითხველსაც მეტ ესთეტიკურ განცდას სწორედ ასეთი რითმა ანიჭებს: რაკი შან პირველ სტრიქონში რგულია და ტანისა გაიგონა, იგი გაფაციცებით ელოდება, თუ რა სიტყვებს შეარჩევს პოეტი შესარითმავად (აქტიური მკითხველი შეიძლება თვითონაც წინასწარ ვარაუდობდეს

რამეს). და როდესაც მოისმენს ახალ-ახალი ელემენტებით გართულებულ და გამდიდრებულ სარიტმო ცალებს — რგულია — ორგულია — სავარგულია — დაკარგულია; ტანისა — სატანისა — გასატანისა — წასატანისა, — ესთეტიკურად დიდად ნასიამოვნები რჩება<sup>1</sup>. ეს ესთეტიკური ტკბობა კიდევ უფრო იზრდება, როცა მკითხველს თავისი ვარაუდი უმართლდება და ნავარაუდევ რითმას ხედავს.

როცა ჯერ შემცველი რითმაა და შემდეგ შეცული (დაკარგულია — რგულია, სატანისა — ტანისა), ფიქრი, ვარაუდი და ესთეტიკური მღელვარება გაცილებით ნაკლებია: იცი, რომ ფორმიდან დაკარგულია მხოლოდ რგულია გამოიჭრება, ასევე სატანისა-დან კარგი შეცული მხოლოდ ტანისა იქნება.

ახლა ავიღოთ წყვილები გულისა — დადაგულისა (704) და დადაგულისა — გულისა. პირველ შემთხვევაში, როცა მკითხველი გულისა-ს მოისმენს, ფიქრობს, განიცდის, ვარაუდს აყენებს, თუ რა სიტყვას მიაწყობს პოეტი, ელის თავისი ვარაუდის გამართლებას. შესაძლებლობა კი მრავალნაირია: გულისა — დადაგულისა — რგულისა — დაკარგულისა (153) — დანერგულისა (704) — გათანგულისა — დაქანგულისა — გამაგულისა — მოციქულისა...

მეორე შემთხვევაში ასეთი ძიებისა და დაინტერესების შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია. მართლაც, დადაგულისა-დან რა მთლიანი სიტყვა უნდა გამოიჭრას, რომ შეცული რითმა მივიღოთ? — გულისა. დაგულისა-ც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ხომ იგივე დადაგულისა-ა, მხოლოდ უზმნისწინოდ.

ასე რომ, შეცული რითმების სიხშირეს წინა ტაეპებში (განსაკუთრებით პირველსა და მეორეში) დიდი ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური გამართლება აქვს და ამიტომ, რომ რუსთველიც მათ ასე ხშირად სწორედ წინა ტაეპებში უყრის თავს. დავძენ ბოლოს, რომ შეცულ რითმათა ამნაირი განლაგება ნიშანდობლივია აგრეთვე საუკუნის უდიდესი პოეტის გ. ტაბიძისათვისაც<sup>2</sup>.

## V. კომატური ლიცენსია

როგორც ბევრჯერ ითქვა, რუსთველის რითმას საფუძვლად უძევს მკაცრი კანონი: სიტყვის (სიტყვების) სარიტმო ნაწილი, მთე-

<sup>1</sup> ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, პოეტური ხელოვნების საკითხები, 1961, გვ. 164.

<sup>2</sup> იქვე.

ლი კლაუზულა თავიდან ბოლომდე უნდა იყოს სავსებით ერთნაირი; არავითარი გადახვევა, არავითარი შეცვლა; არც ერთი მეტი ბგერა, არც ნაკლები. კლაუზულის შემდეგაც შეუძლებელია რითმის რომელიმე ცალში მეტი ბგერა ვიხილოთ (ვთქვათ, ასეთი: უხარია — არიან). ამიტომ ჩვენ აქ ამაოდ დავუწყებთ ძებნას, სადმე ასონანსისა და კონსონანსის მაგალითები აღმოვაჩინოთ<sup>1</sup>. თანამედროვე რითმის ეს ერთ-ერთი ძირითადი თვისება, როგორც წესი, არ იცის რუსთველის რითმამ. პირიქით: რუსთველი ყოველმხრივ ცდილობს, რომ თუ სადმე რითმის რომელიმე ცალში აღმოჩნდა ზედმეტი ბგერა, ამოაგდოს იგი და სიტყვა ბგერანაკლულად იხმაროს, ან თუ დააკლდა რომელიმე ბგერა, ჩაუმატოს იგი შიგ, სიტყვა ზედმეტი ბგერით იხმაროს, ან, დასასრულ, სიტყვის ერთი ხმოვანი სხვა სარიტმო სიტყვებთან შესარიტმავად სხვა ხმოვნით შეცვალოს. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, რუსთველი ცდილობს ზემოთ აღნიშნულ სამ შემთხვევაში ხელოვნური ფორმები გამოიყენოს. აი, სწორედ აქ სჭირდება მას *poetica licentia*, აქაა, რომ ასე ჰარბად გვხვდება ენაში უხმარებელი, პოეტის მიერ შექმნილი ხელოვნური ფორმები. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ფორმები, რომლებიც კი საერთოდ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, უმთავრესად რითმებზე მოდის. სწორედ რითმებში ხდება ენის ბუნებრივი წესების დარღვევა, ენის კანონებიდან გადახვევა. ერთი სიტყვით, ხელოვნური ფორმები. სხვაგან, რითმებს გარდა, ასეთი *poetica licentia* იშვიათად გვხვდება. მართო აქედანაც ცხადია, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსთველი რითმას.

გაუგებრობის გასათანტავად აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი კატეგორიული მტკიცება, რომ ასონანსები და კონსონანსები რუსთველის რითმაში არ გვხვდებაო, ეხება რუსთველის, ასე ვთქვათ, ნამდვილ რითმას, მთელ სიტყვიერ მასალას კლაუზულის პირველი (მახვილიანი) ხმოვნიდან ბოლომდე. რაც შეეხება კლაუზულის წინა ნაწილს, რითმის საყრდენ ბგერებს, რომლებიც ვიწროდ გაგებულ რითმის შემადგენლობაში არც შედის, აქ ეს კანონი არ მოქმედებს,

<sup>1</sup> შდრ. რ. ფირცხალაიშვილი, ტავტოლოგიური რითმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 228, სადაც იკითხება: „ვეფხისტყაოსანში“ „ჩვეულებრივი მოვლენაა არაზუსტი რითმა ასონანსის სახით“. მაგრამ ეს თამაში განცხადება საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეეფერება.

აქ პოეტი ფართოდ უღებს კარებს მსგავსი ბგერების (განსაკუთრებით, თახხმოვნების) შეწყობას, ასონანსს. ამ შემთხვევაში რუსთველი უჩვეულო ვირტუოზობას იჩენს, მისი ასონანსური წყვილები დღევანდელი თვალსაზრისითაც მიმზიდველი და მისაბაძია.

ერთმანეთის მსგავსი ბგერების შეწყობაზეა აგებული, მაგალითად, შემდეგი რითმების საყრდენები:

ცხ-ენია — მოსწყ-ენია	54	ცხ — წყ
მიკ-ამია — უ-ამია	473	ქ — უ
წ-ინარე — გამიც-ინა-რე	568	წ — ც
დამეხ-ოცა — ვუ-ოცა	588	ხ — ყ
ღ-ელვა — ერთხ-ელ-ვა	605	ღ — ხ
თმ-ისანი — ფ-ისანი	626	მ — ფ
ტკ-აცისა — მიგვიდრკ-ა ცისა	626	ტკ — დ(რ)კ
გაეჟ-ანა — გ-ანა	1529	გ — ჟ
დანარჩ-ომია — მჟღ-ომია	1594	ჩ — ჯ(ღ)
ცხ-ენია — ძღვ-ენია	1654	ცხ — ძღვ

აქ იდეალურად არის შერჩეული და ერთმანეთთან შეწყობილი მსგავსი თანხმოვნები: წ და ც, ღ, ყ და ხ, მ და ფ, გ და ჟ, ჩ და ჯ, აგრეთვე თანხმოვანთა ცნობილი ჰარმონიული ჯგუფები: ცხ, წყ, ძღ და სხვანი<sup>1</sup>. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ეხება რითმის საყრდენ ბგერებს და არა თვით რითმას(ვიწრო მნიშვნელობით). რითმაში ასეთი მსგავსი თანხმოვნების (აგრეთვე ხმოვნების) შეწყობას პოეტი პრინციპულად არ უშვებს. მართალია, არის რამდენიმე გამონაკლისი, რომლებიც სულ რაღაც ერთეულებით განისაზღვრება, მაგრამ იქ, სადაც 6676 ცალი რითმაა. ეს ერთეულები, რასაკვირველია, სრულიად შემთხვევითია და ანგარიშში ჩასათვლელი არაა. რაც შეეხება ამ გამონაკლისების ხმოვნებს (კონსონანსებს), აქ ზოგი რამ სადავოა და ჯერ კიდევ დამატებითს კვლევას მოითხოვს. შესაძლებლად თვლიან, მაგალითად, რომ პოემის პროლოგის 29-ე სტროფის კლაუზულის ხმოვანთა სხვადასხვაობა (ავნოს — ივნოს: გაამქღავნოს —

<sup>1</sup> ეს საკითხი დაწერილებით აქვს გამოკვლეული შ. დლოტს. ნ. მისი „ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“, სოხუმი, 1961, გვ. 134 — 136; 289 — 296.

ივნოს — მოაყივნოს — ატკივნოს) მერმინდელი გადამწერლების, მიერ იყოს აქ შემოტანილი<sup>1</sup>.

თანხმოვანთა სხვაობა კი გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება: ერთმანეთს ენაცვლება უმთავრესად ნარნარა ბგერები რ, ლ, ნ, იმ-ვითად აგრეთვე ბაგისმიერნი ბ, ვ, მ და სხვანიც. ყველა ასეთი შემ-თხვევა მთელ პოემაში სულ რაღაც 18 თუ იქნება.

აქ ვუჩვენებთ ყველა მათგანს.

### რ — ლ

- |   |      |
|---|------|
| 1. მოციქულისა — სრულისა — გულისა — ნამსახურისა      | 314  |
| 2. ცილისა — შლილისა — სირისა — შვილისა              | 320  |
| 3. სულიერნი — მფრინველნი — მალრიბელნი — მეგვიპტელნი | 968  |
| 4. ხორციელობა — მეცნიერობა — ხელობა — ლმობიერობა    | 1156 |
| 5. ხელურად — მელურად — მტერულად — მე რულად          | 1206 |
| 6. ძნელია — ხელია — მრთელია — მტერია <sup>2</sup>   | 1348 |
| 7. დანაწერობა — ხელობა — საკვირველობა — მრთელობა    | 1360 |
| 8. ბრალია — წაუცალია — ღვარია — გულ-მდულარია        | 1611 |

### რ — ნ

- |   |      |
|---|------|
| 9. კმუნვასა — მუნ ვასა — წურვასა — ბრუნვასა | 1003 |
|---|------|

### რ — ვ

- |  |      |
|--|------|
| 10. უმეცარნი — კარნი — მკლავნი <sup>3</sup> — მონაღვარნი | 1040 |
|--|------|

### რ — თ

- |  |      |
|--|------|
| 11. სარებლად — საკამათებლად <sup>4</sup> — მარებლად — გამახარებლად | 1666 |
|--|------|

<sup>1</sup> რ. პატარიძე, ვარაუდი ერთი სიტყვისა „ვეფხისტყაოსანში“: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 135 (6239), 1956.

კლუბულის ხმოვანთა დარღვევა კიდეც ორ სტროფში გვაქვს (6, 1668), მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ასეთი იშვიათი გამოჩაქლისი ყველაზე მყარ წესსაც მოეპოვება. შესაძლებელია აგრეთვე დავუშვათ, რომ თავდაპირველად აქაც არ გვექონდა კონსონანსი, არამედ იგი გვიანდელი ხანის ნახელავია.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა ასწორებს: მტერია-ს ნაცვლად მკლავლია-ს გვთავა-ზობს: ნ. მისი გამოცემა, 1953, გვ. 413. მაშინ უკვე აღარ გვექნება ასონანსი.

<sup>3</sup> პ. ინგოროყვას გასწორებული აქვს: მხარნი: ნ. მისი გამოცემა, გვ. 413.

<sup>4</sup> ზოგ ხელნაწერში ნაცვლად სიტყვისა საკამათებლად წარმოდგენი-ლია „ლხინთა მარებლად“ (BCj), ზოგში კი — „მოსახმარებლად“ (FIR). ამის მიხედვით აქ ასონანსზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა.

რ — ს

12. მტირალი — ვის ალი (?) — გასაგმირალი — გამომჰკვირალი 1292

რ — ღ

13. შემუდარებით — დადებით<sup>1</sup> — დარებით —  
მიუმხვდარებით 1521

ნ — მ

14. დადუმდეს — დაბრუნდეს — უნდეს — დაუძაბუნდეს 833

15. ხონელსა — რომელსა — ენა-დაუშრომელსა — ცრემლ-  
შეუშრობელსა 1669

თ — ს

16. მათისა — ხალვათისა — მნათისა — ბევრ — ათასისა<sup>2</sup> 1222

თ — ც

17. ინდოეთისა — ზეცისა<sup>3</sup> — წვეთისა — შეთისა 1582

შ — ს

18. მისისა — ნიშისა — შიშისა — იშისა 334

სამ შემთხვევაში გადასმულია კლაუზულის ბგერები: ებნ ო ნებ  
(ორჯერ) და ამ ო მა:

მძებნელი — მტკებნელი — მცნებელი — მზე ბნელი 1281

ძებნისა — ებნისა — გზნებისა — ტკებნისა 1587

<sup>1</sup> პ. ინგოროცვა ასწორებს: დარებით: ნ. დასახ. შრომა, გვ. 410. თუ ეს სწორია, აქ ასონანსზე ველარ ვილაპარაკებთ.

<sup>2</sup> ერთ ხელნაწერში (II) ბევრ-ათასისა-ს ნაცვლად იკითხება: „ბევრის ათისა“. აქ უკვე რითმა გასწორებულა, ისევე ზუსტი რითმაა მიღებული და ასონანსზე აღარ შეიძლება საუბარი. არ შეიძლება ისიც არ დაუვშვათ, რომ გარკვეულ როლს თამაშობს კლაუზულის წინა მარცვლი ათ, რომელიც საკმარისად ჩათვალა პოეტმა კლაუზულის გახშიანებისათვის. შდრ. 952-ე სტროფის ცათამდის — კვლაცა მდის — და-ც-ამდის — კაცამდის, სადაც I ცალში (ცათამდის) ც-სა და თ-ს გადასმის შთაბეჭდილება იქმნება (შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს კონიექტურა: ავთან-დილ მისი გაყრილი ტირს, ხმა ასწვდების, ა, ცამდის (ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები. II: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956, გვ. 031).

<sup>3</sup> ოთხ ხელნაწერში (HITP<sup>1</sup>) ზეცისა-ს მაგიერად იკითხება „ჯოჯოხეთისა“ (სხვა სიტყვების სათანადო ცვლილებებით, რასაკვირველია) და, მაშასადამე, ასონანსზე დაბეჯითებით აქაც არ შეიძლება ვილაპარაკოთ.

და ამდენად აკუსტიკური შთაბეჭდილება არ ირღვევა.

ორ კლაუზულას მეტი აქვს თითო ბგერა (ვ და ზ):

მონახსენები — ვევენები<sup>1</sup> — მოუთმენები — დავეყენები 1015

ძღვენისა — ჩვენისა — ებნისა — ღგენისა 1122

ერთს კი (ერთ ცალში) აკლია ებ მარცვალი:

მძებნელად — მზე ბნელად — არს ძნელად — მომიღებ  
ნელად 1588

ესაა და ეს<sup>2</sup>. თუ ზემოთ მოყვანილი 18 მაგალითიდან 6 სადავოს (გადასმა — დაკლებაზე არაფერი რომ არ ვთქვათ) ამოვიღებთ, საბოლოო ანგარიშით მთელ პოემაში დაგვრჩება სულ რაღაც 12 შემთხვევა, როცა თანხმოვანთა შენაცვლება ხდება. მათგან უმეტესობა რ, ლ, ნ ნარნარა ბგერების ურთიერთშენაცვლებას წარმოადგენს. სხვების ასე თუ ისე ახსნაც დიდ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული. ასე რომ, ძალაში უნდა დარჩეს ძირითადი დებულება, რომ რუსთველის რითმას საფუძვლად უძევს კანონი, რომ რითმა უნდა იყოს ზუსტი, რომ სარიტმო კლაუზულები უნდა იყოს (და არის კიდევ) აბსოლუტურად ერთი და იგივე, რომ კლაუზულებში არ შეიძლება ხმოვანთა და თანხმოვანთა სხვადასხვაობა, მსგავსი ბგერების ურთიერთმონაცვლეობა, ცალკე ბგერების დაკლება ან დამატება.

მაგრამ ამის მიღწევა ასე ვრცელი პოემის მთელ სივრცეზე (6676 ცალ რითმაში) მეტად ძნელი საქმეა. და რომ შაირის ეს ძირითადი წესი არ დაირღვეს, პოეტი ხარკს უხდის ტრადიციას, პოეტიკის ამ წესს იცავს, მაგრამ ზოგჯერ ენის წესებს არღვევს, ქმნის ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ენაში არ მოიპოვება, ერთი სიტყვით, უხვად სარგებლობს პოეტური ლიცენციის შეღავათებით. რუსთველის დროს ამნაირი პოეტური თავისუფლება მყარი ნორმა იყო და არ ითვლებოდა დასაგმობად. ოდების ავტორები გაცილებით შორს მიდიოდნენ და სიტყვების დაკუწვისა

<sup>1</sup> კ. ბნგოროყვა ასწორებს ამ უზუსტობას და „ვევენები“-ს ნაცვლად სენები-ს გვთავაზობს, რითაც ისევ ზუსტ რითმას ვიღებთ.

<sup>2</sup> 886-ე 1222-ე სტროფების მაგისად და ვის ალი-ის შესახებ სხვაგან გვაქვს სპეციალური მსჯელობა და აქ არაფერს ვიტყვით.



და ხელოვნური ხუთულების შედგენისათვის არაფერს ერიდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ მათი სტროფების (განსაკუთრებით, სწორედ რითმების) გაგება მეტად ძნელი იყო, ბევრ შემთხვევაში ვერც ხერხდებოდა. შ. რუსთველი ამ მხრივ დიდ რეფორმატორად გვევლინება, მან ხელი აიღო ასეთი ხელოვნური სიტყვების ოპერაციებზე და თავის შაირში მოგვცა საერთოდ სრულიად ბუნებრივი, ჩვეულებრივი, სადა, ყველასათვის გასაგები, მაგრამ მაღალმხატვრული ფორმები — მხატვრული სიტყვის ქემშარიტი შედეგები. ენის სისადავე და ხალხურობა, უმაღლესი ხარისხის მხატვრულობა არის რუსთველის განუმეორებელი შემოქმედების განუყრელი თვისება. და თუ ის ზოგჯერ ხარკს უხდის ეპოქას და იშვიათად მიმართავს ხელოვნურ ფორმებს, საერთო გარემოცვაში ეს მაგალითები მაინც ადვილად გასაგებია, მისი პოეტური ლიცენცია დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება.

როგორც აღნიშნული გვქონდა, რუსთველის მიერ ხელოვნური ფორმების შემოტანა სამი სახით მიემართება:

სათანადო რითმის ცალებთან შესარითმავად (ძირითადი კანონის მიხედვით რომ სრულიად იდენტური იყოს კლავზულები)

1. სიტყვას ემატება ბგერა;
2. სიტყვას აკლდება ბგერა;
3. სიტყვის ერთი ბგერა (ხმოვანი) მეორით იცვლება.

აქედან პირველი შემთხვევა მეტად იშვიათია, მეორე და (განსაკუთრებით) მესამე — ხშირი.

ჩვენც ამ რიგის მიხედვით მივყვეთ სათანადო მასალების ანალიზს.

### ბგერათა დამატება

1. რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,  
ქაცი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან,  
ავთანდილ, მისმან მხსენებმან, ლაწვი ცრემლითა მინამან,  
წვრილად უამბო ამბავი მან, მისმან მონასმინამან. 689

ამ სტროფის რითმაა ინამან, რომელსაც აგრეთვე საყრდენი თანხმოვანიც ერთი და იგივე აქვს ოთხსავე ცალში — მ (მ-ინამან). სამ ცალში (1, 2, 4) სარითმო სიტყვად წარმოდგენილია სახელი, და მათი უკანასკნელი მარცვალი (მან) არის მოთხრობითი ბრუნვის ნიშა-

ნი. მესამე ტაეპში სარიტმო სიტყვად გამოყენებულია ზმნა — ნაშვა-ს წყვეტილის ფორმა: შინამა (ში-ნამ-ა), ე. ი. დანამა. მაგრამ რაღაა ნ? ეს ნ აქ დამატებულია, რომ სიტყვა სრულად შეერიტომოს წინა სამ ერთეულს<sup>1</sup>. ამრიგად, თანხმოვანი ბგერა (ნ) ემატება ზმნა-საც.

- |  |      |
|--|------|
| 2. მქევრიტა — ტევრიტა — ბევრიტა — მევ რიტა | 1061 |
| 3. მქევრები — ტევრები — ბევრები — მევ რები | 1336 |

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითებში ვ ემატება მე პირის ნაცვალსახელს (მე + ვ), რომელიც პირველ შემთხვევაში შედგენილ რიტმაში შედის რა კითხვითი ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან ერთად: მე + ვ + რიტა, ხოლო მეორე შემთხვევაშიც იმავე რა კითხვითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმას ეწყობა: მე + ვ + რები. ვ-ს დამატება იმითაა გამოწვეული, რომ სარიტმო კლაუზულა ორივე შემთხვევაში ვ-ს შეიცავს: ევრი-ტა, ევრები<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ სხვა სარიტმო ერთეულებად ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვები გვაქვს: მქევრი, ტევრი, ბევრი; რიგიც კი ორივეგან ერთია. ასე რომ, აქ ამ ვ-ს დამატებასთან ერთად სარიტმო სიტყვებიც მეორდება.

4. გადაჭრით ვერ ვიტყვით, მაგრამ შეიძლება ს იყოს დამატებული ფორმაში: სანახავისსა:

თავისსა — მოეკლა ვისსა — სანახავისსა — და ვისსა 1543.

ეს სიტყვა სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი: სანახავისსა (BEFGZ), მნახავისსა (H), სანახავსა (D'), სანახავისა (T'L'). საქმე ისაა, რომ საწყისის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება ახალ ფუძეთა საწარმოებლად, რასაც ეს მაგალითი გულისხმობს (სანახავ-ის-ი -- სანახავისსა), ჩვენ სხვა არ ვიცით. მაინც რა უნდა ყოფილიყო თავისი შინაარსით ეს სანახავისი? რითლა განსხვავდებოდა იგი ჩვეულებრივი სანახავი-საგან? ამაზე პასუხი არა ჩანს. მაგრამ საკითხს კვლავ ესაჭიროება დამატებითი კვლევა, რასაც სხვა დროისათვის გადავდებთ.

<sup>1</sup> ეს გარემოება აღნიშნული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს: ნ. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, 1957, შ ი ნ ა მ ვ ა.

<sup>2</sup> მაგრამ შდრ. წევრიტა — მე რიტა (1033), სადაც ვ-ს დამატება აღარაა საჭირო, რადგან სარიტმო კლაუზულა ამ შემთხვევაში არის ერიტა (და არა: ევრიტა).

რაც შეეხება ზმნების პირიანი ფორმებისათვის ბოლო ა-ს დამატებას (სძულსა 30, დაამქნაროსა 35, ჰყავსა 317, მკვირსა 416, არ დამრიდესა 430, თქვესა 446, ვინატრილითა 513, მაძაგესა 615, ვქმენა 678, ყეფსა 936, ცნესა 1132, მივადგეთა 1375, აკენესებსა 1377 და სხვა), რომელსაც პროსოდიულ ხმოვანს ეძახიან, იგი კარგადაა ცნობილი, ხშირად გვხვდება აგრეთვე ხალხურ შემოქმედებაშიც და ზემოთ ნაჩვენები რიგის დარღვევად არ ჩაითვლება<sup>1</sup>. იგი სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ ქართულ ლექსშიც.

### ბგერათა დაკლება

1. მავალი — მრავალი — და ვალი — სწვავ ალი 147  
რითმაა ავალი, ამიტომ მეოთხე ტაეის გასართმავად ზმნაა სწვავს ჩამოცილებული აქვს სუფიქსი ს, რის შემდეგაც დარჩენილი... ავ ალი კარგად ეწყობა წინა სტრიქონებს.
2. სიტყვა-ნაზმა — მოეკაზმა — დაერაზმა — დაზმა 170  
პირველი სახელი მოთხრობითშია და „ვეფხისტყაოსნის“ ენის ნორმების მიხედვით უნდა ყოფილიყო სიტყვა-ნაზმან<sup>2</sup>, მაგრამ მაშინ ნ მეტი აღმოჩნდებოდა სხვა შესართმავ სიტყვებთან შედარებით, ამიტომ იგი მოკვეცილია.  
სრულიად ამნაირი მდგომარეობაა ქვემოთ მოყვანილ ორ მაგალითში ერთი და იმავე (1660) სტროფიდან, ამიტომ მათ შესახებ დამატებით არას ვიტყვით. მოვიყვანთ მხოლოდ ადგილს:  
3 — 4. იგი ორნივე გაყრისა დაწვნა ცეცხლისა ალაშა;  
...ავთანდილ იტყვის: „მომკლავ სოფლისა მე სამსალაშა“ 1660.
5. ნააზატები — ნატები — ჭირ-მონამატები — სატები 267  
სატები, როგორც შენიშნული აქვს ა. შანიძეს, სალტეები უნდა იყოს. სხვა ამნაირი სიტყვა, რომელიც აქ გამოდგებოდა, არა გვაქვს ქართულში. ფორმიდან ლ ამოგდებულა, რომ ასე კარგად შეერიტმოს სხვა სართმომ ერთეულებს (ნააზატები, ნატები, ჭირ-მონამატები). რაც შეეხება ე-ს დაკარგვას, ამასაც თავისი მიზეზი აქვს, რასაც ქვემოთ შევეხებით.

<sup>1</sup> ა. შანიძე, პროსოდიული ხმოვნები ქართულში (თეზისები) წიგნში: აკად. საზ. მეცნ. განყ. სერია, 1941. 11 — 13 ივნისი, გვ. 14.

<sup>2</sup> ზ. კუშბურიძე, „მოთხრობითი ბრუნვა ვეფხისტყაოსანში“, წიგნში: „სალიტერატურო ენა და მწერლობა“, 1962, გვ. 187 — 193.

დასაწყისი ფორმა (სახ. ბრ.), ჩვენი აზრით, არის სირინოსი და არა სირინო, როგორც ეს აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში (ი. აბულაძე, ა. შანიძე), ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და სხვ. უფროობითი ხარისხის ფორმასთან „ვეფხისტყაოსანში“ ზოგჯერ სწორედ მიცემითი იხმარება („ვინ მზესაცა უნათლენა: 1431, 4), ამიტომ აქაც მოსალოდნელი იყო უამესი სირინოსსა, მაგრამ რადგანაც სხვა სარითმო სიტყვებში თითო ს გვაქვს (სალხინოსა, აბანოსა, ოქსინოსა), ფორმას სირინოსსა ჩამოკლებული აქვს ერთი ს და ასეა მიღებული „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა სირინოსა.

ამ საკითხზე ჩვენ ცალკე გვაქვს დაწვრილებითი მსჯელობა და ახლა აქ მეტს არაფერს ვიტყვით.

სრულიად ამგვარი მდგომარეობა უნდა გვექონდეს შემდეგს მაგალითშიც:

7. მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა 966

ბუსა, როგორც სამართლიანად ფიქრობს ა. შანიძე, მიღებულია ბუსსა ფორმისაგან (ორმაგი ბრუნების ფორმა — ნათესაობით-მიცემითი)<sup>1</sup>. მაგრამ იმავე მიზეზით ერთა ს ამასაც ჩამოკლებული აქვს, შერთმულია სწორედ მიცემითის ერთსანიან ფორმებთან (თუსა, უსა, რუსა).

8. ხაფითა — ქაფითა — სწრაფითა — დაფითა 441

დაფითა აქ ამას უნდა ნიშნავდეს: დაფლითა. ლ ამოგდებულია, რადგან ის ხელს უშლის ზუსტი რითმის შედგენას. ამ სტროფის რითმაა აფითა, ლ-ს დატოვებისას კი გვექნებოდა აფლითა, რაც, რასაკვირველია, ყოვლად მიუღებელია რუსთველისათვის. ამიტომ პოეტი უაპელაციოდ იღებს ფუძიდან ლ ბგერას და რითმას მართავს ძველი წესების მიხედვით.

ექვს აღძრავს მხოლოდ ის გარემოება, რომ ამავე სიტყვის საწყისის ფორმა სხვა ადგილას ისევ ულასოდ იხმარება, თუმცა ლ-ს ამოგდებისათვის იქ საფუძველი არ იყო. შდრ. კვეთანი — ფეთანი — მძლეთანი — ცვეთანი 1599. პირიქით, აქ ფლეთან-ს ეყოლებოდა საჭირო ორეული მძლეთანი (ფლეთანი — მძლეთანი).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956, 031 — 032.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ორ ხელნაწერში (E'J') სწორედ ფლეთანი იკითხება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტმა ასეთი ფორმა (ფეთანი) ადვილად დატოვა ტექსტში მას შემდეგ, რაც ადრე (441 სტროფში) მან უკვე აუცილებელი საჭიროების გამო იხმარა ულასო ფორმა (დაფითა). ასეა თუ ისე, დაფითა-ში ლ ამოგდებულად უნდა მივიჩნიოთ<sup>1</sup>.

9. მთხოელი — ყოელი — ...გასათხოელი — მოელი 514.

ცხადია, რომ აქ სამ ხაზგასმულ სიტყვაში ვ იმიტომ არ არის თავის ადგილზე, რომ ისინი შეწყობილია ზმნის ფორმასთან მოელი, რომელიც მეორე სუბიექტურ პირს გამოხატავს.

მაგრამ როცა პოეტს რითმაში ამავე ზმნის პირველი სუბიექტური პირის ფორმა აქვს წარმოდგენილი, მაშინ ფუძისეული ვ-ც იმავე სიტყვებში აღდგენილია და თავის ადგილზე დგას, მაგალითად:

მოველი — მთხოველი — მოერწყო ველი — ყოველი 644

განა არ შეიძლებოდა, პოეტს პირველ შემთხვევაში ერთი ზმნისთვის დაემატებინა ვ და არა სამი სახელისთვის ჩამოეკლო იგი? არა, არ შეიძლებოდა: ზმნაში ვ-ს ქონება-არქონება სრულიად ცვლის აზრს (ვინიანი ფორმა I სუბიექტურ პირს გამოხატავს, უვი-ნო — მეორეს), ხოლო სახელში ვ-ს დაკლება მის შინაარსს არ ცვლის: ყოველი იქნება თუ ყოელი (მთხოველი თუ მთხოელი), სულ ერთია, სიტყვის აზრი არ იცვლება.

აი, რისთვის აძევებს პოეტი სიტყვიდან ამა თუ იმ ბგერას და რისთვის ტოვებს მას თავის ადგილზე იმავე სიტყვაში! ყველაფერი რითმის გასამართლავად არის გამიზნული, ყველაფერი რითმის გაწყობას ექვემდებარება.

10. ვით ჰხენ — მკითხენ — ვითხენ — ვითხენ 596

აქ პირველი ვითხენ ნიშნავს თხებად გაეიხადეო (იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისცა რომე ვითხენ: მტრები ლომებად მექცნენ,

<sup>1</sup> ლ-ს ამოგდების ასეთი შემთხვევა დადასტურებულია დ. გურამიშვილის ერთ ლექსში. რომლის რითმაც მაჭამას წარმოადგენს (საღარი):

მზეს ღრუბლის გამო ვერ ვხედვ, აწ ბურჰან დანისხა დარი 74, 341, 3.

აქ უნდა ყოფილიყო დანისლა, მაგრამ მაშინ რითმაში საღარი აღარ გამოვიდოდა, ლ-ს ამოგდების შემდეგ კი ეს შესაძლებელი გახდა.

აქამდე თხებად რომ გავიხადეთ). მეორე ვითხენ ორგვარად შეიძლება გავიგოთ:

ა) შეიძლება დავუშვათ, რომ იგი თხევა ზმნის წყვეტილის ფორმაა და ნიშნავს **დავიყარეო** (უკაზმავსა მილალატეს, საჭურველნი გარ ვერ ვითხენ — იარალი გარს ვერ დავიყარე, ე. ი. იარალი ვერ ავისხიო). ამ შემთხვევაში ზმნის ფორმიდან ამოგდებული იქნება ე ხმოვანი, რადგან ზმნის წყვეტილის ფორმაა ვითხი(ვენ და არა ვითხენ (ვ ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად იკარგვის). ამ შეხედულებას ადგას ა. შანიძე<sup>1</sup>.

ბ) შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ვითხენ რთხმა (მორთხმა) ზმნის წყვეტილის ფორმაა და ნიშნავს, იარალი ვერ მოვითრხი, ე. ი. იარალი ვერ ავისხიო. ამ შემთხვევაში ზმნის ფორმიდან ამოგდებული აღმოჩნდება რ: ვირთხენ → ვითხენ. ჩვენ მეორე შესაძლებლობა გვეჩვენება უფრო სწორად. დავუშვათ პირველ თუ მეორე გაგებას, სულ ერთია, ფორმა მაინც ხელოვნურია, იქიდან ამოგდებულია ე (პირველ შემთხვევაში), ან რ (მეორე შემთხვევაში).

11. ჭამა — მამა — ნამა — დრამა 686

ნამა საწყისია, მისი სრული სახე იქნება ნამვა. ვ ამოგდებულია, რომ ხელი არ შეეშალოს სხვა სიტყვებთან შერთმვას.

12. სახელსა — სახელსა — და ხელსა — თვალ-დაუფახელსა 871

აქაც იგივე მოვლენაა: მიმღობიდან ამოგდებულია ვ ბგერა, უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, თვალ-დაუფახველსა, მაგრამ მაშინ ზუსტად (როგორც რუსთველის რითმების წესია) აღარ შეეწყობოდა სიტყვებს: სახელსა — და ხელსა.

მაგრამ აი სხვა ადგილას პოეტს გამოყენებული აქვს რითმებად:

უნახველად — მსახველად — ახ, ველად 1180,

რომელთა მეოთხე ცალად უყოყმანოდ იღებს ჩვენთვის საინტერესო ზმნის სწორედ ვინიან ფორმას: მფახველად. მფახველად, მაგრამ: თვალ-დაუფახელსა! აქაც თვალნათლივ ჩანს, თუ რა მოტივებით სარგებლობს პოეტი, როცა თემის ნიშანს ერთ შემთხვევაში აძევებს საწყისიდან, მეორეში კი ტოვებს თავის ადგილზე: რითმას სჭირდება ასე, და იმიტომ.

13. კრძალისა — ალისა — შუქ-ნამკრთალისა — ლალისა 1157

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, 1957, თ ხ ე ვ ა.

ამ ფორმაშიც, როგორც ზემოთ განხილულ ორში, ვ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმავე მიზეზებით იგი ამოგდებულია (ისე არ შეეწყობოდა სხვა სარიტმო სიტყვებს: კრძალვისა — აღისა?). მაგრამ სხვაგან ყველგან, სადაც საჭიროა, ვ დაცულია ხელუხლებლად, მაგალითად: თავსა ჰკრძალავს 397, 4; მისი გქონდეს შიში, კრძალვა 27, 4; კაცთა კრძალვასა ვაწვევდი 484, 3; დაჯდა კრძალვით და რიდითა 124, 3; არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად 369, 1; საკრძალავი და უკადრი 992, 4; აუგისა საკრძალველად 371, 4; იყენით თქვენ უკრძალვად 459, 3.

14. თქმულებ — აისრულებ — მოიძულებ — იწყულებ 876

პირველ სიტყვაში ებ ებრ თანდებულისაგან მიღებული; რ მოკვეცილია, რადგან ყველა სხვა სამ რითმას დაბოლოებად აქვს ზმნის ებ თემის ნიშნის ფორმები. რ აქ, რუსთველის რითმის წესით, რა თქმა უნდა, მეტი იყო და უნდა ამოეგდო პოეტს.

15. კარნი — ნახოკარნი — წკარნი — მომაკარნი 1102

თუ საზგასმულ სიტყვას ზმნის პირიან ფორმად გავიგებდით, მაშინ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ აქ ოთხივე ზმნა II ბრძანებითიან ფორმას, ოთხივეში სუბიექტი მრავლობითში იგულისხმება, მაგრამ მრავლობითობის ნაშანი თ მხოლოდ პირველ სამს აქვს, მეოთხეს — არა. რატომ? იმიტომ, რომ მეოთხე სარიტმო სიტყვაა, სხვა რითმის ცალებს ბოლოს თ არა აქვთ (კარნი, ნახოკარნი, წკარნი), ამიტომ პოეტმა თ ჩამოაცილა ამ სარიტმო ზმნას და ანუ შეარითმა დანარჩენ სამეულს.

კიდევ შეიძლებაოდა რამდენიმე სხვა მაგალითის დასახელებაც, მაგრამ კმარა, რითმის შენების რუსთველისეული ხერხის გასაცნობად ესეც საკმარისია.

ჩვენ განვიხილეთ შემთხვევები, როცა სარიტმო სიტყვიდან რითმების ზუსტი შეწყობის მიზნით ამოგდებულია თანხმოვანი ბგერა. კითხვა ისმის: ხომ არ შეიძლება ამავე მიზნით პოეტმა ხმოვანზედაც აიღოს ხელი? თითქოს შეიძლება. ჩვენ აქ იმდენად მხედველობაში არა გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ზმნიზედების (ბარე — ბარ, ვირე — ვირ, კიდე — კიდ, ოდეს — ოს) პარალელური — ხმოვნით და უხმოვნოდ — ხმარება, რამდენადაც სახელთა ბრუნების ერთი ტიპური შემთხვევა, როცა ე-ზე ფუძეგათავებული სახელი ებიან მრავლობითში ერთი ენით არის წარმოდგენილი.

მეტად დამახასიათებელია, რომ პოემაში ნახმარი ე ფუძიანი სახე-

ლები ებიან მრავლობითში არსად არ წარმოგვიდგენს ორ ე-ს, არა-  
 მდ მხოლოდ ერთს (არის გუბები და არა გუბეები). აქ ასეთი 14 ფუძე  
 გვხვდება ებიან მრავლობითში, მათგან ერთი (არე) — სამჯერ.  
 თექვსმეტსავე შემთხვევაში ერთი ე არის ფუძეში! არც ერთი შემ-  
 თხვევა არაა, რომ ფუძეში შენარჩუნებული იყოს ორი ე. ამ თექვს-  
 მეტი შემთხვევიდან 13 რითმაშია მოყოლილი, სამი რითმის გარეშეა.

პოემაში არ გვხვდება ებიან მრავლობითში გავრცელებული  
 სიტყვებიც — ღლეები (ღლეებსა...), მზეები — არც რითმაში და არც  
 საერთოდ, აქ არის მხოლოდ ღღენი და მზენი.

რისგან არის გამოწვეული ეს გარემოება? მოითხოვა ეს რითმისა  
 და მეტრის საკიროებამ, თუ ძველი ქართულის გადმონაშთია, სადაც  
 ამნაირი სახელები ჩვეულებრივ (სანახევროდ მაინც) იკვეცებოდნენ  
 (სამარები, ჰუნები, მოწამები, ძდინარები, ციხები, ღლეები, საკა-  
 ცები...)¹, ეს კიდევ საკვლევია.

საკითხი ასე გადაწყდება თუ ისე, ერთი ცხადია: „ვეფხისტყაო-  
 სანში“ ამ ტიპის სახელების ებიან მრავლობითში ორი ე არსად არა  
 გვაქვს, ერთი მათგანი ამოგდებულია. ჭერჯერობით აქ ამის აღნიშე-  
 ნაც გვეყოფა.

ახლა ვუჩვენოთ ეს შემთხვევები:

არე 1. ჯარები — არები — ზარები — შევეწყნარები 313 (= არეები)

2. მაელვარებსა — არებსა — წყნარებსა — სარებსა 1228  
 (= არებსა)

3. მარებად — დასადარებად — მიუმხვდარებად — არებად  
 1539

გარე 4. კარებსა — გარებსა — ღვარებსა — ნახმარებსა 1405

გუბე 5. გუბები — შუბები — რუბები — ტყუბები 1146

მკვახე, სახე: 6 — 7. პირ-მკვახეები — განაზარახები — სახები —  
 ჩაბალახები 1408

მწვანე 8. ხანები — თანის-თანები — მწვანები — ნაბანები 1503

რიღე 9. შუქ-ნაკიდები — რიღები — წმიდები — მერიდები 1255

სატე 10. ნააზატები — ნატები — ჰირ-მონამატები — სატები 267

შესაძლებელია, აქ სალტე იგულისხმებოდეს, ლ-ს ამოგდების  
 შემდეგ (რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ნ. გვ. 99) გვექნებოდა

¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნათა ფუნქციები ძველ  
 ქართულში, 1957, 89 — 101.



სატე, რაც ებიან მრავლობითში რუსთველის ენის მიხედვით იქნე-  
ბოდა მხოლოდ სატეები და არა სხვა რამ. საკითხი სადავოა.

საქურჭლე 11. ღარიბები — საქურჭლები — ხრმალთა ნები —  
დავლები 1372

სახე ნ. მკვახე.

სიწყნარე 12. ზარები — არ-სიწყნარები — ნარები — მოიგვა-  
რები 1179

ყორე 13. ორები — ყორები — მოეშორები — მოვიღორები 1564

როგორც ვთქვით, სამი ამ ტიპის სახელი რითმის გარეშეც  
გვხვდება. ესენია:

ბუდე 14. ზურმუხტისა ბუდეებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი 1369,4

მოყმე 15. ქვე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია 1241

ციხე 16. დაჰხვდა სოფლები, ციხები, ხშირ-ხშირად, თანის-  
თანები 1503,2

სამი უკანასკნელი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება  
ე-ს ამოღებას საფუძვლად იმდენად ლექსის საჭიროება არ ედოს,  
რამდენადაც ძველი ქართულის ცნობილი ტრადიცია და თვით საშუ-  
ალი ქართულის მოქმედი, ცოცხალი წესები. თუ ეს ტრადიცია და  
წესი არა, პოეტს ადვილად შეეძლო ერთი შეხედვით მიუღებელი  
ფორმის არიდება, თუნდაც ამ სახით: ზურმუხტისა ბუდეებით (ან:  
ზურმუხტის ბუდეებითა) და სხვა.

საშუალ ქართულში, როგორც ჩანს, ის წესი იყო გაბატონებული,  
რომელიც ახლა „ვეფხისტყაოსანში“ დავადასტურეთ, იქ ე ფუძიანი  
სახელები ებიან მრავლობითში ერთი ე-თი იყო წარმოდგენილი,  
მეორე ე შეკვეცილი (თუ ამოგდებული) იყო. საამისო მაგალითები  
ცოტა, მაგრამ მაინც მოიპოვება. ცოტა იმიტომ, რომ ამნაირი სახე-  
ლი ებიან მრავლობითში საერთოდ იშვიათად გვხვდება. ჩვენ აქ  
ვუჩვენებთ თითო-ოროლა მაგალითს სხვადასხვა ავტორის ნაწარმო-  
ებებიდან.

ზავთელი: სიმტკიცის კლდეებით 92,2.

თეიმურაზ 1:

ლეილ-მაჩუნის ამბავი გაისმა ოთხსაე ყურებსა:  
თხზულბანი, 1934, 44, 151, 2;  
ეგ ცუდად ჰფანტავს სხივთა და უკეთ ანათებს ის არებს:  
113, 1, 2, 2.

სულხან-საბა ორბელიანი („ქილილა და დამანა“):

მარები — არები 195;

ფლიდები — რიდები 219;

ერიდები — ე რიდები 448.

დ. გურამიშვილი:

გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდებსა,

შენს ზურგის მისაყუდებსა;

ერიდე, ნუ შლი, ნუ ფუტკნი

სახით არწივთა ბუდებსა: „დავითიანი“, 1956, 65, 276, 1 — 2;

მით ვსტირ, თვალთ ცრემლი მიბნელებს,

დღენი მჩანს მე ღამებადა: 104, 554, 4.

ეს სიტყვა პოეტს ნახმარი აქვს თავის არზაში, რომელიც მან მირიან ბატონიშვილს მიაართვა:

„იმათი გავიგონე დიდროანს ღამებში

შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამპყრობება“ (იქვე, 188)<sup>1</sup>.

### ერთი ხმოვნის შეცვლა მეორე ხმოვნით

ხშირად ხდება ხოლმე, როცა პოემის რითმებში ერთი ხმოვნის ნაცვლად მეორე ხმოვანი არის წარმოდგენილი. ეს გარემოება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ რითმის საჭიროებით. ავიღოთ, მაგალითად, პოემის შესავლის მერვე სტროფი:

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:

ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის

მკვდარი;

დაუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,

ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

---

<sup>1</sup> ბერის ამოგდება ზოგჯერ შეიძლება სხვა მიზეზითაც იყოს გამოწვეული, უმთავრესად მეტრის საჭიროებით. მაგალითად, ერთ ადგილას სიტყვა კ ა ე შ ა ნ ი ე-ს გარეშეა ნახმარი: ტირს, იტყვის: „დადვა კეშანი ლახვარმან ჩემთვის ათმანო 235. 1. სხვაგან ყველგან გვაქვს კ ა ე შ ა ნ ი (172; 4; 313, i; 891, 2; 893; 958, 3; 1128, 2; 1634, 3). ცხადია, ამ ერთ შემთხვევაში ა-ზე ხელის აღება მეტრმა გამოიწვია: პოეტს კ ა ე შ ა ნ ი რომ ეხმარა, სტროფში 17 მარცვალი გამოვიდოდა. ერთი ხმოვნის ამოგდება კი დიდ ცოდვად არ ითვლებოდა.

სტროფის პირველ სამ ტაეპში რითმაა არი. მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვა რომ თავისი, სწორი ფორმით ეხმარა პოეტს, რითმაში გამოვიდოდა არე. არი და არე კი რუსთველის რითმის წესებით ვერას შემთხვევაში ვერ შეერიოთება ერთმანეთს, რადგან კლავუზულის ხმოვნები სხვადასხვაა (ი-ე). ასეთ სხვადასხვაობას რუსთველი ვერ დაუშვებს. სამაგიეროდ იგი შესაძლებლად თვლის თვით სიტყვას შეუცვალოს ბოლო ხმოვანი და სამარე-ს ნაცვლად იხმაროს სამარი.

ე-ს ინიტ შეცვლის სხვა მაგალითია მოცემული 675-ე სტროფში, რომლის სარიტმო სიტყვებიცაა:

პირსა — გჳირსა — ღირს ა — მცირსა

(ზარსა სცემდეს, უხაროდა უფროსსა, თუ უნდა მცირსა, ე. ი. უხაროდა დიდსა თუ პატარასო). სტროფის რითმაა ირსა, რომელსაც ბუნებრივად შეიცავს პირველი სამი ტაეპის სარიტმო სიტყვები. მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვა კი ხელოვნურია, შექმნილი სტროფის საერთო რითმასთან შესაწყობად: გინდა თუ არა, ბოლო ორი მარცვლი ირსა უნდა გამოვიდეს; ამ სიტყვის ბუნებრივი ფორმა მიცემითში იქნებოდა მცირესა, რაც სტროფის საერთო რითმას (ირსა) ვერ შეეწყობოდა და არც მეტრისათვის გამოდგებოდა: ორმარცვლიანის ნაცვლად სამმარცვლიან სიტყვას მივიღებდით. ამიტომ პოეტი რითმას ტოვებს ხელუხლებლად, მაგრამ ხელყოფს სიტყვის ბუნებრივ ქართულ აღნაგობას, იძლევა ხელოვნურ ფორმას (მცირე — მცირსა). აქედან გამოდის, რომ რითმის მთლიანობა ხელშეუხებელია, მისი დარღვევა შეუძლებელია, სიტყვის ბუნებრივი, ქართული აღნაგობა, მისი ფორმა კი შეიძლება ხელყოფილ, შევცვალოთ. ამიტომ, რომ საერთო რითმა ირსა ხელუხლებელი დარჩა, სიტყვა მცირე (მცირესა) კი შეიცვალა: მცირი (მცირსა).

მაგრამ აღნიშნული სიტყვის რითმის გულისთვის ხელყოფა მართო ამ ერთი შემთხვევით არ განისაზღვრება. 884-ე სტროფში ეს სიტყვა კვლავ მოხდა რითმაში, მაგრამ ახლა უკვე შემდეგი სიტყვების გვერდით:

პირასა — მხდი რასა — სირასა

ახლა აქ არ გამოდგება ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი ფორმა მიცემითში (მცირესა), არც ზემოთ აღნიშნული, პოეტის მიერ

ხელოვნურად შექმნილი მცირსა. ამიტომ, რომ პოეტი მას აძლევს კიდევ ახალ სახეს — მცირასა, რომლის სავარაუდო სახელობითიც არის მცირა. ერთი შეხედვით, მცირა თითქო კინობითის ფორმაა, მაგრამ არა: აქ კინობითობა არაფერ შუაშია<sup>1</sup>, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რითმას, ისაა, რომ ასეთ უცნაურ ფორმას ითხოვს, და ზღეტიც არ აგვიანებს თავის დასტურს.

სხვა შემთხვევაში, რასაკვირველია, გვაქვს ამ სიტყვის სწორი, ბუნებრივი ფორმა რითმაშიც და მის გარეშეც, მაგალითად:

დაიდგა მცირე კარავი 1513,1; ამოაგებს მცირესა და დიდებულსა 53,2; იარნეს დღენი მცირენი 1661, 1; ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა 16, 4.

ამგვარად, მცირე, მცირი, მცირა (მცირესა, მცირსა, მცირასა) — აი სამი სახეობა ერთი და იმავე სიტყვისა, რომელთაგან ერთი (პირველი) სწორია, ბუნებრივი, ორი დანარჩენი კი — არა, ხელოვნურია და მხოლოდ რითმის კაპრიზული მოთხოვნით არის გამოწვეული.

გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევა, როცა შემცვლელი ბგერა მ არის, ე. ი. როცა თანხმოვანფუძიანი სახელი მ ხმოვანფუძიანად არის ხელოვნურად შექმნილი. ამის მაგალითები პოემაში ბევრია. საანალიზოდ აქ რამდენიმეს დავასახელებ (სრულად აღვსახავთ ქვევით).

სა და მ (ო) პრეფიქსიან მიმღებებს ქართულში სუფიქსი არ უნდა (მ-კრეფ-ი, მკრეფ-ავ-ი; გა-სა-გმირ-ი, გასაგმირავ-ი; გა-სა-გონ-ი, და-სა-ღვარ-ი, მ-ჰერეტ-ი და სხვა). მაგრამ როდესაც რუსთველის ლექსის რითმა მოითხოვს, ამ მიმღებებს ენის კანონების წინააღმდეგ ეწერება ბოლოს მ და ო სუფიქსები<sup>2</sup> და იქმნება ენაში არარსებული ხელოვნური ფორმები. ყველაფრის მიზეზი აქაც რითმაა. გავცდებით თუ არა რითმის ფარგლებს და საანალიზო სიტყვებს ტექსტში შევხვდებით, ყველაფერი კალაპოტში დგება, ამ სიტყვებს მიღებული აქვთ თავიანთი ჩვეულებრივი, ბუნებრივი ფორმა.

პოემის შესავლის მე-16 სტროფში საერთო რითმაა ირეთა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სიტყვებით:

<sup>1</sup> კინობითობას, სიმცირეს თვით ლექსიკური მხარე უჩვენებს. მცირე. ამას აღარ უნდა კიდევ მეორედ დამცირება ფორმის საშუალებით.

<sup>2</sup> საფიქრებელია სა-ო და სა-ე აფიქსეზიანი დანიშნულების სახელების ას-ლოგიით.

## მოშაირეთა — მონადირეთა — მცირეთა.

პოეტს სურს ამას შეუერთდოს მიმღეობა **გასაგმირი**, მაგრამ მისი მრავლობითის ჩვეულებრივი ფორმა (გასაგმირთა) არ გამოდგება სტროფის საერთო რითმისათვის (ირეთა), ამიტომ პოეტი უწყოყმანოდ ქმნის ხელოვნურ ფორმას **გა-სა-გმირ-ე** (სა პრეფიქსით და ე სუფიქსით, თითქოს დანიშნულების სახელი იყოს, დავუშვათ, **საკა-ბე-ს ტიპისა**) და უწყობს მას დანარჩენებს: **გ ა ს ა გ მ ი რ ე თ ა**. ფორმა დაზიანდა, მაგრამ რითმა ჩინებული მივიღეთ.

შემდეგ, 123-ე სტროფში ეგვევ სიტყვა მოგვევლინა ახლა უკვე ირონი რითმის შემცველი სიტყვების ამხანაგობაში:

### უსაპირონი — საპირონი — არ-უხშირონი

მაგრამ აქ არ გამოდგება არც წესიერი **გასაგმირნი** და არც პოეტის მიერ უკვე შექმნილი ხელოვნური **გასაგმირენი**. ამიტომ პოეტი აქაც გაბედულად ქმნის მიმღეობის ახალ, ხელოვნურ ფორმას **სა — ო აფიქსებით** (თითქოს ესეც დანიშნულების სახელი იყოს, ვთქვათ, **საღმართ-ს ტიპისა**) და ზემოთ ნაჩვენებ სამ ცალს ურითმავს: **გა-საგმირონი**. მესამე ადგილას გვაქვს უკვე წესიერი **გასაგმირალი**, რომელსაც მორითმე ერთეულებად აქვს: **მტირალი — ვის ალი — გამომპვირალი** (1292).

ამგვარად, **გასაგმირალი** (წესიერი) და **გასაგმირე**, **გასაგმირო** (ხელოვნური) ერთიმეორის გვერდით იხმარება.

რაც ითქვა **გასაგმირო-ს** შესახებ, იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე სრულიად ამგვარი ხელოვნური **გასაგონო-სა** და **დასაღვარო-ს** შესახებაც: ეს ფორმებიც პირწმინდად ხელოვნურია. პირველი იმიტომაც ასეთი ფორმით ნახმარი, რომ ის გვერდში უდგას სრულიად წესიერ სართიმო სიტყვებს: **საპატრონოსა — მოგაწონოსა — დაგამონოსა** (ამას, ბუნებრივია, უნდა შეერთდოს ჩვენი მიმღეობის მხოლოდ ასეთი ფორმა: **გასაგონოსა**), ხოლო მეორის ასეთი ფორმა გამოწვეულია მისი თანამორითმე სიტყვების ფორმებით: **წყაროთა — მოვეგვაროთა — შევიწყნაროთა** (726). ამას ჩვენი მიმღეობის მხოლოდ ასეთი ხელოვნური ფორმა შეეწყობოდა: **დასაღვაროთა**.

მაგრამ თანხმოვანფუძიანი სახელების გადაკეთება ე-ფუძიანებად ხდება არა მარტო მიმღეობების ფორმებში, არამედ არსებითს სახელებშიც. ამის კარგ მაგალითს იძლევა 1661-ე სტროფი, სადაც სართიმო სიტყვებად გვაქვს:

## მცირენი — ანატირენი — დანაპირენი — ჰირენი.

აქ მხოლოდ ერთია სწორი — მცირენი, დანარჩენები ხელოვნური ფორმებია — ორი მიმღეობა (ანატირენი და დანაპირენი), ერთი — არსებითი სახელი (ჰირენი). ამასთან, თუ მიმღეობებს მაინც რაღაც შორეული ანალოგია აკავშირებს სა-ე აფიქსებით წარმოქმნილ დანიშნულების სახელებთან, მარტივი ჰირ-ის ჰირე-დ გადაკეთება ძალდატანებითი და ხელოვნურია, იგი მხოლოდ წესიერ მცირე-სთან შერითმვის საჭიროებით არის გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ ორჯერ თვით მცირე შეეწირა სხვა სარიტმო სიტყვების კაპრიზებს (მკირსა — მცირსა; პირასა — მცირასა 884).<sup>7</sup> სამაგიეროდ ახლა მცირე იძიებს შურს და სამ სახელს შეიწირავს თვითონ: მცირენი — ანატირენი — დანაპირენი — ჰირენი. ასეა: აქაც ძველი ნათქვამის მიხედვით ხდება: რომელთა აღიღონ მახვლი, მახვლითაცა წარწყმდენ.

სრულიად ამნაირი ხელოვნური ფორმებია აგრეთვე მიმღეობა მჰამენი და არსებითი სახელი წამენი (წამნი), რომელთა ასეთი ფორმა წარმომდგარია ღამენი-ს მიზეზით (218-ე სტროფი).

პოემაში ხშირია თანხმოვანფუძიანი სახელისა (არსებითის, ზედსართავის, ნაცვალსახელის) და მიმღეობების ა ფუძიანებად გადაკეთება, მათთვის ფუძის ბოლოს ა ხმოვნის დართვა. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორცაა: ველანი, ქველანი, ფონანი, ფისანი, რეტასა, ლხინასა, ტანასა, ცხენოსანანი, ხორციელანი, ცხელანი, აწინდელანი, სწორანი, შორანი, ტყუბანი, შუქ-ნაფენამან, წენამან, მკრთალამან და ბევრი სხვა.

ზოგის შეხედულებით, ეს და ამის მსგავსი ფორმები კნინობითია, ა ასეთ სიტყვებში კნინობითობის მაწარმოებელია. ჩვენი აზრით, აქ კნინობითს სახელებზე არ შეიძლება ლაპარაკი. ჯერ-ერთი, რა კნინობითია აწინდელანი, სწორანი, შორანი, ლხინასა, რეტასა და სხვა, რომელთა შინაარსი სრულებით ვერ იგუებს კნინობითობას; მეორე: კნინობითობის ა სუფიქსი ჩვეულებრივ არსებითს სახელს ერთვის, აქ კი სადავო ა ყოველგვარ სახელს ემატება, საწყისსა და მიმღეობასაც კი, რაც სრულიად შეუძლებელია ნამდვილ კნინობითს ფორმებში; მესამე: ასეთი ა დართული ფორმები გვხვდება მხოლოდ რითმებში, მაშასადამე, აქ უნდა ვეძიოთ მისი წარმოშობის მიზეზიც, მეოთხე: სარიტმო სიტყვებზე დართული ა არ უნდა მოვწყვიტოთ

იმ შემთხვევებს, როცა სწორედ ამგვარ პირობებში მსგავს სიტყვებს ერთვის ე და ო სუფიქსები (გასაგმირეთა, გასაგონოსა), ანდა ხმოვანფუძიანი სახელი თანხმოვანფუძიანად არის წარმოდგენილი (სამარი, მცირსა). ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ა-ს დართვა ასეთ შემთხვევებშიც მხოლოდ რითმის საჭიროებით არის გამოწვეული. მართლაც, ხელოვნური ფორმები ველანი და ქველანი შეპირობებულია სტროფის წესიერი სარიტმო სიტყვების მოთხოვნით: ყველანი — შევლანი (427); ფონანი ერთმება ფორმებს: მონანი, წონანი (590); ფისანი-ს გამომწვევია თმისანი და მზისანი (626); ლხინასა ერთმება ფორმებს: რკინასა, მინასა (975); სწორანი და შორანი თავის გამართლებას პოულობს ტექსტში, სადაც მათ წინ უძღვის სწორედ რუსთველისათვის დამახასიათებელი ზმნისწინიანი რითმა მო, რანი და მოსდევს ყორანი (1268); ხორციელანი, ცხელანი და აწინდელანი ეყრდნობა ნაცვალსახელს ყველანი (1249). ასეა სხვებიც.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ზემოთ აღნიშნული ადართული ფორმების ხმარება ისეთივე მიზეზებით განისაზღვრება, როგორც გასაგმირეთა, ჰირენი, მჭამენი და სხვანი, ე. ი. ისინი გამოწვეულია რითმის მოთხოვნით, რითმის გადაუღებელი საჭიროებით. ისინი ასეთ ფორმებს მხოლოდ რითმაში ატარებენ, რასაც მათ აიძულებს იქვე, მათ გვერდში მდგომი ამნაირივე გარეგანი სახის, მაგრამ წესიერი ფორმის მქონე სიტყვები. მაგრამ დატოვებენ თუ არა ისინი სარიტმო სარეცელს და ტექსტში სხვა ადგილას მოხვდებიან, მყისვე იღებენ ჩვეულებრივს ფორმებს და ხელოვნურობის არავითარ ნიშანწყალს არ ატარებენ.

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სტროფში ასეთ ხელოვნურ ფორმებს გაცილებით ნაკლებად უჭირავთ პირველი ადგილი, ისინი უფრო უკანა რიგში დგანან; პირველი და გეზის მიმცემი ფორმები უფრო ხშირად წესიერი და ბუნებრივია. აი, სწორედ ამათ უბამს მხარს ის ხელოვნურად შექმნილი ფორმები. მეთაური სანიმუშოა, მიმდევრებს სჭირდებათ მცირე შელამაზება და წინამძღოლისათვის შესაფერი ელფერის მიცემა.

დასასრულ მინდა დავძინო, რომ შეიძლება აქ აღნიშნულ და მსგავს ფორმათგან რომელიმე არ იყოს წმინდა წყლის პოეტური ლიცენცია და იმდროინდელ სალაპარაკო ენაში თუ დიალექტში აქა-იქ მათი არსებობის შესაძლებლობა დაუფუძვთ, მაგრამ ამნაირი

ფორმები საერთოდ ხელოვნურია და რითმის საჭიროებით უნდა იყოს შექმნილი.

ახლა შეიძლება ცალ-ცალკე ჯგუფებად აღვსუხოთ რითმებში შემავალი ხელოვნური ფორმები.

#### ე-ი (0)

1.	სამარი—სამარე	
	დარი — მკვდარი — არი — სამარი	8
2.	ასაქმარი—ასაქმარე	
	ქმარი — შენაქმარი — დასანთქმარი — ასაქმარი	133
3.	მცირსა—მცირესა	
	პირსა — გპირსა — ლირსა — მცირსა	675
4.	მდინია—მდენია	
	მდინია — გაგვიცინია — მოსასმინია — ლხინია	918
5.	სამუხთალი—სამუხთალე	
	სამართალია — სამუხთალია — ფერ-ნამკრთალია-ხრმალია	1485

მაგრამ როცა ეგვევ სიტყვა გვერდში უდგას ე-ზე დაბოლოებულ სართომო სიტყვებს, როგორიცაა: გამოიმართალე — მომათვალე — წაესთვალე, იგი იღებს თავის ჩვეულებრივს ფორმას და ასე ერთმება მათ: სამუხთალე (456).

6.	გუბი—გუბე	
	უბია — შენატუბია — შუბია — გუბია	1607
	შდრ. დ. გურამიშვილი:	
	მისთვის ესტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა-	
	უბია	(104, 556, 3).

ბოლოს, შეიძლება დავუმატოთ ერთი სადავო მაგალითიც.

7.	გულ-მდულარი—გულ-მდულარე	
	ჩხარია — გულ-მდულარია — ჯარია — მოუბარია	92
	ნაუბარი — წანავგარი — მომდებარი — გულ-მდულარი	1284
	ბრალია — წაუვალა — ღვარია — გულ-მდულარია	1611

აქ შეიძლება დადგეს საკითხი: რომელია ამოსავალი ფორმა — გულ-მდულარე თუ გულ-მდულარი? იხმარება ორივე. რითმის საჭიროებით ერთიც შეიძლება ავხსნათ და მეორეც: ორივე გვხვდება რითმაში. ნათესაობითის ფორმაც ვერ მოგვცემს გასაღებს: გულ-



მდუღარისა (1325,3) და გულ-მდუღარისად (86,1) შეიძლება ორივემ მოგვეცეს.

სამაგიეროდ პოემაში არის ამ სიტყვის ისეთი ფორმები, რომლებიც მხარს უჭერენ სადავო სიტყვების ორივე სახეობას:

ა) აქ გვხვდება მდუღარად და გულ-მდუღარად: ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღარად ანატირსა 84,4

მივა და მიტირს გულ-მდუღარად, ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა 831,2

იგი ტირს, ლაწესა გულ-მდუღარად ჩაპრცხის ცრემლისა კი დენით 1234,4

ამ ფორმების მიხედვით ირკვევა, რომ ამოსავალია გულ-მდუღარი, მას შეუძლია მოგვეცეს ვითარებითში გულ-მდუღარად, გულ-მდუღარე ამ ბრუნვაში ჩვეულებრივად გულ-მდუღარედ იქნებოდა.

ბ) მაგრამ, მეორე მხრივ, იქვე გვაქვს გულ-მდუღარე-ც, და გვაქვს არა რითმაში, არამედ მის გარეთ, არა სხვა, სადავო ბრუნვაში, არამედ სწორედ სახელობითში:

მუნით ქალი გამოიქრა გულ-მდუღარე, ცრემლ-დასხმული 230,3  
აქ, სავსებით ნათელია, ენიანი ფორმაა დასაწყისი და ამოსავალი.

როგორ? ორივე ამოსავალია? დიახ, ორივე სწორია, ორივე ბუნებრივია. ესაა პარალელური ფორმები, რომლის მსგავსიც ჩვენს ენაში და თვით „ვეფხისტყაოსანშიც“ არა ერთი და ორია. შდრ. თვით პოემის სასურველი და სასურვალი, მოხვე და მოხველ, მოდი და მოვე და სხვანი. ასეთი პარალელური ფორმები, რომლებიც ხშირად იხმარება ენაში, არ შეიძლება ერთიმეორის საფუძვლად ვალიაროთ. მაგრამ თუ ჩვენ მაინც მდუღარე-ს ვაძლევთ მცირე უპირატესობას, ეს იმიტომ, რომ დღევანდელ ენაში სწორედ ეს სიტყვაა გაბატონებული. მეორე მხრივ, მდუღარად და გულ-მდუღარად ასე თუ ისე შეიძლება მდუღარე-დანაც მივიღოთ, რამდენადაც დღეს გვაქვს მოყვარად და მოწმად ფორმები და მათ სათავედ მოყვარე და მოწამე მიგვაჩნია (ყუმშვად-კვეცად სახელებად ვთვლით).

ასეთი პარალელური ფორმების დაშვება, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული (გვ. 111 — 112), ერთგვარი სიფრთხილით სხვა წარმოების მიმართაც შეიძლება.

1.                    **გასაგმირეთა—გასაგმირთა**  
 მოშაირეთა — გასაგმირეთა — მონადირეთა — მცირეთა                    6  
 შღრ. გასაგმირალი 1292,3 და გასაგმირონი 123,3.
2.                    **საომარე—საომარი**  
 მწყრომარე — მღგომარე — საომარე — მჯღომარე                    91  
 მჯღომარე — რომ არე — საომარე — მოიმცღომარე                    555

რომელი ამ ორთაგანია ამოსავალი: საომარი თუ საომარე? თუმცა ეს სიტყვა რითმაში კიდევ 5-ჯერ გვხვდება, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად არც ერთი მათგანი არ გამოგვადგება: ორგან ის გვხვდება ფორმით საომარია (1320,2; 1393,2), რაც შეიძლება ასეც გავიგოთ: საომარეა—საომარია (შღრ. აქვე, ზემოთ: გუბია—გუბეა); ორჯერ წარმოდგენილია მრავლობითში ასეთი ფორმით: საომართა (552,4; 1299,3), რომლებშიც შეიძლება ვივარაუდოთ პროცესი საომარე—საომარი ორივე სტროფის სარიტმავი სიტყვებისათვის შესაწყობად: გაემართა — ეწალმართა — შეჰმართა (752), მომისართა—მრავალ — გვართა — დაგვემართა (1299). ასეთ შემთხვევაში ეს იქნებოდა წინა მუხლში განხილული ნიმუშების ილუსტრაცია (სამარე—სამარი); ერთ შემთხვევაში ის რითმაში წარმოდგენილია ებიანი მრავლობითის ფორმით: საომარები (1472,3), მაგრამ აქაც შეიძლება ორივე სადავო ფორმა მივიჩნიოთ გამოსავლად: ა) საომარი—საომარები; ბ) საომარე—საომარები (გუბები-სა და მისთანათა მსგავსად. ნ. ზემოთ, გვ. 103 -- 106). ასე რომ, არც ერთი ეს მაგალითი გადამწყვეტ ჩვენებას არ იძლევა. პოემაში 6-ჯერ გვხვდება (არა რითმაში) ვითარებითის შეკუმშული ფორმა საომრად (1441,2; 557,1; 1241,2; 1376,2; 1387,3; 1576,3), მაგრამ მთლად ნათელ და უეჭველ საბუთს არც ეს ფორმა იძლევა, რადგან ერთგვარი შესაძლებლობით შეიძლება კაცმა მასში კუმშვად-კვეცადი სახელი იგულისხმოს (ვთქვათ, ამ ტიპისა: მოყვარე — მოყვრად).

მაგრამ პოემაში (არა რითმაში) მაინც მოიპოვება ამ სიტყვის ორი ისეთი ფორმა, რომლებიც აუცილებლობით გვაგულისხმებინებს, რომ ამოსავალია საომარი და არა საომარე. ესაა ვითარებითის შეუკუმშავი ფორმა საომარად: საომარად ატეხილი ვიყავ 445,3; დაეკაზმნეს საომარად 1600,1. აი, სწორედ ეს ფორმები ადასტურებენ, რომ რუსთველისათვის თავდაპირველი და ამოსავალი ფორმაა

სწორედ საომარი და არა საომარე. რომ „საომარე“ ყოფილიყო ამოსავალი, ორ უკანასკნელ მაგალითში გვექნებოდა არა საომარად, არამედ საომარედ, რითაც არავითარი ზიანი არ მოუვიდოდა ლექსის მეტრს (რითმაში ისინი არ შედიან). ამ უპრეტენზიო სიტყვას აქ რუსთველი ხმარობს თავისი ბუნებრივი ფორმით და სწორედ ესაა მეორეგვარი ფორმებისათვის (საომარე) გამოსავალი. ამიტომ საომარი—საომარე (ე. ი. ფორმულა ი—ე ამ სიტყვისათვის სახეებით სწორია).

სრულიად ასე დგას საკითხი მეომარი—მეომარე ფორმების მიმართაც, ამიტომ მას აქვე მოვიყვან და დასაბუთებისათვის სიტყვა ალარ გავაგრძელებ.

- |    |  |      |
|----|--|------|
| 3. | მოსანდომარე — მჭდომარე — ჰკრომარე — მეომარე            | 1473 |
| 4. | მოუბარე—მოუბარი  |      |
|    | მთვარეო — ბარეო — გარეო — მოუბარეო                     | 1226 |
|    | ქვე-მდებარესა — მოუბარესა — ... ნადებარესა — მიიბარესა | 1341 |
|    | გულ-მდულარეთა — მოუბარეთა — მწარეთა — არე-მარეთა       | 199  |
|    | მთვარეთა — მოუბარეთა — კაც-მიუმხვდარეთა — არეთა        | 1495 |

პოემაში ჩვეულებრივია, რასაკვირველია, მოუბარი რითმაშიც და მის გარეთაც (32,4; 132,2; 393,1; 901,4; 1178,4). მოუბარნი (207,4).

- |        |   |     |
|--------|---|-----|
| 5.     | დასამრულე—დასამრული                                       |     |
|        | ვაცუდენი — ბუდენი — ზლუდენი -- არ-დასამრულენი             | 217 |
|        | ეს ფორმა სხვა სარიტმო სიტყვების ე-ს მიზეზითაა გამოწვეული. |     |
| 6 — 7. | მკამე—მკამ-ი, წამე—წამი                                   |     |
|        | ლამენი — მკამენი — წამენი — მოსალამენი                    | 218 |

მკამენი შეიძლება მკამელნი — საგანაც იყოს მიღებული ლ-ს ამოგდების შემდეგ. შდრ. დაფითა—დაფლითა.

- |    |   |     |
|----|---|-----|
| 8. | მოწუნარე—მოწუნარი                         |     |
|    | მოწუნარენი — მწარენი — არენი — მემუქარენი | 345 |
| 9. | მქებარე—მქებარი                           |     |
|    | მდებარე — მქებარე — მზე ბარე — მე ბარე    | 530 |

ყველაფერი მდებარე-სა და ბარე-ს ბრალია. შდრ. მქებრად ამბი-  
სა მათისა 774,4, რომელიც საწყის ფორმად მქებარი-ს ვარაუდობს.

10. არე←არი (←არის)

წინარე — ვინ არე — ჩამომდინარე — გამიცინა-რე 568.

ვინ არე = ვინ არის (ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანცა, თუ მოღმა  
ვინ არე). არე არის მნიშვნელობით კიდევ გვხვდება პოემაში:

შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე  
1213,2

სად არე = სად არის.

11 — 12. გამომგებარე←გამომგებარი, მქებარე←მ(ა)ძებარი  
მდებარე — გამომგებარე — მქებარე — მე ბარე 1032

13. მჩქეფე←მჩქეფი

მეფეთ-მეფეო — შუქ-მოიეფეო — მჩქეფეო — დავიყეფეო  
1318

ამ სიტყვას ასეთი ფორმით ბევრი მწერალი ხმარობდა უმთავრე-  
სად მეფე-სთან შესარითმავად. მაგალითად:

თამარ მეფესა,

მტერთ სისხლ-მჩქეფესა (შავთ. 11,1);

სომეხთ მეფენი,

მტერთ სისხლთ-მჩქეფენი (შავთ. 85,4);

მეფელო — სეფელო — (სისხლთა) მჩეფელო — მყეფელო  
(დ. გურამიშვილი, 171, 8, 3).

14. საწყინარე←საწყინარი  
მწარენი — საწყინარენი — არენი — მოშამბნარენი 1330

15. ნადებარე←ნადებარი  
ქვე-მდებარესა — მოუბარესა — ცეცხლ-ნადებარესა —  
მიიბარესა 1341

16. მოსანდომარე←მოსანდომარი  
მოსანდომარე — მჯდომარე — მკრთომარე — მეომარე 1478

17. მიუმხვდარე←მიუმხვდარი  
მთვარეთა — მოუბარეთა — კაც-მიუმხვდარეთა — არეთა 1495  
შდრ. მიუმხვდარო 771,3.

18. მოუკრეფე←მოუკრეფი

მეფესა — სიიეფესა — სეფესა — მოჟერეფესა 1504.  
აქაც, ისე როგორც მჩქეფე-ს შემთხვევაში, ეს მიმღეობა მეფე-სა  
და მისი ტიპის სიტყვებთან შესარიტმავად არის ნახმარი.

19. საკამათე—საკამათი  
მეათენია — ფრთენია — საკამათენია — კაბათენია 1610  
საკამათი გვხვდება კიდევ 1632-ე სტროფში:  
მათსა — ათსა — შაბათსა — საკამათსა.

20. მჰვრეტე—მჰვრეტი  
კლიტენია — მჰვრეტენია — ტენია — სტენია 1622  
პოემაში ამ ცნების აღსანიშნავად ჩვეულებრივია მჰვრეტი  
(711,3; 725,3; 812,4; 1004,4; 1444,4) და მჰვრეტელი (711,3;  
1012,4 და სხვა). მჰვრეტენია აქ ამ სტროფის სხვა სარითმო სიტყ-  
ვებთან შესარიტმავადაა ნახმარი.

21. ანატირე—ანატირი, დანაპირე—დანაპირი, ჰირე—ჰირი  
მცირენი — ანატირენი — დანაპირენი — ჰირენი 1661  
შდრ. დ. გურამიშვილი:  
მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამის-ყანესო?  
(„დავითიანი“, 1956, 93, 474,4).

იმ ადგილს ლამის-ყანა ერქვა. ლამის-ყანესო კი გამოწვეულია  
სხვა სარითმო სიტყვებით:  
შემიყვანესო — მათაყვანესო — მაყაყანესო — ლამის-ყანესო.

ი (0) — ო

1. გასაგმირო—გასაგმირი  
უსაპირონი — საჰირონი — გასაგმირონი — არ-უხშირონი 123.  
როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს ამავე ფუძის მეორე ხელოვნური  
ფორმაც: გასაგმირე (16,2).

2. იეფო—იეფი  
სამეფოსა — იეფოსა — სასწრაფოსა — სადაფოსა 148

ეს ხელოვნური ფორმა (ნაცვლად კანონიერი ფორმისა იეფსა)  
ნახმარია მხოლოდ და მხოლოდ სხვა სარითმო სიტყვებთან შესაწ-  
ყობად (შდრ. ვ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები“, 1961;  
გვ. 200).

3. **გასაგონო—გასაგონი**  
საპატრონოსა — გასაგონოსა — მოგაწონოსა — დაგამონოსა 641

მაგრამ სხვაგან, რითმის გარეთ, არის კანონიერი გასაგონი: საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი 12,2.

4. **შესატყვისო—შესატყვისი**  
საგულისონი — სამეყვისონი — შესატყვისონი — ბისონი 719  
პოემაში გვხვდება სწორი, ბუნებრივი ფორმაც — შესატყვისი (695,2; 773,2; 1636,2).

5. **დასაღვარო—დასაღვარი**  
დასაღვართა — წყართა — მოუეგვართან — შევიწყნართა 726

6 — 7. **მიუმცდარო—მიუმცდარი, მიუმხვდარო—მიუმხვდარი**  
სარომან — მიუმცდარომან — მიუმხვდარომან — არო მან 771  
პოემაში არის მეორე ხელოვნური ფორმა ამავე სიტყვისა: მიუმხვდარეთა 1495,3.

## ი (0) — ა

1. **ცერა—ცერი**  
მე რასა — წერასა — მღერასა ცერასა 166

2 — 3. **ხანა—ხანი, დასაგვანა—დასაგვანი**  
ხანანი — მისთანანი — ბანანი — დასაგვანანი 187.

ხანა კიდევ ერთხელ გვხვდება ამ ფორმით:  
თქვენ დაგხოსს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა 1194.

ეს სიტყვა ამ გაგებით პოემაში კიდევ იხმარება 35-ჯერ. აქედან 30 ისეთია, როცა მხოლოდ ხანი იგულისხმება (ხანი, ხანსა, ხანთა), 5 კი ისეთია, რომელშიც ორივე შეიძლება ვიგულოთ (ხანისა, ხანი-სად, ხანები). აშკარა უნდა იყოს, რომ ხანასა, ხანანი რითმის საკურობებამ გამოიწვია: დანასა — ხანასა, მისთანანი — ბანანი — ხანანი. სხვაგან ყველგან, რითმაშიც და მის გარეთ ხანი და მისგან მომდინარე ფორმები გვაქვს.

რაც შეეხება მეორე სიტყვას (დასაგვანანი), ისიც იმიტომაა აქ ამ სახით წარმოდგენილი, რომ ზუსტად შეერიტოს იმავე სიტყვებს: მისთანანი — ბანანი. სხვაგან, რითმის გარეთ, რასაკვირველია, არის სწორი დასაგვანი: მას, მნათობსა დასაგვანსა 1186,4; ქალსა, მზისა დასაგვანსა 1276,2.

- 4 — 5.        ქველა—ქველი, ველა—ველი  
                   ქველანი — ყველანი — ველანი — შეველანი                    427
5.                ტყუბა—ტყუბი  
                   ჯუბანი — უბან-უბანი — უბანი — ტყუბანი                    480
- 7 — 8.        მეტის-მეტა—მეტის-მეტი, რეტა—რეტი  
                   მეტის-მეტასა — შრეტასა — რეტასა — ჰვრეტასა                    484
- 9 — 10        ბნელა—ბნელი, მრთელა—მრთელი  
                   ყველასა — შეველასა — ბნელასა — მრთელასა                    560
- 11 — 12.      შემომგონა—შემომგონი, ფონა—ფონი  
                   მონანი — შემომგონანი — წონანი — ფონანი                    590
13.              ფისა—ფისი  
                   ფისანი — თმისანი — რისანი — მზისანი                    626
- 14 — 15.      მოუთმინა—მოუთმინი (მოუთმენი),  
                   მონასმინა—მონასმინი (მონასმენი)  
                   მოუთმინამან — მინამან — მინამან — მონასმინამან                    689
16.              მდინა—მდინი (მდენი)  
                   მინანი — მდინანი — წინანი — ვინანი                    817
17.              მცირა—მცირე (მცირი?)  
                   პირასა — მცირასა — მხლი რასა — სირასა                    884
18.              მდენა—მდენი  
                   მდენანი — ენანი — ზენანი — თმენანი                    944
19.              ლხინა—ლხინი  
                   თავის-წინასა — რკინასა — ლხინასა — მინასა                    975
20.              ტანა—ტანი  
                   დანასა — ხანასა — ტანასა — ნანასა                    1194  
                   (ხანის შესახებ. ნ. ზემოთ № 2 — 3 მაგალითი).

21.	დანაბადა—დანაბადი	
	მაგარ-ვადამან — გაუცხადა მან — დანაბადამან — ვისმანლა ღამან	1244
22 — 24.	ხორციელა—ხორციელი, ცხელა—ცხელი, აწინდელა—აწინდელი	
	ყველანი — ხორციელანი — ცხელანი — აწინდელანი	1249
25 — 26.	სწორა—სწორი, შორა—შორი	
	მო, რანი — სწორანი — ყორანი — შორანი	1268
27 — 28.	ამაზრუნა—ამაზრუნი, შენათხუნა—შენათხუნი	
	ზენაო — ამაზრუნაო — ლამაზ-ენაო — შენათხუნაო	1270
29.	მკრთალა—მკრთალი	
	გა-ცა-შალა მან — მკრთალამან — ტალამან — სალამან	1340
30.	მეოტა—მეოტი	
	კოტანი — მეოტანი — კოტანი — მო, ტანი	1387
31 — 32.	შუქ-ნაფენა—შუქ-ნაფენი, შენა—შენი	
	შუქ-ნაფენამან — ააყენა მან — შენამან — ლხენამან	1487
33.	ღალალა—ღალალი	
	ქარავანი — შაოსანი — ღალალანი — აქა ხანი	1579
34.	ცხენოსანა—ცხენოსანი	
	ცხენოსანანი — თანანი — ნანანი.— დანანი	1608
35.	ალა—ალი	
	გაესალამა — ალამა — დალამა — სამსალამა	1660



ასეთია რუსთველის სიტყვათშემოქმედების ერთი დამახასიათებელი მხარე. აქ მას ახასიათებს გაბედული, თვითდაჯერებული ნოვატორობა, ნეოლოგიზმები ენაში, პოეტიკაში. ის ამ სიახლეთა ძიებასა და შექმნაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, როგორც ფრინველი ჰაერში. ეს ახლის ძიება ენასა და პოეზიაში მისი ნამდვილი სტიქიაა. პოეტს არ ეშინია ენისა და ლექსის ახალ ფორმათა გზაზე სიარულისა, ის ამ საქმის ცენტრში დგას და უშიშ-



რად კვალავს ახალ-ახალ შარავლებს მშობლიური ენისა და პოეზიის უღრან ტევრებში.

როგორც დავინახეთ, რუსთველი ახალი ფორმების შემოქმედებითს შექმნას უმეტესად მაშინ მიმართავს, თუ ეს სიტყვა მას რით-მაში სჭირდება. ამ შემთხვევაში პოეტი ამ სიტყვას აძლევს ისეთ ფორმას, რომელიც გამოდგება სტროფის სხვა რითმასთან შესაწყობად. აქ ის არ დაგიდევს, იხმარება თუ არა ენაში ეს სიტყვა ამ ფორმით, არის თუ არა იგი ყველასათვის მისახვედრი და გასაგები. ამ მოთხოვნის სავსებით და ყოველმხრივ დაკმაყოფილება მაღალი რანგის პოეზიაში არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი და აუცილებელი. მით უმეტეს უნდა ითქვას ეს რუსთველის შესახებ, რომლის დროსაც ქართული (სახოტბო) პოეზია ისე ძნელი გასაგები იყო, რომ ის შეეძლო გაეგო მხოლოდ სპეციალურად განსწავლულ კაცს, და იმასაც არა ყოველთვის. რუსთველის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისი სიტყვათშემოქმედება საერთოდ არაა არაბუნებრივი და გაუგებარი, მან მკვეთრად გადაუხვია მისი დროის თვითმიზნური და ნაწვალები ლექსის თეორიისაგან და შექმნა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის შედარებით ადვილად გასაგები და ბუნებრივი ლექსები, რომლებიც თავისი ღრმა შინაარსით, საკაცობრიო მოტივებითა და უქკნობი მხატვრული ფორმით ხიბლავს მის მკითხველს, იწვევს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას და სრულიად ბუნებრივად ავიწყებს ზოგიერთი ფორმის ხელოვნურობას. სხვაგან და სხვა შემთხვევაში (სხვა პოეტების მხატვრულ ენაში) ასეთი ხელოვნური ფორმები მეტისმეტად აუტანელად მოგვეჩვენებოდა, მაგრამ აქ, რუსთველის პოემაში ნაწარმოების გმირთა აზრები და იდეალები, მათი მაღალი ადამიანური მისწრაფებანი, ლექსის ჯადოქრული ძალა და სილამაზე ისე გვატყვევებს, რომ სრულიად არ მოჩანს ეს ხელოვნური ფორმები და გვეგონია, რომ „მოუბარენი, საომარენი, მცირსა, კირენი; ანატარენი“ და სხვა მათი მსგავსი ფორმები თითქოს ყოველდღიურ ცხოვრებაში სახმარი სიტყვები იყოს, თითქოს ისინი ყოველდღე გვესმოდეს და მკაცრ ნორმებს ემორჩილებოდეს. ასე იცის გენიამ.

სწორედ ამიტომ, რომ რუსთველის პოემაში ლექსის (უმთავრესად რითმის) საჭიროებისათვის ხშირად გვხვდება რა ნაცვალსახელისაგან ნაწარმოები ნაირ-ნაირი ფორმები, როგორც, მაგალითად, რული (111,1), და რაული (461,1), მიმღეობანი: საომარი და საომა-

რე, მოუბარი და მოუბარე, ანატირი და ანატირე დ ბევრი სხვა. ულ სუფიქსი ვნებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელია, ის მხოლოდ ნაზმნარ სახელს უნდა ჰქონდეს (ნახავს — ნახული, მოკლავს — მოკლული...), რა უნდა მას პატარა კითხვითს ნაცვალსახელთან? მაგრამ აბა ერთი ნახეთ კონტექსტში, სხვა სიტყვებთან ერთად და ლექსის საერთო მდინარებაში. ეს მაშინვე გავიწყდებათ (ან: მას არა გრძნობთ) და უნებლიეთ მიჰყვებით ამბის მომაჯადოებელ განვითარებას, მის მიმზიდველ ფერებს და სულ გავიწყდებათ პოეტის ერთგვარი სითამამე ხელოვნური ფორმების შექმნაში, გავიწყდებათ ირგვლივ ყველაფერი, გიქრებათ ყოველგვარი სხვა ფიქრი და ზრუნვა ყველაფერზე და გატაცებით მიჰყვებით და მიჰყვებით პოემის ჯადოსნურ სტრიქონებს. აბა აქ სად მოგაგონდებათ ასეთი მცირე შეცოდებანი! ასეთ რამეს ცივი გონებით განყენება და გამოცალკევებით გაჩხრეკა გამოავლენს ხოლმე. პოემის კითხვის დროს კი ცივი გონება განზე დგას, აქ პირველ რიგში გრძნობებია წინ წამოწეული, და გრძნობისათვის კი, როგორც ცნობილია, უცხოა ცივი გონების კარნახი და მისი კრიტერიუმით აწონ-დაწონა. ამიტომაც, რომ პოემის მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის არცა ჩანს ხელოვნური ფორმების თვით არსებობაც კი, მისთვის აქ ყველაფერი ნამდვილი, ბუნებრივი და იდეალურია.

მეორე მხრივ, ისიცაა აღსანიშნავი, რომ ზემოთ აღნიშნული ხელოვნური ფორმები და ისეთი შედარებით უჩვეულო და განყენებული წარმოება, როგორიცაა: ცრემლსა რასა ჰმილდი (554,2), ბუქი ბუქდა (986,3), მინა მინდა (298,3), ბროლი ბროლდა, სათი სათდა (867,3), ენა ენდა (1048,1), ვარდი ვარდა (1339,3) და სხვები, უჩვენებს საერთო მაღალ კულტურას, ხალხის ესთეტიკური დონის მაღალ საფეხურს. პოეტი ამას თავისთვის და ზოგიერთი მაღალი განათლების მქონე პირისათვის ხომ არ წერდა. ის წერდა ყველასათვის, ხალხისათვის, მთელი ქართველი ერისათვის. ჩანს, მაშინ კარგად ესმოდათ და იგებდნენ პოემის იშვიათად მაღალ მხატვრულ სახეებს, გემოვნებითა და დიდი ოსტატობით შექმნილ რითმებს, მაშასადამე, მაშინდელი ქართველი ხალხის ესთეტიკური მომზადების დონე, ესთეტიკური კულტურა მეტად მაღალ საფეხურზე იდგა. სხვა მხრივ ასეთი რთული პოეტური ქმნილების წვდომა და შეთვისება შეუძლებელი იქნებოდა.

ბოლოს, გვინდა დავძინოთ, რომ ასე მრავალი და მრავალფერო-

ვანი ენობრივი რესურსების მიკვლევა და გამოყენება არ შეეძლო ახალბედა პოეტს, რაგინდ გენიოსიც ყოფილიყო იგი; უდავოა, რომ ეს არის ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების შედეგი. ამ შედეგს წინ უნდა სძლოლოდა დიდი ხნის ინტენსიური მუშაობა ამ დარგში, ე. ი. პოეტს აქამდე სხვა, მრავალი ამგვარი შედეგები უნდა ჰქონოდა შექმნილი.



შ. რუსთველის შაირმა უდიდესი გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეების პოეზიაზე: მისი ლექსის ყველა მხარე ნორმად და მეტრად ითვლებოდა. მის შემდეგ რითმაშიც დამკვიდრდა დიდი პოეტის მიერ შემოღებული სიახლეები: ფართო ადგილი პოვა ზმნამ, გახშირდა სახელისა და ზმნის შერითმვის შემთხვევები (პეშვებით— არ მომეშვებით, კუბოსა — დაეგუბოსა, შხამათა — დაეშამათა, ჩიტია — შემომჩიტია, დიდებით — დაერიდებით — თეიმ. I, გაეშორები — კორები, მოიწონების — მონების, ბაგენი — ვაგენი, ჰფარავს — არავს, დაუწუნოს — ურწმუნოს — ს. ს. ორბ., ხაროსა — ამოთხაროსა, დავსება — მოეთავსება — დ. გურ.), უფრო ბუნებრივი გახდა სარითმო სიტყვები, იკლო ხელოვნურმა ფორმებმა... ერთი სიტყვით, რუსთველის ლექსი, მისი ყველა მხარე მისაბაძ ნიმუშად და უმაღლეს ნორმად იყო მიღებული. ეს აღიარება და რუსთველის ლექსის შთაგონების წყაროდ გამოცხადება შემდეგ საუკუნეებშიც დარჩა ძალაში. რუსთველის ლექსი დღესაც მრავალი თვალსაზრისით მისაბაძად და ნიმუშად არის მიჩნეული. ასე იყო და ასეა: გენიას ვერ შეზღუდავს დროისა და სივრცის ვიწრო საზღვრები.

## „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის \*

### I

დროის გარემოებას ძველ ქართულში გამოხატავდა სხვადასხვა ბრუნვის ფორმა. უფრო ხშირად ამ მიზნით გამოყენებული იყო წრფელობითი: განთიად, ჟამ (მრავალ ჟამ, მყოვარ ჟამ, ჟამ ერთ), დილეულ, წელ, წუთ, დღე, ღამე, თთუე... მიცემითი: დღეს, წელსა, ცისკარს, რაჟამს... მოქმედებითი: დღით, ღამით, ათორმეტით წლითგან... ვითარებითი: მწუხრად, სამხრად, ჟამად-ჟამად და სხვ. ამავე მიზნით ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ნათესაობითსაც. ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა სწორედ დროის გარემოების აღნიშვნა. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს შემონახული რიგი სახელები, რომლებიც ამ ფუნქციით იხმარება. ამ შემთხვევაში ყველა ასეთი ფორმის თავისებურება ისაა, რომ ისინი ყოველთვის მარტივი ის ნიშნით არიან წარმოდგენილი, მათ არა აქვთ ემფატიკური ა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნათესაობითი ბრუნვის მიერ ამ ფუნქციის გამოხატვა ძალიან ძველი წარმოშობისაა, ის დიდი ხნით უსწრებს წინ ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწევრად ქცევის პროცესს, ნაწევრის ჩამოყალიბებას ქართულში, როცა ორდინარული ნათესაობითი ნაწევრისეული (resp. ჩვენებ. ნაცვ.) ა-თი იქნა გავრცობილი და ბრუნვის ნიშანმა „ის — ა“-ს სახე მიიღო.

ზრგიერთი ასეთი სახელი ამ მნიშვნელობით ხშირი ხმარების გამო ზმნიზედად იქცა და ამოვარდა ბრუნვათა მწყობრიდან. ასეთია, მაგალითად, გზ-ის (გზა — გზ-ის) და მყ-ის (მეყი — მყ-ის), რომლებიც წარმოშობით დროის ზმნიზედა უნდა იყოს, მაგრამ შემდეგ ვითარების (მყის) და ზომისა და ოდენობის (გზის: ერთგზის, მრავალგზის) ზმნიზედებად იქცნენ<sup>1</sup>. ასეთი უნდა იყვნენ აგრეთვე უკუანა და მწუხრი, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, 1949. გვ. 215.

\* გამოქვეყნებული იყო ადრე („კომუნისტური აღზრდისათვის“, № 2, 1957 წ.).

აღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება ისეთი სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობაც დროზე მიუთითებს. ესაა, პირველ რიგში, წლის დროები ზამთრის და ზაფხულის, შემდეგ შუაღლის აღმნიშვნელი ცნობილი სიტყვა სამხრის, კვირის ერთ-ერთი დღის სახელი პარასკევის, საათის  $1/60$  ნაწილი წუთის, ზმნიზედები ხვალის (= ხვალ) და უკუანაზ.

ყველა ეს სიტყვა მეტ-ნაკლები სიხშირით იხმარება ძველ ქართულში:

### 1 — 2. ზამთრის, ზაფხულის:

კლდე იგი არს კმელი ფრიად და არა არს მას შინა სინოტიჲ ზამთრის და არცა ზაფხულის (კიმ. I, 26,26). ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა აქ და ქვემოთ მოყვანილ ადგილებში ასეთია: ზამთარში, ზაფხულში, ან ზამთრობით, ზაფხულობით, ან კიდევ: ზამთრის განმავლობაში, ზაფხულის განმავლობაში.

რასაკვირველია, არ შეიძლება აქ ზამთრის მსაზღვრელად გავიგოთ და მის საზღვრულად სინოტიჲ ვიგულისხმოთ. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ. ჯერ-ერთი, რიგი შებრუნებული იქნებოდა „ზამთრის სინოტიჲ“, რადგანაც მარტივნიშნისანი მსაზღვრელი, ან კომპოზიტის პირველი წევრი ძველ ქართულში ყოველთვის საზღვრულის წინაა მოქცეული; მეორე: თუ აქ რიგი ისევე დარჩებოდა, როგორც ტექსტშია, მსაზღვრელი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო საზღვრულთან ბრუნვაში: „სინოტიჲ ზამთრისაჲ“, რაც არა გვაქვს; მესამე: განზე დარჩებოდა და სრულიად დაუკავშირებელი იქნებოდა მეორე ამნაირი სიტყვა „ზაფხულის“; მეოთხე: ასეთ გაგებას სრულებით ვერ იტანს ტექსტის აზრი: აქ ლაპარაკია მშრალ (კმელ) კლდეზე, რომ მასში არაა სინოტივე არც ზამთარში, არც ზაფხულშიო. ხოლო დაშვება, რომ მშრალ კლდეში არ არის ზამთრისა და ზაფხულის სინოტივეო, აბსურდია. მაშასადამე, ზამთრის და ზაფხულის აქ დროის გარემოებაა.

... ხოლო ილოცევდით, რაათა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთრის (მრ. 13, 18C). სხვა ხელნაწერებში ეს სიტყვა მიცემითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული: ზამთარსა (DE და სხვ.), რაც სავესებით კარგად გადმოსცემს სათანადო აზრს. რუსულ თარგმანში, რა თქმა უნდა, გვაქვს ЗИМОЮ.

... და ოდესმე უბრძანის ღრუბელთა და წვმაჲ განუწილის და ზამთარი ყოველსა ქუეყანასა მოჰტინის; და ოდესმე მყუდრო და

ტფილი უამი განზავის და თითოფერად გარდაცვალის; **ზაფხულის** მფრინველთა განცხრომაჲ ბრძანის (Записки, ტ. 17, 32 — 33). ნ. მარი მოყვანილი ადგილის უკანასკნელ წინადადებას ასე თარგმნის: „И велик летним птицам наслаждаться (იქვე, 339). ეს არაა სწორი, უნდა იყოს: летом аи: в летнее время.

**ზამთრის, ზაფხულის** და მსგავსი ფორმები ამ მნიშვნელობით ძალიან ხშირად იხმარება „ქართლის ცხოვრებაში“; მაგალითად: და დასხდეს წუნდას ქალაქსა **ზაფხულის** და **ზამთრის** იყვნიან ოძრქეს (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, 1955, 205, 1); და ენება **ზაფხულის** შესლვა ოვსეთად (იქვე, 257, 1). ეს თავისებურება გამომცემელს შენიშნული და სპეციალურად აღნიშნული აქვს (იქვე, 046).

### 3. პარასკევის.

აღარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევის, ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი (ქართ. ცხ., I, 264, 13). პარასკევის აქ იქნება „პარასკევს“, ე. ი. ისევ და ისევ დროის გარემოება.

4. **სამხრის**. სამხარი ძველ ქართულში „შუადღეს“ აღნიშნავდა. **სამხრის**, მაშასადამე, იქნება „შუადღეზე“, „შუადღისას“. <sup>1</sup> უფრო მეტი ზედმიწევნილობისათვის ამ სიტყვას ხშირად ახლავს შუვა, შოვა, რომლითაც ხაზგასმულია ეს დღის შუა ნაწილი, დღის ნახევარი, ე. ი. სწორედ შუადღე.

დავიმოწმით ორიოდ მაგალითი:

მწუხრი, დილუელ და სამხრის მიუთხრობდე და ვიტყოდი და ესმას კმისა ჩემისაჲ (ფსალმ. 54, 19 — 20). ნაბეჭდ ტექსტში ეს სიტყვა ვითარებითშია დასმული (სამხრად), რაც აგრეთვე ერთ-ერთი გზაა დროის გარემოების გადმოსაცემად (შდრ. ცისკრად, მწუხრად...); რუსულ თარგმანში, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს в полдень.

... ისმოდენ ვალალებაჲ დილითი და დაღადებჲ სამხრის (იერ. 20, 16); რაჲთა ჭამონ პური ჩემ თანა კაცთა მაგათ სამხრის (დაბ. 43, 16). ეს სამხრის ამავე წიგნის სხვა ადგილას შეცვლილია ზემოთ აღნიშნული ვითარებითის ფორმით — სამხრად (დაბ. 43, 25).

ახლა ვნახოთ ისეთი მაგალითები, როცა ამ სიტყვას ახლავს შუვა, შოვა:

<sup>1</sup> ა. ი. ქ. ბ. ა. ე. ა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხარი“: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., V, 1953, გვ. 68.

განვიდა მეფე მათ თანა შუა-სამხრის (3 მეფ. 20, 16); მზე ერთ-ჯერ და ორჯელ (sic) შოვა-სამხრის დაბნელდა ჩუენ ზედა (ი. ჯავახ. აღწ. 229, 20); დაჰკდეს მზე შუა-სამხრის (ამოს 8, 9). ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ამ სიტყვას ცვლის შუადლე (დაჰკდეს მზე შუადლე), რუსულ თარგმანში კი იკითხება: произведу закат солнца в полдень. ეს მნიშვნელობა — შუადლე, შუადლეზე, შუადლისას — ამ სიტყვას აქვს ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში. მაშასადამე. სამხრის-აც გამოხატავს დროის გარემოებას.

### 5. უკუანაჲს.

ხოლო დოლის-ყანაჲ მონასტრად უკუანაჲს იქმნა (ხანძთ.: ისტ. ქრესტ. I, 259, 22). „უკუანაჲს“ აქ დასხვავან იქნება „უკანასკნელად“, „ბოლოს“.

### 6. წუთის.

რად არს საქმეჲ ესე, რომელსა შენ იქმ, ჰ სტეფანია, წუთის ფერკნი არა დაგიწყობიან სახლსა შინა ჩემსა (ი. ჯავახ. აღწ. 170, 10). წუთის აქ ნიშნავს: ერთი წუთის განმავლობაში, ერთ წუთს, მცირე ხანს, მოკლე დროში. როგორც ვხედავთ, აქაც დროის გარემოებასთან გვაქვს საქმე.

ზემოთ განხილული ფორმების მსგავსი უნდა იყოს აგრეთვე მწუხრი და მიმწუხრი, რომელნიც ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარებიან და აღნიშნავენ „სალამოს“, „შებინდებისას“. ვნახოთ ამის მაგალითებიც:

იღვძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს უფალი იგი სახლისად მოვიდეს: მწუხრი, ანუ შუეა-ლამეს, ანუ ქათმისა კმასა, ანუ განთიად (მრ. 19, 25). მწუხრი აქ უპირისპირდება ფორმებს „შუეა-ლამეს“, „ქათმისა კმასა“, „განთიად“. იგი „სალამოს“ აღნიშნავს. ცხადია, იგი ზმნიზედაა.

... მწუხრი ვთქუ: ხვალე შევიანანო (უდაბნ. 38va); მწუხრი შეიყვანიან და დილეულ განუტევიან (ესთერ 2, 11); დილეულ, სამხრად და მწუხრი (მამ. სწავ. 394A). აქ სამი სხვადასხვა ფორმა (წრფელობითი, ვითარებითი და ნათესაობითი) და სამივე ცნობილი და გავრცელებულია ძველ ქართულში დროის გარემოების გადმოსაცემად. ახალ ქართულში სამივეს შეცვლიდა მიცემითი: დილას, შუადლისას (შუადლეზე) და სალამოს.

ამავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე მი დართული ფორმა ამ სიტყვისა: მიმწუხრი. ეს მი კი სხვა არაფერია, თუ არა წინდებული,

რომელიც დაერთვის სახელის ნათესაობითსა და ვითარებითის ფორმებს (მიმეუფისამდეცა, ზირაქ 8, 3; მისაფუძვლადმდე, მიღლემდე და სხვა.). ეუჩვენოთ ამის ნიმუშებიც:

... (გრიგოლ) დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა (ხანძთ: ისტ. ქრესტ. I, 262, 40); და ყორანნი მორათუმიდეს მას პურსა განთიად და კორცსა — მიმწუხრი (3 მეფ. 17,6). აქ მოყვანილ მაგალითებშიც მიმწუხრი აღნიშნავს „სალამოს“, „შებინდებისას“.

ახლა კითხვა ისმის: რა ფორმაა მწუხრი, მიმწუხრი? გარეგნულად იგი სახელობითსა ჰგავს და ზოგს სწორედ ასეთად მიაჩნია, მაგრამ სახელობითი ბრუნვა არ შეიძლება ზმნიზედის საწარმოებლად იქნეს გამოყენებული. ამის შესახებ ა. შანიძე წერს: „ბრუნვის ფორმათაგან შეიძლება ზმნიზედად იქცეს: მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები, თვითეული მათგანი სუფთად ან თანდებულის დართვით. სრულიად გამორიცხულია სახელობითისა, მოთხრობითისა და წოდებითის ფორმები“.<sup>1</sup> ეს დებულება სავსებით სამართლიანია, მას ზურგს უმაგრებს ჩვენი ენის წარსული და ახლანდელი ვითარება. მაშ, რა ბრუნვის ფორმაა მაინც ეს მწუხრი და მიმწუხრი? ჩვენი აზრით, ეს ნათესაობითის ფორმა უნდა იყოს. რომელსაც ხშირი ხმარების გამო ს ჩამოჰკვეცია და გარეგნულად სახელობითს დაჰმსგავსებია. იგი სავსებით კანონიერად უდგას გვერდში ისეთ ფორმებს, როგორიცაა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ჯამთრის, ჯაფხულის, სამხრის და სხვ., ოღონდ მას ს აკლია. ს-ს ჩამოკვეცა ასეთ შემთხვევაში დღესაც გვხვდება ქართული ენის ზოგიერთ კილოში, მაგალითად ინგილოურში. ამ კილოში ჯაფხული, ჯამთრი ჩვეულებრივი ფორმებია ნაცვლად „ზაფხულის“ და „ჯამთრის“-ა. და ეს არა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა მათ რაიმე საზღვრული მოსდევს, არამედ, რაც მთავარია, დამოუკიდებლად ხმარების დროსაც (ნახეთ მაგალითები ქვემოთ). ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „მწუხრი“-ს ბრუნვის ახსნისათვის. ჩვენი აზრით, ჯამთრი, მწუხრი არსებითად ერთ ხაზზე ქვეს, ერთი სიბრტყის ფორმებია. ასე რომ, მწუხრი ს ჩამოკვეცილ ფორმად უნდა ვიგულისხმოთ, სხვანაირად მისი ახსნა ძნელია.

აღსანიშნავია, რომ სახელი, რომლის ნათესაობითი ბრუნვის

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 608.



ფორმიდანაც მოდის ეს ჩვენი მწუხარი, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივ ფორმებს იძლევა, რომელთაგან ზოგი (მაგალითად, მიცემითი და ვითარებითი) იმავე ფუნქციითაა გამოყენებული, როგორც მწუხარი, ე. ი. ისინიც დროის გარემოებას გამოხატავენ, მაგალითად: მიმწუხრსა მოვიდენ; და მოკუდა მეფე მწუხრად (3 მეფე, 22, 35). აქ „მწუხრად“ საესებით შესაძლებელი იყო შეცვლილიყო ჩვენთვის საინტერესო ფორმით „მწუხარი“ (და მოკუდა მეფე მწუხარი).

ჩვენს დაშვებას, რომ მწუხარი—მწუხრის, მხარს უჭერს აგრეთვე ზემოთ გაკვრით აღნიშნული გარემოება: მი წინდებული ერთვის მხოლოდ ნათესაობითსა და ვითარებითს ბრუნებს<sup>1</sup>. მიმწუხარი ვერ იქნება სახელობითი, მაშასადამე, იგი ნათესაობითისაგან მომდინარეობს.

შესაძლებელია „მწუხარი“-ს ბედს იზიარებდეს აგრეთვე „მიმდენი“-ც, მაგრამ ამაზე ახლა აქ ვერ შევიჩერდებით.

## II

ახალ სალიტერატურო ქართულში ამგვარი წარმოება აღარა გვაქვს, მაგრამ ქართული ენის ზოგ კილოში დარჩა ძველი მდგომარეობის კვალი და ნათესაობითი ბრუნვა დროის გარემოების გადმოსაცემად კანტიკუნტად დღესაც იხმარება. ამნაირი გადმონაშთები შემონახული აქვს ხევსურულს, ფერეიდნულს, თუშურს, ფშაურს, ინგილოურს, მოხეურს და, უნდა ვიფიქროთ. სხვებსაც. ჩვენ აქ დავიმოწმებთ მაგალითებს ზემოთ აღნიშნული ზოგი კილოდან.

### ხევსურული:

ხევსურულის შესახებ მასალები შედარებით ბლომად მოგვეპოვება. გვაქვს პროზული ტექსტებიცა და ლექსებიც. ორივე სახის მასალები გამოცემულია ა. შანიძის მიერ<sup>2</sup>. ჩვენთვის საინტერესო ფორმები დაცულია ორივე სახის მასალებში; მაგალითები:

### პროზიდან:

ერთ არხოტის მთაი გვაქ ზაფხულის სავალი, მაგრამ ეს მთა ცოტა

<sup>1</sup> ამ ბრუნვებს კიდევ აქვთ ზიარი თანდებული მღე, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

<sup>2</sup> პროზა: ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ უ რ ი, ქვესურული მასალები, პროფ. ა. შანიძის რედაქციით (წელიწადული, 1923 — 24 წ. გვ. 180 — 335); პოეზია: შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. 1931.

ხან არის. მალე თოვლ დაიქვრს (წელიწდეული, 189, 25). ზაფხულის = ზაფხულში, ზაფხულობით.

... ზამთრის მალობილში ორთ, არცაისკე გზა არ გოქვე გასავალი (იქვე, 190, 7). ზამთრის = ზამთარში.

#### პოეზიიდან:

კარგ იყავ, ჩვენო არხვატო.  
მტრისათვი შაუპოვარი.

ზამთრის ქალა გაქვე სავლეღად,  
ზაფხულის შრების კლდოვანი.

(ა. შანიძე, ქართ. ხალხ. პოეზია, 1931, 459, 4).

ზამთრის აქ ნიშნავს ზამთრობით (ზამთარში). მისი გაგება მსაზღვრელად შეუძლებელია: „ზამთრის ქალა გაქვე სავლეღად“ გაუმართლებელი წინადადებაა. ზაფხულის-აც უეჭველად ამას ნიშნავს: ზაფხულობით (ზაფხულში): ზაფხულობით შრება კლდოვანით. აქ, როგორც ვხედავთ, აბსოლუტურად გამორიცხულია მისი გაგება მსაზღვრულად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასთან სრულებით არა გვაქვს საზღვრული.

#### თუშური:

ზამთრისეც სოფლის ბოლოს ჩავიდოდეთ (თუშური, 111, 16)<sup>1</sup>; ჰოდ მემრ თოლ მოსრულიყო ზაფხულის (იქვე, 123, 2); იმ ზამთრის მეაც იქ ვიყავ (იქვე, 117, 1). ამ მაგალითებშიც ზამთრის = ზამთარში, ზაფხულის = ზაფხულში. როგორც ჩანს, თუშურში ნათესაობითის გამოყენება დროის გარემოებად ჩვეულებრივი მოვლენაა.

#### ინგილოური:

ზაფხული დიად ბეჭრ მუშუოვთყ, ზამთრიდბე ოგრჭევეთყ, უგრჭთყ, კელე ზამთარი შქომთყ<sup>2</sup>. ზაფხული ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში, რასაკვირველია, სახელობითს ბრუნვას არ წარმოადგენს (თანხმოვანფუძიანი სახელები ინგილოურში სახელობითში უნიშნოდ იხმარება), ეს არის ნათესაობითი, რომელსაც ბრუნვის ნიშნის თანხ-

<sup>1</sup> თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის თუშური კილო, საკანდიდატო დისერტაცია, გამოკვლევა და ტექსტები, 1953 (ხელნ.).

<sup>2</sup> რ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე, ინგილოური კილო, I. ტექსტები, თბილ. უნივ. შრომები. ტ. 30—31. B, 1947, გვ. 285.

მოენითი ნაწილი ს მოკვეცილი აქვს. ნათესაობითის ს-ს მოკვეცა ძალზე გავრცელებულია ინგილოურში. ეს ხდება არა მარტო მაშინ, როცა ნათესაობითი მსაზღვრელს წარმოადგენს (სოფლი თავში, 250), არამედ სხვა შემთხვევაშიც. რომ აქ ნათესაობითი იგულისხმება და მას ს მოკვეცილი აქვს, ეს ჩანს მეორე სიტყვიდან — **ჴამთრი**, რომელშიც ფუძე არ შეიკუმშებოდა, სახელობითი რომ ყოფილიყო. აქ ფუძე შეიკუმშა ნათესაობითის ის სუფიქსის გავლენით; ამ ის ნიშნისეული ს შემდეგ დაიკარგა, როგორც ეს ინგილოურში (და არა მარტო ინგილოურში) ხდება საერთოდ.

ამრიგად, **ჴამთრი—ჴამთრის**, ხოლო **ჴაფხული—ჴაფხულის**. შინაარსით იგი უდრის ჴამთრობით (ჴამთარში), ჴაფხულობით (ჴაფხულში). ასე რომ, აქაც გვექონია ისეთი მდგომარეობა, რაც ჴემოთ ხევსურულსა და თუშურში შევნიშნეთ: ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია დროის გარემოებად.

#### ფერეიდნული:

იმ **ჴამთრის** ჩონ სოფლის ხალხმა დააწყვეს, რომ იყიდონ ცხორა. სასუქები — დავძახით ყოჩებს... საღომის ცხორები გამორეკეს ბიჭებმა<sup>1</sup>. აქ იმ **ჴამთრის** = იმ ჴამთარში, საღომის = საღამოს, საღამოზე.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მოხეურსა და ფშაურშიც, მაგრამ უადგილობის გამო აქ მათ ვერ ვეხებით.

ასე რომ, ნათესაობითის გამოყენება დროის გარემოებად საერთო ქართული მოვლენა ყოფილა; ის გვექონია ძველ ქართულში, გვაქვს თანამედროვე ქართულის კილოებში. ახალ სალიტერატურო ქართულში ეს მოვლენა აღარაა ცოცხალი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაშთის სახით დარჩენილ გაქვავებულ ფორმებს, როგორცაა ჩვენ მიერ მოხსენებული მყის, გზის და აგრეთვე წუხელის (წუხელი || წუხელ) და მერმის, რომელთაც ა. შანიძე ნათესაობითისაგან წარმომდგარად მიიჩნევს<sup>2</sup>.

### III

ჴემოთ მოხსენებულის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვის საკითხი. ჩვენი აზრით,

1 ა. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 224.

2 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 609.

ჯამთრის და ზაფხულის სწორედ აღნიშნული გაგებით იხმარება ამ პოემაში. აქ განსაკუთრებით გვინდა ყურადღება მივაქციოთ პირველ მათგანს (ჯამთრის). ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე ადგილას გვხვდება, მათ შორის ყველაზე საინტერესოა შემდეგი ადგილი:

თვე ერთისა მოშორება მზისა ჯამთრის გაგვაცივნებს.  
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივენებს?

(ვახტანგისეული გამოცემა, 946. 1).

სტროფის სხვა სიტყვათა ვარიანტებს თავი რომ დავანებოთ, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა — ჯამთრის — ამ სახითაა დაბეჭდილი შემდეგს გამოცემებში: ჩუბინაშვილისა (სტროფი 950), ქართველიშვილისა (947, გვ. 211), კარიჭაშვილისა (936), იუსტ. აბულაძისა (ორივე გამოცემაში: 891, 830), ს. კაკაბაძისა (II გამოცემაში: 957), კ. ჭიჭინაძისა (1015) და სხვებში.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაში პირველი სტრიქონი სხვა რედაქციითაა მოცემული, აქ შეცვლილია ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ფორმა:

თვე ერთისა მოშორება მზე ჯამთარსა გაგვიცივნებს (956)

ამ სიტყვის ამნაირი ფორმა მოცემული აქვს ს. კაკაბაძეს (I გამოცემაში: 914) და პ. ინგოროყვას (956).

უნდა შევნიშნოთ, რომ აკადემიური გამოცემის ზემოთ აღნიშნული წაკითხვა (აგრეთვე ს. კაკაბაძისა და პ. ინგოროყვას წაკითხვები) არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას. იქ კანონიერი ფორმა ჯამთრის შეცდომით არის შეცვლილი შინაარსეულად და ენობრივად გაუმართლებელი ფორმით ჯამთარსა.

აბა რა დიდი აზრია იმაში, რომ თქვან: ერთი თვით მოშორება მზისა ჯამთარს გაგვიცივენსო? ჯამთარი ისედაც ცივია. რუსთველს აინტერესებს არა ის, თუ როგორ აცივენს მზის ერთი თვით მოშორება ჯამთარს, არამედ როგორ აცივენს ხალხს, როგორ გვაცივენს ჩვენ. აქ ხალხი (ჩვენ) არის საზრუნავი საგანი, ის წარმოადგენს პირდაპირ ობიექტს.

აკადემიური გამოცემის წაკითხვაში ენობრივადაც დიდი შეუსაბამობაა. რა გაგვიცივნებს ჯამთარსა: მოშორვება თუ მზე? აქ ქვემ-

დებარედ ორი სულ სხვადასხვა სახის სახელია გამოყვანილი, რაც სრულიად დაუშვებელია რუსთველის ნათელ მეტყველებაში და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ასეთი უცნაური გაუგებრობა მას მივაწეროთ.

სწორია და უნდა აღდგეს ტრადიციული წაკითხვა **ჴამთრის**, რომელიც ძველინა და საშუალი ქართულის ნორმებს შეეფერება და მათ ეყრდნობა. **ჴამთრის** აქ ნახმარია დროის გარემოების გამოსახატავად და ნიშნავს „**ჴამთარში**“, „**ჴამთრობით**“. ასეთი წაკითხვა სრულიად გამართულია და არავითარ ექვს არ იწვევს: იგი საუცხოოდ უდგება კონტექსტის საერთო აზრს. მისი შინაარსი ასეთია: მზის ერთი თვით მოშორება **ჴამთარში** (გა)გვაცივებს, მე კი ორი მზე (თინათინი და ტარიელი) დაეტოვებ, ამიტომ გული რატომ არ ივლებსო. შემდეგში ამნაირი ფორმა (**ჴამთრის**) ზემოთ ნაჩვენები მნიშვნელობით გაუგებარი იყო, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერებიც ასწორებდნენ მას და თავიანთი წაკითხვა შეჰქონდათ შიგ. ასე უნდა აიხსნას „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის „მზე ჴამთარსა გაგვიმცივნებს“ (რაც აზრითაც, ენობრივადაც და პოეტურადაც მეტად უხერხული გამოთქმაა) და პ. ინგოროყვას არსებითად (ამ ნაწილში) ამის მსგავსი „**მოშორება მზისა ჴამთარს გაგვიმცივნებს**“.

მაგრამ როგორღაა ეს აღგილი წარმოდგენილი ხელნაწერებში?

ხელნაწერებში გვხვდება ერთიცა (**ჴამთრის**) და მეორეც (**ჴამთარსა**, **ჴამთარს**). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტესობაში, მათ შორის, უძველესებსა და საუკეთესოებში, გვაქვს სწორედ **ჴამთრის**.

სტროფის სხვა სიტყვების ოდნავ შეცვლილ ფორმებს თავი რომ დავანებოთ, **ჴამთრის** იკითხება შემდეგ ხელნაწერებში: **H ფონდისა**: 54 (გადაწერილია 1680 წ., ფურც. 140 ყ), 599 (გადაწ. 1646 წ., გვ. 146 ძველი პაგინაციით, 293 ახლით), 757 (გადაწ. 1671 წ., ფ. 143), 783 (გვ. 204 — 205), 1839 (ფ. 92), 2074 (გვ. 140); **Q ფონდისა**: 714 (ფ. 16), 779 (ფ. 112), 1082 (**ზაზასეული**, ფ. 79); **A ფონდისა**: 530 (გვ. 139), 855 (გვ. 148) და სხვა.

**ჴამთარსა** (**ჴამთარს**) იკითხება შემდეგ ხელნაწერებში: **H ფონდისა**: 461 (ფ. 103 რ), 740 (ფ. 75 რ), 1117 (ამჟამად დაცულია ქუთაისში, ხელნ. აღწ. № 205), 2610 (ფ. 134 რ); **S ფონდისა**: 2829 (გადაწ. 1688 წ., გვ. 248), 4499 (გვ. 239), 5006 (გვ. 273); **Q ფონდისა**: 261 (ფ. 125 რ) და სხვა.

ამ უკანასკნელი ჯგუფის ხელნაწერებში, გარდა ამისა, აშკარად ჩანს ტექსტის სხვა სიტყვების შეცვლის ტენდენცია, მაგალითად:

მაგრამ კლდესა ვერად შესწონს,  
ვერა ოდეს ვერ ატკივნებს (H 461),

მაგრა კლდესა არ შესწონოს,  
არაოდეს არ იტკივნებს (S 5006) და სხვ.

დასკვნა: საუკეთესო ხელნაწერთა ჩვენება, ძველი და საშუალო ქართული ენის თავისებურებათა გათვალისწინება და ტექსტის ენობრივ-შინაარსეული ანალიზი გვიკარნახებს, რომ სწორია ფორმა ზამთრის და იგი უნდა დამკვიდრდეს თავის ადგილას, როგორც ტრადიციულად სამართლიანად იყო მიღებული.

ჩვენი აზრით, ზამთრის ასეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს ნახშიარი შემდეგ ადგილასაც:

ყმაჲან უთხრა: „მიკვირს, ძმანო, რად ხართ ჩემთვის გულნაკლულნი,  
ანუ ვერე ვით გეკეთნეს ზამთრის ვარდნი ფერ-ნაკლულნი! (974, 2).

აქ „ზამთრის ვარდზე“ (ЗИМНЯЯ РОЗА) კი არაა ლაპარაკი, არამედ საერთოდ ვარდზე ზამთარში. ზამთრის, მაშასადამე, აქაც იქნება დროის გარემოება და არა განსაზღვრება.

ასევე ძველებური მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული ზაფხულის:

ზამთარი ვარდთა დააზრობს, ფურცელნი ჩამოსცივიან,  
ზაფხულის მზისა სიახლე დასწავს, გვალვასა ჩივიან (1347).

ეს უნდა ნიშნავდეს: მზის სიახლოვე წვაეს (ვარდებს). ჩვენი აზრით, აქ „ზაფხულის მზე“ არ უნდა ჰქონდეს შოთას მხედველობაში. ასეთი გაგება არ შეეფერება არც ამ კონტექსტის საერთო აზრს და არც შოთას ენასა და პოეტურ მეტყველებას.

ამნაირად, ვხედავთ, რომ ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება დროის გარემოებად. შოთა რუსთველის პოემაშიც ისეა წარმოდგენილი, როგორც ძველ ქართულში იყო. შოთა ძველი ქართულის ამ თავისებურებას იღებს და იყენებს თავის უბადლო პოეტურ ქმნილებაში.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება დროის გარემოების გამოსახატავად მარტო ქართულ ენაში როდი გვაქვს. ის ახასიათებს აგრეთვე მთელ რიგ ენებს, მათ შორის ევროპულ ენებსაც. ფართოდ იყო იგი გავრცელებული, მაგალითად, ძველ ბერძნულში, ლათინურსა და სხვა ენებში. ნათესაობითის ეს ფუნქცია ამ ენებში *genetivus temporis* სახელით არის ცნობილი.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> С. И. Соболевский. Древне-греческий язык, Москва, 1946, § 1023, стр. 273.

## ქართული რითმის ფონეტიკური და მორფოლოგიური შედგენილობა \*

### I თანდაზულიანი რითმაი

ქართულ თანდებულს, რუსული და სხვა ინდოევროპული ენების თანდებულთაგან განსხვავებით, ორი თავისებურება ახასიათებს: 1. იგი სახელს ბოლოში ერთვის და არა თავში, ამიტომ იგი ბოლოსდებულია და არა წინდებული<sup>1</sup> (სარკეში, მაგიდაზე; შდრ. в зеркале, на столе; *im Spiegel, auf dem Tisch...*); 2. ჩვენი თანდებული (ერთმარცვლიანი, ე. ი. ძირითადი ნაწილი თანდებულთა მარაგისა) სახელთან ერთად იწერება, სახელის განუყრელ ნაწილს შეადგენს, მასთანაა შედუღებული და შეხორცებული. და ეს მაშინ, როდესაც რუსულში და სხვა ინდოევროპულ ენებში ერთბგერიათი თანდებულიც კი ცალკე იწერება, მისი შერწყმა სახელთან შეუძლებელია (შდრ. в зеркале). პირველი ამ თავისებურებათაგანი პრინციპული ხასიათისაა, მეორე — ტექნიკურისა. სწორედ ამ თავისებურებებით არის განპირობებული ქართული თანდებულის გამოყენება რითმებში. რითმას ჩვეულებრივ ასე განმარტავენ: ის არისო სალექსო სტრიქონთა უკანასკნელი სიტყვების აკუსტიკური მსგავსება (ჩვენი მიზნებისათვის ამჟამად ეს განმარტებაც საკმარისია, სხვა სახის რითმებს აქ არ ვეხებით). და რადგანაც ჩვენი თანდებული სიტყვაში უკანასკნელ ადგილას, ე. ი. ბოლოს იწერება, ამიტომ ბუნებრივია, იგი რითმის ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგეს (კარავთან — დაპატარავდა). ამას ვერ ვიტყვიტ რუსულის შესახებ. რუსულში

<sup>1</sup> უძველეს ქართულში თითო-ორილა მაგალითი ამნაირი შემთხვევებისაც მოგვეპოვება: მიუკუნისამდე, მიცხრა ეამადმდე და სხ. მაგრამ თვით ამ შემთხვევებში ერთი თანდებული ბოლოსაცაა: მიუკუნისამდე, მიცხრა ეამადმდე, მიმუნ დლედმდე (იხ. ა. შანიძე, მღე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 367 — 371).

\* გამოქვეყნებული იყო აღრე (პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1952 წ.).



თანდებულებიანი რითმა მხოლოდ მაშინ შეიძლება შეგვხვდეს, თუ რითმა შედგენილია, ე. ი. თუ მასში სულ მცირე ორი სიტყვა მაინც შედის, ჩვენს შემთხვევაში თანდებული+სახელი, მაგალითად по калачу — поколочу (Пушкин, „Утопленник“), ანდა: полбу — по лбу (Пушкин, „Сказка о Балде“). მაგრამ ამნაირი შემთხვევები რუსულში იშვიათია.

ქართულ რითმებში თანდებულები ძველთაგანვე იყო გამოყენებული. იგი გვხვდება „აბღულმესიაში“ (საყდართა ზედა — შემწედა, ს. კაკაბაძის გამოც., 1937 წ., მე-7 სტროფი), „თამარიანში“ (დიონოსისგან — ვით ენოსისგან, ს. კაკაბაძის გამოც., 1937 წ., I სტროფი), „ვეფხისტყაოსანში“, (ძილსა შინა — დამეძინა — მომეწყინა — არ მესმინა, კ. ჭიჭინაძის გამოც., 549; გულსა შინა — არავინა — რადგან მინა — რა ისმინა, 1154). აღორძინების ხანაში უფრო მოხშირდა მისი გამოჩენა რითმებში, ხოლო მე-19 საუკუნის პოეზიაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. აქ უკვე რითმის ორივე ცალში ერთისა და იმავე თანდებულის გამოყენება მინუსად არ ითვლებოდა პოეტისათვის; პირიქით, აქ ეს მოვლენა ერთგვარი ნორმა იყო. ვუჩვენებთ ორიოდ ნიმუშს ი რ. ე ვ დ ო შ ე ი ლ ი ს ლექსებიდან:

„მთა დათოვლილა, ბარს ნისლი  
გადაფენია პირზედა,  
ყინვის ქვეშ წყარო ქვითინებს,  
სტირის მიმალულ სხივზედა!“.

(ი. ევლოშვილი, „ზამთარი“, ლექსები, 1935, გვ. 135).

კიდევ:

„სულ არ მაშინებს ქუხილი,  
არც მთისა რისხვა ბარზედა,  
არც ქარის გრიალ-სისინი  
და მოხეტყება კარზედა.  
ვიცი, რომ ბრძოლის შემდეგა  
მზე გამოკრთება ცაზედა  
და თავის სხივსა უმანკოს  
აათამაშებს ნამზედა.  
მაშინ ბულბულიც ცრემლის წილ  
დაუკრავს ლხენის ხმაზედა,

დაკყეფს, დასძახებს, ჩემოკრავს  
სხვაგვარ მომართულ ჩანგზედა“.

(„ქარიშხალი“, იქვე, გვ. 19).

აქ არსებითად რითმას მხოლოდ თანდებული ქმნის. ავიღოთ კიდევ მაგალითი სხვა თანდებულზე:

„ნამი ნაღველად შემახმა,  
ჩამიქცნა გული ყვავილში,  
ბედმა მიმუხთლა უდროოდ  
მე განთიადის ძახილში!“

(„მოწვევითი ფოთოლი“, იქვე, გვ. 130).

ასეთივეა აგრეთვე შემდეგი რითმებიც: გულში — ჭურღმულში (იქვე, 137), სიცივეში — სამოთხეში (იქვე, 33).

ამნაირი შეხედულება და პრაქტიკა გრძელდებოდა ჩვენი საუკუნის პირველ ათეულშიც. თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში ამ საკითხში ახალი მიმდინარეობაა შექმნილი. თანდებულების გამოყენება რითმებში დღესაც ხშირია და სასურველადაცაა მიჩნეული, მაგრამ ერთი კორექტივით: რითმის ორივე ცალში ერთისა და იმავე თანდებულის გამოყენება, როგორც ერთფეროვნების გამოხატულება, უკუგდებულია და მის ნაცვლად წამოყენებულია მრავალფეროვნების პრინციპი, ე. ი. რითმის ერთ ცალში თანდებულის დაშვება, ხოლო მეორეში მეტყველების სხვა ნაწილის (ანდა ორი სხვადასხვა თანდებულის) გამოყენება, მაგალითად:

1. კარავთან — დაპატარავდა,
2. ნარცისივით — სიცივით,
3. თაროდან — მიხაროდა,
4. მთებში — თეფში,
5. თავზე — სავსე,
6. დღისთვის — რისხვის,
7. ძვრათაგან — დაგვატაკა,
8. ნაპირისაყენ — ნაფერი სარკე,
9. ეფემერამდე — ფერადებს,
10. აბანომდის — მომდის,
11. ყველასადში — დასათმი,
12. პიედესტალიდან — სტალინთან,

### 13. მზისაგან — სიცოცხლისაკენ.

ამნაირი შეხედულება უეპველად ხელს უწყობს მრავალფეროვნებას და ლექსს მეტ სიცხოველეს ჰმატებს; თითოეული სტროფის აღქმა და დამახსოვრება გაცილებით უფრო ადვილი ხდება.

ქართულ რითმაზე ბევრი რამ დაწერილა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. გაფრინ და შვილისა („შვილდოსანი“, № 1, 1920, გვ. 15 — 17) და კ. ჭიჭინაძის („ქართული მწერლობა“, 1929, № 1 — 2) წერილები. ს. გორგაძეს თავის ცნობილ მონოგრაფიაში („ქართული ლექსი“, 1930) ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი რითმებისათვის. აქ რითმა მრავალი თვალსაზრისით იყო განხილული და ბევრი საგულისხმო მოსაზრებაც ჰქონდა გამოთქმული ქართული რითმის შესახებ.

ჩვენ აქ რითმა გვინტერესებს უმთავრესად ენათმეცნიერული თვალსაზრისით და მხოლოდ ამ კუთხით გვინდა აღვძრათ ზოგიერთი საკითხი, რომელიც შესაძლებელია პოეტიკისათვისაც არ იყოს ინტერესმოკლებული.

#### 1. თან თანდებულიანი რითმები

თან თანდებული რითმაში მრავალ შემთხვევაშია გამოყენებული. ამ უკანასკნელ ხანებში მაინც ის განსაკუთრებულ მოღვაწეა შემოსული. ვერ შევხვდებით დღეს ვერც ერთ პოეტს, რომელსაც არ ეცადოს ამ თანდებულის შეტანა რითმაში.

1. ყველაზე გავრცელებული შემთხვევა მაშინ გვაქვს, როცა თან თანდებულიან სახელს, ებიან მრავლობითში დასმულს, ერიტმება ზმნა, რომელსაც თემატურ ნიშნად ჩოუდის ებ და დგას უწყვეტლის მესამე. სუბიექტურ პირში (მხოლოდითი რიცხვისა):

მორებთან იმეორებდა (გრიშ.).

აქ მიღწეულია მაქსიმალური ეფექტი: რითმები შინაარსეულად სხვადასხვაგვარია: პირველის ებ მრავლობითს რიცხვს აღნიშნავს (მორ-ებ-), ხოლო მეორისა — პირველი სერიის ზმნათა ფუძეს (თე-მას) აწარმოებს და მას მრავლობითი რიცხვის წარმოქმნასთან არაფერი აქვს საერთო; თ-ს (თან-იდან) რითმის მეორე ცალში შეესატყვისება დ, რომელიც უწყვეტლის, როგორც მწკრივის, ნიშანია. აღნიშნული შესატყვისობა დიდი ხანია ცნობილია: დ, ტ, თ მსგავსი ბგერებია; ისინი ერთსა და იმავე ადგილას იწარმოებიან. (ე. წ. კბი-

ლისმიერი ბგერებია); განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველი მკლერია, ორი დანარჩენი ყრუ; ამათგან პირველი მკვეთრია, მეორე — ფშვინვიერი. ყურში სამივე ეს ბგერა დაახლოებით ერთნაირად გვესმის, რის გამოც ხშირად მათ ერთმანეთში ურევენ. მსგავსი თანხმოვნების ასეთ შენაცვლებას რითმაში, როგორც ცნობილია, ასონანსი ჰქვია. ამნაირი ასონანსი ჩვენს დღევანდელ პოეზიაში ფრიალ სასურველ მოვლენადაა მიჩნეული. რაც შეეხება რითმის მეორე ცალში ნ-ს ნაკლებობას, ესეც ასონანსის ერთი სახეა და მხატვრულ ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს. ამნაირად, ეს შინაარსეულად სრულიად სხვადასხვაგვარი რითმა აკუსტიკურად ერთგვარი გამოდგა, და ესაა სწორედ მისი მაღალი მხატვრული ღირსების საწინდარი.

მარტო ეს ორი მარცვალის (... ებთან — ებდა) სრულიად საკმარისი იქნებოდა რითმის კეთილზმოვანებისათვის (ქალური რითმა), მაგრამ ჩვენი პოეტები ჩვეულებრივ ამით არ კმაყოფილდებიან და გარითმვას უფრო ადრე იწყებენ: ეძებენ ისეთ სიტყვებს, რომელთაც ამ ებ ფორმანტამდე ერთნაირი ფონეტიკური მასალა აქვთ, ჩვენს მაგალითში ეს არის ძირისეული მასალა: ორ: მორებთან — იმეორებდა.

ამნაირად ვლებულობთ დაქტილურ რითმას, ასეთი რითმებია კიდევ:

ტოლებთან — აგათრთოლებდა (მ. ბარ.),

პირებთან — იზებირებდა (გრიშ.),

კარებთან — მძვინვარებდა (ა. აბაშ.),

კარებთან — გაზარხარებდა (ირ. აბაშ.),

ელვარებდა — კარებთან (გრიშ.),

კარებთან — მღუმარებდა (გ. ტაბ.),

ყურებთან — დაჰყურებდა (გ. ტაბ.),

მონებთან — იგონებდა (ი. ვაკ.),

ჩვენებთან — გვაჩვენებდა (ა. აბაშ.),

ბოძებთან — უბოძებდა (ა. აბაშ.),

ქოსებთან — დაიკოსებდა

წნორებთან — მისწორებდა (გრიშ.),

ძალებთან — ატრიალებდა (ა. აბაშ.),

იკმარებდა — კარებთან (ა. აბაშ.),

აქ მოყვანილ რითმათაგან ზოგს ებ ფორმანტამდე მდგარი მსგავსი ფონეტიკური მასალის წინ (საიდანაც იწყება ე. წ. კლაუზულა)

საყრდენი თანხმობანიც ერთნაირი აქვს (პირებთან — იზეპირებდა, ჩვენებთან — გვაჩვენებდა, ზოძებთან — უბოძებდა), რასაც მდიდარ რითმას ეძახიან.

არა იშვიათად ებ ფორმანტამდე ორი მარცვალა გართმული და ოთხმარცვლიან რითმას ვლგებულობთ, რასაც ღრმა რითმას უწოდებენ, მაგ.: პატარებთან — ატარებდა (გრიშ).

2. მეორე შემთხვევაში თან თანდებულის წინ აღარ გვაქვს ზემოთ აღნიშნული მრავლობითობის ფორმანტი, ებ, რის გამოც არც რითმის მეორე ცალში გაგვაჩნია ზმნის თემატური ნიშანი ებ. ეს დანაკლისი რითმაში ანაზღაურებულია ფუძეთა მეტი მსგავსების ხარჯზე, მაგალითად:

კარავთან — ჰტარავდა (ა. აბაშ., გ. ტაბ.),

გამბედავთან — ხედავდა,

ჩემთან — სცემდა,

სკამთან — ჰამდა,

ტაფობთან — მიაპობდა,

ჩქეფდა — ჩემთან (ი. ვაკ.).

3. მესამე შემთხვევაში თან-თანდებულის სახელს ერთიმება დონიანი ვნებითი გვარის ზმნა, რომელიც დასმულია წყვეტილის მესამე სუბიექტურ პირში, რომლის ნიშანიც აქ სწორედ ა არის. გვექნება ასეთი შეფარდება:

თან—ღ+ა, სადაც მეორე ცალის დონი ვნებითობის ნიშანია, ხოლო ა—მესამე სუბიექტური პირისა მხოლობითს რიცხვში. მაგრამ ეს ერთმარცვლიანი (ვაყური) რითმა საკმარისი არაა და ამიტომ ასეთ შემთხვევაში შერიტმვა გაცილებით ადრე იწყება: მონახულია მსგავსი ელერადობის მასალა აღნიშნულ ფორმანტამდე, მაგალითად:

კარავთან — დაპატარავდა (გრიშ.).

მსგავსი მაგალითებია:

გატაროსდა — წყაროსთან (ა. აბაშ.),

გადაუქანდა — დუქანთან (გ. ტაბ.),

გაულამაზდა — მამასთან,

შენთან — აშენდა (ა. აბაშ.),

რომ მომბეზრდა — ორლობესთან (ა. აბაშ.),

მოუთავდა — მოუთავთან (გრიშ.),

ბუხართან — გაუხარდა (გ. შატბ.),  
გაიოლდა — მოლთან (არ. ონ.),  
ბარძიმთან — დამძიმდა (კ. ნად.),  
დაფასდა — დაფასთან.

4. მეოთხე შემთხვევაში თან თანდებულთან შესარითმავად გამო-  
ყენებულია მრავლობითი რიცხვის თა სუფიქსი, რომელიც ამასთან  
ერთად უმეტესად ნათესაობითს ბრუნვას უჩვენებს (იშვიათად სხვებ-  
საც), მაგალითად:

კართან — წუნკალთა (გრიშ.),  
კართან — მკვდართა (გრიშ.),  
კართან — ქართა (გ. ტაბ.),  
ქალთა — კართან (გ. ტაბ.),  
შენთან — საუკუნეთა (კ. ნად.),  
ცრემლთა შენთან (კ. ნად.),  
ფერთა — შენთან (კ. ნად.),  
ფიცართან — ისართა (ა. აბაშ.),  
კედელთან — აუცდენელთა (ა. აბაშ.),  
შრიალი ქსელთა — სარეცელთან (გ. ტაბ.).

5. მეხუთე შემთხვევაში თან თანდებულს ერთმეზა სიტყვის  
ფუძე. ეს სიტყვა ჩვეულებრივ არსებითს სახელს წარმოადგენს.  
გარდა თანდებულისა, შერითმულია აგრეთვე წინა ერთი (უმეტესად)  
მარცვალი. მაშასადამე, აქ ჩვეულებრივ ორმარცვლიანი (ქალური)  
რითმა გვაქვს, მაგ.:

მასთან — დასტა (გრიშ.),  
განჯისკართან — კალთა (გრიშ.),  
კოლთან — ბოლთა (გრიშ.),  
ქართან — ფარდა (ა. აბაშ.),  
კართან — კალთა (ა. აბაშ.),  
ნესტან — მზესთან (ა. აბაშ.),  
ვანქთან — გირვანქა (გრიშ.),  
ნესტან — ლექსთან. (გრიშ.),  
მასთან — ახალგაზრდა (ვ. გაფრ.),  
ქალთა — „რიალტო“ (გ. ტაბ.).

რიცხვი ამნაირი რითმებისა საკმაოდ დიდია. ჩვენ აქ მოყვანილი მაგალითებით დავკმაყოფილდებით.

6. მეექვსე შემთხვევაში შესარითმავად გამოყენებულია სახელის მიცემითი ბრუნვა:

მართალს — მტკვართან (გრიშ.),

საროს ტანს — წყაროსთან (პ. იაშ.),

სასაფლაოსთან — ვეფხისტყაოსანს (გ. ტაბ.).

7. დასასრულ, მეშვიდე შემთხვევაში თან-თანდებულის სახელს ერთმება გარდა-და დან-თანდებულის სახელები. აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: „გარდა“ ორმარცვლიანი თანდებულია და ამიტომ ცალკე იწერება. თან თანდებულთან მას აქუსტიკურად საერთო აქვს და, ამიტომ პირველი მარცვლის გარ-ის შესაბამი ერთმოვანება თან-თანდებულის სახელის ფუძეში უნდა მოინახოს, ასეა კვლევ:

კართან — (ფიქრის) გარდა (გ. ტაბ.).

რაც შეეხება მეორე თანდებულს დან-ს, იგი ერთმარცვლიანია და ამიტომაც მისი გართმვის მთელი სიმძიმე სახელის ფუძეზეა გადატანილი, თანდებულები აქ არა ძირითადს, არამედ დამატებითს ფაქტორს წარმოადგენენ, მაგალითად:

ბიედესტალიდან — სტალინთან (ა. აბაშ.),

აქ აღარ გამოვუდგებით სხვა წვრილმანი შემთხვევების მიმოხილვას (როგორცაა ბალთან — გახდა. გადაიხადა — ხატთან, ჩამოიტანა — ხიდთანა) და პირდაპირ გადავალთ ვით თანდებულის რითმების განხილვაზე.

## 2. ვით თანდებულის რითმები

ასევე ხშირად გვხვდება რითმებში აგრეთვე ვით თანდებულებს. ეს გარემოება თვით ამ თანდებულის მნიშვნელობით აიხსნება. იგი, როგორც ცნობილია, მსგავსებას გამოხატავს: „ძირს დაეცა ქვასავით“ ნიშნავს: „ძირს დაეცა როგორც ქვა, მსგავსად ქვისა“. პოეტურ მეტყველებაში ამის საშუალებით გადმოიცემა ერთ-ერთი მეტად გავრცელებულ პოეტურ ხერხთაგანი — შედარება. იყო დრო, როცა ეს თანდებული ცალკე იდგა და სახელთან არ იყო შეხორცებული. მაშინ ის ზმნისართისა და კავშირის სახით გვევლინებოდა, მაგ.:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი  
და გამოსცდის ღიღი რბევა“... (შ. რუსთ).

„ვითა ეთერი მზეთუნახავი,  
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს“... I (ა. წერ.).

შემდეგ და შემდეგ ვით იმ სახელს შეუხორცდა, რომელთანაც მსგავსებასაც ის გამოხატავდა, და თანდებულად იქცა. აი ამ მსგავსების გამო, რომელიც შედარების, როგორც პოეტური ხერხის, საფუძველია, ასე ხშირად მიმართავენ მას პოეტები.

ვით თანდებული სამ ბრუნვასთან გვხვდება. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მიცემითი და ნათესაობითი. მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა ისე იშვიათად იხმარება, რომ აქ მასზე შეიძლება ყურადღება არც შევაჩეროთ<sup>2</sup>, მით უმეტეს, რომ ამნაირი მაგალითი რითმაში ჩვენ სრულებითაც არ შეგვხვედრია. გვრჩება ორი ბრუნვა: სახელობითი და მიცემითი. მიცემითში ყველანაირ სახელს ერთვის იგი: თანხმოვანფუძიანსაც და ხმოვანფუძიანსაც: მგელსა-ვით, ქვა-სა-ვით, ხოლო სახელობითში — მხოლოდ თანხმოვანფუძიანთ: მგელი-ვით; არ შეიძლება ითქვას: ქვა-ვით<sup>3</sup>. დავძენ აქვე, რომ როცა ვით თანდებული მიცემითს ბრუნვას ერთვის, ბრუნვის ნიშანი უეჭველად გავრცობილად უნდა იქნეს წარმოდგენილი: ქვა-სა-ვით, წყარო-სა-ვით (არ შეიძლება ითქვას: ქვა-ს-ვით, წყარო-ს-ვით).

ჩვენ აქაც უნდა განვასხვაოთ რითმაში ვით თანდებულის გამოყენების ტიპური შემთხვევები.

---

I იშვიათად დღესაც ვხვდებით მსგავს შემთხვევებს ჩვენს საბჭოთა პოეზიაში, მაგალითად:

„და სადაც წახვალ, ვით ქუჩის ძაღლი,  
სიძვა, მრუშება აგვდეენება“, (ი. გრიშ., „შენ გაირყენები“).

2 თ. შარაძენიძე, ვით თანდებული ქართულში. უნივ. შრ. № 10; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.

3 ქართული ენის ზოგიერთ კილოში ამნაირი შემთხვევებიც შესაძლებელია. აეთია. მაგალითად, რაქული, სადაც გვხვდება: ხე-ვით, მზე-ვით, გუნდა-ვით და სხ. (შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის თავისებურებანი: ენიმქის მოამბე, II, 1937, გვ. 77).



1. ყველაზე გავრცელებულია ისეთი შემთხვევა, როცა ვით თანდებულის სახელს, რომელიც სახელობითს ბრუნვაშია დაყენებული, ერთმება სხვა სახელი მოქმედებითს ბრუნვაში დასმული, რომლის ნიშანიც ით არის. ამრიგად, ვლებულობთ შერითმვას: ვით — ით.

მაგრამ მართო ამ მორფოლოგიური მონაცემებით დაკმაყოფილება არ იქნებოდა საკმარისი (გვექნებოდა უმწეო ვაჟური რითმა) და ამიტომ თითქმის ყველა მაგალითში გართმევა უფრო ადრე იწყება, ვიდრე ვით თანდებულამდე და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნამდე ჩავიდოდეს პოეტის ფანტაზია. ამის ნიმუში იქნებოდა:

ლექსივით — რეფლექსიით (გ. ტაბ.),  
წუხილით — კრუხივით (ა. აბაშ.),  
ყვავილივით — ლილით (გ. ტაბ.),  
ყვავილით — ტყავივით (ა. აბაშ.).

თუ მეორე, უთანდებულო სახელს ფუძის ბოლოს ვ ბგერა აქვს, მაშინ გარეგნულად თანდებულის მსგავს ფონეტიკურ ოდენობას მივიღებთ (ვ ფუძისეული + ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი), მაგ.:

სხივით — ნისლივით (ა. აბაშ.).  
მსგავსი მაგალითებია კიდევ:  
სხივით — ქალწულ-ქალივით (გრიშ.),  
თივით — გუმბათივით (გ. ტაბ.),  
მოტივით — ნაფოტივით (გ. ტაბ.),  
სხივით — პეპლებივით (გ. ტაბ.),  
სხივით — ქაფივით (გ. ტაბ.),  
შეშლილივით — ლივლივით (გ. ტაბ.).

მეტად სათუთი და ყოველმხრივ გამართული რითმაა უკანასკნელ მაგალითში. აქ პირველ ცალში ლასებს შორის ვ გვაკლია (ასონანსი)... ლილი-ვით-ლივლივით. მაგრამ ეს ვ იმდენად სუსტი ზგერაა, რომ მაინც თითქმის აბსოლუტურად ერთნაირად გვესმის ყურში ზემოთ მოტანილი დაქტილის ნაზი ხმაური.

ხშირად რითმაში მონოტონობის ასაცილებლად არა ერთნაირი, არამედ მსგავსი ხმოვნების შეფარლებას მიმართავენ ხოლმე (კონსონანსი), ასეთი ხმოვნებია: ი და ე, ო და უ:

მოზმანებით — ლურსმანივით (ა. აბაშ.).

საინტერესოა ამ რითმის ფონეტიკური შედგენილობა: ო ეფარდება უ-ს და ე — ი-ს (კონსონანსი), რ აკლია პირველს ისეთ გარემოცვაში (ორ სხვა თანხმოვანთან ერთად: რხმ), რომელთა მსგავს პირობებში რ აღარ ისმის და ამის გამო იკარგება კიდევ ხშირად (შდრ. მრგვალი—მგვალი, ბრძანა—ბძანა, ბრტყელი—ბტყელი. რცხვენია—ცხვენია, რცხილა—ცხილა და სხ.). ამიტომ ამ რ-ს არ ქონება რითმის პირველ ცალში საგრძნობ დანაკლისს არ წარმოადგენს; ს და ზ მსგავსი ბგერებია (ორივე სისინა სპირანტია, პირველი ყრუ, მეორე მქლერი), იმდენად ახლობელი და მსგავსი, რომ ხშირად წერაში გვერევა კიდევ ერთმანეთში (შდრ. მზგავსი, მიზღვეს...); ასევე ახლობელი და მსგავსი თანხმოვნებია ბაგისმიერი ზ და ვ (ასონანსი). ამხაირად, აქ პირდაპირი ანუ ზუსტი რითმა ხუთ შემთხვევაშია დარღვეული, მაგრამ ხუთსავე შემთხვევაში გარკვეული ფონეტიკური კანონზომიერებით: ფონეტიკის წესებს ეს „დარღვევა“ არსად არ ღალატობს. ამიტომაცაა, რომ ყურში ეს სიტყვები დაახლოებით ან თითქმის ერთნაირად გვესმის: მოზმანებით — ლურსმანივით.

ამნაირი კონსონანსური რითმებია კიდევ:

უკან დახევით — მთის ბალახივით (ა. აბაშ.),

ქარივით — ჩარევიტ (ა. აბაშ.),

არევ-დარევიტ — ქარივით (გ. ტაბ.),

თაიგულივით — მილევიტ (გ. ტაბ.),

დარევიტ — მკვდარივით (გ. ტაბ.),

ქარივით — ნასიზმარივით (გ. ტაბ.),

არევიტ — ქარივით (გ. ტაბ.),

ჩარევიტ — ჩვარივით (ა. აბაშ.),

არევიტ — მეგობარივით (ვ. გაფრ.).

ზოგჯერ რითმის ერთი ცალის ბგერები (ან მარცვლები) მეორეში გადასმულადაა წარმოდგენილი. ასეთ რითმას შეიძლება ბგერა-გადასმული (ან მარცვალგადასმული) რითმა ეუწოდოთ. აქ ფონეტიკური მასალა სავესებით ერთი და იგივეა, ოღონდ დალაგებაა სხვადასხვანაირი, მაგ.:

შებორკილივით — წივილ-კივილიტ (გ. ტაბ), [კი + ლი + ვით =

კი + ვი + ლით] სიცივით — ნარცისივით (ა. მირცხ.). [სი + ცი + ვით = ცი + სი + ვით].

შეიძლება ზოგჯერ რითმის რომელიმე ცალს შიგნით ხმოვანი აკლდეს: ხილვით — ქარტეხილივით<sup>1</sup> (გ. ტაბ.), მაგრამ რითმის მეორე ნახევრის წაკითხვისას ისეთი ასოციაცია გვექმნება, რომ სრულებით გვავიწყდება ნაკლული ხმოვანი და რითმა გაუბზარავი სახით წარმოდგება ჩვენს წინაშე. ამ გარემოებას ამ შემთხვევაში ხელს უწყობს ისიც, რომ იმ ლექსში, რომლიდანაც ეს მაგალითია ამოღებული („ისევ ეფემერა“, ლექსები, 1927 წ., გვ. 125), რითმები ჯვარედინადაა დალაგებული და მეორიდან მეოთხე სტრიქონის ბოლომდე კარგა დიდი ინტერვალია, რომ უკანასკნელი რითმის შთაბეჭდილებების ქვეშ მოვექცეთ. მაგრამ ჩვენ აქ ამჟამად რითმის ამნაირი სახეები არ გვიანტერესებს. ჩვენ გვსურს ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ თანდებული, როგორც რითმის შემადგენელი ნაწილი, და მას მივაპყროთ განსაკუთრებული გულისყური. ზემოთ წამოჭრილ და სხვა მსგავს საკითხებზე კი დაწვრილებით სხვაგან გვექნება მსჯელობა.

2. მეორე შემთხვევაში ვით თანდებულიან სახელს ერთმება სახელი (არსებითი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), რომელსაც ვე ნაწილაკი აქვს დართული. თავისთავად ცხადია, რომ გარითმვა თანდებულისა და ნაწილაკის წინა (მარცხენა) ნაწილსაც ეხება, თორემ ისე ერთმარცვლიან (ვაჟურ) რითმას მივიღებდით, რაც პოეზიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე პოეტის ღარიბი ფანტაზიის მაჩვენებელი იქნებოდა (ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ისეთი ლექსები, სადაც სალექსო სტრიქონების უკანასკნელი ტერფები ერთმარცვლიანია, აქ ბუნებრივია, რითმაც ერთმარცვლიანი იყოს. მაგრამ ამნაირი ლექსები იშვიათია ჩვენში). აი რამდენიმე მაგალითი:

რაშივით — გზაშივე (ა. აბაშ.),  
ორივე — მეტეორივით (ა. აბაშ.),  
გველივით — ყოველივე (გ. ტაბ.),  
ჩიტვიით — შვიდივე (ა. აბაშ.).

3. მესამე შემთხვევაში ვით თანდებულიან სახელს ერთმება ზმნა, რომელსაც ფუძის ბოლოს აქვს ვ ბგერა, მას მოჰყვება თემა-

<sup>1</sup> ასეთი ხმოვანნაკლული რითმებია აგრეთვე ში თანდებულთან დაკავშირებით: სილაში ვარდი — სილაჟვარდე (გ. ტაბ.), ზეცაში ღამე — შხამი (ა. აბაშ.).

ტური ნიშანი ი და I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი თ: ვლგებულობთ ასეთ შეფარდებას:

$$\text{ვით} = \text{ვ} + \text{ი} + \text{თ}:$$

ვლგვივით — ბეკებივით (გრიშ.),

პეპლებივით — ვჩივით (გ. ტაბ.).

აქვე შეიძლება დავუმატოთ ვით-თანდებულებიანი სახელისა და ზმნათა შერთმვის სხვა შემთხვევებიც:

ელვასავით } — ვასწავლი (ა. აბაშ.),  
ქვასავით }

დასცვივა — თასივით (ა. აბაშ.),

ხურდება — ქურდივით (ა. აბაშ.).

4. ვით თანდებულებიანი სახელი ერთმება სახელს, უფრო ხშირად მიმღობას, რომელსაც დაბოლოებად აქვს ივი || ევი, ილი, ირი, მაგ.:

განივი — ჩირალდანივით (გრიშ.),

განივი — დელეჟანივით (ს. ჩიქ.),

პატივი — ანდამატივით (გრიშ.),

შამილი — შხამივით (გრიშ.),

ნიამორივით — მორევი (ა. აბაშ.),

მამობრივი — ორბივით (ა. აბაშ.),

გრიგალივით — ნამთვრალევი (გ. ტაბ.),

არწივი — ჯარისკაცივით (ა. აბაშ.).

რადგანაც წარმოდგენილი ფონეტიკური მასალის მიხედვით შეიძლება მხოლოდ ორმარცვლიანი რითმის შედგენა და ისიც არც თუ ისე მაღალხარისხოვანია (ი+ვით=ირი, ილი), ამიტომ შერთმვის მთელი სიმძიმე სახელის წინა (მარცხენა) ნაწილზეა გადატანილი:

შემოვარდნილი — ვარდივით (ა. აბაშ.),

ორპირი — ორბივით (ა. აბაშ.),

ვაშლივით — გაშლილი (ა. აბაშ.),

ფრთაშეგლესილი — ლექსივით (ა. აბაშ.),

მარილი — სიზმარივით (ა. აბაშ.),

დარაჯებივით — ჯებირი (ა. აბაშ.).

ამნაირი რითმებია კიდევ:

ჩხავილი — ქარიშხალივით (ა. აბაშ.),  
ჩივილი — ჩრდილივით (ა. აბაშ.),  
ძარღვგაწყვეტილი — წვეთივით (ა. აბაშ.),  
მხეცივით — უეცრივი (ა. აბაშ.),  
კრუხივით — ქუხილი (ა. აბაშ.),  
სხივებდაცლილი — თასივით (ა. აბაშ.),  
გალეშილი — ბალიშივით (ა. აბაშ.),  
საბანივით — გაბანილი (ნ. მანიძე).

5. ამდენ ხანს ჩვენი მსჯელობა ეხებოდა ისეთ მაგალითებს, რომელშიც ვით თანდებული ერთოდა სახელობითს ბრუნვას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ვით თანდებული შეიძლება დაერთოს აგრეთვე მიცემითს ბრუნვასაც. ახლა უნდა გადავიდეთ სწორედ ასეთი შემთხვევების მიმოხილვაზე. ბრუნვის ნიშნად აქ, როგორც აღვნიშნული გვქონდა ზემოთ, გვაქვს გავრცობილი ნიშანი სა. მაშასადამე, თანდებულიანად გვექნება ასეთი კომპლექსი: სავით (სა+ვით). რითმის მეორე ცალად ამის შესატყვისად წარმოდგენილია ხოლმე ავ თემატურნიშნიანი ზმნის მიმღეობა შემღევი მაწარმოებლებით:

- ა) სა — ავ — ი
- ბ) ნა — ავ — ი
- გ) მ — ავ — ი
- დ) უ — ავ — ი

მაშასადამე, მარტო ქალური რითმის სახით გვექნებოდა შერით-პული ავით — ავი. მაგრამ ნამდვილად გართიმვა უფრო აღრე იწყება: სახელთან შესართმავად ისეთი ზმნებია შერჩეული, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად მოუდის ს, ჴ (ეხმაურება მიცემითის ს ბგერას); ამნაირი ძიება ხშირად უფრო შორსაც მიდის და აღვნიშნულ თანხმოვანთა წინ (მარცხნით) მდგომი ხმოვნებიც ერთი და იგივეა (ან მსგავსია). აი რამდენიმე მაგალითი სათანადოდ თითოეულ სახეზე:

- ა) სასხლავი — მერცხალსავით (გრიშ.),  
ყუმბარასავით — დასარაზავი (ა. აბაშ.),  
კლდესავით — გასალექსავი (გრიშ.),

ბ) ნათესავი — ჩემსავით (ა. აბაშ.),  
ნათესავნი — ჩქესავით (ა. აბაშ.),  
დღესავით — ნათესავი (გ. ტაბ.).

გ) მკვესავი — კლდესავით (ა. აბაშ.),  
მზესავით — მღესავი (ა. აბაშ.),  
მღესავი — მზესავით (ა. აბაშ.),  
მთესავი — ხესავით (ა. აბაშ.),

მთესავი } — კლდესავით (ა. აბაშ.).  
მგესლავი }

დ) ხესავით — დაუკენესავი (ა. აბაშ.),  
კუსავით — დაუქუსლავი (ა. აბაშ.),  
დაუთარსავი — ჭრილობასავით (ა. აბაშ.),  
გაუპარსავნი — ნაუბარსავით (გრ. აბაშ.),  
ქარსავით — გაუპარსავი (ვ. გაფრ.).

6. თუ ვით თანდებული ემატება ისეთ ბოლოუკვეცელ სახელს, რომელსაც ფუძის ბოლოკიდურად ო მოუდის, მივიღებთ ასეთ კომპლექსს: ოსავით (ო + სა + ვით). ამნაირ სახელებს ერითმება ისეთი წარმოქმნილი სახელები, რომელთაც მაწარმოებლად სუფიქსი ოსან-ი მოეპოვებათ (ე. წ. ქონების სახელების მაწარმოებელი სუფიქსი), მაგალითად:

გვირგვინოსანი — ღვინოსავით (ა. აბაშ.),  
თეთრწვეროსანი — წეროსავით (ა. აბაშ.).

ზემოთ მოყვანილ რითმაში, გარდა აღნიშნულისა, მსგავსია (მაშასადამე, გართმულია) აგრეთვე უშუალოდ კლაუზულის წინ (მარცხნივ) მდგომი მარცვალცი, მაგ.:

გვირგვინოსანი — ღვინოსავით,  
თეთრწვეროსანი — წეროსავით.

სხვა წვრილმან შემთხვევებს აქ აღარ გამოვუდგებით (ბრძოლების — ზოლივით, გასათელავად — ნათელივით, გულასარევად — ისარივით, ლოთები — შოთებივით, მოტივედ — ნაფოტივით), აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თითო-ორილა მაგალითი ამ ტიპის შემთხვევებზედაც შეიძლება იპოვოთ თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს აქ შემდეგიც: 1. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები თანდებულიანი რითმებისა ყველა ისეთია, რომ მის ერთ ცალშია. მხოლოდ თანდებული, მეორეში — არა. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ამ პოეტებს არ ჰქონდეთ ისეთი რითმები, რომლის ორივე ცალშიც მეორდება ერთი და იგივე თანდებული. ასეთი შემთხვევები, რა თქმა უნდა, არის, მაგ.: ლომეოთან — მისადგომებთან (გრიშ.) და სხ. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებდა თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის დამახასიათებელი, მოწინავე და მეტი პერსპექტივის მქონე რითმების სახეები. ჩვენ მიერ განხილული შემთხვევებიც, გვგონია, სწორედ ამნაირი ხასიათისაა.

2. საინტერესოა ვიცოდეთ, რომელ ადგილზე გვხვდება უფრო ხშირად თანდებულიანი რითმა: პირველზე თუ მეორეზე? ამ მხრივ თან და ვით თანდებულებს შორის დიდი განსხვავებაა. პირველთან (თან) თანდებულიანი რითმა უფრო ხშირად პირველ ადგილასაა მოქცეული: პატარებთან — ატარებდა, აქ 50 შემთხვევიდან 34, ე. ი. დაახლ.  $\frac{2}{3}$  სწორედ ასეთია, ხოლო 16, ე. ი.  $\frac{1}{3}$  ისეთი, როცა თანდებულიანი ცალი მეორე ადგილზე დგას: გატაროსდა — წყაროსთან. სულ სხვა სურათს გვიშლის წინ ვით თანდებული: აქ 71 შემთხვევიდან მხოლოდ 26 არის ისეთი, რომელშიც თანდებულიანი ცალი პირველ ადგილზეა: ვაშლივით — ვაშლილი, ხოლო დანარჩენ 46 მაგალითში იგი მეორე ადგილზეა მოქცეული: ორპირი — ორბივით. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვით თანდებულიანი რითმის შესახებ შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი: ცნობილია, რომ რითმის II ცალი (და, საერთოდ, სტროფის II ნახევარი) უფრო ძნელი შესაქმნელია პოეტისთვის, ვიდრე პირველი. და თუ მეორე ნახევარში ჩვენ ხშირად გვაქვს (ვით) თანდებულიანი რითმა, ჩანს, სწორედ ეს ყოფილა პოეტისთვის უფრო ხელმისაწვდომი, ენობრივადაც უფრო ბუნებრივი და შედარებით ადვილად საპოვნელი. გასათვალისწინებელია ამავე დროს სხვადასხვა პოეტის თავისებურებაც.

3. ყველა პოეტს ერთნაირად არ ახასიათებს ამა თუ იმ თანდებულიანი რითმა: ზოგი მას უფრო ხშირად მიმართავს, ზოგიც — იშვიათად. მეორე მხრივ, ესა თუ ის პოეტი რომელიმე თანდებულიან რითმას უფრო ეტანება, სხვა თანდებულიანს — ნაკლებად. მაგრამ თუ საერთოდ ვიმსჯელებდით, თანდებულიანი რითმები საზოგადოდ აღ. აბაშელისათვის არის მეტად დამახასიათებელი. მისი

რითმები საერთოდ ძალზე მრავალფეროვანია. მის რითმათა საერთო რაოდენობიდან კარგა დიდი ნაწილია თანდებულიანი. ასე, მაგალითად, ლექსში „ტყეში“, რომელშიც 60 სტრიქონი და 30 რითმაა, თანდებულისაა 6 რითმა; „ოქროს საწმისში“ 68 სტრიქონია და 34 რითმა, ამათგან 9 თანდებულისაა; ლექსში „კოლხეთის კოლმეურნეს“, რომელშიც 80 სტრიქონია და 40 რითმა, თანდებულისაა 6. აქ თქვენ შეგხვდებათ თითქმის ყველა თანდებული (ში, ზე, გან, დან, ვით, თან, მდის || მღე...). შემდეგ ასეთი თანდებულიანი რითმები დამახასიათებელია აგრეთვე გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილისა და გრ. აბაშიძისათვის. საერთოდ კი ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყველა ჩვენი საბჭოთა პოეტის ლექსებში გვხვდება მეტ-ნაკლები რაოდენობით, ოღონდ ჩვენ აქ მისი გამოყენების განსაკუთრებულ სიხშირესა და სიყვარულზე ვგსურდა მიგვეთითებინა.



## მასალები ძველი ქართული ლექსის ინტორიისათვის \*

სინური მრავალთავი წარმოადგენს პირველ ქართულ თარიღიან ხელნაწერს. იგი გადაწერილია იერუსალიმში, საბაწმიდის სახელგანთქმულ ლავრაში, 864 წელს. ამ ხელნაწერის შემქმნელსა და ერთერთ მთავარ გადამწერთაგანს მაკარი ლეთეთელს იგი გადაწერისთანავე შეუწირავს სინას მთისათვის, სადაც ის ამჟამადაც არის დაცული. ხელნაწერის სახელწოდებაც (ს ი ნ უ რ ი) აქედან წარმოდგება.

1950 წელს სინას მთაზე იყო ამერიკელ მეცნიერთა საგანგებო ექსპედიცია, რომელმაც მიკროფილმებზე გადაიღო სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ხელნაწერები. ეს ხელნაწერები დაწერილი იყო ბერძნულ, სირიულ, კობტურ, სომხურ, ქართულ და სხვა ენებზე. ქართული ხელნაწერების მიკროფილმზე გადაღებას ხელმძღვანელობდა ექსპედიციის წევრი, ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი ჯერარ გარიტი.

ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკისაგან 1956 წელს მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, რომელმაც აქედან გადააღებინა ფოტოპირები. ამ ფოტოპირების მიხედვით დამზადებულ იქნა მთელი ხელნაწერის ტექსტი და 1959 წელს გამოიცა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით.

სინური მრავალთავი წარმოადგენს უმთავრესად ჰომილეტიკური შინაარსის ნაწარმოებთა კრებულს. მასში შესულია ცალკე საკითხავები და ქადაგებანი, რომლებსაც დასამოძღვრავად უკითხავდნენ მორწმუნეებს ეკლესიებსა და სხვა ადგილებში მთავარი საუფალო დღესასწაულების დროს.

ამ საკითხავებსა და მოძღვრება-ქადაგებებში მოცემული იყო შესხმა და შემკობა დიდი საუფლო დღესასწაულებისა (როგორცაა შობა, ხარება, ნათლის-ღება, განცხადება, მირქმა, მარხვანი, ბზობა,

\* გამოქვეყნებული იყო ადრე („ცისკარი“, № 7, 1960 წ.).

ადვსება, ამაღლება, მარტვილია, ფერისცვალება, მიძინება, სატფურება და სხვა), ცნობილი წმიდანებისა და მოწამეებისა, აგრეთვე შეახშითი ხერხით განმარტებული იყო კვირა-უქმეებსა და დღესასწაულებში საკითხავი ადგილები საღმრთო წერილიდან, რომელსაც ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათი ჰქონდა<sup>1</sup>.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ხელნაწერის შესახებ ჩვენ დამზადებული გვაქვს ვრცელი მონოგრაფია, რომლის ერთ ნაწილსაც ქვემოთ მოყვანილი წერილი წარმოადგენს.



სინურ მრავალთავეში დაცული ძეგლებისათვის უაღრესად დამახასიათებელია მსაზღვრელისა და საზღვრულის გათიშვა, მათ შორის ზმნის მოთავსება. თუ სხვა ძველ ხელნაწერებში ასეთი შემთხვევები ან სრულებით არ გვხვდება, ანდა სანთლით საქებარია და დიდი გაჭირვებით შეიძლება ვიპოვოთ თითო-ოროლა მაგალითი, აქ მსგავსი ნიმუშები უხვად მოიპოვება. თქმა არ უნდა, ამ მოვლენის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ძლიერი სურვილი, მისწრაფება, რომ წინადადებაში სიტყვების დალაგება შედარებით თავისუფალი იყოს, არ იყოს იგი შეზღუდული მკაცრი კანონებით.

მეორე მხრივ, ასეთი გათიშვა გამოწვეული უნდა იყოს ლექსის საჭიროებით, რომ ერთნაირად ჟღერადი სახელები (მსაზღვრელები, საზღვრულები) სტრიქონის ბოლოს მოექცნენ და რითმა შეადგინონ. ჩვენს ხელნაწერში კი ძველი ქართული ლექსის გარკვეული სახეები საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი (ამაზე აქვე, ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ ამნაირი გათიშული მსაზღვრელები უმთავრესად ისეთ თხზულებებში გვხვდება, რომელთა მთავარი მიზანიც არის დარიგება-დამოძღვრა, სადაც მკვერმეტყველებასა და მეტყველების გარეგან ფორმას გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ტრადიციული წყობის მძიმე არტახების დამსხვრევა და ახალი, თავისებური, უფრო თავისუფალი წყობის შემოღება აქ შინაგანად არის აუცილებელი. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის ეს თავისუფლება ხელშესახებად საგრძნობია ჩვენს ხელნაწერში.

<sup>1</sup> კ. ევლიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 524.

აქ უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგიც: ეს სიახლე და თავისუფლება არა მარტო მსაზღვრელისა და საზღვრულის ზმნით გათიშვაში მდგომარეობს, არამედ მსაზღვრელის ადგილის ძველ ქართულში დაკანონებული ნორმის შეცვლაშიც: ატრიბუტული და მართული მსაზღვრელი, ძველი ქართულის ჩვეულებრივი წესის წინააღმდეგ, აქ ხშირად წინ დგას, საზღვრული — ბოლოს. წყობის ამნაირი შეცვლითაც ნავარაუდევია მსმენელთა. ყურადღების მიპყრობა და დაინტერესება. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჩვენი ხელნაწერი, ერთ-ერთი უძველეს ხელნაწერთაგანი, ფართოდ მიმართავს მსაზღვრელის გათიშვას საზღვრულისაგან ზმნის საშუალებით და მისთვის ჩვეულებრივი ადგილის შეცვლას — წინ გადმოსმას.

როგორია მაინც სიტყვათა რიგი ამ ტიპის წინადადებებში? როგორაა განაწილებული სიტყვები?

1) ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა მსაზღვრელს მოსდევს ზმნა, ხოლო ამ უკანასკნელს — საზღვრული. ამის ფორმულაა:

მსაზღვრელი + ზმნა + საზღვრული.

მაგალითი: სიწმიდისაჲ აქუს ხატი. 40,5<sup>1</sup>.

2) თუ საზღვრულს ნაწევარიც ახლავს, იგი ჩვეულებრივ გადმოდის წინ (როგორც ეს წესად იყო ძველ ქართულში: წინ დასმულ მსაზღვრელთან ნაწევარი ყოველთვის წინ გადმოდრიოდა, ამ მსაზღვრელსა და მომდევნო საზღვრულს შორის მოთავსდებოდა) და უშუალოდ მოსდევს მსაზღვრელს. ფორმულა:

მსაზღვრელი + ნაწევარი + ზმნა + საზღვრული.

მაგალითი: მადლისაჲ იგი გამოაჩინა საუნჯჳ. 24,9.

3) თუ მსაზღვრელს თავის მხრივ კიდევ ახლავს მსაზღვრელი (მსაზღვრელის მსაზღვრელი), ისიც წინაა მოქცეული. ფორმულა:

მსაზღვრელის მსაზღვრელი + მსაზღვრელი + ზმნა + საზღვრული.

მაგალითი: ჩუენთა ცოდვათაჲ განხეთქა კელით-წერილი. 14,13.

4) როცა ორი ერთნაირი ატრიბუტული (ან ატრიბუტული და მართული) მსაზღვრელია ერთად წარმოდგენილი, ჩვეულებრივ ორივე წინაა (იშვიათად ერთი წინაა, მეორე — ბოლოს). ფორმულა:

<sup>1</sup> პირველი რიცხვი გამოცემის გვერდს უჩვენებს, მეორე — სტრიქონს.

მსაზღვრელი + II მსაზღვრელი + ზმნა + საზღვრული.

მაგალითი: რაფთა განგრძობილი და მწარჭ განუმზადოს მათ სიკუდილი. 118, 34-35.

5) ირიბი დამატება ჩვეულებრივ ზმნას მოჰყვება (ან უსწრებს), როგორც წინა მაგალითში: განუმზადოს მათ სიკუდილი.

6) წინადადების სხვა წევრები შეიძლება სხვადასხვაგვარად განლაგდეს, დამხმარე სიტყვებიც — აგრეთვე.

აქ წარმოდგენილი რიგი არის უფრო ხშირი და არა ერთადერთი. გათიშული მსაზღვრელის მთელი ბუნება სწორედ ერთგვარობისა და მკაცრი სინტაქსური კანონების წინააღმდეგ არის მიმართული და ამიტომ ახალი რიგის მკაცრად გატარება ისეთივე შეზღუდვა იქნებოდა, როგორც ტრადიციულად მიღებული რიგისა. რომელსაც არღვევს ჩვენი ხელნაწერი, და, ცხადია, ეს ახალი რიგი აქ კანონად და ერთადერთ ნორმად არაა ქცეული.

აქ ჩვენ წარმოვადგენთ მაგალითებს ზემოთ წამოყენებული დებულებების დასადასტურებლად:

რაფთა ნაკლულსა მას უმეტესი მოანიჭოს მადლი 12, 25; ყოვლისა საკვრელებისა უზეშთაჲსი შეუდგა საიდუმლოჲ 15, 23; წმიდამან ქალწულმან მამათ-მთავრისაცა გარდაჰმატა სრულებასა 13, 39; თავადმან ნათელ-ილო იესუ 88, 12; უცხოჲ შემოჰყავს ბუნებისა სახჭ 34, 29; ეგევითარსა მას სვმონ მოგვსაჲ აქუს ორგულებაჲ 86, 35; შჯულისაჲ და წინაწარმეტყუელთაჲ მოგუეცა დამასრულებელი 76, 11; შჯულისაჲ ეტკრთა უღელი 25, 29; ზეცისასა აქებენ გალობასა 31, 8; საწუთროსა მომცემ მე დიდებასა 81, 10.

რაფთა... ცხორებისაჲ იგი მოჰმადლოს ნათელი 37, 20; ჯუარის-მცუმელთაჲ მათ განაქარვა სიკუდილი 43, 12; ეკალთაჲ იგი დაჰქსნა ჰატიყი 44, 31; ღღეს ღმრთისა მიერი (იგი) აღესრულების თქუმული 4, 20; წმიდაჲ იგი აღუტევეს კმაჲ 117, 17.

რაფთა პირველისა მის მწუხარებისაჲ დაჰქსნეს გლოვაჲ 37, 14; რაფთა ძუელისა მის მწუხარებისაჲ დაჰქსნეს გლოვაჲ 37, 18; უცხოსა ვხედავ მე შენსა წარებასა 28, 30. ეს უფრო იშვიათი შემთხვევაა: ერთი მსაზღვრელი წინაა, მეორე — ბოლოს.

სიკუდილისა იგი მძლჭ გამოიჰქედა საჭურველი 41, 25.

უბრწყინვალესნი წმიდამან ქალწულმან აღმოთქუნა სიტყუანი 13, 29.

ზმნის წინ საზღვრული და მის შემდეგ მსაზღვრელი გვაქვს შემ-

დღეს მაგალითებში: საშჯელა შევარდა სიკუდილისასა 12, 5; მკლავთა ზედა მიიქუა სვმეონისთა და ანაჰსთა 49,2; ალთქუმაჲ გუაქუს ცხოვრებისა საუკუნოჲსაჲ 74,6; მაღლი და მოტევებაჲ აქუს ცოდვათაჲ 79,27; რომელი-იგი სულისაგან წმიდისა საშოსა შევიდა დედისასა. 86,9, იგი... დაფუძნებასა აუწყებდა ეკლესიაჲსასა 195,24.

ზმნით გათიშული მსაზღვრელის მაგალითები ჩვენს ხელნაწერში ბევრია, ჩვენ აქ მოვიყვანეთ მხოლოდ მცირე ნაწილი წამოყენებული საკითხის საილუსტრაციოდ. ჩვენი მიზნისათვის ესეც საკმარისია.



ზემოთ ჩვენ გაკვრით გვქონდა აღნიშნული, რომ მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგის შეცვლა, მათი გათიშვა ზმნის საშუალებით, სხვათა შორის, ლექსის საჭიროებით არის გამოწვეულიო. ასეთი ლექსების შესახებ აქ ცოტა უფრო ვრცლად უნდა ვისაუბროთ.

ძველი ქართული ლექსის სხვადასხვა სახეობის შესახებ სპეციალურად არის საუბარი პ. ინგოროყვას მრავალ შრომაში, რომელთაგან ყველაზე საყურადღებოა „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“<sup>1</sup> და სულ ბოლოს გამოცემული კაპიტალური შრომა „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“ (1954 წ.).

ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია საეკლესიო ჰიმნოგრაფია. ეს დარგი ჩვენში ფართო მოცულობისაა და ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ხელნაწერით.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში არჩევენ ორგვარ საგალობლებს, რომელთაგან ერთი, ე. წ. იამბიკოები, 12-მარცვლიან ლექსებს წარმოადგენს, ხოლო მეორე ამდენ ხანს უბრალო პროზული სახის ჰიმნებად ითვლებოდა და მასში ლექსის ელემენტებს ვერ ხედავდნენ.

პ. ინგოროყვას ზემოთ აღნიშნული შრომებიდან სრულიად ცხადი გახდა, რომ ქართული ჰიმნოგრაფიის ეს მეორე დარგიც **ლ ე ქ ს ი თ ი** ხასიათისა ყოფილა, რომ მასში ნათლად იქნა გამომჟღავნებული ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები: სტრიქონებში თანაბარი რაოდენობის მარცვლები, ლექსების გაწყობა

<sup>1</sup> „მნათობი“, 1939, № 1, 2, 4, 9, 10 — 11.

სტროფებად მკაცრად განსაზღვრული წესების მიხედვით, რომლებიც და სხვა.

ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ნაწარმოებს წარმოადგენს ჰაგიო-გრაფიული მოთხრობა (პოემა) „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი“ (კიმენი, I, გვ. 165 — 173), რომელიც, როგორც პ. ინგოროყვამ აღნიშნა, თავიდან ბოლომდე ლექსად არის დაწერილი. მოვიყვანთ აქ ორიოდ ნიმუშს:

მიც ჩუენ ნუგეშინის-საცემელი<sup>1</sup>  
პური კმელი

და სეფის-კუერი  
ლბილი

და სასუმელი

ტბილი (კიმენი, I, 166.6-7):

ანუ იყავ მორჩილ და  
შეიწყნარე ეთილი,  
ანუ შესუი წამალი

და თავს-იღევ სიკუდილი (იქვე, 170,  
29 — 30).

ეს უკანასკნელი სტროფი ქართულ მწერლობაში შემდეგ კარგად ცნობილი და გავრცელებული საზომის ერთ-ერთი პირვანდელი ნიმუშია. ამ საზომს ზოგი ბაიათს ეძახხოდა, ზოლო ქართული ლექსის გამორჩენილი მკვლევარი ს. გორგაძე ორკვეცილ ქორეულ ტეტრა-მეტრს უწოდებდა<sup>2</sup>.

ამ საზომზეა აგებული დ. გურამიშვილის ცნობილი ლექსი:

გულმან მითხრა: ადუო,  
რალათ მაიცადუო?  
თუ არა იქ, ვით იქნას,  
რაც რომ დაიქადუო?

(დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ. 78).

ეგვევ საზომი აქვს გამოყენებული ა. წერეთელსაც:

<sup>1</sup> ლექსების სტრიქონებად დალაგება აქაც და ქვემოთაც პირობითია. ამის საფუძვლად ძირითადად აღებულია რითმები.

<sup>2</sup> ს. გორგაძე, ქართული ლექსი, 1930, გვ. 31.

საიღუმლო ბარათო,  
გითხრეს: „ექმენ მარადო  
სიხარულის მომნიკედ  
და სევდისა ფარადო!“<sup>1</sup>

3. ინგოროყვას შრომებიდან ნათელი ხდება, რომ ძველი ქართული საგალობლების (და არა მარტო საგალობლების) დიდი ნაწილი ლექსადაა დაწერილი და შეიცავს ქართული ლექსისათვის დამახასიათებელ ძირითადს ელემენტებს. მართალია, ყველა ასეთი ლექსისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელი არაა, რომ ყველგან და ყოველთვის მკაცრი წესების მიხედვით დადგენილი გარკვეული რაოდენობის სტროფები გვქონდეს, არც მარცვალთა თანაბარი რაოდენობაა აუცილებელი ყველა (ან შესატყვის) სტრიქონში; ეს საგალობლები თეთრ, თავისუფალ ლექსს უფრო წარმოადგენს, ვიდრე დღევანდელი ლექსის მკაცრი კანონებით მჭიდროდ შეკრულ პოეტურ ქმნილებებს; მაგრამ მაინც ცხადია, რომ ამ საგალობლების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძველ ქართულ ლექსთან, ძველი ქართული ლექსის ერთ-ერთ სახეობასთან.

3. ინგოროყვას ასეთი ლექსები დადასტურებული აქვს ძველ ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც უმთავრესად X საუკუნეშია შექმნილი ან გადაწერილი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ასეთი ლექსები ვეძიოთ და ვიპოვოთ სხვა დროისა და სხვა ხასიათის ხელნაწერებშიც.

ასეთი ხასიათის ლექსები მართლაც ნაპოვნია.

ზემოთ მოყვანილი ორი ადგილი, როგორც აღნიშნული გვაქვს,

---

<sup>1</sup> „მიქაელის წამების“ ახალ ქართულზე გადმოკეთებული ტექსტი გამოიცა 1903 წელს: „წამება წმიდა მიქელ ტიბერიაელისა“, ძველის ხელნაწერიდან გადმოღებული, ტფილისი, 1903 წ., სტამბა ა. ქუთათელაძისა.

აღსანიშნავია, რომ გამომცემელს თხრობისას შიგადაშიგ მოუყვანია ძველი ქართული ტექსტი და ლექსად გაუწყვია (გვ. 7, 8), ხოლო კ. კეკელიძის გამოცემის 2 უკანასკნელი თავი (მე-14 და მე-15) თავიდან ბოლომდე ლექსად არის მოყვანილი (გვ. 23-24). უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ეს ასე დალაგებული იყო „ძველ ხელნაწერში“, რომლიდანაც გამომცემელს გადმოუღია, მაშინ ამ ძვირფასი ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის პირველობა ამ ნაწარმოების ლექსითი ხასიათის აღმოჩენაში, ხოლო თუ ყველაფერი ეს თვით ნაბეჭდი ტექსტის გამომცემელმა გააკეთა, ეს პრიორიტეტი მას უნდა დაეთმოს. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი არც ის „ძველი ხელნაწერი“, რომლიდანაც მიქაელის წამება გადმოუღიათ, და არც თვით გამომცემელი.

ამოღებულია ძეგლიდან „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი“, რომელსაც ხშირად აბუკურას სახელთან აკავშირებენ (ზოგჯერ მოკლედ მას „აბუკურაჲ“-საც ეძახიან. თეოდორე აბუკურა იყო ცნობილი მწერალი, რომელიც 8—9 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა).<sup>1</sup>

სწორედ ამ აბუკურას სახელთან დაკავშირებით ვხვდებით ჩვენ მსგავს ლექსებს ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერში (№ 50. ფ. 270B<sup>2</sup> — 271a). აქ იკითხება:

- ა) თქუა თეოდორე აბუკურა:  
არს-მეა ეამი ცისკრი ს ა მ ?  
მიუგო მესუეტემან:  
ყოველივე ეამი არს ლოცვის ა მ .  
კუალად თქუა:  
ჩერ-არს ლოცვაჲ ლოცვისა მამცნებელის ა მ .
- ბ) მოიკსენე მოყუასი შენი ლოცვა ს ა :  
და ღირს იქმნე წყალობა ს ა .
- გ) ლოცვაჲ მოყუასის ა მ  
ნებაჲ არს ღმრთის ა მ  
მრავალ-მოწყალის ა მ .
- დ) თქუა აბუკურა:  
ვის არ ერევის კ რ უ ლ ი,  
იგი არს კაცი ს რ უ ლ ი

(Н. Марр, Описание пяти пергаментных рукописей. Записки Вост. Отд. Имп. Русск. Арх. Общества, т. XIII, вып. II-III, 1901 г., стр. 15).

ეს უკანასკნელი ორსტრიქონიანი ლექსი ყოველმხრივ გამართულია (შინაარსითაც ფრიად საყურადღებო და მისაბამია) და თავისი ფორმით (მეტრითა და რიტმით) ძალიან მოგვაგონებს თანამედროვე პოეტების ლექსებს. შდრ. გ. ტაბიძის ლექსის ეს ადგილი:

მე მეზმანება ჰალმა,  
შობის ხეებში რგული,  
ერთმა ბოროტმა რკალმა  
მაზედ დაჰკიდა გული<sup>2</sup>.

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: „მნათობი“, № 9, 1939, გვ. 116.

<sup>2</sup> ამ ლექსის ზომის (5+2=7) შექმნას გ. ტაბიძეს მიაწერდნენ. როგორც ვხედავთ, იგი ძველ საქართველოში ყოფილა უკვე ცნობილი და გავრცელებული (პაგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც იყო გამოყენებული).



ზემოთ წარმოდგენილი თავისუფალი ლექსის მსგავსი ლექსები ბლომად გვხვდება ჩვენს ხელნაწერში, მაშასადამე, უძველეს თარიღიან ქართულ ხელნაწერში. აქედანაც აშკარაა, რომ ძველი ქართული ლექსის ეს სახეობა. რომელსაც პ. ინგოროყვა სილაბურ უკვეთელ ლექსს<sup>1</sup>, ხოლო ს. ყაუხჩიშვილი რიტმულ პოეზიას<sup>2</sup> უწოდებს, შორეული წარსულის კუთვნილებაა და, როგორც ჩანს. ჩვენში VII — VIII საუკუნეებში უკვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

ამ თავისუფალი ლექსის დამახასიათებელი თვისებებია: რითმა, პათეტიკური ტონი, რიტმული ერთეულების პერიოდული განმეორება, ლექსის სტროფული შედგენილობა (არა ყოველთვის). შესატყვის სტრიქონებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა (აგრეთვე არა ყოველთვის) და სხვა. ყველა ეს მომენტი, რასაკვირველია. არაა სავალდებულო ერთად იქნეს მოცემული: უკანასკნელი ორი თვისება ჩვენი ხელნაწერის ლექსებს უფრო ნაკლებად ახასიათებს. ამ უკანასკნელთათვის აღნიშნულ თვისებებში ყველაზე ნიშანდობლივია რითმა. ეს რითმა, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს იმ მკაცრ მოთხოვნებს, ჩვენ რომ ვუყენებთ დღეს პოეზიას. უმეტესად ესაა პრიმიტიული რითმა, ვაეური და ქალური, ხანდახან დაქტილურიც, მაგრამ ზოგჯერ ეს რითმები სრულიად გამართულია და წუნდაუდებელი, მაგალითად:

ბუნებაჲ -- ნებაჲ 33,8

საკვრველებასა — ვნებასა 194,30

სახიერებასა — მანკიერებასა 136,26

პრწმენეს — პრცხუენეს 196, 15 და სხვა.

ამ რითმების გამოყენება დღესაც არ შერცხვებოდათ ჩვენს თანამედროვე პოეტებს.

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენი ხელნაწერიდან მასალებს, სადაც ძველი ქართული თავისუფალი ლექსის ნიმუშებია მოცემული. მასალების მოყვანისას უფრო ხშირად ცალკე ნაწყვეტებია მოცემული, რომლებშიც უფრო ნათლად ჩანს ძველი ქართული ლექსის დამახასიათებელი სახე. ამ მიზნით ვრცელი ადგილების მოყვანას მოვერიდეთ. ჩვენ აქ წარმოდგენილ ნიმუშებს ვუყურებთ მხოლოდ

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, 1954. გვ. 702 და სხვ.

<sup>2</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის. „მნათობი“, № 10. 1956, გვ. 118 და სხვ.

როგორც მასალებს, რომელთაც შემდგომი შესწავლა და დამუშავება ესაჭიროებათ. ბოლოს დავძენთ, რომ ამნაირი ლექსები გვხვდება არა ყველა ძეგლში, რომლებიც ამ ხელნაწერშია დაცული. აქ წარმოდგენილია 18 სხვადასხვა ავტორის 50 თხზულება<sup>1</sup>. ეს თხზულებები სხვადასხვა ხასიათისაა. ლექსები უმთავრესად ისეთ თხზულებებში გვხვდება, რომელთაც სააგიტაციოდ უკითხავდნენ მორწმუნეებს; ეს ის თხზულებებია, რომლებიც დარიგება-დამოძღვრას შეიცავენ, რომლებშიც ავტორი გამოთქვამს თავის პირად განცდებს ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულისა თუ მორწმუნე-წამებულის გამო და გარკვეული ლოზუნგებით მოუწოდებს მსმენელებს, რომლებიც ასეთი ნაწარმოების კითხვისას ბლომად იგულისხმება. ჩვეულებრივს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ის ნაკლებად ან სულ არ გვხვდება. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ნიმუშებიდანაც, რომლებიც ხელნაწერის გარკვეული გვერდებიდან (8,9, 30—40, 121—193 და სხვ.) მრავლად არის ამოღებული, ხოლო გარკვეული გვერდებიდან (50 — 106. 132 — 173 და სხვ.) — სულ არა (ან ძალზე იშვიათად).

მეორე მხრივ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა ჩვენ ლექსებზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, არ იგულისხმება, რომ ესა თუ ის თხზულება სულ ლექსის სახით იყოს დაწერილი, მთლად გალექსილ ნაწარმოებს წარმოადგენდეს. არა. ასეთი რამ არ არის და შეუძლებელიც არის იყოს. ასეთ ნაწარმოებებში გალექსილი გვხვდება ცალკეული ადგილები. სხვა ადგილები ჩვეულებრივი თხრობით მიდის, კიდევ სხვებში წარმოდგენილია სხვა სამქვერმეტყველო ხერხები, შემდეგ კვლავ მიმართავენ ლექსებს და სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენ აქ საქმე გვაქვს თხზულების ცალკეული ადგილების გალექსეასთან, ცალკეული ადგილების ლექსური ფორმით გადმოცემასთან.

ამნაირი ხასიათის ლექსების კვლევისას ერთ-ერთი ძირითადი საკითხია — როგორი იყო ამ ქართული თარგმანის დედანი. ისიც ლექსად იყო დაწერილი, თუ თარგმანის ლექსი მისი ქართველი მთარგმნელის ნახელავია. აქ, სამწუხაროდ, ჩვენ ამ სპეციალურ საკითხს ვერ გამოვუდგებით და მის გამოკვლევას სხვა დროისათვის გადავდებთ.

<sup>1</sup> სინერა მრავალთავი 864 წლისა, ა. შ ა ნ ი ძ ი ს წინასიტყვაობა, გვ. 015.

ქვემოთ მასალები დალაგებულია იმ რიგის მიხედვით, რომლითაც ისინი თვით ხელნაწერშია წარმოდგენილი.

1. ესე — მარადის შეეაღლა  
უკრწნელებისა სამოთხს.  
რომელსა შინა ცხოველს-მყოფელი  
იგი ხს  
დაენერგა...  
ესე — ქალწულთა სიკადული,  
მორწმუნეთა სიხარული...  
ესე — გენმატიკებისა სამოსელი  
და სათნობისა საყოფელი;  
ესე — წყაროდ დაუწყუდეელი,  
რომელსა შინა ცხოველი  
იგი წყალი  
აღმოეცა. 10, 9 -- 14.
2. ვლდესასწაულობდეთ ჩვენ ფსალმენითა და ქებითა  
და გალობითა სელიფრითა.  
დღესასწაულობდა ოდესმე ისრაელიცა.  
არამედ უცომოდა და ველის-ურდელითა. 10, 31—33.
3. ხოლო მარიამ სიტყვათა მით ანგელოზისადაა მოიზღუდვოდა;  
ხოლო შობასა მას უფლისასა განიზრახვიდა,  
და უსწორებელსა გულის-სიტყუასა კაცობრივსა განიზრახვიდა:  
ოდესმე სიმაღლესა ღმრთეებისასა აღიწეოდა  
და ოდესმე სიმდაბლესა კაცობრივსა გულს-ვტყოდა  
და ესრჷთ საენაურისა მის სასწორისა  
ორკერძოვე გამოიკუეღედა. 22, 24 — 28.
4. არამედ შერაცხ-ყო მღდელი  
იგი საკუეველისა შემწირველი  
და სარწმუნოებისა არა შემწყნარებელი. 27, 4—5.

მიაქციეთ აქ ყურადღება ალიტერაციასაც: შ, შ, შ; წ, წ, წ. შინე-ბისა და წილების ასეთი დაჯინებითი თავმოყრა სულ რაღაც სამი სტრიქონის მანძილზე სრულებითაც არ არის შემთხვევითი: მას მთარგმნელი განგებ არჩევს და პოეტური ზემოქმედების მიზნით იყენებს.

5. აწ შობისა წილ სამარად  
მწრათლ კმითურთ  
მივედ  
უშვილოებითურთ.  
შეკრვით განისწავლე კმითა  
და მიუდეგ კმითა...

და ვითარცა უნდეს მეგობარსა,  
ეგრეცა სოხოვოს უფალსა.  
და ესე სიტყუაჲ ეიდრე შინა აღესრულებოდა,  
ჟამი გარდავიდოდა

და სიმრავლესა მას ერისასა უკვრდა

გარეშე და გონებაჲ მათი მრავლად განიზრახვიდა. 27, 26—33.

6. შექუესესა თუესა მიდგომასა ელისაბედისსა

ნაზარეთა მივიდა გაბრიელ,

მივიდა ქალწულისა

და აქუნდა სიხარული დედისა. 28, 3 — 4.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილი ლექსის უკანას-  
კნელ სიტყვას ძველი ქართული ენის საერთო ნორმების მიხედვით  
ბოლოს უნდა დაჰრთოდა ა: სიხარული დედისაჲ, მაგრამ ეს ა მთარგ-  
მნელს (უნდა ვიგულისხმოთ, სწორედ მთარგმნელს და არა გადამ-  
წერს) არ დაუწერია, რათა არ დარღვეულიყო რითმა: (ელისაბ)  
ე დ ი ს ს ა — დ ე დ ი ს ა.

7. ვიხაროდენ სოვლისა ყოვლისათჳს

ცხოვრებისა მშობელსა!

გიხაროდენ უკრწნელსა,

არამედ არა უშობელსა!

გიხაროდენ უქორწინებელსა,

არამედ არავე უშვილოსა!

გიხაროდენ უთესლოსა,

არამედ არა უნაყოფოსა!

გიხაროდენ საღმობისა მომლოდესა,

ომელსა საღმობაჲ არა გაქუს!

გიხაროდენ, რომელსა შენისა მამისა

ადამის შემოქმედი მოგაქუს! 28, 8-12.

მართალია, აქ წარმოდგენილი ჯვარედინი რითმები „მშობელსა —  
უშობელსა, უკრწნელსა — უქორწინებელსა“ სხვადასხვა ფრაზობ-  
ლივ ერთეულებში შედის, მაგრამ მათი შერჩევა და ასე დალაგება  
სრულებით არ არის შემთხვევითი. პირველ შემთხვევაში ყურადღე-  
ბას იქცევს ერთი და იმავე ფუძისაგან წარმოქმნილი სხვადასხვა ტი-  
პის მიმღებობები: მ-შობ-ელ-სა — უ-შობ-ელ-სა, რაც აკუსტიკურად  
მშვენივრად ეღერად დაქტილურ რითმას ქმნის, მეორეში — ე ლ ს ა  
ქალურ რითმასთან ერთად რ წ ნ თანხმოვნების ალიტერაცია და  
მიმღებობის საერთო მაწარმოებელი პრეფიქსი უ. ძეგლის თარგმნისას  
ასე საჭირო ენობრივ-ლექსიკური მარაგის მიგნებას ალბათ დიდი  
ძიება დასჭირდა.

8. არა უდაბნოსა ქადაგებენ  
 სახარებასა,  
 არაჲელ ზეცისასა აქებენ  
 გალობასა.  
 ანგელოზნი დაღადებენ.  
 მთავარანგელოზნი გალობენ,  
 აქებენ ქერობინნი,  
 აღიდებენ სერაბინნი.

31,8-10.

ამ რვასტრიქონიან<sup>1</sup> ლექსში ყველაფერი საინტერესოა: ჯერ-ერთი, აქ თავს იჩენს ის სინტაქსური თავისებურება, რომელზედაც წინა თავში გვქონდა საუბარი: მსაზღვრელი და საზღვრული ზმნიით არის გათიშული, ამავე დროს მსაზღვრელი წინაა მოქცეული (ეს უძველესი დროის ნაშთი უნდა იყოს, მაგრამ ძველ ქართულში ჩვეულებრივ შებრუნებული რიგი იყო): ზეცისასა აქებენ გალობასა. ჩვეულებრივ გვექნებოდა: გალობასა ზეცისასა აქებენ (ან: აქებენ გალობასა ზეცისასა). მაგრამ მაშინ ამ სტროფში ვერ მივიღებდით ასე კარგად გამართულ ჯვარედინ რითმებს: ქადაგებენ — აქებენ, სახარებასა — გალობასა. აქ კარგადაა დაცული შერთმვის ძველი წესი: სახელი სახელთან, ზმნა ზმნასთან. მი-აქციეთ ყურადღება სახელებში რითმის დასაყრდენი თანხმოვნების იგივეობას: ბ-ასა-ბ-ასა. რაც შეეხება გართიმულ ზმნებს, ის უებროა: დაქტილურ რითმაში გვაქვს ფრიალ მოსაწონი ასონანსი: ქადაგებენ — აქებენ. გ-სა და ჭ-ს მონაცვლეობა დღესაც სასურველად ითვლება. ნუ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ რითმის მეორე ცალის ქ მაინც მეორდება პირველში: ქადაგებენ.

დანარჩენ ოთხ სტრიქონში მიჯრითი რითმებია: მე-5 — მე-6-ში ზმნები (დაღადებენ — გალობენ). ხოლო მე-7 — მე-8-ში — სახელები (ქერობინნი — სერაბინნი). რასაკვირველია, პირველ შემთხვევაში: შეუძლებელი იყო სახელები გაერთიანო, რადგან აქ არსებითად ერთი და იგივე სახელი გვაქვს: ანგელოზნი — მთავარანგელოზნი. მეორეში შეიძლებოდა ზმნების გართიმვაც (აქებენ-აღიდებენ), მაგრამ ერთ-ფეროვნების ასაცილებლად სახელებია აღებული, თანაც ტექსტის რითმა უკეთესია.

<sup>1</sup> ლექსი რვა სტრიქონად პირობითად არის დალაგებული, მისი გაწყობა სხვანაირადაც შეიძლებოდა. მაგრამ ლექსის ძირითადი სახე არ შეიცვლებოდა.

მაგრამ ძველი ქართული ლექსის ეს სახეობა არა მარტო ასეთ შემთხვევებში გვაქვს (ე. ი. როცა მსაზღვრელი გათიშულია ზმნით და წინაა გადმოსული), არამედ სხვა შემთხვევებშიც, ამ პირობების გარეშეც. ლექსი იმის ლექსია, რომ ის შედარებით თავისუფალია სინტაქსის მკაცრი კანონებისაგან, მას ზოგჯერ თავისი საკუთარი, პოეტური სინტაქსი აქვს. მაგრამ ის იმავე დროს საერთოდ მიჰყვება თავისი ენის კანონებს, არსებითად ენის ძირითად წესებს იცავს და მას მისდევს. თუ ენის კანონების დარღვევა და უგულებელყოფა წესად იქცა, მაშინ ეს ლექსი ენის მომხმარებელთა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და მას ხალხი უკუაგდება. გრამატიკული წესების დარღვევები უნდა ხდებოდეს ამ წესების ძირითადად დაცვის საერთო ფონზე. ასეა ჩვენს ხელნაწერშიც. ორივე აღნიშნული გადახვევა (მსაზღვრულის გათიშვა ზმნით და მისი წინ გადმოსმა თუ დატოვება) შედარებით ნაკლებად ხდება, ძირითადი წესების დაცვა კი — ჩვეულებრივ და ხშირად.

9. ინება და იქმნა,  
გარდამოქდა და იქსნა  
და თანა-მორბედ ყო  
ყოველივე ღმრთისა.

31. 16-17.

10. ჰერიანი უფარ-ჰყოფდეს  
უცხოა მას შობასა,  
ფარისეველნი სხუად თარგმანებდეს  
სალმრთოთა წიგნთა,  
მწიგნობარნი წინააღმდეგომ შუქლისა იტყუოდეს 31, 22-24.
- 11, ხოლო სახესა მას შობისასა პატივის-ცემად  
მისწავიეს დუმილით და არა სიტყვით გამოძიებად.  
ხოლო ღმრთისა თანა არა ჟერ-არს ბუნებისა საქმე ხედვად,  
არამედ ძალისა მის მოქმედისა სარწმუნოებად,  
რამეთუ ბუნებისად არს სრბად...  
არამედ მეციით მე შენდობად,  
რამეთუ მეგულების მე სიტყვსად ამის  
სხუად კერძო ქცევად,  
რამეთუ მეშინის მე უფროდს ძალისა ჩემისა გამოძიებად,  
არამედ ადვილად კერძო ვაქციო სიტყუათაჲ  
ამათ ნავისა მანქანად...  
არამედ უფროდს ბუნებისა (იყო) საკვრელებად

იგი: უქმ იქმნა ბუნება,  
არამედ იქმნა უფლისა იგი ნებაჲ.

32,31-34; 33, 1-8.

აქ ტყუილად არ არის თავმოყრილი ასე ერთგვარად ქღერადი სიტყვები: გამოძიებებაჲ, სარწმუნოებებაჲ, სრბაჲ შენდობებაჲ, საკურველებებაჲ, ბუნებებაჲ, ნებებაჲ. ეს, რასაკვირველია, რითმისათვის არის აქ მოყვანილი. აქ დამოწმებული ადგილი არის ერთგვარი ლირიკული ლექსი, რომელშიც გამოხატულია მორწმუნე ავტორის (ორთოდოქსი ქრისტიანის) პირადი განცდები გარკვეული რელიგიური დღესასწაულის გამო.

12. სურთა ვხედავ და ბაგასა  
და ქალწულსა მშობიერსა  
და ყრმასა  
და საქმართავან უპოვარსა.

37, 34-35.

13. ზღუამან ზურვი თვისი ვანუმარტა  
ლეღათაგან და ქუეყანამან კელნი  
ზედა-მაველთანი წარუმართა  
დაუბრკოლებელად.

40, 9 10.

აქ რითმაში ზმნების მწკრივიც ერთნაირია (წყვეტილი), ქცევაც (სასხვისო), მისი ნიშანიც (უ) და პირებიც. ძირებიც კი ერთნაირად ქღერადია: მარტ — მართ (წარმოშობით შეიძლება ერთი იყოს), ერთი სიტყვით, იდეალურია (იმდროინდელი თვალსაზრისით). ოღონდ ესაა, რომ ერთში პირდაპირი ობიექტი მხოლოდითმია, მეორეში — მრავლობითში, ამიტომ მის ფორმაში მეტი ნ გვაქვს (ამას ჩვენ დღეს ასონანსს ვეძახით). გარდა ამისა, მიაქციეთ ყურადღება ზენების ალიტერაციას (% ზ...ზ) და უ-სა და უმარცვლო უ-ს თავმოყრას!

14. მარიამ მკევალი  
და დედაჲ და ქალწული  
და ცაჲ, მხოლოჲ  
ქიდი ღმრთისაჲ  
კაცთა მომართ მოსულისაჲ,

საშინელი  
მოლუაწებისა ჩუენისა ქსელი,  
რომელსა შინა გამოუთქუმელად  
ქორციელებისაჲ  
იგი საუფლოჲ  
იქსოვა სამოსელი.

40, 22-25.

მსაზღვრელის წინ გადმოსვლამ საშუალება მისცა მთარგმნელს საზღვრული (სამოსელი) ბოლოს გადაეტანა და მშვენიერი რითმით შეეკრა სტროფი (ამ ტერმინს აქ პირობით ვხმარობთ): ქსელი-სამოსელი.

15. აწ იხილეთ მისი იგი კატო-მოყუარებაჲ,  
რამეთუ ნეფსით დაისაჯა და ჭუარის-მტუმელთაჲ  
მათ განაქარვა სიკუდილი, მოაქცია მომკლველთაჲ  
მათ უშულოებაჲ,  
უშულოებისა მოქმედთაჲ  
მათ მათთავე საცხორებელად!  
კაცისა ლიტონისა ვერ შესაძლებელ იყო ქსნაჲ,  
გარნა მისი ხოლო ჭერ-იყო, მაცხოვრისაჲ...  
ცოდვაჲ იგი ეშმაკისა მიჰგურიდა,  
და ეშმაკი სიკუდილსა მისცემდა  
და დიღსა ჰირსა ჩუენ ზედა მოაწედა.

43,11-17.

აქ პირველ სტროფში გარემომცველი რითმები გვაქვს: ებაჲ — ებაჲ (1—4), ელთაჲ, — ელთაჲ (2—3), უკანასკნელში — მიჯრითი: რ-იღა — ც-ემდა — წ-ეედა. ამ უკანასკნელ რითმაში ასონანსი შემოთხვევით არ უნდა გვქონდეს: ც||წ, მ||ვ<sup>1</sup>.

16. შეერთო ბუნებაჲ იგი  
და შეურწყუმელად ჰგიეს ერთობაჲ იგი.  
მოვიდა ცხორებაჲ იგი,  
არამედ თანაეღვა სიკუდილიცა.  
ვითარ შესაძლებელ  
იყო ორივე ესე?

---

<sup>1</sup> შდრ.: მოუხშირებს ბრაზით წივილს  
და მთელ ლამეს შფოთავს.  
გაიხედავ დიღას: ცივი  
თოვლი ფარავს ოღას.



კაცი ლიტონი ვერ შემძლებელ  
იყო ქსნად, ღმრთისა შეუძლებელ  
იყო თვნიერ კორცთა ვნებისა.

44, 22-25.

უკანასკნელ რითმაში სარიტმავი ერთეულია ძ ლ ე ბ ე ლ, რომელიც მოცემულია ამ ერთეულის შემცველი სამი სახის მიმღეობით: შესაძ ლ ე ბ ე ლ — შემძ ლ ე ბ ე ლ — შეუძლ ე ბ ე ლ. ამ ფუძის გამოყენებით სხვა საშუალება ქართულ ენას არც ჰქონდა, აქ ყველა გზაა მაქსიმალურად გამოყენებული.

17. გ.ნურნა წყლულებანი,  
განქაღნა ვნებანი,  
ემინა ვითარცა კაცსა,  
შოღა ვითარცა კაცსა,  
ღმრთებრ სასწაულსა იქმოდა.  
ზღუასა ზედა ვიღოღა  
ვითარცა კმელსა, ქართა შექრისნა  
და დააყუღნა,  
მკუდარნი აღადგინნა,  
ბრმათა თუაღნი აუხილნა.

50, 8-11.

18. პირუტყუმან იცნის მომგებელი თვსა,  
ხოლო მთრვალმან არა იცნის მეზობელი თვსი.

113. 2.

აქ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შერიტმულია ერთი და იგივე სიტყვა: თვსი — თვსი (ასეთი რამ საერთოდ გვხვდება). არა, აქ მთარგმნელი ყურადღებას აქცევს წინა სიტყვებს და მათ რითმავს: მომ გ ე ბ ე ლ ი — მეზობ ე ლ ი.

19. პრცხუნოღენ აწ პერიათა,  
რომელნი მოსეს შვასმენ  
და უფალა იესუს შვასმენენ.

127,5.

20. და ვის-იგი ჰბრძოდა,  
რეცა მისთვის შურს-იგებდა  
და რეცა თუ სახიერებასა  
აჩუენებდა  
და მანიერებასა  
აღასრულებდა.

136, 25-27.

აქაც ჯვარედინი რითმა გვაქვს: იერებასა -- იერებასა (1 — 3),  
ებდა — ებდა (2 — 4).

21. წინაწარმეტყუელი ქადაგებენ,  
მოციქულნი ლაღებენ,  
კონებანი ეწამებთან.

183, 23-24.

22. და დაემტყინეთ უძღურნი  
და ეიღუაწნეთ სნეულნი  
და გამოეზარდნეთ ქუებულნი.

184, 5.

23. შეიმკვების ღრუბლითა ნათლისაჲთა  
და ხარებს კმითა მამისაჲთა.

191, 18.

24. მუნ ალი იგი ცეცხლისაჲ,  
ხოლა აქა ნათელი ღმრთეებისაჲ;  
მუნ მათუალი,  
ხოლო აქა ღრუბელი;  
მუნ მოსე შეშინებული.  
ხოლო აქა თანა-მდგომარჲ და ზრახვის ზარი;  
მუნ მონაჲ დიდებული,  
ხოლო აქა უფალი დიდებისაჲ.

194, 12-15.

აქ რითმებს გარდა (შეშინებული — დიდებული...) რიტმულ  
ლი განმეორება და დაპირისპირებაც გვაქვს: მუნ — აქა, მუნ — აქა...

25. ღმერთებისასა მას ხედვენ საკრველებასა  
და კაცობრივსა იტყვან ვნებაჲსა.

194, 30-31.

აქაც, როგორც წინა მაგალითებში, ჩვენს ყურადღებას იქცევს  
ორი გარემოება: ა) მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან ნაწ-  
ევრითა და ზმნით, ბ) მსაზღვრელი წინაა გადმოსული. ჩვეულებრივი  
წესით აქ უნდა გვქონოდა: ხედვენ საკრველებასა მას ღმრთეებისასა  
და იტყვან ვნებასა კაცობრივსა. მაგრამ მაშინ რითმები შუა სტრი-  
ქონში მოექცეოდა და ამის გამო მიუღებელი იქნებოდა.

26. აჰა დავსდებ სიონს შინა  
ლოდსა დაბრკოლებისასა  
და კლდესა საცთურებისასა,

და ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს,  
არასადა ჰრცხუენეს.

196, 13-15.

ეს ადგილი აქ მოყვანილი უნდა იყოს სხვა ძეგლებიდან. შდრ. ესაია: აჰა ესერა დავსდებ საფუძველსა სიონისასა ლოდსა, ფრიად პატიოსანსა, რჩეულსა საკიდურსა პატიოსანსა, საფუძველთა მისთა, და რომელსა ჰრწმენეს იგი; არასადა ჰრცხუენეს (28, 16). ის აქედანვეა გადასული ახალი აღთქმის კიდევ ერთ ძეგლში: „აჰა ესერა, დავსდებ სიონს შინა ლოდსა საკიდურსა, რჩეულსა, პატიოსანსა და რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუენეს (1 პეტ. 2, 6). ეს საკმაოდ მოუქნელი ადგილი ჩვენს მთარგმნელს სტილისტიკურად გაუჩაღბავს, ზოგი სიტყვა გამოუყლია, ზოგი დაუმატებია და მიუღია საკმაოდ გამართული ლექსი, რომლის პირველი ორი სტრიქონიც ჩვეულებრივი მაღალი შაირის მიხედვით არის გამართული:

აჰა დავსდებ სიონს შინა ( $4 + 4 = 8$ )

ლოდსა დაბრკოლებისასა ( $2 + 6 = 8$ ).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წყვილი რითმა (პრწმენეს — ჰრცხუენეს) იმ ძველ წყაროებშიც ყოფილა, მაგრამ აქ ის სულ სხვანაირად გამოიყურება.

27. ესე არს მშ ჩენი საყუარელი.

და ესე კმა ჩენ გუესმა ზეცით განოსრული.

196. 23.

28. რომელმან იმ ღმრთისაჲ შეერაებ-ყოს

და წამებაჲ მამისაჲ არა შეიწყნაროს

და მოციქულთა ქადაგებაჲ არა სარწმუნოჲ შეჰრაცხოს.

197, 18-19.

29. თვნიერ ქამისა თხრობად სიტყუად უწევსო არს.

და თვნიერ წესისა კეთილი რამეჲ საქმელ უეამო არს,

და თვნიერ კეთილისა საონიებაჲ შეუქლებელ არს,

ხოლო თვნიერ საონოებისა სრულებასა ვერვინ მისწუდეს.

197, 33-36.

აქ, გარდა სხვა პოეტური ხერხებისა, მთავარ როლს თამაშობს გრადაციული განმეორება. რითმები მარტო ბოლო „არს“-ის ანაბარა კი არ არის მიტოვებული, არამედ მას ზურგს უმაჯრებს წინა სმო-

ვანი ო: უწესო არს — უჯამო არს. შივაქცევ კიდეც მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ძველი ქართული ლექსის ავტორები უშთავრესად ერთნაირი წარმოებების სიტყვებს რითმავდნენ, რის დადასტურებასაც წარმოადგენს პირველი სარიტმო სიტყვები: უ-წეს-ო — უ-ჯამ-ო — უარყოფის სახელები, რომლებიც ძირეული სახელებიდან (წეს-ი. ჟამ-ი) ნაწარმოებია უ-ო აფიქსებით.

30. საყუარლნო შვილნო აღთქუმისანო  
და მკვდრნო სარწმუნოებისანო,  
ვერჩღუთ წამებასა მამიასა  
და გამოჩინებასა ძისასა  
და მაღლსა სულსა წმ. ღისასა.

198, 4 — 6.

ეს მაგალითი მრავალმხრივ არის საინტერესო: ა) აქ ჩვენ გვაქვს ძველი ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი ხუთსტრიქონიანი სტროფი; ბ) ყოველ სტრიქონში გვაქვს მარცვალთა თანაბარი რაოდენობა — 10 (ლექსის სილაბური საფუძველი); გ) გვაქვს ძველი ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი რითმა: ისანო-ისანო, ისასა-ისასა-ისასა, რომელსაც საფუძვლად უშევს ორმაგი ბრუნების ფორმები; დ) გვაქვს შინაგანი რითმაც: შვილნო-მკვდრნო, წამებასა-გამოჩინებასა. მიმართვა და პათეტიკური ტონიც აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომელიც მას ეკლესია-მონასტრებში წაკითხვისას უნდა გამოეწვია.

31. დღეს ქუეყანისა ტაძარი ღმრთისა სიტყვსაჲ მიიცვალების,  
ზეცისა იერუსალემსა დაემკვდრების;  
დღეს ქალწული ზეცად მიიცვალების  
ქუეყანისაგან;  
დღეს კარავი ქუეყანისაჲ ზეცისა კარავ იქმნების;  
დღეს ტაძარი ქუეყანისაჲ ზეცად ამაღლდების;  
დღეს საყდარი ქუეყანისაჲ ზეცისა საყდარ იქმნების;  
დღეს უზოჲ იგი კარვისაჲ. რომელსა ჰრქვან წმიდაჲ წმიდათაჲ,  
ზეცისასა მას კარავსა ბრწყინვალესა მიიცვალების;  
დღეს მაცუალი იგი შეუწუველი ზეცისა სძალ იქმნების;  
... დღეს უხრწნელი დედოფალი მარიამ ზეცისა ქერობინ იქმნების;  
დღეს პირველი იგი მამაჲ ჩუენი  
სიკუდილისაგან განთავისუფლდების;  
დღეს ხილული იგი უხილავ იქმნების კაცთაგან,  
რამედ იხილვების ანგელოზთაგან. 201. 28-36; 202. 1-2.

ჩვეულებრივს რითმებსა და თვალში საცემ სხვა პოეტურ ხერხებს თავი რომ დავანებოთ, აქ ცალკეულ სტროფებში შინაგანი განმეორებანი და შინაგანი რითმები გვაქვს:

დღეს ტაძარი ქუეყანისაჲ ზეცად აღმაღლების;  
დღეს საყდარი ქუეყანისაჲ ზეცისა საყდარ იქმნების.  
დღეს ხილული იგი უხილავ იქმნების კაცთაგან,  
არამედ იხილვების ანგელოზთაგან.

მივაქცევ ყურადღებას ასეთ განმეორებასაც:

კარავი ქუეყანისაჲ ზეცისა კარავ იქმნების,  
საყდარი ქვეყნისაჲ ზეცისა საყდარი იქმნების,  
ხილული იგი უხილავ იქმნების  
და სხვ.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, არა შემთხვევითი შეხვედრებია, არამედ წინასწარმოზომილი, ბევრჯერ ნაფიქრი, დიდი შრომითა და ძიებით მოპოვებული პოეტური საშუალებები, რომელთა ერთობლიობა ძველი ქართულის ჩვეულებრივს ლექსს იძლევა, რომლისათვისაც ყოველთვის არაა აუცილებელი ყველგან თანაბარი შედგენილობის სტროფები გვქონდეს, სტროფებში — თანაბარი რაოდენობის სტრიქონები, ხოლო სტრიქონებში — თანაბარი რაოდენობის მარცვლები. ეს თანაბრობა ზოგჯერ არის, მაგრამ ზოგჯერ არაა. ლექსი კი ორივე შემთხვევაში გვაქვს. ამიტომაც ასეთი ლექსი თავისუფალი.

32. გიხაროდენ სოფლისა ყოვლისა ცხოვრებისა მშობელსა!

გიხაროდენ უკრწნელსა ქალწულსა და უბიწოსა სანატრელსა!

გიხაროდენ უქორწინებელად მშობელსა!

203, 28-31.

33. და არა სტირ სირცხვლისა მის გარდარეულებასა,

საქმესა მას ჯერეუალსა

და სასყიდელისა მას აღთქუმასა და მიკდასა.

და არა ძწის მროკვალისა მის გონებაჲ,

და არა სძაგებს ტყუვილსა ქებაჲ.

209, 34-36. —

34. მოაქუნდა ნელსაცხებელი

მანითა

და ცრემლი

თუალითა.

211, 36.

35. ვაჟ სახშ საშრომელი!  
ვაჟ გონებაჟ უღირსი!  
ვითარ არა შეიწყალა  
თვსი ქმარი საყუარელი!

214, 27-28.

36. ზღუანი განსტქლიან  
და მუნვე ურთიერთას შეიძერწნიან;  
კლდენი განსტქლიან  
და მუნვე ურთიერთას შეიბრძვნნიან;  
მანანაჟ  
წვმდებოდა  
და მუნთქუესვე ტაბლაჟ  
განემზადებოდა.

221, 22-24.

37. მოილო სათხროლი,  
და სარტყელი  
შეირტყა.

242, 12.

38. მეცხრესა ოდენ ჟამსა მოაქუნდა ცხედარი,  
რომელსა ზედა იღვა ჰაბუკი მკუდარი...  
აწ სენა, დედოფალო, ძელი!  
იგი საწადელი.

242, 20-22.

აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ, გარდა საკუთრივ რითმისა (ე ლ ი — ე ლ ი) ორივე სტრიქონში მეორდება მსგავსი თანხმოვნები: ც, ძ, წ, (ალიტერაცია), რაც სრულებით არ არის შემთხვევითი.

39. სძლო გმობასა  
მისსა კურთხევითა თვსითა  
და ერეოდა მწუხარებასა  
ნუგეშინის-ცემითა

---

1 გამოცემაში მოცემულია ძ ა ლ ი, მაგრამ ფოტობირზე ძ ე ლ ი იკითხება. ამბის შინაარსიდანაც ძ ე ლ ი იგულისხმება (= ჭვარი, რომელზედაც გააკრეს ქრისტე); ელენე დედოფალი სწორედ ამ ძელს ეძებდა. შტრ.: რომელმან კეთილად მოიძია სასოჟ ძ ე ლ ი (238, 20); უწყი, რამეთუ ძიებაჟ ეგულების ძ ე ლ ი ს ა ჟ მის (239, 33); რაჟამს ძიებაჟ იყოს ძ ე ლ ი ს ა ჟ მის (239, 37); რაჟთამცა მოაქუდინეს და გარდამოიღეს ძ ე ლ ი ს ა მისგან (240. 9).

1 და სძლო მოწლებასა  
მუცლისასა აღსარებითა  
და ერეოდა ცოლსა  
თვისსა მოთმინებითა.

262, 11-13.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ სანიმუშო მაგალითები. ხელნაწერში ასეთი ადგილები, ხან მთლიანი პასაჟები, რასაკვირველია, მეტია. ამას შემდგომი შესწავლა და გამოვლინება ესაჭიროება. ჩვენი მიზანი იყო, დაგვესვა საკითხი, რომ ასეთ უძველეს ხელნაწერში, სადაც ჰაგიოგრაფიულ ძეგლებთან ერთად ჰომილეტიკური და სხვა ხასიათის ნაწარმოებნი გვაქვს, წარმოდგენილია აგრეთვე ძველი ქართული ლექსის ერთგვარი ნიმუშები. ძველ ხელნაწერთაგან სინური მრავალთავი არის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც უხვად გვაწვდის მასალებს ძველი ქართული ლექსის ზოგიერთი სახის შესახებ. მაგრამ ამ საკითხს უფრო ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება, რასაც ავტორი შემდეგისათვის აპირებს. მანამდე კი მკითხველთა ფართო საზოგადოებას ეუდგენთ ძველი ქართული ლექსის ზემოთ მოყვანილ ნიმუშებს.

## ქართული ლექსის სათავეებთან

ამ უკანასკნელ ხანებში თანდათან ცხადი ხდება, რომ ქართული ლექსის სათავეები უნდა ვეძებოთ არა საერო მწერლობის ჩასახვის პერიოდში, რომელიც ამ საკითხის ახსნისათვის ძალიან დაგვიანებული იქნებოდა, არც მხოლოდ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის იმ დარგში, რომელსაც ჰიმნოგრაფია ეწოდება და ლექსის განვითარება-აღორძინების მდიდარ გარემოს შეიცავს. ქართული ლექსის საწყისები გაცილებით უფრო შორეულ ხანაში უნდა იყოს ჩამალული. ქრისტიანობის წინა, წარმართულ ხანაში ქართული ლექსი მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო, მაგრამ ქრისტიანობის შემოსვლამ და სასულიერო ლიტერატურის მძლავრად განვითარებამ ერთხანს დააბრკოლა მისი განვითარება, შემდეგ კი იგი გადაახალისა და თავის მიზნებსა და მოთხოვნებს შეუფარდა, მისი ელემენტები სასულიერო ჰიმნოგრაფიაში გამოიყენა.

მაგრამ თვით იმ ძველ ხანაშიც, როცა ქართული ლექსი შექცევებული იყო, არ სძინავდათ მის მოტრფიალეებს, ქართული ლექსის სიყვარული უღვიოდათ და სასულიერო მწერლობის არტახებით შებოჭილ თხზულებებშიც ახერხებდნენ ლექსად ეთარგმნათ ეს ნაწარმოებები, ან გაელექსათ მათი ცალკეული ადგილები. პირველის ნიმუშს წარმოადგენს „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი“, რომელიც თავიდან ბოლომდე გალექსილია და ერთგვარ სასულიერო პოემას წარმოადგენს<sup>1</sup>, მეორე შემთხვევა კი ხშირად გვხვდება ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ჰაგიოგრაფიულ; ასკეტიკურ-ჰომილეტიკურსა და სხვა დარგებში.

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, „ძველი ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა“: „მნათობი“, 1939, № 9, გვ. 116 — 119; № 10 — 11, გვ. 249 — 254; მისივე: „გიორგი მერჩულე“, 1954, გვ. 703 — 706.



მართალია, ასეთი ლექსები ყოველთვის არ მოგვაგონებს დღევანდელ ლექსს ზუსტად განსაზღვრული კანონებით და დიდად განვითარებული ტექნიკით, მაგრამ ამგვარი მოთხოვნების წაყენება ქართული ლექსის სათავეებისათვის, ისიც სასულიერო მწერლობაში გამოძღვებულისათვის, არც საჭიროა და არც შეიძლება. ეს ძველი ქართული ლექსები შედარებით უფრო თავისუფალი იყო, მათ განსაკუთრებით არ აწუხებდათ მეტრის მკაცრი წესების დაცვა და ზოგი სხვა მომენტიც, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ქართული ლექსის ძირითადი ნიშნები აქ კარგად განვითარებული სახით გვხვდებოდა. განსაკუთრებით უნდა ითქვას რითმაზე, რომელიც ჩვენი ლექსის აუცილებელი და უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია. ეს რითმები, რომლებიც აქ გარკვეული წესის მიხედვითაა გაწყობილი, ხელშესახებად გამოირჩევა იმ დროისათვის მაღალი ხარისხითა და განმტკიცებითი ძალით.

აქ ჩვენ გვსურს წარმოვადგინოთ ერთი ასეთი ლექსი, რომელიც ე. წ. „მამათა სწავლაშია“ მოთავსებული. ხელნაწერი, რომელშიც ეს ლექსი გვხვდება, ჯერჯერობით სამია ცნობილი: ა) სინას მთის ხელნაწერი, № 36<sup>1</sup>, რომლის მიკროფილმიც და იქედან გადაღებული ფოტოპირი ამჟამად დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ფოტოპირი არის აგრეთვე აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშიც). ხელნაწერი X საუკუნისა უნდა იყოს. ჩვენთვის საინტერესო ადგილი მოთავსებულია 100<sup>b</sup> — 101<sup>a</sup> ფურცლებზე; ბ) საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S 1139; გ) ათონური ხელნაწერი „სამოთხე“ (1177 წ.). მისი პირი, რომელიც ილია ბანძელმა (ფანცულაიამ) 1915 წელს გადმოიღო მხედრულად, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. IV, 1950, გვ. 86—89). ეს ორი უკანასკნელი გამოცემულია ილია აბულაძის მიერ („მამათა სწავლანი“, 1955). აღნიშნული ადგილი აქ მოთავსებულია 122, 3i — 33 და 123, 1 — 13 გვერდებზე.

თუ მხედველობაში გვექნება, რომ საქართველოში გვაქვს ათონური ხელნაწერის მხოლოდ პირი, ისიც მხედრულად შესრულებული და შეცდომებიანი, არსებითად საქმე გვექნება ორ ხელნაწერთან, რომელთაგან ერთი გამოცემულია, მეორე — გამოუცემელი.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 74 — 83.

დიდი სხვაობა მათ შორის არ არის, მაგრამ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ სინური ხელნაწერი ენობრივი ნორმების უფრო ძველ ვითარებას უნდა წარმოგვიდგენდეს. ასე, მაგალითად, ა) სინურ ხელნაწერში ავ თემისნიშნისანი ზმნების ვნები-თებს ებ აღარ ემატება, მარტივადაა ნაწარმოები: და ი წ ყ ჯ ო დ ი ა ნ, ა ღ მ ო ი კ ი თ ხ ვ ო დ ი ა ნ; თბილისურ ხელნაწერში კი ებიანი ფორმებია: და ი წ ყ ჯ ე ბ ო დ ი ა ნ, ა ღ მ ო ი კ ი თ ხ ვ ე ბ ო დ ი ა ნ; ბ) სინურში იკითხება: „საფუძველნი ქუეყანისანი იძრვოდიან“, თბილისურში საზგასმული ზმნის ნაცვლად არის იძრწოდიან, რაც არ ვარგა ორი თვალსაზრისით: ა) ქვეყანაზე შეიძლება ითქვას მხოლოდ იძრვისო, მაგრამ არ შეიძლება ითქვას იძრწისო, ასეთი გამოთქმა არ არსებობს ძველ ქართულ ენაში; ბ) თუ ძრწოლას ვიხმარდით, უნდა ყოფილიყო ძწოდიან (ან: ძრწოდიან), მაგრამ არა იძრწოდიან (ეს საშუალო გვარის ზმნაა და ი არ შეიძლება ჰქონდეს). ეს შეცდომა ადვილი ასახსნელია: დედანში იქნებოდა იძრვოდიან. ძრ კომპლექსის ასოციაციით გადამწერს მოაგონდა ძრწოლა და აქედან გააკეთა შეუძლებელი ფორმა; გ) სინურ ხელნაწერშია საზუერესა მას სამზირელსა, ხოლო თბილისურში კი — საზუერესა ამას სამზირსა. უნდა უპირატესობა მიეცეთ სინური ხელნაწერის წაკითხვას აქაც ორი თვალსაზრისით: ა) საზუერესა ამას შეუძლებელია, რადგან აქ ლაპარაკია სიკვდილის შემდეგ მოსახდენ ამბავზე; ბ) სამზირელსა იმიტომ სჯობს სამზირსა-ს, რომ ის ერთმება წინა სტრიქონების სიტყვებს: გზასა მას ბნელსა და: იწროსა და საშინელსა; დ) სინურ ხელნაწერშია: ჳმანი საშინელნი და პირნი საზარელნი (ასეა ათონურშიც), თბილისურში კი ეპითეტები შებრუნებულად აქვს დართული არსებითებს: ჳმანი საზარელნი და პირნი საშინელნი. ძველ ტექსტებში პირისა და ხმის ეპითეტად ჩვეულებრივად ერთიც იხმარება და მეორეც; ე) სინურში არის ოდეს-იგი, თბილისურში ოდეს (პირველი უფრო ძველია); ვ) სინურ ხელნაწერში უკანასკნელ ზმნად წარმოდგენილია გამოჩნდენ (და ყოველნი საქმენი ბოროტნი ცხადად გამოჩნდენ წინაშე მსაჯულისა მის ყოველთაჲსა), თბილისურში ამის ნაცვლად მოცემულია ემხილებოდიან. პირველი შეხედვით გამოჩნდენ აქ უვარგისია, რადგანაც ის არ ერთმება წინა სტრიქონის სიტყვას „დაისაჯებოდიან“, ემხილებოდიან კი ზედგამოჭრილია ამისათვის. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ნამდვილად კი ემხილებოდიან ერთი სტრიქონით აღრე კიდევ არის ნა-

ხმარი რითმაში და მისი განმეორება აქ არაა საჭირო (სხვა რითმები არ მეორდება). მეორე: მოყვანილი ადგილი ამ წინადადებით სრულდება და ჩვენ თამამად შეგვეძლო ლექსისათვის წერტილი დაგვესვა დაი-საჯებოდნად სიტყვის შემდეგ. დანარჩენი აზრის სისრულისათვისაა მოყვანილი; ზ) სინურის ორთოგრაფიაც უფრო ძველია (სიმრავლმ), თბილისურისა — ახალი (სიმრავლე. ამ ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი ე-ზე ფუძეგათავებული სხვა სახელებიც სახელობითს ბრუნვაში); არის ორიოდ უმნიშვნელო ხასიათის სხვა სხვაობაც, რომელთაც სქოლიოებში ვუჩვენებთ. ყველა ამიტომ ლექსის გამოცემას საფუძვლად ვუდებთ სინურ ხელნაწერს, თბილისური ხელნაწერის წაკითხვები (ილ. აბულაძის გამოცემის მიხედვით) სქოლიოში გვაქვს ჩატანილი.

თხზულება, რომელშიც ეს ლექსი მოიპოვება, იოვანე ოქროპირს ეკუთვნის. მისი სათაურია: „ეპისტოლმ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თევდორესა მიმართ, რომელმან მონაზონებაჲ დაუტევა და ცოლი შეირთო, რომელი იყო დის-წული იონან ჰრომთა პაპისაჲ“.

იოვანე ოქროპირი აღწვთობებულია თევდორეს საქციელით, რომელსაც მონაზვნობა (ბერობა) მიუტოვებია და ცოლი შეურთავს. მწერალი ამ ეპისტოლეში ყოველნაირად უსაბუთებს თევდორეს გადადგმული ნაბიჯის მცდარობას, ათასნაირი საშუალებით არიგებს მას, მიატოვოს ცოლი, დაუბრუნდეს ისევ მონაზვნობას და ცოლისადმი სიყვარული ღმერთისადმი სიყვარულით შეცვალოს. იგი წერს: „ცოლი, შვილო ჩემო, ესევეითართავს არს, რომელნი ამათ საქმეთა (სოფლის საქმეთა) ჰყუარობენ, ხოლო შენ, შვილო ჩემო, ნუ შესცვალებ სიყვარულსა ღმრთისასა ცოლისა სიყვარულად... და ნუმცა პატივ-სცემ აღთქუმასა და ფიცებასა ცოლისასა უფროჲს აღთქუმასა და ფიცებასა ღმრთისასა“.

რომ უფრო დაარწმუნოს თევდორე არჩეული გზის შეცდომაში და ხელი ააღებინოს ცოლსა და ოჯახზე, მწერალი საშინელი ფერებით უხატავს მას სიკვდილის შემდგომ წვალებასა და წამებას, რომელიც ცოდვილ ადამიანს მოელის ხოლმე. აი სწორედ ეს მეტად მუქი ფერებით დახატული სურათი სიკვდილის შემდეგ ცოდვილი ადამიანის ტანჯვისა არის ლექსის მთავარი ფონი და შინაარსი. რადგანაც მორწმუნე ავტორის საბუთებში ამ მომენტს ექცევა მთავარი ყურადღება, სწორედ ეს ადგილია გალექსილი.

საიდან არის ეს ნაწარმოები ნათარგმნი? ილია აბულაძის აზრით, ეს თარგმანი სომხურიდან არ უნდა იყოს შესრულებული<sup>1</sup>. უფრო საფიქრებელია, იგი ბერძნულიდან მოდიოდეს.

ეს ადგილი ბერძნულადაც ლექსად იყო შეთხზული თუ ბერძნულად პროზად დაიწერა და ის ქართველმა მთარგმნელმა გალექსა? ბერძნულად გამოცემულია იოვანე ოქროპირის ორივე ეპისტოლე თევდორესადმი მიწერილი<sup>2</sup> (ჩვენი ლექსი II ეპისტოლეშია).

ის, რაც ბერძნულში II ეპისტოლის სახითაა ცნობილი, ქართულად I ეპისტოლეს უდგება. ტექსტობრივი დამთხვევა არაა, ქართული გადმოსცემს ბერძნული ტექსტის აზრს საერთო ხაზებში. ხოლო ის, რაც ბერძნულში I ეპისტოლის სახითაა ცნობილი, სრულებით არ უდგება ქართული თარგმანის II ეპისტოლეს არც ტექსტობრივად. არც საერთო ხაზებში, სულ სხვაა ბერძნულის I ეპისტოლე და სხვაა ქართული თარგმანის II ეპისტოლე. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ბერძნულად ლექსად იყო დაწერილი და ქართველმა ლექსი ლექსადვე გადმოიღო, თუ იგი ბერძნულად პროზად შეითხზა და ლექსი ქართველი მთარგმნელის ნახელავია. ჩვენ უფრო მეორე დაშვება გვგონია სწორი, მაგრამ ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა მოძებნილ იქნეს ქართული თარგმანის საგულევებელი დედანი.

ვინ არის ქართული თარგმანის ავტორი? სამწუხაროდ, ესეც არაა ცნობილი.

ახლა მოვიყვან თვით ლექსს.\*

100B, 3. მოიქსენე, შვილო ჩემო. ჟამი იგი შესაძრწუნებელი,  
ოდეს-იგი<sup>3</sup> ანგელოზნი მრისხანენი განიყვანებდენ  
სულსა ცოდვილისასა იძულებით<sup>4</sup> კორცთავან,  
რაქამს ურგებნი იგი ცრემლთა ნაკადულნი გარდამოდიოდნან  
თუალთა მათთავან, და საშინელად ზარ-განჭდილნი განვიდოდნან

1 შამათა სწავლანი, 1955, გვ. XV — XVI.

2 Migne, Patrologia, t 46.

3 ოდეს A.

\* სქოლიოში ნაჩვენებია S 1139 ხელნაწერის (=A) განსხვავებული წაკითხვანი.

4 იძულებით განიყვანებდენ სულსა ცოდვილისასა A.

და<sup>1</sup> ინანდენ საქმეთა მათთათჳს<sup>2</sup> ბოროტთა,  
და არღარას ერგებოდის. რამეთუ წარისხმოდიან  
იგინი გზასა მას ბნელსა,  
იწროსა და საშინელსა,  
სადა-იგი ავაზაკთა სიმრავლჳ<sup>3</sup> დამალულ იყოს  
საზუერესა მას<sup>4</sup> სამზირელსა<sup>5</sup>

სულთა უკეთურთასა.

და კმანი საშინელნი<sup>6</sup> ისმოდიან,  
და პირნი საზარელნი<sup>7</sup> იხილვებოდინან,  
და გონებანი კაცთანი დაიწყლვოდინან<sup>8</sup>,  
და ცრემლთა მდინარენი დიოდინან,  
და საფუძველნი ქუეყანისანი იძრვოდინან<sup>9</sup>.  
და ყოველნი დაბადებულნი  
შიშით ზარ-განკდილნი ძწოდინან.

წიგნნი იგი მატთანთანი განეხუმოდინან,  
და საქმენი კაცთანი დაფარულნი  
და ცხადნი აღმოიკითხვოდინან<sup>10</sup>.

და სატანჯველნი იგი საუკუნენი განემზადებოდინან  
და ცოდვილნი და უვარის-მყოფელნი  
მას შინა შეითხვოდინან.

მაშინ კაცად-კაცადსა დაფაარულნი ემხილვებოდინან,  
და საქმეთაებრ და გულის-თქუმათა დაისაჯებოდინან,  
და ყოველნი საქმენი ბოროტნი ცხადად გამოჩნდენ<sup>11</sup>  
წინაშე მსაჯულისა მის ყოველთაჲსა.

მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ სარითმო სიტყვებად აქ  
აღებულია ზმნები. ეს ადვილი გასაგებბიცაა: ძველად (განსაკუთრე-

<sup>1</sup> და] — A.

<sup>2</sup> მათთჳს A.

<sup>3</sup> სიმრავლე A.

<sup>4</sup> ამას A.

<sup>5</sup> სამზირელსა] სამზირსა A.

<sup>6</sup> კმანი საზარელნი A.

<sup>7</sup> პირნი საშინელნი A.

<sup>8</sup> დაიწყლვებოდინან A.

<sup>9</sup> იძრვოდინან] იძრწოდინან A.

<sup>10</sup> აღმოიკითხვებოდინან A.

<sup>11</sup> გამოჩნდენ] ემხილვებოდინან A.

ბით იმ ხანებში, როცა ეს ლექსი იწერებოდა: VII — VIII — IX — X ს. ს.) რითმაში ერთნაირი ფორმის სიტყვების შერჩევა ურყევ წესად იყო მიღებული. სულ ამ ლექსში 21 ზმნაა ნახმარი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქედან ორი (მოიქსენე, განიყვანებდენ) გამოყენებულია ლექსის თავში, სადაც, არსებითად რომ ვთქვათ, ლექსი ჯერ კიდევ არაა დაწყებული, ხოლო ერთი (გამოჩნდენ) — ბოლოში, ლექსის დასრულების შემდეგ<sup>1</sup>, ნამდვილ ლექსში სულ 18 ზმნა გვექნება, რომელთაგან რითმაში მონაწილეობს 15, 3 კი — არა. ეს სამი ზმნაა: ინანდენ, (დამალულ) იყოს, ერგებოდის. მაშასადამე, (გარეგანი) რითმის შედგენის მთელი სიმძიმე მხოლოდ ზმნებს აქვს დაკისრებული; სახელები მონაწილეობას იღებენ შინაგანი რითმის შედგენაში. ასეთებია:

ბნელსა — საშინელსა — საზარელსა;

საშინელნი — საზარელნი;

დაბადებულნი — ზარ-განქდილნი;

ცოდვილნი — უვარის-მყოფელნი;

დაფარულნი — ცხადნი.

ასეთ შინაგან რითმებს მთარგმნელი უფრო ხშირად მაშინ მიმართავს, როცა გარეგან რითმას აგვიანდება და საჭიროა ეს შედარებით მოგრძო (ურითმო) ინტერვალი სხვა სახის პოეტური ხერხით იქნეს შევსებული. ამ ამოცანას ისახავს შინაგანი რითმა. ასე, მაგალითად, წარისხმოდიან და ისმოდიან მომიჯნავე (გარეგან) რითმებს შორის მთელი 5 სტრიქონია (17 სიტყვა). ამ გრძელი შუალედისათვის მხატვრული ეფექტის მიცემა სწორედ შინაგან რითმას აქვს დაკისრებული. ამის გამოა, რომ აქა გვაქვს შინაგანი რითმები: ბნელსა — საშინელსა — სამზირელსა.

როგორია ეს გარეგანი რითმები შინაარსით და ფორმით? ყველა მათგანი გამოუკლებლად ვნებითი და საშუალი გვარისაა, არც ერთი არ არის მოქმედებითი გვარისა. ეს, ერთი მხრივ, გასაგებიცაა: აქ ხომ ის ამბავია აღწერილი, რაც ცოდვილს სიკვდილის შემდეგ ელის: კაცი თვითონ არ არის, ის არ მოქმედებს, სხვების მოქმედე-

<sup>1</sup> მეორე ხელნაწერს უგრაქვია აქ უხერხულობა და შეურიომავი გამოჩნდენ შეუცვლია კარგად შერთმული ზმნით ე მ ხ ი ლ ე ბ ო დ ი ა ნ, მაგრამ მას სხვა შეცდომა დაუშვია: გაუმეორებია იგივე რითმა, რაც 2 სტრიქონის წინ უკვე იყო გამოყენებული.

ბა ეხება მას. ამიტომაც აქ კარბად ვნებითი გვარის ზმნები. საშუა-  
ლი გვარის ზმნებიც შინაარსით ვნებითსა ჰგავს და ამის გამოა მათ  
გვერდში დაყენებული.

როგორია მათი ფორმა? ყველა მათგანი I კავშირებითშია დასმუ-  
ლი. ეს მწკრივი ძველ ქართულში მომავალ დროს გამოხატავდა. აქაც  
ხომ მომავალი, სიკვდილის შემდეგ მოსახდენი ამბებია აღწერილი.  
მაგრამ რატომ I კავშირებითი და არა II? ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ  
ავტორს უსრული ასპექტი სჭირდება (თუ ცოდვილი არ მოიქცევა,  
მერმე გადახდება მას თავს აქ აღწერილი უბედურებანი. მაგრამ ხომ  
შეიძლება მოიქცეს? — ამიტომ უსრული ასპექტი). მეორე: I კავში-  
რებითს აქვს ისეთი ფორმალური ელემენტი, რომელიც დიდ როლს  
თამაშობს რითმის შედგენაში, ეს არის ოდ სავრცობი, რომელიც  
ყველა ვნებითისა და ზოგი საშუალი გვარის ზმნისათვისაა დამახა-  
სიათებელი. <sup>1</sup> ამ ოდ სუფიქსს ემატება მწკრივის ნიშანი ი და ბოლოს  
სუბიექტის მრავლობითობის ნიშანი ან (საკვირველია, რომ ყველა  
15-ვე ზმნა მრავლობითს რიცხვშია დასმული!). ჯამში ეს გვაძლევს  
ლამაზ და კარგად მკლერ დაქტილურ რითმას: ოდიან. მაგრამ მთარგ-  
მნელი ზოგჯერ არც ამას სჯერდება და სავრცობს წინ წარუშეძვა-  
რებს ებ თემის ნიშანს, რაც ოთხმარცვლიან ღრმა რითმას გვაძლევს.  
მაშასადამე, აქ 15 რითმიდან 11 დაქტილური და 4 ღრმა რითმა  
გვექონია. აი ისინიც:

**ა) დაქტილური რითმები:**

გარდამოდოდიან	ი'ამოდიან
განვიდოდიან	დაიწყლოდიან
წარისხმოდიან	ლიოდიან
იძროოდიან	აღმოიკითხოოდიან
ძყოდიან	შეითხოოდიან
განეხუმოდიან	

**ღრმა რითმები:**

იხილევბოდიან	ეხილევბოდიან
განემზადებოდიან	დაისაჯებოდიან.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში:  
„საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. VI, № 10, 1945.

ასეთი ფართო შესაძლებლობა ჩვენს ენაში არც ერთ სხვა ხშირად ხმარებულ მწკრივს არა აქვს. აი რატომ არის, რომ ქართველი მთარგმნელი ასე დაჟინებით მიმართავს I კავშირებითს. სხვა, ჩვეულებრივს ტექსტში 15 ოდ-იანი ზმნა I კავშირებითის მრავლობითში, არათუ ერთად. ცალ-ცალკეც არ შეგხვდებათ რამდენიმე ათეული გვერდის მანძილზე. ეს შემთხვევითი როდია. ამას დიდი ცოდნა და შრომა სჭირდება, უფრო მეტი, ვიდრე თანამედროვე პოეტს სჭირდება დაახლოებით ამოდენა ლექსის შესათხზველად, რომელსაც თავიდან ბოლომდე ერთი რითმა ექნება (ერთი სარიტმო კლაუზულა ექნება). მაგრამ თქმული ცოტაა. რითმის უფრო მეტი კეთილხმოვანებისათვის ქართველ მთარგმნელს ზოგ დაქტილურ რითმაში საყრდენად გამოუყენებია ერთი და იგივე, ან მსგავსი თანხმოვნები.

ასეთი საყრდენი თანხმოვნებია: ვ; (ს)მ, (სხ)მ; ძ(რე); ძ(წ).

#### მაგალითები:

ვ: დაიწყვლვოდინ, აღმოიკითხვოდინ.

(ს) მ II (სხ)მ: წარისხმოდინ, ისმოდინ, განეხუმოდინ.

ძ(რე) II ძ(წ): იძრვოდინ, ძწოდინ.

ამ ლექსში ჩვენს ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლექსის სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც, მაგრამ მათზე ახლა ვერ შევჩერდებით. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა, რომ ძველ ქართულ პაგიოგრაფიულ, ასკეტიკურ-პომოლექტიკურსა და სხვა ხასიათის ძეგლებში ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზის გამო მოიპოვება ლექსად გაწყობილი ადგილები, ერთგვარი ძველი ქართული ლექსები, რომელთაც ქართული ლექსის ისტორიის შესწავლისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა, ამ მიმართულებით ვაწარმოოთ გაძლიერებული მუშაობა. ასეთ მუშაობას ამთავითვე უნდა დაედოს ერთი პირობა: საჭიროა სიფრთხილე, რომ ლექსის შემთხვევითი ელემენტების თავყრილობა ნამდვილ ლექსად არ მოგვეჩვენოს და ჩვეულებრივი პროზული თხზულება ძველი ქართული ლექსის ნაგუშად არ გავასაღოთ.



## ს ა რ ჩ ე ვ ი

რუსთველის რიტმა	3
I. რუსთველის რიტმის სიახლენი	4
II. რუსთველის რიტმის ლექსიკური შედგენილობა	15
III. შედგენილი რიტმა	71
IV. შეცული რიტმა	81
V. პოეტური ლიცენცია	91
„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის	121
ქართული რიტმის ფონეტიკური და მორფოლოგიური შედგენილობა	136
მასალები ძველი ქართული ლექსის ისტორიისათვის	153
ქართული ლექსის სათავეებთან	176

4T  
492.962.1  
o 507

რედაქტორი შ. ძიძიგური  
მხატვარი ნ. ქართველიშვილი  
მხატვ. რედაქტორი ირ. ჭანაშვილი  
ტექნიკური თ. მამფორია  
კორექტორი თ. იოსელიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IX-66 წ. ქალაქის  
ზომა 60 X 84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თაბახი 10,93. სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 8,46.  
უე 07592. ტირაჟი 1.500. შეკვ. № 345.

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“  
პლენარის 179  
თბილისი 1966